

მნათობი

6

036060



1955



საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 32-ე

№ 6

ივნისი, 1955 წ.

საბართიველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა კ რ ს ი

კონსტანტინე ლორთქიფანიძე — ნატვრის თვალი (რომანი)	33
ანა კალანდაძე — ლექსები	40
სერგო კლდიაშვილი — ნაბოლარა (მოთხრობა)	43
ოთარ ჭელიძე — ქიტესა (მოგზა)	47
სულხან ქეთელაური — მონადირეები (მოთხრობა)	59
ნიკოლოზ ნადირაძე — სათაფლია (ნარკვევი)	65
გერონტი ქიქოძე — განთიადიდან შუაღელვზე (მოგონება)	72
მიხეილ ჯავახიშვილი — სიტყვა დიდ შემოქმედზე	87
კონსტანტინე ზიზონიძე — მეგობარი-ნაცნობი (ლექსი), თარგმანი ზუტა ბერულავასი	88
ევგენი ვინოკუროვი — ლექსები მხედრულ მოვლუბაზე, თარგმანი მურმან ლებანიძისა	90
თ. ტუტანიძე — ლექსები, თარგმანი კონსტანტინე ჭიჭინაძისა	92
ფრადრიხ პესლერი — ლაბარაკობს დედა (ლექსი), თარგმანი გრიგოლ იმედაძისა	94
უოლტ უიტმენი — ო. კაპიტანო, ჩემო კაპიტანო! თარგმანი ინგლისურიდან მოსე ჭარჩავასი	96
ლუიზიანაში მე ვნახე ბერმუხა; პრუციების მშით გარუჯულო ბრინჯაოს ბიჭო! თარგმანი ინგლისურიდან თამაზ ჩხენკელისა	97
ნაწამი განჯელი — ლექსები, თარგმანი მავალი თოდუასი	98
ვ. ბოლ-ბელოცერკოვსკი — მოხუცი ჩილი (მოთხრობა), თარგმანი ერ. ტოროტაძისა	103

ქართული და კუბლინისტიკა

ბესარიონ ელენტი — პოეზიის ქვეყნარტი ზღბურობისათვის	113
ალექსანდრე ჩავლეიშვილი — გმირობის სოციალური არსისა და საბჭოთა ლიტერატურის გმირული ხასიათის შესახებ	121
ელდუჟა მადრაძე — უოლტ უიტმენის „ბალახის ფოთლების“ ასი წლისთავი	125
ლევან ასათიანი — ილია ჭავჭავაძე და რუსული ლიტერატურა	135
ნოდარ ჯანაშიანი — ქართული საბჭოთა არქიტექტურის ზოგიერთი შემოქმედებითი საკითხი	146
ივ. ენაქოლოფაშვილი — ზაქარია ფალავანდიშვილის უცნობი წერილი	152

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)



ვასილ ვეტიამე — ივანე თარბას ლექსების ახალი წიგნი	155
დ. შევრელიშვილი — მოთხრობა ახალგაზრდა ხელისნებზე	156
გიორგი სამხარაძე — ქართული ანდაზების კრებული	160
ვასო გოგოლაძე — ქართული ჟურნალისტიკის ისტორია	162
არჩილ ჩაჩიბაია — ნაშრომი ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხებზე	163
ზაქარია მშველიძე — ნარკვევები ქართული ხალხის რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან	166
შოთა შიშიგური — ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები	168
ახალი წიგნები	168

შეცდომის გასწორება

„მნათობის“ 1955 წლის № 5, გვ. 127 სათაურის ქვეშ უნდა იკითხებოდეს: (ღაბაღების 150 წლისთავის გამო).

კონსტანტინე ლომთაძენიძე



ნატვრის თვალი

რომანი

პროლოგი 1918 წელს.

შავი ღამე დასწოლია შირაქის ველს. მებრე ბიჭები კოცონს შემოსხდომიან და გასუსული უსმენენ ზღაპარს.

ირგვლივ სიჩუმეა. მხოლოდ ძილში ზანდახან მწყერი თუ ამოიჭუჭკუეებს, ან საიდანაც ნაწვერალიდან ნიავი თუ მოიტანს მამლარი კამეჩების ფშვინვას.

...ზღაპარი კარგახანია დასრულდა, ღამის მებრეები კი ისევ ჩაფიქრებულნი

მისჩერებიან ცეცხლს, თითქოს იმ ცეცხლის ლულიში ზღაპრიდან გადმოსულ ლანდებს ხედავენო.

ბოლოს ერთმა ამოიოხრა და სთქვა, ნეტავ ის ნატვრის თვალი მაპოვნინაო.

რას ინატრებდიო, ჰკითხა მეორემ.

რასა და... იმდენი ხარკამეჩი მოგვცა, რომ შირაქის ყამირები ყველა მოგვახნევინა და დავვათესინაო!

თავი პირველი

შეხვედრა ბელიძის ხევში

1

— ახია ჩემზე!—წამოიძახა ზაქარია ნადიბაიძემ, როდესაც შავი ვეება კამეჩი წერილიანში მიიშალა.

დასწყველოს ღმერთმა, კიდევ დააცილა ქამანდი!

გახეთქულ თავკისერზე სახელო ჩამოისვა და ცხენი ალაზნისაკენ მიაბრუნა, საიდანაც ახლა ლაწა-ლუწი ისმოდა. ირხეოდნენ, იმტვრეოდნენ ნორჩი იფნის ხეები...

ზაქარიამ თუთუნის შეახვია და ხარბად მოსწია. თუთუნის ბოლი ეამა, აცახცახებულნი კუნთები დაუწყნარდა.

— ახია!

შარშანწინ, როდესაც შირაქში მეოთხე ემტეესმა დაიწყო მუშაობა, კალოთუნელებმა ზედმეტი მუშა-პირუტყვი სახელმწიფოს ჩააბარეს, ეს ღამაში კუდვარდა კამეჩი კი, სახელად ყორანა, ზაქარიამ სახორცედ ვერ გაიმეტა და ფერმაში დასტოვა.

სამი წელიწადია, ქედზე უღელი არა სდგამია ყორანას და ისე გაქსუვდა, გა-

ტყუარდა, რომ კაცის დანახვაზე თავს დაბლა დახრიდა და ძეძვებში გარბოდა.

გახეხილ კისერზე ბალანი ისევ ამოუვიდა. ფერდები დაუმრგვალდა. ლაბაბი მუხლამდე ჩამოეკიდა.

ბოლო დროს ფურკამეჩების ნახირსაც აღარ ეკარებოდა. მარტო დაეხეტებოდა ალაზნის ქალებში და სიმინდის ნათესებს აოხრებდა. დღე ერთი იყო და საჩივარი ათასი.

წუხელ სოფელში ხმა დაჰყარეს, ყორანა მიმინოს ხევთან ბალებს დადევნებია და კინალამ გაუთელავსო. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. გათენდა თუ არა, ზაქარიამ შვილები გააღვიძა და კამეჩის დასაქერად წაიყვანა.

და აგერ რამდენიმე საათია, ალაზნის პირებზე აღმა-დაღმა დასდევენ იმ შეჩვენებულს... ვერ იქნა და კისერზე ქამანდი ვერ ჩამოაცვეს.

— ოჰო-ჰოოო!

— აქა ვარ, ლევან!—გასძახა ზაქარიამ.

— გზა მოუტერი, მამავ. მდინარეში არ შეგვასწოროს!



ზაქარია უზანგებზე შედგა და ალაზნისაკენ გაიხედა. ლევანი ფეხდაფეხ მისდევდა ახოზე გამოვარდნილ კამეჩს.

„ახლა კი ველარსად წამიხვალ!“ გაიფიქრა მოხუცმა და ცხენს ქუსლი ჰკრა, მაგრამ უეცრად კამეჩი მობრუნდა და ლევანისაკენ გამოექანა.

დაბერილ ნესტოებიდან ოხშივარს აფრქვევდა, თვალებში ალი უპრიალებდა. ეტყობა, ამ დევნა-ალიაქოთში პირუტყვი უფრო გაგიჟდა და მღევარს აქეთ შემოურტია.

ზაქარია მაშინვე მიხვდა, ყორანა კარგ რამეს არ აპირებდა. ცხენი შეაყენა და შვილს გასძახა:

— მოეცა, ბიჭო!

მაგრამ ლევანმა ფეხიც არ მოიცივალა. (იქნებ ვერ გაიგონა მამის ძახილი?) მან მხოლოდ სწრაფად მიიხედ-მოიხედა და ქამანდის ბოლო მკლავზე დაიხვია.

— გაგიტანს! მოეცა... მოეცა! — ისევ დაჰკვივლა ზაქარიამ.

კამეჩს საესე კისერი ოდნავ გვერდზე მოედრეკა და გავეშვებული მოჰქროდა. ფლოქვეებით მიწასა ბღღვნიდა, გორმახის კორიანტელს აყენებდა. აგერ უკვე სამი ნახტომილა დარჩა ყორანას... ორი... ერთი!

„სიზმარი! ჩემი წუხანდელი სიზმარი! ვითომ უმ ხორცსა ეჭამდი! — გაახსენდა უეცრად ზაქარიას და სუნთქვა შეეკრა.

და სწორედ იმ წუთში, როდესაც ელდანაცემმა მამამ თვალები დახუჭა, ლევანი ელვის უსწრაფესად გვერდზე გადახტა და ქამანდი მოიქნია.

თოკი მაშინვე დაიჭიმა და ქამანდარი ადგილიდან ისე მოსხლიტა, თითქოს გრიგალმა მოიტაცაო. მერე ლევანს თვითონაც აღარ ახსოვდა, იმ წუთში თაკვი როგორ შეიმავრა და მიწას არ დაასკდა. ათი-თორმეტი ნაბიჯი მან ასე მოსხლეტილად გაირბინა, შემდეგ ერთბაშად უკან გადაიწია და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თოკი გამოჰკრა... კიდევ გამოჰკრა და კამეჩს მუხლი შეურყია...

— შენი მკლავის ქირიმე! — აღმოხდა ზაქარიას.

ურმების ქარავანს გედიქის ხევში შემოათენდა. წუხანდელ ღვარცოფს წისქვილებთან მიწყერი ჩამოეტანა და გზა დაეკეტა.

მეურმეებმა ხარები გამოხსნეს, წისქვილებიდან საციქველი ჩამოიტანეს და ნალვარეუ ადგილებს წაესივნენ.

ურმეზე წოლისა და მოსაწყენი მგზავრობისაგან მოდუნებულ ლევანს ეს პატარა შემთხვევა კიდევ გაუხარდა. თოხს ხელი დაავლო და გიორგის გვერდში ამოუდგა.

ზაქარია ფერდობზე ჩამომჯდარიყო, კამეჩის საბელი მკლავზე დაეხვია და შვილებს გასცქეროდა. როგორ უხაროდა მოხუცს, როდესაც ორივე ვაჟი შვილს ასე ერთად ხედავდა.

კამეჩი მოუთმენლად ბღღვნიავდა, თვალებს აბრიალებდა და დროდადრო თავს ისე ღონივრად გაიჭნევედა, რომ ზაქარიას ბურთივით ზეზე წამოაფრენდა.

— კამეჩი რომ სიშინდს დაეჩვენება, მერე იმას შენ დააკავებ! — ჯავრობდა მოხუცი.

მზე ამოსული იყო, როდესაც მეურმეებმა გზა გასწმინდეს და წისქვილის რუში ხელპირი დაიბანეს.

სწორედ ამ დროს ზემოდან მანქანის საყვირის ხმა მოისმა.

გიორგიმ მოიხედა.

ჩალისფერი მსუბუქი ავტომობილი გვერდს უვლიდა დაგალავებულ ურმებს.

მანქანას ახალგაზრდა ქალი მართავდა. ოცე-ოცდაორი წლისა იქნებოდა. ლამაზი პირისკანი ჰქონდა, ლოყებზე ოდნავ ვარდისფრად შეღვევებული, თითქოს რძემო ორი წვეთი წითელი ღვინო გაურევიათო.

შავზე შავი ნაწნავების გვირგვინი უფრო თეთრად აჩენდა ქალის დახვეწილ პირისახეს. წითელი, თითქოს ცოტა შესივებული ტუჩები ისე გულგასახარად უღიმოდა, გვეგონებოდა, ეს ნანატრი დილა მარტო მისი სიამოვნებისათვის იყო გათენებულიო.

ლაშაში ქალი იყო, მოხდენილი, მაგრამ ამ ახალთახალ მანქანაში, სადაც ყველაფერს კრიალი გაჰქონდა, იგი უფრო ლაშაში და მომხიბლველი სჩანდა.

შვენოდა მანქანის საკესთან ჯდომამ, და ორივე — ეს თეთრი ქალი და მისი მანქანა ისე შვენოდნენ ამ წითელ-ყვითელ ფერდობებს, რომ გიორგის უნებლიედ აღმოხდა:

— შენ მოუკვდი დედაშენს!

ქალმა მისი უცნაური ქათინაური გაიგონა და მანქანა შეაჩერა.

— რათა გოგი, რა დაგიშავე!? — გადმოსძახა მან და ისე მეგობრულად გაუღიმა, რომ ეტყობოდა, ერთიმეორესთან შეთამამებულნი იყვნენ.

— მეტი რაღა უნდა დამიშავო, გოგოლა! რამდენს დაგინახავ, ჩემს ქუჩაზე აღარა ვარ! — ისევე გაეხუმრა გიორგი, თუმცა ეტყობოდა, ეს მთლად ხუმრობა აღარ იყო.

— რას გადამეკიდე, ბიჭო! განა სოფელში გოგოები გამოილია!

— რა გამოლევს იმ გასაწყვეტლებს, მაგრამ შენი შემყურე ჩვენიც ვებარდებით და იმათაც ვაბერებთ! — მიუგო გიორგიმ და მეურმე ბიჭებს გადახედა.

ქალი კი ისევე იღიმებოდა, თითქოს უხაროდა, რომ მისი სილამაზე ასე ხიბლავდა ამ მოხდენილ ყმაწვილკაცებს.

იგი არც მალავდა ამ სიხარულს, მაგრამ ვერცერთი მიზეზიანი თვალი პრანქვისა და კოკობზიკობის ნატამალს ვერ უპოვნიდა ამ თვალმახარა გოგოს.

უეცრად მისი წამწამები მოუსვენრად შეიჩხნენ. ქალმა შეუბლი შეიკრა, თითქოს რაღაც არ მოეწონათ. მერე რატომღაც დაქარგული გულისპირი შეისწორა, ღიმილიც ჩაუქრა...

გიორგი მიხვდა, ქალი რაღაცამ შეაწუხა და მანაც იქითკენ გაიხედა, საითაც იგი იხედებოდა.

წისქვილის რუსთან ლევანი იდგა და გოგოლას ისე მისჩერებოდა, რომ ქალი თითქოს ჯავრობდა, უსიტყვოდ უწყობოდა. ეგრე ნუ მიცქერიო.

ეს მოხდა წამის ერთი ნამცეცის განმავლობაში. მერე ერთბაშად გოგოლა მელრმეებს თვალი მოაჩრდა და მანქანა ადგილიდან ისე მოსხლიტა, ქვეშამ კაწკაწი დაიწყო.

— ვინ არის? — ჰკითხა ლევანმა ძმას, როდესაც ჩალისფერი მანქანა ხევში მიიშალა.

— უგრეხელიძის ქალია, გოგოლას ეძახიან. შენ რომ ჯარში წაგიყვანეს, იმ წელიწადს ჩამოსახლდნენ შირაქში. ძალიან ლამაზია, არა?

ლევანმა ხმა არ გასცა. იგი ისევე ჩაფიქრებული გასცქეროდა დაცარიელებულ გზას.

ძველი ხირსის გზაზე რომ გავიდნენ, მელრმეებმა სიმღერა წამოიწყეს. ძველებურ მგზავრულს ამბობდნენ და როგორც წუხელ ალაზნის შრიალი, ეს სიმღერაც კბამუობის დღეებს ავონებდა ზაქარიას.

უეცრად მან წარბი შეიკრა და სიმღერას ყური მიუგდო. არა, მომღერალთა ხმებში ლევანის ხმა ვერ შეიცნო მოხუცმა.

გაოცებულმა უკან მოიხედა და ჯგუფად მომავალ მელრმეებს თვალი შეავლო. ლევანი მარტო მოდიოდა. დროდადრო ხარებს თუ შესძახებდა ამ კიდეც ჩექმაზე სახრეს დაირტყამდა.

ის შეძახილიც და ის სახრეც ამბობდა, ლევანს რაღაც ფიქრი მორეოდა.

ზაქარიას გულში ჩაეცინა.

— ლევან!

— რა იყო, მამავ! — ლევანი მაშინვე ურემთან გაჩნდა.

— რატომ არა მღერი, ბიჭო!

— რა ვიცი, რაღაც ფიქრმა შემიტყუა...

— იმ გოგომ ხომ არ მოიკიდა შენი ცოდვა!

— ამიტომ დამიძახე?!

— რას მიწყობი, ბიჭო! ჰა, გამომართვი. მკლავები დამაწყვიტა ამ გადარეულმა. — უთხრა ზაქარიამ და კამეჩის საბელი გაუწოდა.



შვილები

ორი ვაჟი ჰყავდა ზაქარია ნადიბაიძეს, მაგრამ კაცი ვერ იტყოდა, ძმები ერთი დედმამიშვილები არიანო.

შავგვრემანი, შავთვალწარბა, ქირსა და ლხინში ერთნაირად თავდაპირველი ლევანი ასლი და კვალი იყო მამისა.

მის გულს კაცი ადვილად გასაღებს ვერ უბოვნიდა, მაგრამ ვისაც იძობდა, მერე იგი თვალში რომ ჩაეარდნოდა, ხელს აღარ ამოისვამდა.

ხანგრძლივი და გამტანი მეგობრობა იყო, როგორც ყველა სულგრძელმა აღამიანმა, სამაგიეროდ ლევანის ამოღებულ ხმაღს ხათრი და პურღვინო ქაჩაში ვერ ჩააგებდა.

ბობრი, ცისფერთვალემა გიორგი დედასა ჰყავდა, მხოლოდ უფრო ფიცხი და ჩაუტევარი კაცი იყო.

დღეში ათჯერ გამოეცვლებოდა გუნება, ცოტა რამ ეწყინებოდა და ასევე ცოტა რამ ჰყოფნიდა, რომ მრავალჯამიერი შემოეძახნა.

შარშან ალავერდობას გიორგი ნადიბაიძე ჯირითში გავიდა.

მისცეს თუ არა ნიშანი, მან ისე მოსხლიტა მოწითალო ულაყი, რომ მთელი გუნდი უკან ჩამოიკოვა.

პირველი კამარა გაუჭირებლად აიღო. მეორე კამარაზე ერთი ახალგაზრდა თუში მხარდამხარ მიჰყვა. ერთხანს ორივენი ასე ერთად მიჰქროდნენ მტვერში გახვეულნი, მაგრამ თუშმა მალე შეატყყო, მეტოქეს ბოლომდე ვერ მიჰყვებოდა და უმაღლვე თუშური ფანდი უგდო: ცხენს კისერი მოუღრიცა, გიორგის გაფიცებულ ულაყს გვერდი გაჰკრა და გეზი შეუშალა.

ცეცხლოკიდებულმა ნადიბაიძემ მეტოქეს ლაგამში ხელი უტაცა, ცხენიდან გადმოფრინდა და თუში ძირს გადმოიღო.

სად იყო — სად არა, ზაქარიაც იქვე გაჩნდა და მეტოქეებს შუა ჩავარდა, ძლივს გააშველა ყმაწვილები, მაგრამ იმავე ღამეს, როდესაც მინდორზე კოცონები აბრიალდნენ, ღამისმთევლებმა

დაინახეს, გიორგი სწორედ იმ თუშის სუფრაზე იჯდა, მისთვის მხარზე ხელი გადადო და ძმობას ფეიცებოდა.

ასეთი გულჩქარი კაცი იყო უმცროსი ნადიბაიძე.

მეგობარს მალე იპოვინდა და ასევე მალე დაჰკარგავდა.

ძმები მხოლოდ დედის სიყვარულში ჰგავდნენ ერთმანეთს. დედას თვალეზში შესტყეროდნენ, არაფერი ვაწყენინოთო.

მამასთან ამხანაგებივით იყვნენ. თუ სადმე რამეში შეცდებოდნენ, მამინვე მამას გაენდობოდნენ და დედასთან შუაკაცად მიგზავნიდნენ, ამ ერთხელ კიდე გვაპატიოსო.

მამას კიდეც შეეხუმრებოდნენ, შეეყამათებოდნენ, მაგრამ ბიჭები იყვნენ და დედას ოდესმე სიტყვას შეუბრუნებდნენ, ანუკას წარბის ერთი შერხევაც საკმარისი იყო, რომ ეს მოწიფული ვაჟკაცები სმენაზე დამდგარიყვნენ.

ხანდახან მამაშვილინ სამივენი ერთად გაიბარებოდნენ ბორანზე ღვინის დასალევად, და როდესაც იქიდან დაბრუნდებოდნენ, ჭიშკართან დიდხანს ჩურჩულებდნენ, შინ პირველი ვინ შესულიყო.

უფროსი ძმა ტრაქტორისტად მუშაობდა შირაქის ემტეესში. იგი ჯერ კიდევ მეორე თუ შესამე კლასის მოწაფე იყო, როდესაც ბიძამისმა ნინია ნადიბაიძემ სოფელში პირველი ტრაქტორი მოიყვანა.

ამ ჯადო-მანქანამ პატარა ლევანს ყველაფერი დაევიწყა. აგერ მისი ტოლები ძველი ეკლესიის ეზოში დახლავდნენ თამაშობდნენ ან ალაზნაზე საბანაოდ მიიპარებოდნენ, ეს კი სკოლიდან მოიბრუნდა თუ არა, ფეხზე ორ-სამ ლუკმას გადაყლაპავდა და მერე მინდვრებში ბიძამისის ტრაქტორის დაეძებდა, ხან კიდე მთელი საღამო ყანჩაანთ სერზე იდგა და მტერიან გზას გასტყეროდა...

...ამ პატარა ბიჭმა ერთი ძველი ამბავი გამახსენა ჩემი ბავშვობის დროიდან.



ათი-თორმეტი წლისა რომ ვიყავ, ქვეყანაზე არაფერი ისე არ მახარებდა, როგორც ბიძაჩემის სტუმრობა. როდესაც მისი წითელი ცხენი ჩვენს დაბურთულ ორბობეში გამოჩნდებოდა, ჩემი გულის ბაგა-ბუვი მგონი სოფლის ბოლოში ისმოდა.

საუკუნე გაივლიდა, სანამ ბიძაჩემი ცხენიდან ჩამოხტებოდა და გადამოცნიდა. მერე ხელს დამავლებდა და უნაგირზე შემსვამდა.

— ნელა ატარე, შვილო. ოფლი კარგა შეაშრეს, — მიტყოდა იგი და უზანგებს დამიმოკლებდა.

თუ ცოტა ნასვამი იყო, მათრახსაც მომცემდა.

— შორს არ წაიყვანო, ბიჭო! — გამაფრთხილებდა დედაჩემი.

— სადალაქომდე შეიძლება ნიკო-ძია? — შეიძლება.

ცხენს ნელა მოვებრუნებდი, რომ არავითარი აჩქარება და სულწასულობა არ შემტყობოდა, ასევე ნელა გავსცდებოდი ორბობებს და როგორც კი ჩვენი სახლი ხეებში დაიმალებოდა, მერე გიყვარდეს ნავარი და მათრახის ტრიალი.

ზედ კართან ჩავუქროლებდი სადალაქოს, სადაც გიგოს ბიჭი ცხოვრობდა. ასე ეძახდნენ დალაქის შეგირდს, რომელიც ყველაფერში მეჯიბრებოდა და მჩაგრავდა.

იგი ჩემი კბილა იყო, მაგრამ რა ვინდა სულ და გულო, რომ იმას ჯიბეში არა ჰქონოდა! ცისმარე დილას ჩვენი ეზოს წინ ჩამოვივლიდა, ხან ჯაყვას ამოილებდა და შორიდან დამანახვებდა, ხან კოდეე საათის ბუდეს ან შურდულს შემახარებდა, გულს გამისივებდა და წაცილოდა.

სამაგიეროდ, გიგოს ბიჭს ცხენიანი ბიძა არ ჰყავდა.

პირდალბული მომჩერებოდა იგი, როდესაც სადალაქოსთან ცხენს დავაოთხებდი და იქაურობას მტვერში გავახევებდი... მაშინ მთელი ქვეყანა ჩემი მეგონა და თუ მერე დედაჩემი დამსჯიდა და სათამაშოდ არსად გამისივებდა, — აღარა ვნაღვლობდი, რადგან იმ დღეს გი-

გოს ბიჭთან ანგარიში ვასწორებულნი მქონდა.

ამიტომ მიყვარდა ბიძაჩემის სტუმრობა და როდესაც ოჯახში იტყოდნენ, ხვალ შეიძლება ნიკო-ძია ამოვიდესო, მე დილიდანვე კი შიშკართან ეტრიალებდი და ორბობეს გავსცქეროდი.

როგორ ჰგავდა და როგორ არ ჰგავდა ერთმანეთს ჩემი და ლევანის ბავშვობა.

ზაქარია ნადიბაიძის სახლის შუშაბანდი შირაქის ემტეცის ეზოს გადაწყურებდა. სადგურის დაბალი თეთრად შელესილი სახელოსნოები და ავღრისაგან გაშავებული ფარდულები ხალვათად გაშლილიყვნენ ევება მინდორზე.

მინდვრიდან მომავალი ტრაქტორები ნადიბაიძის ეზოს ვერ ასცდებოდნენ. მათი გუგუნე ჯერ კიდეც ყრულ ისმოდა, როდესაც შუშაბანდი ზრიალს დაიწყებდა.

გუგუნე თანდათან გაძლიერდებოდა. ახლა კედლები დაიწყებდნენ ზანზარს და სანამ მანქანები სადგურის ეზოში არ შევიდოდნენ, აღარც ჩარხის ზმული ისმოდა ხე-ტყის სახერხი ქარხნიდან და არც პატარა ელსადგურის დაგადგვი.

ლევანი კი შიშკართან დახვდებოდა ბიძაძის ტრაქტორს და სანამ ნინია ისაძილებდა, პატარა ბიჭი მანქანას ჩვარს გადაუსვამდა, ფრთებზე მიმხმარ ტალახს ჩამოფხვებდა... მერე კაბინაში დაჯდებოდა და საჭის ბერკეტებს გადასწეე-გადმოსწეედა.

მეზობლის ბიჭები პირდალბული მისჩერებოდნენ ლევანს, სწორედ ისევე, როგორც მე ერთდროს გიგოს ბიჭი მომჩერებოდა.

იმ ზაფხულს ბიძაძისი წნორისწყალზე წავიდა სამუშაოდ. ლევანმა გული არ გაიტეხა, „გამარჯვების“ ტრაქტორისტებს დავუახლოვდა და თავისუფალ დროს მათთან ატარებდა.

პირველხანად ოსტატები ლუდისა და პაპიროსის მოსატანად დაარბენინებდნენ ლევანს სოფლის სასადილოში, და ისიც ენაგადმოგდებოდა დაჰქროდა აღმადამა, ოღონდაც მათი გული მოეგო და ამ ჯადო-მანქანების ახლო ყოფილიყო.



პირველად ვანო ჩოხელმა შეატყო, რომ ყმაწვილს მანქანა უყვარდა. ხანდახან დაუძახებდა და საქმეს გაუჩენდა. როგორ უბრწყინავდა თვალები ლევანს, როდესაც იგი რადიატორში წყალს ასხამდა, ან რომელიმე საკისარს ზეთავდა!

ასე ხუმრობაში ლევანმა ტრაქტორის მართვაც ისწავლა და დედას კალთა ჩამოახია, დუბოვთან მიმეგზავნე, ბრიგადაში მიმიღოსო.

როგორ უნდოდა ნადიბაიძის ბიჭს წითელწყაროელი ტრაქტორისტის ბრიგადაში მოხვედრილიყო. გათენებისას, როდესაც მალალი ზორბა ტანის დუბოვი ნაციხართან ჩაივლიდა, ლევანი მონუსხული მისჩერებოდა სახელგანთქმულ ბრიგადირს.

ლევანს გაგონილი ჰქონდა, კოლია დუბოვმა შირაქში ერთი ტრაქტორი თორმეტ წელიწადს ამუშავა და იმოდენა მანძილი გაიარა, დედამიწას ორჯერ შემოუვლიდაო.

ახდენილი ნატვრა

იმ დღეს დედა და შვილი უთენია წამოდგნენ, ქორისა ორთვალაში შეაბეს და მილარში გაემგზავრნენ დუბოვთან მოსალაპარაკებლად.

შირაქის ველზე მივდივარ
უკან მამბრუნებს ქარიო...

გაკვირდა გახარებული ლევანი და დოლა-ბნელში ცხენს ისე მიაკენებდა, ანუკას გული უკანკალებდა, საღმე გადავბრუნდებითო.

მიმინოს ხეცს რომ მიაღწიეს, მზეც ამოვიდა. კავკასიონის ქედზე ნისლი თანდათან გაიფანტა, — გამოჩნდნენ თოვლიანი მწვერვალები. მერე კალთებზე შეფენილმა ტყეებმაც მოიხადეს თალხი და ალაზნის ველზე გადაისროლეს.

— რა დალოცვილია ჩვენი ქვეყანა! აგერ მთაზე თოვლი დევს, მთის ძირში კი ატამი ჰყავის და ბავშვები პერანგის ამარა დარბიან! — ჩილიაპარაკა ანუკამ.

ის ტრაქტორი დღესაც კვალში იდგა და ახალთახალ მანქანებს გზასუკანაში უთმობდა.

ლევანმა ისიც იცოდა, ცოტა გულფიცხი კაცი იყო კოლია დუბოვი. მშობლებიც აფრთხილებდნენ, სიკვდილს მოგანატრებს, ბიჭო, მანქანას რომ ვერ გაუძღვეო, მაგრამ გამგონი ვინ იყო! პატარა ლევანს მუდამ თვალწინ ედგა ყავისფერ კომბინეზონში ბეჭებჩაჭედული ბრიგადირი, რომელსაც მარცხენა გულჯიბეში შავი ავტოკალამი ჰქონდა ჩაბნეული და ისეთი ნელი სიარული იცოდა, თითქოს რაც ქვეყანაზე მინდვრებია, ყველა მოუხნავს და ახლა აღარსად აღარ ეჩქარებო.

წლოვანება კიდევ არაფერი, ლევანი ტანადაც ისე პატარა იყო, რომ მისი ხუთმეტრი წელი არავის სჯეროდა.

— რა დროს მგის ტრაქტორია! მინდორში გაუშვი და თავთავი აყრეფინე! — ხუმრობდნენ მეზობლები, როდესაც ანუკა შვილის ამბავს მოჰყვებოდა.

ლევანმა გზის პირას ჩაყოლებულ ხეებს გახედა. ატმებს ვარდისფერი ბოლი ადიოდა.

— ამ შირაქს რა ღმერთი გაუწყრა, რომ მთლად ტიტველია იქაურობა!

— ჩვენებური კაცი, შვილო, მინდორში ხეცს არ გაუშვებს! ეშინია, ჩრდილში გორაობას დაეწყებ და გავზარმაცდებითო! — გაეხუმრა ანუკა.

მილარს რომ მიუახლოვდნენ ლევანმა უეცრად მოიწყინა. „რას მეტყვის დუბოვი! ჩამამარებს ტრაქტორს! თუ ისიც უღვაშებში ჩაიციინებს და...“

ანუკას არ გამოეპარა, რომ ბიჭს გუნება შეეცვალა.

— რას გაჩუმდი, ბიჭო! უკან ხომ არ დავბრუნდეთ? — ღიმილით ჰკითხა მან.

— არა, დედი! — თავი გაიჭნია ლევანმა, მაგრამ ცოტახნის შემდეგ ცხენი შეაყენა და დედას გაუბედავად შეხედა.



— პაი, შე მშობრავ შენა! ყველა-ფერში გიორგი უნდა გჯობდეს — დაუტატანა ანუკამ და ცხენს აღვირის ბოლო გადაჰკრა...

დუბოვი ალაუნის პირას იპოვნეს. რომელიღაც ტრაქტორისტს შუა მინდორში მანქანა დადგომოდა და ვერაფერი მოეხერხებინა.

„დროშას მაყარგვინებთო!“ ყვიროდა გაცეცხლებული დუბოვი და ხალათს იხდიდა.

ტრაქტორისტი — შავი პირხმელი ბიჭი ხენეშა-კრუსუნით მანქანის სახელურს ატრიალებდა. გაოფლიანებულ თავკისერზე ეტყობოდა, ვარგახანია ამ ჰაანწყვეტაში იყო.

— კოლა...ავ! — დაუძახა ანუკამ.

დუბოვმა მოიხედა. ნადიბაიძის მეუღლეს რომ დაინახა, ხალათი ისევ გადაიცვა და დედა-შვილს ხნულის პირას შეეგება.

კოლა დუბოვი შირაქში იყო დაბადებული და გაზრდილი.

დღის წინაპარი იმ რუსი მხედრობის ჩამომავალი იყო, მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს საქართველოს ლეკთა თარეშისაგან რომ იცავდნენ. სამხედრო ბეგარა რომ მოიხადეს, ბევრი მათგანი საქართველოში დარჩა და შირაქში დასახლდა.

ვოლგისა და დონის შვილებმა საცხოვრებლად ჩვენში სწორედ ის ადგილი ამოირჩიეს, რომელიც მათი სამშობლოს ველმინდორს ჰგავდა.

დუბოვი შუახანს მიღწეული კაცი იყო, ცოლშვილი არა ჰყავდა, თუმცა ახლაც თვე არ გავიდოდა, შინ მკვანკალი არ მოსვლიდა.

ამბობდნენ, ახალგაზრდობაში ერთი ბობბელი ქალი უყვარდაო, კიდევ დაუთნიშნავსო, მაგრამ სწორედ ქორწილის წინაღამეს ქალი სახლიდან გაპარულა და ცოლად სხვას გაჰყოლია... ეს იყო მიზეზი თუ სხვა რამ, დუბოვი დღესაც მარტოხელად ცხოვრობდა.

ქართული კარგად იცოდა, მხოლოდ კილოს ცოტა რუსულად უქცევდა, რაც მის ხმას სასიამოვნოდ ატრეებდა.

— გამარჯობა კოლა!
— ანუკას სიცოცხლე!
— ჩემი ბიჭი მოგიყვანებ. თუ გახსოვს, წინებზე გელაპარაკე...
— ეგ არის?

დუბოვმა ისე ახედ-დახედა პატარა ლევანს, რომ საწყალი ბიჭი უფრო დაპატარავდა.

— მარჯვე ბიჭია და ეს საქმეც ძალიან უყვარს!

— თავი გამანებე თუ ქალი ხარ! ნუცას სკოლად ნუ გახადეთ ჩემი ბრიგადა!

— მე რას მიჯავრდები, კოლა! თუ უარს მეუბნები, წყნარად მინც მითხარი.

— არა, ანუკა, შენი კირიმე, — ენაზე იკბინა დუბოვმა: — განა შენ გიჯავრდები! ჩვენმა უფროსებმა გამაჯავრეს. ამ ხალხისა ვერაფერი გამიგია, ლმერთმანი! ლუკა ბერეკაშვილს წამართვეს — საუკეთესო ტრაქტორისტი და ავერ ის გამომიგზავნეს, გეშინ კურსებიდან ჩამოსული ბაღლი!

— როგორ თუ წაგართვეს! ეინ წაგართვა? — გაცოცხა ანუკა. მან იცოდა, დუბოვი აგრე ადვილად არაფერს დასთმობდა.

— დააწინაურეს! — გესლიანად ჩაიციხა დუბოვმა: — უბრალო ტრაქტორისტი ვითომ დიდი კაცი გახადეს! რაიონში წაიყვანეს და ლიმონათის ქარხნის დირექტორად დანიშნეს. ქარხანა მინც იყოს! ორი ფეხშიშველა ბიჭი რაღაც ეშმაკის ჩარხს ატრიალებს და ათიოდე ლიტრა წითელ-ყვითელ წყალს ბოთლებში ასხამს... ეს ძალიან დაიწყეს ამ ბოლოდროს! კაცი სადმე სოფელში სახელს გაითქვამს თუ არა, სტაცებენ ხელს და რაიონში წამოასკუბებენ! ბერეკაშვილიც ვითომ დააწინაურეს! ნამდვილად კი ხელობა დაუკარგეს, ცხოვრებაში გზაკვალი აურიეს!

დუბოვმა შავ ბიჭს გახედა და ჯავრიანად განაგრძო:

— ერთი საათია, მანქანას თავს დასატრიალებს და ვერაფერი უშველა. გამოცდილ ხალხს უჭირს, ჩემო ანუკა, ამ

ძველი ტრაქტორების მოვლა-პატრონობა, ეს ბალები რას გახდებიან! არა, ანუა, ტყუილად ნუ მთხოვ, რაც არ შემოდია, არ შემოდია!

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, რომ უეცრად ნახნავეიდან ტრაქტორის გუგუნი მოისმა.

გახედეს — შავი ბიკის ტრაქტორთან სახეგაბრწყინებელი ლევანი იდგა და ნამჯით ხელებს იწმენდა.

... სანამ ღუბოვი ანუკას, თავის გაკორვებას უამბობდა, ლევანმა დრო იხელთა და ტრაქტორის კირკიმალი დაუწყო.

ბედის წყალობა იყო თუ ცოდნისა, ლევანს ბევრი წვალეა არ დასკირვებია. მანქანას სატკივარი მალე გაუგო და ხმა ამოაღებინა.

ღუბოვი და ანუკა ტრაქტორთან მივიდნენ.

— გაჯობა განა? — უთხრა ბრიგადირმა შავ ბიკს.

— მაჯობა. — მაშინვე აღიარა მან. ღუბოვმა მანქანას ყური მიუგდო, მერე ისევ ლევანს ახედ-დახედა და კითხა:

— რა სკირდა?

— მაგენტოს კონტაქტები იყო დამწვარი. — ხმამაღლა, სხაპასხუპით მიუგო ლევანმა, როგორც სკოლაში სჩეოდოდა.

— კიდევ როდის მოიშლება მაგენტოს მუშაობა?

— თუ ძალიან შევზეთეთ და გაჭუჭყიანდა.

— პროფესორი ყოფილხარ, ბიჭო! — ჩაიციხა ღუბოვმა: — აბა ახლა ტრაქტორზე დაჯექ და შენი კვალიც მაჩვენე!

სიტყვის დასრულება ვერ მოასწულა ლევანი კაბინაში შეფრინდა და დასძრა. ღუბოვი და ანუკა უკან გაპყვნენ.

ანუკას გული შეუქანდა, ვაითუ ლევანი აჩქარდეს და კვალი განზე წაუვიდესო. მაგრამ პატარა ბიკს მთელი გუთნეული ისე მარჯვედ მიჰყავდა, თითქოს მანქანაც და გუთნებიც ერთსხეულად ქცეულანო.

ღუბოვმა ჩალისფერ უღვაშებზე ხელი გადაისვა და სთქვა:

— მოდი და ახლა უარი უთხარი ამ ეშმაკის ფეხს! ხვალ აღრიანად გამოგიგზავნენ. ამ ტრაქტორზე ორივეს ვამუშავებ. თბილად ჩააცვი და ქვეშაგებიც გამოატანე, ჯერ კიდევ ცივი ღამეებიია...

ასე დაიწყო ლევანმა მუშაობა ღუბოვის ბრიგადაში და ორ-სამ წელიწადში იმდენი ნიჭი და უნარი გამოიჩინა, რომ ღუბოვი ახალგაზრდა ტრაქტორისტს სწორად ეთათბირებოდა და რჩევასაც კითხავდა.

ამ გაზაფხულზე ჯარიდან რომ დაბრუნდა, ლევანმა მთელი შირაქი აალაპარაკა. ჩაწოლილი პურის ასაღებად კომბაინზე რაღაც ფოცხისმაგვარი იარაღი მოაწყო და გასინჯვის დროს სამი ჰექტარი ყანა ისე პირწმინდად გასკრა, ერთი თავთავი არსად ჩაუტოვებია.

შირაქის ორპირი ქარი ალაღებულ პურს ხანდახან ისე დააწვეს და დაახვევს, რომ იქ კომბაინს ნახევარი ყანა მოუძველი რჩება. ამიტომ ლევანის გამოგონებამ სამინისტროს ყურადღება მიიქცია და მისი ფოცხის შესამოწმებლად კომისია დაინიშნა.

თავი მეორე

მონამგლენი

ცოდვის უცხელესი ბული ტრაილებდა შირაქში.

მიწა ისე იყო დაფქვილი, კუტკალიაც კი მტვერს აყენებდა. შედეგებულ აღ-

მურში ლეკის მთა აღარა სჩანდა. ცისკიდურზე მხოლოდ ტრტველი ქოჩები ცახცახებდნენ ბუნდად.

მლაშე წყალთან ზაჭარია ნადიბაძე

კომბაინს ყანას უკვალავდა. გვალვას პური ისე გაეხმო, ნამგალს წყრიალი გაჰქონდა.

— ზაქროს გაუმარჯოს!

ნადიბაიძემ მაშინვე იცნო ეს მშვიდი ფოლადნარევი ხმა და სანამ ყანას ნამგალს გამოუსვამდა და მოიხედავდა, ხალისიანად გამოსძახა:

— იცოცხლე სიმონ!

მერე ზელუერი მიწაზე დასდო და წელში გაიძარტა.

ყანის პირას მწვანე ვილისი იდგა. სიმონი მანქანიდან გადმოსულიყო და როგორც იცოდა, მოშურებული მოდიოდა.

რაიკომის მეორე მდივანი სიმონ ჩოხელი შესახედავად უბრალო კაცი იყო — მეკალოე გლეხსა ჰვავდა, ისე ჰქონდა დამწვარი ხელპირი შირაქის მზეზე.

— ყანის შემფასებლები იყვნენ?

— მე რათ მინდა, სიმონ, მათი შეფასება და ანგარიში! თავთავი მუხლებში რომ მომხედვება, მაშინვე ვიცი, სად რამდენი გაიღწება!

— გაგაჯავრეს, ზაქრო!

— მოდი და ნუ გაჯავრდები. მთელი გაზაფხული და ზაფხული გვალვა იყო, ყანას მარცვალი ვერ გაუძღა, — ზაქარიამ თავთავი მოსწყვიტა და ხელში მოფშენა: — ხედავ, ზოგი მარცვალი ისეთი მსუბუქია, განიაგების დროს ბზეს გაჰყვება. ბევრი-ბევრი ოთხი ცენტნერი გამოვიდეს! იმ ოჯახაშენებულმა კი შეიღი ჩაგვიწერა!

— ვინ შეათასა?

— ლეკაშვილი იყო.

„კიდევ ლეკაშვილი!“ უსიამოვნოდ გაიფიქრა ჩოხელმა და როგორც გუშინ ტარიბანაზე, ახლაც ის შავი ფიქრი შეირხა მის გულში, მაგრამ ნადიბაიძეს არაფერი უთხრა და ყანაში შევიდა.

— თითო-ოროლა ქვა აქაც ყოფილა, ზაქრო! ქალები გააფრთხილე, კომბაინის წინ წავიდნენ და ქვა აპკრიფონ, თორემ ერთი დეკა აღარ შეგვრჩება მთელი!

— კარგი, სიმონ!

მლაშე ტბის სერზე გადადგნენ. ჰრიკინები ჰვეყანას აქცევდნენ დროდადრო მწყურის ჭუჭუეი მოისმოდა. გვალვების გამო ამ ზაფხულს შირაქში მწყურიც ცოტა იყო და მეხანძრე ბალები კომბაინს გულნაკული დაჰყვებოდნენ.

— აქ არ იყო, ზაქრო, შენ რომ გაზიდაურს ნამგალი დააგდებინე! — უთხრა ჩოხელმა.

— შენ რა გეხსომება კაცო, მაშინ ბალები იქნებოდი! — სწრაფად მიუგო ნადიბაიძემ.

— ბალები ვიყავ, მაგრამ ის მაინც კარგა მახსოვს, გაზიდაური ძუძუმყვალს რომ წამოედო და ყანაში გაიშხვართა.

ნადიბაიძემ გულსავესედ ჩაიციანა.

„რა კარგი კაცია ჩვენი სიმონი! სწორედ იმას ვაგახსენებს, რითაც ოდესმე ჯეელობაში თავი გესახელებოდა“. გაიფიქრა მან.

ჩოხელი წავიდა. ზაქარია საჩრდილობელში ჩამოჯდა და ტკბილი სიზმარცხადის ბურანში გაეხვია.

ზაქარია ნადიბაიძისა და ზემო-მანჩანელი ვანო გაზიდაურის შეჯიბრების ამბავი დღესაც არ დავიწყებია სოფელს. განა შეიძლება იმის დაეიწყება, რაც ყველა ვაჟკაცობაზე სამი გაფრენით მეტია!

ძველად შირაქში ერთი მოქიდავეს გაუვარდებოდა სახელი და მეორე — მომკელს. სახელი მომკელს უფრო დიდხანს შერჩებოდა, რადგან მისი საქმე უფრო ძნელი იყო.

განთქმულ მომკელს ვანო გაზიდაურს დღეში თექვსმეტი ათეულის მომკა შეეძლო და მერე იმდენი ძალღონე კიდევ შერჩებოდა, რომ ძნას ურემზე დაუღებდა და კალოზე მიიტანდა.

იმ წელიწადს ბევრი კარგი ვაჟკაცი გაეჯიბრა გაზიდაურს. მანჩანელმა მომკელმა ყველას გაუხუნა მარჯვენა.

როდესაც გაზიდაურს ამბავი მიუტანეს, ნადიბაიძის ბიჭი ნამეტანი ყოყოჩობს და გეტოლებო, მან თურმე ჩი-

კინა და სთქვა: „ბუზიც ბზუს, მაგრამ თაფლს კი არ აკეთებსო!“

შესახედავად ორივენი მაღალი ტან-შედგმული ვაჟაკები იყვნენ, მხოლოდ ნადიბაიძე უფრო ახალგაზრდა იყო და გამოცდილებაც ნაკლები ჰქონდა.

იმ დილას ნადიბაიძემ სახლიდან მხოლოდ ძმარი და ნიორი წამოიღო.

ძმარი და ნიორი სიცხეს ანელებდა.

გაბიდაური ყანის პირას უცდიდა.

— დავიწყოთ? — ჰკითხა ნადიბაიძემ.

— დავიწყოთ. — მიუგო გაბიდაურმა და მხრიდან პატარა ჭრელი ხურჯინი ჩამოიღო, ღონიერად მოიქნია და ყანაში გადაისროლა.

სადაც ხურჯინი დავარდებოდა, პირველი შესვენება იქ უნდა ყოფილიყო. ამიტომ გაბიდაურს ეს ანგარიში ჰქონდა: ხურჯინი ყანაში რაც შეიძლება შორს ჩაეგდო, რომ მეტოქე პირველი სვეს გატანამდე მოექანცა და უკან ჩამოეტოვებინა. მერე ნადიბაიძეს დასვენების დრო აღარ ექნებოდა. ეს იყო მისი ნაცადი ფანდი.

მაგრამ ახლა ნადიბაიძემ მოიქნია ხურჯინი. ჭრელი ფრინველივით გაფრინდა იგი და ათი-თორმეტი ნამგლის მოსმაზე გადასცილდა მეტოქის ხურჯინს.

მაშინ კი მიხვდა გაბიდაური, რომ ზაქარია ნადიბაიძე აღარა ზემრობდა. მეტოქეს თვალი გადაჰკრა და ჩოხა გაიხადა.

სანამ გაზურდებოდნენ, წინ თანაბრად მიიწევდნენ. არა ჩქარობდნენ, თითქოს ერთმანეთს მკლავის ძალას უსინჯავდნენ.

შემე კარგა შემოიმაღლა. მომკვლები ჯერ ისევ მხარდამხარ მიდიოდნენ, მაგრამ აგერ გაბიდაურმა ბეჭები რალაც სხეანაირად შეარხია და ცეცხლივით მოედო ყანას. თვალის დახამხამებაში მუქეულს მოსჭრიდა, წვიპურტს ამოუფრებდა და ნამგალი ისევ პურში იყო.

გულს უხაროდა, ისე ლალად, გაუჭირებლად მკიდა ყანას ეს მთაკაცი.

ნახევარ საათში მეტოქეს იმდენად გაუსწრო, რომ სასერიოდ მისჩლინა მუქეულს კალე გლუხები წავიდ-წამოვიდნენ. ახლა გაბიდაურს მკლავს ვინ გაუტოლებდა!

და სწორედ იმ დროს, როდესაც ხალხს გაბიდაური გამარჯვებული ეგონა, ზაქარია ნადიბაიძემ წინამხარში ნასწავლი ხერხი იხმარა: მარცხენა ხელს მარცხენა ფეხი მიაშველა და ნამგლის ერთი გამოისმით ორი იმდენი ყანა მოსჭრა, ვიდრე აქამდე სჭრიდა.

გლუხები გაოცდნენ, არ ელოდნენ, რომ ახალგაზრდა მომკვლს ეს ძველი ხერხი ეცოდინებოდა.

გაბიდაური გამგელდა. შუბლზე დაბამბული საოფლე გაიკრა და წავიდა, მაგრამ როგორ წავიდა... კაცი თვალს ვერ მთავანდა, ყანაში ელვა იყო თუ ნამგალი. მხოლოდ წყრიალი ისმოდა, ერთი გაბმული წყრიალი.

სამაგიეროდ ნადიბაიძეს ორი კაცის სვე გაჰქონდა. ჩაიკეცებოდა, მარცხენა ფეხით თავთავების ვეება კონას ნამგლისაკენ მიაწვენდა და ერთბაშად იმოდენა მუქეულს მოსჭრიდა, ზოგი ისეთს ხელეურს ვერ შეჰკრადა.

გაბიდაური ჯერ კიდევ წინ იყო, მაგრამ უკვე ეტყობოდა, რომ მისი ხელის გასაოცარ სისწრაფეს ნადიბაიძის ხერხი აჯობებდა. და მართლაც შუადღისას მინახანელი ისე დაილალა, რომ დროდადრო კი არ მკიდა, — იღვა და ნამგალს ტყუილა იქნევდა გარტებული, ოფლისაგან თვალეღამწვარი კაცი.

ამ ცეცხლივებაში ძეძმეაყვალას წამოედო და წაიქცა. ძლივს წამოდგა და ყანის თავში გასულ ნადიბაიძეს რომ შეხვდა, ნამგალი დააგდო და როგორც დათქმული იყო, ძნების შეეკრა დაიწყო.

* * *

— ჰაი დედასა! ახლა ამოდენა შირაქში ნამგალს მარტო ყანის შემოსათობად ხმარობენ! — გაითქრა ზაქარიამ. ჯიბიდან გრძელი ქვა ამოიღო და ნამგალს ლესვა დაუწყო.



ლამე შირაქში

ხარბიარბამ კარგა შემოიმიძალა, როდესაც ზაქარიამ ლამის ტრაქტორებს საწვევი ჩაუტანა და შინ გამობრუნდა.

უცნაური ლამე იყო. მალა ცაზე მოწითალო ბურტუსში გახვეული მთვარე მისცურავდა, მიწაზე კი ისე ბნელიდა, რომ შარავნის თეთრი ზოლი ძლივს ილანდებოდა.

ეს იმიტომ ხდებოდა, რომ დიდი გვალვის დროს შირაქში მთვარემ კამკაში არ იცის. მისი მკრთალი უსხივო სინათლე მიწამდე თითქოს ვეღარ ჩამოდის და სადღაც შუაგზაზე იფანტება.

ქარი ჯერ კიდევ დაღამებამდე ჩადგა, მაგრამ ბუქის ნაკეალევი ჰაერში მანც იგრძნობოდა. ზაქარიას თვალები ეწვოდა, კბილებში მტვერს კაწკაწი გაჰქონდა.

წინაღამის უძინარ ნადიბაიძეს თვლემა კისერს სტეხდა. ცხენი ამას გრძნობდა და რაწამს მხედარი უნაგირზე შექანდებოდა, იგი ერთბაშად დადგებოდა. გამოფხიზლებული ზაქარია ცხენს კისერზე ხელს მოუთათუნებდა.

შუალამე გადასული იყო, მაგრამ მინდვრად სიცოცხლე ისევ სჩქეფდა. დიზელები ნაწვერალს ხნავდნენ. არხილოს-კალოსთან კომბაინი გარს უვლიდა ბნელში უჩინარ ყანას.

საქცივთან მისი ძლიერი შუქი გზაზე გამოიქრებოდა და ერთი წამით სინდელეს კალოზე მოფუსფუსე ქალებს გამოსტაცებდა, ხან კიდევ ძილს დაუფრთხოებდა ბუნკერის გავსების მოლოდინში წათვლემილ მეურმეს.

მისი შუქი ქორისასაც აფრთხოებდა. ულავი გაჯავრებული ფრუტუნებდა, მხედარს თავს ართმევდა.

დროდადრო ზაქარიას მძიმედ დატვირთული მანქანები ჩაუქროლებდნენ და მერე გზაზე დიდხანს იდგა ტკბილფიცი სუნი ახლად გალექილი პურისა.

როგორ გამოიცივლა ხალხი, რაც ლევანის ბრიგადამ ლამე მუშაობა დაიწყო.

ზაქარიას გულს სიხარულისაგან ბაგაბუგი გაჰქონდა, როდესაც ახალ დაღამებულში თვალწარმტაცად განირაღდნებული კომბაინები ველზე გავიდოდნენ და იქაურობას მაშინვე რაღაც სადღესასწაულო ელფერს მოჰფენდნენ. ზოგი აგერ გზის გადაღმა ლალად მაიბობდა ბნელს. ზოგიც შორს ცისკიდურზე ზღაპრულ ხომალდებით მისცურავდა და სანამ ხალხი ამ უნახავ სილამაზეს შეეჩვეოდა, ვის ახსოვდა ძილი ან სოფელში წასვლა!

იდგნენ და მოჯადოებული გასცქეროდნენ მინდვრად გაბნეულ შუქურებს. ამიტომ იყო, ნამჯას ეზიდებოდნენ თუ ხორბალს ანიავებდნენ, ავტომანქანებს სცილდნენ თუ ტვირთავდნენ, — ყველაფერს ისე ხალისიანად აკეთებდნენ რომ გარედან მაცქერალ კაცს ის სამუშაო მუდამ იოლი ეჩვენებოდა. ეს ტკბილი ფიქრები მიაცილებდნენ უნაგირზე მთვლენარე ნადიბაიძეს, რომ უფერად ხმამალალი დაპარაკი მოესმა:

გზის პირას ტრაქტორის სანათურებთან მანუჩარ უგრეხელიძე იდგა და ვილაცას ედავებოდა, ვის — არა სჩანდა.

— არა, მანუჩარ, მე აქედან ფეხს არ მოვიცივლი, ვიდრე ამ ნაკვეთსაც არ მოვთავებ! — გაიგონა ზაქარიამ ლევანის გაჯავრებული ხმა.

— მაშ ეს ქვეყანა შენი ყოფილა! — მანუჩარმა ხელები გაშალა და ერთბაშად ტრაქტორის შუქზე იმ ხელების ვეება ჩრდილი მთელს მინდორს გადასწვდა: — სადაც გინდა წახვალ, როცა გინდა მოხვალ!

— რა გაჩხუბებთ, ხალხო, ამ შუალამისას! — შესძახა ზაქარიამ და ცხენი ტრაქტორთან მიადგო.

— მოდი, ზაქრო, მოდი! — გაუხარდა მანუჩარს მოხუცი ნადიბაიძის დანახვა. ეტყობოდა მესამე კაცი ახლა მისი წამალი იყო: — გამაჯავრა შენმა ბიჭმა!

— მაშ რა ეჭნა, მამავ! — ლევანი კბინიდან გადმოხტა და მამას შეეგება: —

თავებზე დამეხვია, ისე ჩქარ-ჩქარა ვაბრუნებ ტრაქტორს ამ პატარა მინდორზე. ერთი შეხედვით, ორი ნაბდის გაშლაც არ იქნება და მთელი დამე კი წამართვია. ეგ არის საქმე? ეს კიდევ ჩამცივებია, ახლა ტარიბანაზე წავიდეთ! ჯერ იქ რა მინდა, როცა აგერ გზის გადაღმა ორმოცი ჰექტარი ფართობი შელოდება.

— შერე ვისია ეგ მინდორი! ჩვეინა? — გაეცხლდა მანუჩარი.

— ვისიღ უნდა იყოს. ჩემი მოსახნავია. — შშვიდად ჩაუჭრა სიტყვა ლევანმა.

— რას ამბობ, ბიჭო! — ისევ დაჰკივლა მანუჩარმა და მისი ხელების ვეება ჩრდილმა ისევ მოიბინა მთელი მინდორი: — შენ თუ შენი სოფლის ინტერესებს არ დაიცავ, სხვას რაღა უნდა მოეკითხო!

მანუჩარს ხმა უწყდებოდა. ღელავდა. ასე ღელავს თავის სიშარბულში დაჯერებული კაცი, როდესაც ფიქრობს ტყუილ-უბრალოდ შედავებიათ.

— მე ამ ტრაქტორის ინტერესებს ვიცავ, ბიძია მანუჩარ. ამას კი დიდი მინდორი ურჩევნია. მეოთხე დღეა, თქვენს მინდვრებში ვარ და ჯერ დღიური გეგმა ვერ შევასრულე. ჩემი ნახევარი დრო და საწვავი ცარიელია მიბრუნ-მობრუნებამ წაიღო!

— ამათი რა ბრალია, შვილო! გრაფიკი ხომ ერთად შეადგინეთ, — სიტყვა ჩაურთო ზაქარიამ.

— შენც ვითხარი, მამავ და ყველას ვეუბნები, ტრაქტორი აღარ ეტევა მაგ დასაწვავ გრაფიკში! გაგონილა ლომი და გალია! — ლევანმა მანქანის სახელური ამოაბრუნა და საჭეს მიუჯდა.

კალთუბანში სამი კოლმეურნეობა იყო: „ლენინის ანდერძი“, მეთვრამეტე პარტყრილობის სახელობისა და ყველაზე პატარა კოლმეტივი „გლეხის იმედი“.

ზაქარია ნადბაიძე კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ წევრი იყო, მანუჩარ უგრეხელიძე — „გლეხის იმედისა“, თუმცა ორივენი ვერხვის წყაროსთან

ცხოვრობდნენ და ლობე კარგახანია ჩატეხეს მეზობლობაში.

„გლეხის იმედის“ სახნავ-ნათესი მიწა პატარ-პატარა ნაკვეთებად იყო გაფანტული შირაქსა და ტარიბანაზე. ხშირად ტრაქტორს ათი-თორმეტი კილომეტრი უქმად უნდა გაეცლო, რომ გლეხის იმედის ერთი მინდვრიდან მეორეზე გადასულიყო. თანაც იმ „გალიებში“, როგორც ლევანი გლეხის იმედის მინდვრებს ეძახდა, თავი კუდს ვერ მოაბრუნებდა, — მანქანას გასაქანი არა ჰქონდა. მისი განსაცვიფრებელი ძალა ნახევრად გამოუყენებელი რჩებოდა.

ამიტომ ტრაქტორისტები „გლეხის იმედის“ ნაკვეთებში უხალისოდ შედიოდნენ, ზოგჯერ იმ ნაკვეთებს თვითნებურად სტოვებდნენ და მეზობელი სოფლის მინდვრებზე გადადიოდნენ.

ამ ამბავს დიდი არე-დარევა შეჰქონდა პატარა კოლმეურნეობის ცხოვრებაში. გეგმა თავის ძალას კარგავდა.

გულამღვრელი გასცქეროდა მანუჩარი გრიალ-ღრჭიალით მიმავალ აგრიგატს.

— აქედან დაიკვალე, ლევან! აქედან უფრო მარჯვე! — მიჰკიოდა ნადბაიძეს მიწიდან ამომჭვრალი მეგუთნე.

— ასეთი ჯიუტი კაცია! თუ რამე ამოიჩემა, ვერ გადაათქმევენებ! — ჩაილაპარაკა ზაქარიამ.

— ჩვენი ტრაქტორისტები ყველანი ერთი რჯულისა არიან! სანამ მთელი ქვეყნის მინდვრებს არ მოხნავენ, ჩვენსკენ თავს არ მოაბრუნებენ. წავიდეთ.

დამე კი ისევ ლალად გუგუნებს. ისევ აბრიალებენ თვალებს ტრაქტორები და როცა ზოგჯერ ვეება სახნისი მიწაში ქვას წამოედება, იმ თვალებს ერთბაშად შუქი მოემატება და მანქანაც გაჯავრებული დაიხრჭიალებს.

დროდადრო საიდანღაც სასტვენის უნდილი ხმა მოდის: კომბაინის ბუნკერი გაივსო და ურემს ეძახიან.

— ზაქრო!

უგრეხელიძეს ეტყობოდა, რაღაც სათქმელი ჰქონდა, მაგრამ ვერ გაბეძენდა თუ სიტყვა ვერ ეპოვნა.

— რა იყო, მანუჩარ! — ხმა მიაშველა ზაქარიამ და ცხენიდან ჩამოვიდა.

იგი ხედავდა, როგორ ლელავდა ეს დროული კაცი და ეჩოთირა, რომ ცხენდაცხენ ელაპარაკებოდა.

— სიტყვა მაქვს, შენთან, — გაუბედავად დაიწყო მანუჩარმა: — თქვენთან მინდა გადმოვიდე... კოლმეურნეობაში. მიმიღებთ?

— უკეთესს ვის მივიღებთ, მანუჩარ, მაგრამ თქვენები რას იტყვიან! შენსავე თანა ერთგულ კაცს ასე მტკივნადად შევლევთან.

— ეჰ, — მანუჩარმა ხელი ჩაიჭინა: — იქ ახლა კაცი ვერ გაიგებს, ვინ არის ერთგული და ვინ არის ორგული!

— მერე ამ დროს განზე გადგომი როგორ შეიძლება, ჩემო მანუჩარ!

— დამძალი ფიცარი ლურსმანს ვერ დაიმაგრებს, ზაქარო! სანამ წითელი დათა ჩვენი თავმჯდომარე იქნება, ჩვენ საშველი არ დაგვადგება!

კლიზმო

„გლეხის იმედის“ თავმჯდომარეს დათა ყანაშვილს მეტსახელად წითელ დათას ეძახდნენ, რადგან ეძალი წვერულვაში ჰქონდა. კალოთუბანში მეორე დათა ყანაშვილიც იყო, — შავი დათა, სასადილოს გამგე.

ყანაშვილი ხანში შესული კაცი იყო, თუმცა ლაქლქა ლოყებზე ნაოჭის კვალი არსად დაჰკრავდა. თვალები მუდამ კეთილად უდინოდა და სიტყვა-პასუხიც ისეთი ჰქონდა, მამა-აბრამის ბატკანი გეგონებოდა.

თერთმეტი წელიწადი შესრულდა, რაც წითელი დათა კოლმეურნეობის წვერი იყო და ჯერ ერთხელაც გუთანს არ მოჰკიდებია, ხელში ნამგალი არა სჭერია.

საკუთარ ვენახში თუ წაიმუშავებდა დროდადრო თავშესაქცევად.

ვახის ჩამოვარდნილ რქას კიგონზე შეახვევდა, ან კიდევ ღობეში წაქცეულ მარგალს ძირს ჩაუნაცვლებდა. მერე ჰილოზზე წამოწებოდა, გაღიმებული შესტყეროდა რქანაყარ ვაზებს და ასე გაღიმებულს ძილი შეეპარებოდა.

— გაცივდები, კაცო! — ჩაესმოდა ძილში და ორად გაკეცილი ღაზლი მხარზე რბილად დაეცემოდა.

დათა ყანაშვილის ცხოვრება თავიდანვე ისე მოეწყო, რომ იგი კოლმეურნეობის საწყობსა და მარანს არ გაშორებია.

მარტო მოხერხება ან ბედი დიდხანს ვერ შეინახავდა ასე უშფოთველად წითელ დათას, რომ ერთი სალოცავი ხატი მასაც არა ჰქონოდა.

რაგინდ გასჭირვებოდა, კოლმეურნეობის ბელლიდან მარცვალს არ წაიღებდა. რამდენი რევიზორი მოულოდნელად თავს დასდგამია წითელ დათას... არასდროს ერთი მისხალი ყეკლი ან ხორბალი არ დაჰკლებია.

ერთი ხელადა ღვინო მეტ-ნაკლები არ მოუვიდოდა მარანში.

სახელმწიფოსთან იგი მუდამ პირმართალი გამოდიოდა, მაგრამ დიდ ცოდვად არ მიაჩნდა, თუ ხორბლის გაცემის დროს მისი სასწორი ყოველთვის მართალს არ იტყოდა.

განა ვერ ხედავდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომ წითელი დათა წმინდა სული არ იყო, მაგრამ ხმას არ იღებდა. სახელმწიფოს არაფერი აკლდებოდა, კოლმეურნეობის საწყობიც არაფერს კარგავდა — მამ რა ენაღვლებოდა, თუ წითელი დათა ხანდახან ღვინოს მონათლავდა, ან თაფლში სიმინდის ფქვილს შეურევდა, რომ წონაში მეტი გამოსულიყო.

არავითარი გართობა და დროს ტარება დათამ არ იცოდა. წვეულებებში მხოლოდ მამინ წავიდოდა, თუ იქ საჭირო კაცი ეგულებოდა. ნარდის სათამაშოდ

მხოლოდ მაშინ მოიცილდა, თუ ვინმე დიდკაცს ეთამაშებოდა.

ერთხელ თურმე საღაღაც დათა ყანა-შვილმა ნარდი ეთამაშა აღმასკომის თავმჯდომარეს. მასპინძელმა, რაღა თქმა უნდა, პატივსაცემ სტუმარს დაუქირა მხარი, დაადგა თავს და სწავლება დაუწყო.

ყანაშვილმა ერთხანს ითმინა... ითმინა... შერე მასპინძელი გვერდზე გაიხმო და უთხრა:

— თუ ძმა ხარ მაცალე! ეს ნარდი მე თვითონ მინდა წაევაგო, რომ მსგ კაცს ვასიამოვნო! შენ კი ისე გლახათ ასწავლი, წაგება ველარ ნომინერჩებიაო!

* * *

მეზობელმა არ მაჯობოსო, ამის შიშმა სიცოცხლე გაუმწარა დათა ყანაშვილს და ყველა დიდკაცთან ისეთი ლაქუცი ასწავლა, ნემსის ყუნწში მათს გააძვრენდა.

შარშანწინ წითელ დათას თვალში მოუვიდა დამზადების აგენტის თანამდებობა.

მან იცოდა, ეს საქმე მართალი გზით არ გაკეთდებოდა. ამიტომ გადასწყვიტა, რაღაც უნდა დაჯდომოდა რაიკომის მდივნის კლიმენტი გოგუას გული მოეგო და საწადელს მიეღწია.

მაგრამ საიდან, როგორ! ეს აგრე ერთბაშად ვერ მოიფიქრა დათა ყანაშვილმა.

სწორედ ამ დროს მისი ცოლი მოლოკინდა, წითელ დათას მეხუთე ვაჟი შეეძინა და შეიძლება ამ ამბავს დიდი ზეიმი და ღრეობა არ მოჰყოლოდა ყანაშვილების ოჯახში, მაგრამ ერთხელ, როდესაც ცოლქმარი ვახშმად ისხდნენ და ბიჭის სახელს ეძებდნენ, დათამ ტაში დაჰკრა და გახარებული წამოვარდა.

— ამ ბიჭს იმისთანა სახელს დავარქმევ, ჩვენს ბედს ძალდა არ დაჰყუფო!

— ისეთი რა იპოვნე, კაცო, გამაგებინე!

— ბიჭმა იცის, ბიჭმა! — ჩაიციხა და-

თამ და მეორე დღესვე დიდ წიგნულში ბის თადარიგს შეუღდა.

პირველი ვაჟი რომ შეეძინა, მაშინ არ გადაუხდია წითელ დათას ამგვარი ღსინი, არც ასეთი ძვირფასი სტუმრები ჰყოლია.

შუა ქეიფში რომ იყვნენ, დარბაზში ჩვილი ბაღლი შემოიყვანეს — „ჩვენი შვიკრბის მიხეზი“, როგორც თამადამ გამოაცხადა.

დათა მაშინვე წამოდგა და ბიჭუნა პირველად კლიმენტი გოგუას მიუყვანა, როგორც ყველაზე პატივსაცემ სტუმარს.

— დამცინოდნენ, ამხანაგო კლიმენტი, დაბერდიო, მაგრამ ხომ ხედავთ, ერთი ვაჟკაცი კიდე ვაჩუქე სამშობლოს!

— ყოჩალი კაცი ხარ, დათა, ყოჩალი! — შეაქო გოგუამ.

თამადამ კედლიდან ვეება ყანწი ჩამოიღო და მასპინძელს გაძახა:

— შენი ბიჭის სახელი მითხარი, დათა! სახელი ახლავე უნდა დავანათლოთ!

— კ ლ ი მ გ ო! — მაშინვე მიუგო მასპინძელმა.

— რაო, რა ჰქვია!

— კ ლ ი მ გ ო! — გაიმეორა დათამ და რაიკომის მდივანს გადახედა.

— ეს საღაღური სახელია, კაცო! — გაოცდა გოგუა.

— ვერ მიხვდით, ამხანაგო კლიმენტი? — ხმადაბლა უთხრა დათამ და მთელი სახე ღიმილში ჩაუღდა.

— პირველად მესმის მე და ჩემმა ღმერთმა!

— თქვენი სიყვარული და პატივისცემა, ამხანაგო კლიმენტი, სამუდამოდ უნდა დარჩეს ჩემს ოჯახში. ამიტომ ჩემი შვილის სახელი, — დათამ ხმას უფრო დაუწია და ბაგეზე ისევ იმ ტკბილმა ღიმილმა გადაურბინა: — თქვენი გვარისა და სახელის პირველი ასოებიდან შევადგინე... კ ლ ი მ გ ო! კლიმენტი გოგუა!

გოგუამ არათერა უთხრა, მხოლოდ ერთი კი შეხედა თვალებში სახეგაბადრულ მასპინძელს და რაღაც უცნაურად გაეღიმა.

დათა ყანჩაშვილი რაიკომში მეორე დღესვე გამოიძახეს.

სასიკეთოდ ენიშნა ეს ამბავი წითელ დათას და ისე თამამად შეაღო გოგუას კაბინეტის კარი, თითქოს ნათლიმამის ოჯახში შედიოდა.

შევიდა თუ არა, რაიკომის მდივანმა ჯერ სკამი მიაწოდა, მერე წინ ქაღალდი და კალმისტარი დაუღო და სუსხიანად უთხრა:

— დაჯექი და დასწერე, შენს შეილს კლიმ გო რატომ დაარქვი!

დათას ეგონა, მეხუმრებო და მელიასავით წინ გაუგორდა.

— ცუდი კაცის სახელი დავარქვეი თუ?!

— ტყუილად იცინი, დათა! — ხმა შეიმალა გოგუამ: — დაწერე!

— რა დაეაშავე, ამხანაგო კლიმენტი?!

— მაგას ამ საღამოს ბიურო განიხილავს! — მოკლედ მოუჭრა რაიკომის მდივანმა.

ყანჩაშვილს ფერი ეცვალა. გულმა მამინევე უთხრა, საქვეყნოდ თავის მოჭრას გიპირებენო.

წამოდგა და ძლივს ამოიღულღულა: — ახლა არაფერი შემიძლია, ამხანაგო კლიმენტი! შინ დავწერ და საღამოს მოგართმევთ!

პასუხს აღარ დაუცადა, ქუდს ხელი დაავლო და კარი სასწრაფოდ გაიხურა. წავიდა და წავიდა. იმ დღიდან წითელ-წყაროს რაიონიდან გადაიკარგა მთელი წელიწადი მისი არც ავი ისმოდა, არც კარგი და მხოლოდ შარშანწინ, როდესაც გოგუა სხვებთან გადამხიანდა, წითელი დათა სოფელში ჩამოვიდა და ცოტახანის შემდეგ „გლეხის იმედს“ თავმჯდომარედ მოვევლინა.

ლამე შირაქში

ბაბრძულაშვილი

თუ ნებას მომცემენ, ხვალვე განცხადებას დავწერო, განაგრძო მანუჩარმა, მაგრამ უტყარად მოეჩვენა, ზაქარიამ ჩემი ნათქვამი შეიძლება სხვანაირად გაიგოსო და სწრაფად დაუმატა:

— განა სიხარბე მალაპარაკებს, ზაქარო! განა თქვენთან გადმოსვლა იმიტომ მინდა, რომ ორი კილო ხორბალი მეტი მივიღო! გული მტკივა, გული, რომ უკან-უკან მივდივართ. რამდენიმე წლის წინათ ჩვენი გამგეობის ოთახში ორი გარდამავალი დროშა იყო მიყუდებულნი. კედლებზე სიგელები აღარ ეტეოდა. ახლა კი... შარშან შრომადღზე ნახევარი კილო ხორბალი ძლივს დავარიგეთ! წელს ესეც არ იქნება... წითელ დათას ჩვენთვის არა სცალია. შარშან ორსართულიანი სახლი წამოიწყო და იმას გადაჭყა. ხან ლაგოდებში დარბის ხეტყის საშოვნელად, ხან კიდეც ალაზნანზე ავურს აქრევიანებს.

წინ გზაზე ავტომანქანის შუქი გამო-

იქრა. ნადიბაიძემ ულაცი ყანისაკენ მიმართა და თვლებზე ხელი ჩამოაფარა.

დღე და ღამე შირაქში დაგეგავდა ნადიბაიძის ულაცი, მანქანებს მაინც ვერ შეეჩვია. ახლაც ისე დამაგრული, წელ-ჩაზნექილი მიჰყვებოდა პატრონს, თითქოს ბეწვის ხიდზე გადიოდა. თრთოდა, გან-გან მიიწყევდა.

„დინჯად იყავ, ქორისა!“ — უამიდან ეამზე შესძახებდა ზაქარია. პატრონის ხმა ულაცს ამშვიდებდა.

— ეს ალოღეტია ხალხიც თანდათან მომრავლდა, — განაგრძო ზაქარიამ: — შარშან გაიგეს თუ არა, პური ცოტა იქნებაო, ზოგი საქნავთში მოეწყო სამუშაოდ, ზოგმაც ურიკაში ცხენი შეება და ქირაზე დაიწყო სიარული. ხან კიდეც თივას ან ცოცხებს დაუდებენ და წითელწყაროში ჰყიდიან. ჩვენ კი კალიობის დროს მუშახელი არ გვეყოფნის და გარედან მოგვყავს. ვისაც სამი ჩარეკი საკარმიდამო ჰქონდა, ისინი კიდეც

ადგენ და ეზოებში პურის თესვა დაიწყეს. მთელი კარმიდამო ისე გადახნეს, ბალებს პატარა ადგილიც კი აღარ დაეტოვეს დახლა-ბურთის სათამაშოდ...

მანუჩარს ხმაში ყოყმანი დაეტყო.

— მითხარი, კაცო! — გაამხნევა ზაქარიამ.

— გეტყვი.

ცოტახანს მაინც იყუნა, მერე თანამგზავრს მკლავზე ხელი შეახო და გულდიდან წამოსული ხმით უთხრა:

— ამ გაზაფხულზე მეც გამიწყრა ღმერთი! ქალები შემომიხინდნენ და ბრიგადას ხარ-გულთან გამოვართვი. კვალში რომ ჩავდექი და ეზოს ხენა დავიწყე, იცი გული როგორ გამოიხდა? ასე მეგონა, ის დაწყევლილი ძველი დრო დაბრუნდა მეთქი! ამოდენა მიწისა და მანქანების პატრონს ასეთი რა გავვიჭირდა!

ღამე უფრო ჩამუქდა. წიავმა ისევ დაიწყო ყანაში ფუსფუსი და წამოვიდა, წამოვიდა ხველი თავთავების შრიალჩხრაილი. უფრო გაფრთხიდა ახლად გაღვიწილი ხორბლის სუნი.

მანუჩარს უგრეხელიძეს გეში ეუბნებოდა, რომ მისი სიტყვა კარგ წიადგზე ეცემოდა. გადასწყვიტა, სათქმელი ბოლომდე ეთქვა.

მან იცოდა, გაფრენილ სიტყვას უკან ვერ დააბრუნებდა. ამიტომ ცდილობდა, ჯავრიან გულს ისეთი არაფერი დასცდენოდა, რაც ხვალ-ზეგ სანანებლად გაუხდებოდა.

კაცი კოლმეურნობაში დაბერდა და ახლა ქვეყნის სასაცილო გახდეს! წითელწყაროში ცოცხები გაპყიდოს თუ ისევ კერძო მეურნეობას მიჰყოს ხელი და ეზოში პურის თესვა დაიწყოს!

არა, ზაქრო, იგი ამას ვერ იზამს! მანუჩარს უგრეხელიძეს ჯერ არ დავიწყებია, როგორ ცხოვრობდა მისი ოჯახი, სანამ კოლექტივში ჩაეწერებოდნენ. მოლითში ერთი ძველი სახლი ედგა, ზამთარში ბუხარი ვერ ათბობდა და როდესაც ძილის დრო მოაწევდა, მისი ბავშვები ერთმანეთს ეხვეწებოდნენ, ჯერ შენ დაწეკა და ლოგინი გამითბეო...

— ახლა ჩემს სახლს არც სითბო აკლია

და არც სიმაღლე, — უფრო მშვიდად განაგრძო მანუჩარმა: — უკლებელეთეს იქით მე გზა არა მაქვს, ზაქრო, მაგრამ წითელ დათასთან მუშაობა აღარ შემიძლია!

— აქამდე სად იყავ, კაცო! გამგეობის წევრი მაინც არ იყო!

— პატარა კოლმეურნეობისა, ჩემო ზაქრო, არც გამგეობა ვარგა და არც წევრობა! სამი წელიწადია, ერთი ბოსელი ვერ ავაშენეთ და დიდი წითელი ძროხები მოსავლულად ოჯახებს მივაბურეთ. ახლა კაცმა არ იცის რომელი ძროხა რამდენს იწველის. ზოგი ოჯახი ოცდახუთ ლიტრას აგზავნის, ზოგი — ხუთსაც აღარ. რა ვქნა, მეტი არ მოიწველა!

ზაქარიამ ნაბიჯი შეანელა. ეტყობოდა, იგი რალაც ფიქრებს ებრძოდა. ერთი-ორი წუთი კიდევ ჩემად მიაბიჯებდა ნაწვერალზე, მერე უცბად მანუჩარს მიუბრუნდა:

— ყური დამიგდე. შენს ლაპარაკში ერთი აზრი მომივიდა. რატომ მარტო შენ?! ადექით და ყველანი გადმოდიოთ ჩვენთან...

— როგორ თუ ყველანი? — შეცბა მანუჩარი.

— როგორ და... მთელი კოლმეურნეობა შემოგვიერთდით. ჯერ ერთი, ნიწის დაქუცმაცებას ბოლო მოეღება და ტრაქტორისტებიც სულს მოითქვამენ. მეორეც — ბევრმა ხელმა ბევრნაირი საქმე იცის! ბოსელი იქნება თუ წისქვილი, მაშინ ყველაფერს ადვილად მოვერევიო. ძალა ძალას მიემატება.

— ერთი სიკეთე კიდევ მოაყვება მაგ საქმეს, — ჩაიციხა მანუჩარმა: — წითელ დათასაც წირვა გამოუვა!

— მაშ მოგწონს ჩემი სიტყვა? — ზაქარიამ თანდაბიძის ეს უცაბედი აზრი თანდათან კვლავში უჯდებოდა.

— მოგეცა ლხენა, კარგი საქმეა, მაგრამ რაიონში რას გვეტყვიან! ნებას დავგერთავენ?

— ვნახოთ, სიმონს შეგვეკითხოთ. უარი რატომ უნდა გვითხრან! — მიუღო ზაქარიამ.



მგზავრები ტრაქტორისტების ვაგონს მიადგნენ. შორიახლო ცეცხლი ენთო, ზედ დიდი ქვაბი იღვა და სახურავს არაკუნებდა. ქალის ლანდი ჩან მოსცილდებოდა იმ ქვაბს, ხან ისევე თავს დაადგებოდა.

ვაგონში დიდი ელნათურა კაშკაშებდა. გარედან მოსჩანდა ლამაზი ჩითის ფარდა, სკამლოგინი და ზედ სასთუმლად დაკეცილი ნაბადი, ჩექმები, ხელსაწყო...

კედელზე — პატარა საჩკე და პირსახოცი. უფრო მაღლა — რომელიღაც ქურნალიდან ამოღებული ორი ფერადი სურათი: ერთი — ლენინისა და სტალინის ერთი — კავკასიონის თოვლიანი მწვერვალისა.

წითელი დათას უმცროსი ვაჟი ემტევისის დისპეტჩერს ეძახდა, მომრავი სახელოსნოს გამოგზავნას სთხოვდა.

ზეთსა და შირაქის შტევერს ბიჭის თავპირი ისე გაემურა, რომ მისი თვალები და კბილები საოცრად თეთრები სჩანდნენ.

— „კომუნარს“ ტარაბუა გაუტყდა, ძალო სიღო! ახლავე წამოვიდეს და ერთი გალის ჯაბუცი წამოილოს.

ბიჭი ხმას იბოხებდა, რომ მეტი რაიმე ჰქონოდა.

მერე კედლიდან ჩონგური ჩამოიღო და ვაგონის კიბეზე ჩამოჯდა.

— გიმღერო, გოგო! — გასძახა მან ქებაზე თავდახრილ ლანდს.

— შენ ეგ კომბაინი აქედან მალე მოაშორე, თორემ ბრიგადირმა თუ მოგისწრო, ის გამღერებს კარგად! — მიუგო მზარეულმა ქალმა.

პასუხის ნაცვლად გამურულმა ბიჭმა მას თეთრი კბილების ელვა ესროლა და სიმებს ძლიერად ჩამოჰკრა.

ერთი-ორი წუთი ჩონგური მარტო ღელუნებდა. მერე უეცრად დაჰკივლა ბიჭმა:

შირაქის ველზე მივდივარ,
უკან მამრუნებს ქარით.
წინ შემეყარა პეპელა,
წითლად უჩანდა მხარით.
საყვარლის კაბას ვამსგავსე,
ღმერთო, დამწერე ჯვარით!

მისი წყრიალა ხმა დიდხანს მიაცილებდა და ზაქარიას და მანუჩარ უგრეხელიძეს.

თავი მესამე

ზვარხელიძის ოჯახი

გოგოლას მამა, მოლითელი გლეხი მანუჩარ უგრეხელიძე ოცდაათიან წლებში გადასახლდა შირაქში.

მისი სახლიკაეები შავი ზღვის სანაპიროს ეტანებოდნენ, გაგრასა და გუდაუთში სახლდებოდნენ.

იქაურობა მანუჩარსაც ძალიან მოსწონდა — მეტადრე ეს თვალწარმტაცი პლანტაციები, — მთის კალთებზე ლურჯად ჩაგუბებული ჩაის ბუჩქები და ნარინჯები, ზამთარ-ზაფხულ მწვანედ რომ ღიანებდნენ და ქვეყანას დაუბერებელ ელფერს აძლევდნენ.

აქ თითქოს ადამიანებიც ახალგაზრდები სჩანდნენ, იმდენი ეშხი და ხალისი შეჰქონდა კაცის ცხოვრებაში ამ უკნობ ბუნებას.

მოლითის ხრიოკებზე დაბერებული კაცი აქაურობამ ისე მოხიბლა, რომ სასწრაფოდ დაჟიდა ყველაფერი, რისი წაღებაც შეუძლებელი იყო და სამგზავრო თადარიგს შეუღდა.

სწორედ იმ დღეებში სოფელში ჩამოვიდა შირაქში ნამუშევარი კალატოზი, მანუჩარის ქვისლი აღუა გეჟაზე.

კალატოზი შირაქში სახლების მშენებლობაზე მუშაობდა. (ამ სახლებს მთავრობა მთებიდან გადმოსახლებულ ხევსურებს უშენებდა).

ვანშმად რომ დასხდნენ, ქვისლმა ჯიბიდან მთელი დასტა ფოტოსურათები ამოაღა, ჩემი აშენებული სახლები ნახეთო...

დალოცვილი კუთხეა, ამბობდა იგი,

მთელი დღე ცხენი რომ აპენო, ღობეს და მიჯნას ვერსად შეხედდები. ჯერ იქ მიწისმზომელს ფეხი არ დაუდგამსო, მიწა იმდენია, მიღი და დათესე, რამდენსაც მოერგევი!

ამ ღამემ ძირფესვიანად შესცვალა მანუჩარ უგრეხელიძის ცხოვრება. იგი ჩამორჩა გუდაუთისაკენ მიმავალ სახლი-კაცებს და ქვისლთან ერთად შირაქის გზას გაუდგა. ეს იყო მარიამობისთვეში.

მანუჩარს გული ჩასწყდა, პირველად შირაქის ველი რომ დაინახა.

„აქ სად მომიყვანეო!“ უსაყვედურა ქვისლს და მთელი ის კვირა შებლშეკრული გასცქეროდა გვალვისაგან გადამწვარ-გადაშავებულ მიწდერებს.

მართლაც, იმ გვალვიან წელიწადს შირაქში ყველაფერი ისე გადახმა, კაცი ყალიონში გასატარებელ ბალახს ვერ იშოვიდა.

ნალღელი მოჰგვარა მანუჩარს ამ უდაბურმა სივრცემ. არც ტყე, არც მდინარე, არც ხევი. თვალუწვდენ ველზე ერთი პატარა ბუჩქიც კი არსად ქაჩანებდა.

მხოლოდ ბული და მტვერი. ბული და მტვერი.

„მერდინში გასტრეს, თუ რამ დაფქვა ეს მიწა ასე წმინდად!“ ბურღლუნებდა მანუჩარი და გულშემოყრილი გასცქეროდა, როგორ თავისთავად აღიოდა ჰერში უმცირეს ნაწილაკებად დაშლილი მიწა.

შუაღლისას სინათლემ იმდენად დაიკლო, თითქოს ბურუსი ჩამოწვია.

შირაქი არა ჰგავდა არც ალაზნის ველს, არც ტირიფონას, არც რიონის დაბლობს... იგი არა ჰგავდა საქართველოს არცერთ კუთხეს, სადაც კი ოდესმე მანუჩარ უგრეხელიძე ყოფილიყო.

ეს იყო უდაბნო, ნამდვილი უდაბნო, რომელიც სადღაც დასაქარგავში ცისკიდურს უერთდებოდა.

ერთხელ მანუჩარი და ზაქარია ნადიბაიძე ზილიჩადან ნამჯას ეზიდებოდნენ.

ზილიჩას მინდვრები საქართველოში ყველაზე ცხელი და მშრალი ადგილია. გვალვიან წელიწადს აქ მიწა ისე დაიწ-

ვება და ბუქად იქცევა, რომ კომბაინს წინა თვალს ნაპრალში ეფლოზა და გაფლა უჭირს.

მანუჩარს სწყუროდა და მოლითის გზაზე კლდის ძირებში მიმალული წყაროები ელანდებოდა, — ღარის წყალი ენატრებოდა, ქიქას რომ გაორთქლავს, თითქოს ყინვას შეუქრავსო.

ნაშუადღევს კოდის წყალს მიატანეს. ზაქარიამ კარდალა შეავსო და მანუჩარს მიაწოდა. წყალი თბილი იყო, მლაშე და საოცრად უგემური.

როგორც წამალი კაცს წყურვილს ვერ მოუკლავს, ისე ეს წყალიც სასმელად უსარგებლო იყო.

— ჰაი, სადა ხარ, ჩემო თამარის წყაროვ! — აღმოხდა მანუჩარს.

— თამარის კი არა, უკვდავების წყარო მომთხოვე ახლა! — გაიცინა ზაქარიამ: — დალიე, ნუ ინახები!

— სულიც რომ ამომხდეს, ამას პირს ვერ დაეკარებ!

ზაქარიამ კარდალა გამოსცალა, დასველებულ უღვაშებზე სახელო გადაისვა და ურმის ჩრდილში ფეხი მოირთხა.

— დიდხანია შირაქში ჩამოხველ?

— ორი თვე იქნება.

— ორიც კიდევ მოიცადე, მერე ეს კოდის წყალი შენი თამარის წყაროზე გემრიელი გახდება.

— ორი თვე კი არა, ორი სიცოცხლე რომ ვიცოცხლო, ვერც ამ წყალს შეეჩვევი და ვერც ამ უდაბნოს!

— მეც ვერე მეგონა, კაცო, მაგრამ ამ შირაქს იცი რა ჯადო ჰქონია?! თავი ისე შემავყვარა, ახლა სამოთხეც აღარ მინდა. სამოთხეო!

მანუჩარ უგრეხელიძემ გულში ჩაიციინა... აბა, მაშინ რას იფიქრებდა, რომ ის სცილი პირველსავე გახაფხულზე გაუწბილდებოდა.

თოვლი დადნა თუ არა, კარგად გამოზამთრებული ჯგჯილი ისე თამამად წამოვიდა, კაცის თვალი უქეთესს ვერას ნახავდა.

საათაც გაიხედავდი, ყველგან ერთი ჩაუქებელი ზღვა ბიზინებდა. მხოლოდ ალაგ-ალაგ ყვითელი შალვი თუ მოიტა-

ცებდა თვალს, ან კიდევ ყანის პირებზე მელისკლადს ყვავილი გაიღვებდა.

არავითარი ზღუდე ნათესებს სულს არ უხუთავდა. აქ ყველაფერი ლაღად იყო გაშლილი. შირაქის ველს სწორედ ეს აძლევდა სიღამაზეს.

ეს დაუღვეელი ნახნავ-ნათესები კაცის გულს იმიტაც ახარებდა, რომ ბუნებაში დიდი წესრიგის შეგრძნებას ბადებდა, სულის მშვიდობა მოჰქონდა.

კიდევ-განი არ უჩანდა ჯგუჯილის ზღვას და მანუჩარიც მიწაზე ერთი აღლთ მალა დადიოდა. კაცის შრომას აქ დიდი სარბიელი ჰქონდა.

მანუჩარის სამღურავს შირაქში კაცი ვერ იტყოდა. ხანდახან ძველი ჭრილობა გაუხსენებდა, მარჯვენა ფეხს დაუხუთავდა. მანუჩარი ბრიგადაში მაინც წავიდა, მუშაობაში გაეხურდები და გამოივლისო.

ქართველი კაცი მუდამ მღერის, როცა მუშაობს. მღერის ხვნაში, თოხნაში, მკაში, მაგრამ იშვიათად თუ ვინმეს უნახავს, რომ იგი ბარვის დროს მღეროდეს. ჩვენში ბარვას ჯოჯოხეთს ეძახდნენ.

ბარი და სიმღერა ერთად ძნელი იყო. მანუჩარს ესეც შეეძლო. დილიდან საღამომდე ვენახს აბრუნებდა და მიწაში გაკრიალებულ ბარს ისე მხნედ დასაძახობდა, სარკესავით უნდა გაგხადო, სარკესავითო, თითქოს ახლა მეტი აღარაფერი ედარდებოდა.

მანუჩარს სამი ქალიშვილი ჰყავდა — ცანგალა, ირინე და გოგოლა. უფროსი დები შირაქში ჩამოსახლებისთანავე დათხოვდნენ და წითელწყაროში ცხოვრობდნენ.

უმცროსი ქალი გოგოლა სამი თუ ოთხი თვის დანიშნული იყო, როდესაც მისი საქმრო, უმცროსი ზოთტქნიკოსი ილიკო გეწამე უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა.

შარშანწინ ფერმაში ღოკი გაჩნდა. საშინელი სენი ისე ერთბაშად მოედო ფურკამეჩების ნახირს, რომ მთელი იქაური ბეთლები „გლების იმედის“ ფერმაში შეიყარნენ.

ცუდად შეუქანდა გული ილიკოს,

როდესაც ერთს საღამოს „ქარხანამ“ მოიწვინა და ცოხნას თავი შეხებოდა. გასინჯეს — ყელი შესივებული ჰქონდა. ამ ახალგაზრდა ფურკამეჩს ტყუილად როდი ეძახდნენ „ქარხანას“. შირაქის ფერმებში არც ერთი ფურკამეჩი იმდენს არ იწველიდა.

აეადმყოფ პირუტყვს ილიკომ მაშინვე შრატო შეუშხაბუნა, მერე ბოსელში თივა მოატანინა, ზედ ნაბადი დააგო და ორი დღე-ღამე ფურკამეჩს არ მოსცილებია.

„ქარხანამ“ მოიხედა. ილიკომ გახარებულ გულზე ერთი ხელადა ღვინო გამოსცალა და სოფელში წავიდა, რომ ტანი დაებანა და თეთრეული გამოეცვალა.

საქნავთის მანქანას გაჰყოლოდა. გზაზე ძილი მორეოდა და ყამების თავზე მანქანიდან გადავარდნილიყო.

მაშინვე გადაჰყენენ თურმე მასთან ერთად მიმავალი მგზავრები, მაგრამ ცოცხალს ვეღარ მიუსწრეს...

გოგოლა და ილიკო პატარაობიდანვე ერთად იზრდებოდნენ, ერთად სწავლობდნენ და შირაქშიც ერთად ჩამოვიდნენ, ბალობიდანვე მეგობრები იყვნენ და მათი სიყვარულიც თითქოს იმ მეგობრობის გაგრძელება იყო. ამიტომ იმ უაზრო და უდროო სიკვდილმა ყმაწვილ-ქალს თავხარი დასცა და გული ისე დაუჩაგრა, პირველ წელიწადს თვალზე ცრემლი არ შესრობია.

სოფელს დაავიწყდა მისი კბილების ფერი.

შარშან კოლმეურნეობის გამგეობას სთხოვა, სადმე სასწავლებელში გამგზავნეთო. კალიობა იყო. სოფელი მუშახელს სანთლით ეძებდა, მაგრამ გოგოლას ყოველნაირად ხელი შეუწყვეს და ბაკურციხის აგროტექნიკურ კურსებზე გაგზავნეს:

სწავლამ და ყველაზე დიდმა წამალმა — ღრომ — დარდი თანდათან გაუწელა... იგი უფრო დამშვენდა, ტანში დასრულდა და მსურველი და მთხოვნელი ახლა უფრო მეტი გამოუჩნდა, მაგრამ მან გული ვერავის გაუღო.

გოგოლას თავისი ყმაწვილქალობა გათავებული ეგონა და გათხოვებას აღარ აპირებდა, თავის თავს დრომოლეულ „ჭერივს“ ეძახდა, თუმცა ჯერ ოცდაორი წლისაც არ იყო.

— შენ რა ჭერივი ხარ, შეილო! ქმარი არა გყოლია, — ეტყოდა ხანდახან მაგდანს, მაგრამ გოგოლა მაშინვე სიტყვას ჩაუჭრიდა:

— ნუ შეტყვი, დედავ, შენი ჰირიმე! ილიკოს მერე არავის დანახვა არ შემიძლია...

ასე გავიდა კიდევ ერთი წელიწადი.

მისი გული ისევ დაკეტილი იყო,

თუ ურამან უნდა ვინ მოიტანა...

მთელი დღე ისე გავიდა, ის ბრიალა მოურიდებელი თვალები გულიდან ვერ ამოიღო გოგოლამ.

ეს რა მომდისო, ჩურჩულებდა იგი და ისე დამფრთხალი იტყირებოდა, თითქოს ის თვალები ახლაც კვალდაკვლავ მოსდევდნენ და რალაც უცნაურ მახეს უგებდნენ.

საღამოხანს გოგოლამ ის ყმაწვილი ნადიბაიძეების ეზოში დაინახა. იგი პერანგისამარა იყო და გოგოლა მაშინვე მიხვდა, ზაქარიას უფროსი ვაჟი ჯარდან დაბრუნებულაო...

მეორე დილას საჩხში პირის დასაბანად რომ გამოვიდა, თხილნარში ბუღბუღი რაკრაკებდა. ახალ გათენებულში მისი სიმღერა ისე გულგასახარად ისმოდა, რომ ერთი-ორი წუთი გოგოლა გარინდებული იდგა.

ძველი ამბავი მოაგონდა. ერთხელ თურმე პატარაობისას მთელი დღე თხილნარს უტრიაბდა გოგოლამ, უნდოდა მომღერალი ბუღბუღი დაენახა.

— არ შეხედო, შეილო, არ შეხედო, თორემ მოკვდება საწყალი! — გავხუმრა გოგოს გზად მიმავალი ბერიკაცი.

გოგოლა იმწამსვე მოშორდა ბუჩქებს და ის სიტყვები სამუდამოდ გულში გამოეხსენა. დღესაც სჯეროდა, სიმღერის დროს ბუღბუღის დანახვა არ შეიძლებოდა.

მხოლოდ ხანდახან, სარკეში რომ ჩაიხედდა, სახეზე რალაც ჩრდილი ეკრებოდა ურბენდა, თითქოს არ უხაროდა, რომ ასე ლამაზი იყო და ფერხორცი თანდათან კიდევ უფრო ემატებოდა.

ყმაწვილკაცებთან ძველებურად თამაში და მზიარული იყო, ისინიც ხშირად გაეხუმრებოდნენ ხოლმე, მაგრამ არასდროს წრეს არ გადავიდოდნენ. უგრეხელიძის ქალმა თავის დაპყრა იცოდა.

წიგნი და სწავლა — ქვეყანაზე თითქოს მეტი აღარაფერი ახსოვდა გოგოლას, რომ გუშინ გედიქის ხევში იმ უცნობ ყმაწვილს არ შეხვედროდა.

პირი დაიბანა და სამუშაო ხალათი ჩაიცვა.

სარკეს მიინც ვერ მოშორდა. ერთხანს ჩაფიქრებული შესცქეროდა თავის გამოსახულებას. მერე ერთბაშად კარადიდან შინდისფერი აბრეშუმის კაბა გამოიღო და თვალის დახამხამებაში ტანისამოსი გამოიცვალა.

მაგდანმა თვალი შეასწრო და გახარებულმა ჰკითხა:

— ვის ებრანქები, გოგო, ამ დილაადრიანად?

— არავის დედა. დღეს მინდორში პირველად გავდივარ და ლამაზად მინდა ვიყო.

— ნინოს არ დაუცილი? წუხელ დაიძახა, უჩემოდ არ წავიდესო.

— მეჩქარება, დედა, საწყობში მელიან. მანქანას ხარჯი უნდა გავატანო.

გოგოლამ გვერდზე მიიხედა, რომ სიცრუისაგან წამოწოებული ლოყები დაეშალა.

ამ დილა-ბნელზე საწყობში რა ტუნდოდა! პური, ყველი, ერბო და კარტოფილი წუხელვე ჩაიტანეს მინდორში.

სახლიდან ასე ადრე განზრახ მიდიოდა.

მთელი გზა მარტო იქნებოდა. მარტო ჩაუვლიდა მანქანა-ტრაქტორების სადგურს.

იქნებ სადმე იმ ბრიალა თვალებს კი-

დევ შეხვედროდა. პირდაპირ სცხვენოდა, ისე ეძახდა გული იმ ვაჟისაკენ.

ქუჩაში გავიდა თუ არა, ერთბაშად ეუცხოვა, რომ მინდორში ასე გამოპრანჭული მიდიოდა. თავი დახარა და ბროწეულების ორლობეს გაჰყვა.

გზაზე არავინ შეხვედრია, მხოლოდ ნაციხართან, სადაც ახალ სახელოსნოს აშენებდნენ, ვილაციები იდგნენ და მისკენ იცქირებოდნენ.

„რა მემართება მე სასიკვდილეს!“ წაიწურა გოგოლამ და ღობეს მოეფარა, რომ აღმოდებულ ლოყებზე სიწითლე გადასვლოდა. მერე სახელოსნოს წინ სწრაფად ჩაიარა, მაგრამ იგი არც აქ იყო და ქალმა თავისუფლად ამოისუნთქა, თითქოს რაღაც ხიფათს გადაჩრაო.

ტბასთან რომ გავიდა, ცოტა შეისვენა და ზილიჩისაკენ მიმავალ მანქანას გაჰყვა.

ავდარს აპირებდა. ლეკის მთიდან ნიავი მოდიოდა. შილიფად ჩაცმული გოგოლა მობუზული იჯდა ძარაში და თავის თავს დასცინოდა, რას იტყვიან ქალები, ასე გამოპრანჭულს რომ დამინახავენო.

მანქანა რბილად მისრიალებდა მტკრიან გზაზე. ყანას ალაგალაგ ყვირთელი შალგი მოსდებოდა. ქალები ჯეჯილს მარგლავდნენ.

გოგოლას უყვარდა შირაქის გაშლილი მინდვრები. ხშირად შშის ჩასვლისას, როდესაც ჯეჯილის ზღვას ქარი დაუფლიდა, იგი შუა ყანაში გარინდებული იდგა და ფერების დაუცხრომელ თამაშს გასცქეროდა.

ჯეჯილს ხან ვერცხლისფერი გადაპკრავდა, ხან ისევ ლურჯად ჩაგუბდებოდა, მერე ერთბაშად ტალღა ტალღაზე გადაწებოდა და სარეველა ბალახის წითელ-ყვითელი თვალი გამოაქყვტდა.

დასეტყვილ თეფებს რომ გასცდნენ, ტრაქტორის დაგადუგი მოისმა. გოგოლამ კაბინის სახურავს ხელი დაჰკრა. მანქანა გაჩერდა.

— დამიცადე, ლეკსო, თუ ძალიან არ გეჩქარება. ვიკითხე, ჩვენი ბრიგადირი

სად არის და ახლავე დავბრუნდები. — უთხრა გოგოლამ კაბინიდან. გადმოხტულ მოფერს და სანამ კაცი ხელს შეეშველებდა, მანქანიდან მსუბუქად გადმოხტა.

ღიზელი ყამირს ხნავდა. ქვეყნის გაჩენის დღიდან ეს მინდორი პირველად იხვენებოდა. ცვრიან ბალახს მანქანის ვეება მუხლუხებში სარკესავით გაეპრიალებინა.

გოგოლა ხნულის პირს გაჰყვა. ათი კვალი ერთად გაჰქონდა დიზელს, — ათი შავი ნიაღვარი ერთად ბობოქრობდა მინდორში.

გახარებული შეჰყურებდა გოგოლა. როგორ გაუჭირვებლად, ხალისიანად სჭრიდნენ სახნისები გაქვევებულ მიწას. დიზელს კვალი დიდ სიღრმეზე მიჰქონდა.

მიწა მძლავრად შრიალებდა, ვეება ბელტები ტალღებივით ერთმანეთზე გადადიოდნენ და ისე ბზინავდნენ, თითქოს ზედ ზეთი წაუსვამთო.

დროდადრო, როდესაც მიწაში ღრმად ჩასული სახნისი რაიმე დაბრკოლებას წააწყდებოდა, მანქანის თავზე კვამლის ცისფერი რგოლები გახშობილებოდნენ.

ძარღვიანი ბელტები კი ისევ ცერზე დგებოდნენ. შრიალებდნენ, ბობოქრობდნენ...

„ტრაქტორისტიც ასეთი უნდა!“ ფიქრობდა მოხიბლული გოგოლა და თითქოს ხედავდა იმ კაცის ხელებში დამალულ ძალას, თითქოს ეს ვეება სახნისებში კი არა, მისი მკლავები აბრუნებდნენ ამ ჩაღებულ მიწას.

სეტყვის ღრუბელი უფრო ჩამობნელდა.

„თუ ავდარმა მინდორში მოგვისწრო, აქედან ვეღარ გავალწევთო!“ გაიფიქრა გოგოლამ და ნაბიჯს მოუჩქარა.

ღიზელი ჯერ კიდევ წინ იყო, როდესაც გოგოლამ კაბინის სარკემელს თვალი შეავლო... და სახეზე აღმური მოვიდა. ტრაქტორის ლევან ნადიბაიძე მართავდა.

ქალი დაიბნა. ვერც წინ წავიდა, ვეღარც მობრუნდა. სწორედ ამ დროს მოიხედა ლევანმა და ტრაქტორი გააჩერა.

— გოგოლა! — ისე უბრალოდ, შინაურულად დაუძახა მან, რომ გოგოლამ ერთბაშად შეება იგრძნო.

სიტყვაც ადვილად იპოვნა.

— ჩემი სახელი საიდან იცი!

— ჩიტმა მითხრა.

— მეტი არაფერი გითხრა?

— დანარჩენს თვითონ გეტყვისო! ერთმანეთს შეხედეს. თვალეში ორივეს სინათლე მოემატა. ველარ დამალეს ეს უფეცარი სიხარული.

— ლეკაშვილი მინდა, სად იქნება.

ლევანმა ჩაიციხა.

— შენისთანა ლამაზი ქალი განა ცოლიან კაცს უნდა დაეძებდეს, გოგოლა! არ მოეწონა უგრეხელიძის ქალს, რომ იგი ასე თამამად შეეხუმრა, მაგრამ არ შეიმჩნია.

სიცილითვე მიუგო:

— თუ ასე გენაღვლები, მაქანკლად დამიდექი და უცოლო ბიჭი შენ მომიძებნე.

— თანახმა ვარ, ოღონდ თუ ურემმა შეშა ვერ მოიტანა, თვითონ ხომ შეშა არისო!

ამ სიტყვებს ისეთი ალალი ომილი ახლდა, რომ გოგოლამ ის ომილი მაშინვე დაუბრუნა.

გზიდან ავტომობილის საყვირის ხმა მოისმა.

— შეძახიან. არ მეტყვი, ლეკაშვილი სად არის?

— აქ დაუცადე, მალე უნდა მოვიდეს.

— მატყუებ.

— ვინ დაგიფიცო!

— მეჩქარება. მითხარი!

— ჯერ შენ მითხარი, ამ ზაფხულს აქ დარჩები თუ ისევ ბაქურციხეში უნდა დაბრუნდე.

— ეგ შენს ჩიტსა ჰკითხე! ნახვამდის...

გოგოლა სწრაფად მობრუნდა და წაიკიდა.

— ლეკაშვილი მესამე მინდორზეა, შავი სერის ხელმარცხნივ! — მიამახა ლევანმა.

მისი თვალი დიდხანს მიაცილებდა სწრაფად მიმავალ ქალს. მერე ნელა მობრუნდა და ასევე ნელა ტრაქტორის საჭეს მიუჯდა.

სიმღერა

ერთხელ მენახირე ბიჭებმა ამბავი მოიტანეს, ვენახების ბოლოში ზოხბები ენახეთო.

ის ბიჭები ისე დელადნენ და ქოთქოთებდნენ, რომ ლევანს ბევრი აღარ უფიქრია, კედლიდან თოფი ჩამოიღო, ჯიბეში ათიოდე ცალი ვაზნა ჩაიგდო და გზას გაუდგა.

ორღობეში რქებგადაყრილი ვერძი მოდიოდა. უეცრად ილო პაპას ეზოდან პატარა ბიჭი გამოვარდა, ვერძს წინ თამამად გადაუდგა და შუბლზე ხელი დაჰკრა.

ეტყობა, ეს ამბავი ვერძის ენაზე საჭიდაოდ გამოწვევას ნიშნავდა, რადგან მან მაშინვე უკან დაიხია, მერე უტბად თავი დახარა და შურდულივით წაივოიდა.

პატარა ბიჭმა ძლივს მოასწრო განზე გახტომა და წივილ-კისკისით ეზოში შეირბინა. მალე ისევ გამოაჰყიტა დამფრ-

თხალი თვლები და სამიშარ ფალავანს შორიახლო დაუდგა.

— დაგამარცხებს, ბიჭო გაეცალე! — გასძახა ლევანმა.

— ეგ რას დამეწევა, ძია ლევან! — მკვირცხლად მიუგო მლეღვარებისაგან ლოყებშეწითლებულმა ბიჭმა და ახლა უფრო გაბედულად წადგა წინ ნახიჯი.

ძლიერ ეშინოდა მაგრამ ასევე ძლიერ უნდოდა ამ შიშს მორეოდა.

„როგორა ჰგავს თავის მამას!“ გაიფიქრა ლევანმა. გაუხარდა, რომ ეს ყოჩალი პატარა ბიჭი ნადიბაიძეების გვარზე იყო წასული.

სოფელი სიციხეს დამალვოდა. მხოლოდ აქა-იქ ღობის ძირებში ბებერი დედაკაცები ფერად წინდებსა ჰქსოვდნენ. დეიდა მარიამი კალთაში ჩაძინებულ შვილიშვილს თავკისერზე ოფლსა სწმენდდა.

გზის შესამოკლებლად ვერხვის წყაროსთან გაუხვია. ყანჩაანთ ორღობიდან სი მიღერა მოისმა.

ლომო, შე ლომის მოკლულა,
ბუსნი-ჭალის პირსაო.
ვინ შეგიღებდა წითლად
მხარბეჭი პერანგისაო!
ვინ გაგიმეტა სათოფრად
სარქალი ბეერი ცხერისაო,
ლამაზად დაგიტირებდი,
ხათრი არ მჭონდეს ქმრისაო.

ქალს ლამაზი, ძლიერი ხმა ჰქონდა. ეტყობოდა, მარტო იყო, რადგან ძალიან თამამად მღეროდა.

მომღერალი არა სჩანდა, ჭეძვის მალალი ღობე ფარავდა, მაგრამ ლევანმა ის კარმიდამო მაშინვე იცნო.

„ნუთუ ეს გოგოლაა!“ გაიფიქრა და ყური მიუვლო.

მოდინ ძმანდაფიცები,
უშენოდ მოგვეწყინაო!
ხანჯლები შემოიხსენით,
სანამ შემოხვალთ შინაო...

ეს ძველებური მოთქმა ლამაზი ქალი-სა დიდხანია აღარ გაუგონია ლევანს.

პატარაობისას ავად რომ გახდებოდა, არც შეპარ-ყინულს მოინატრებდა, არც შუბლშეღებელი ბატკანი უნდოდა... მხოლოდ ამ სიმღერას შეეხვეწებოდა დედას. ეს იყო მისი წამალი. მისი ყრმობის სიზმრებში ბუსნი-ჭალის პირას დაჭრილი ვაჟკაცი ბორჯავდა, ხან წყალსა სთხოვდა, ხან კიდევ ეუბნებოდა, ჩემი სისხლი აიღეო...

ქარის ზუზუნში სულგანაბული უსვენდა დედის ნალვლიან ღიღინს:

ხანჯლები შემოიხსენით,
სანამ შემოხვალთ შინაო!

სიცხისა იყო თუ მღელვარებისა, სახეზე აღმური ასდიოდა, შემკრთალი ეკითხებოდა დედას, ძმანდაფიცებმა ხანჯლები რატომ უნდა შემოიხსენათ...

— ძველი თქმულებაა, შეილაო! ერთხელ თურმე ქისტებმა ჩვენს მეცხვარეებს დედისერთა მწყემსი-ბიჭი მოუქ-

ლეს. უბედურმა დედამ სამძიმრის სათქმელად მოსულ ვაჟკაცს ქარქაშიდან ხანჯალი ამოსტაცა და გულში დაიკრა. იმ დღიდან მოდის, შეილაო, — ქირისუფალთან რომ შედიან, ვაჟკაცები იარაღს მოიხსნიან და გარეთ დასტოვებენ!

...ხანჯლები შემოიხსენით,
სანამ შემოხვალთ შინაო!

მღეროდა ქალი და როგორც ბავშვობისას, ახლაც ისეთივე ჩუმი ნალვლი მოაწეა გულზე ლევანს და იმ მომღერალი ქალის დანახვა მოანდომა.

მობრუნდა. ღობე-ღობე წაეიდა, ქალი რომ არ დაეფრთხო...

უეცრად სიმღერა შეწყდა, — მოისმა ჩუმი კისკისი და სანამ ლევანი რაიმეს მოისაზრებდა, ღობეს გოგოლა მოადგა. სახეზე ეტყობოდა, მან აღრევე მოატანა თვალი ნადიბაიმის ვაჟს.

— მანდ რას იმალევი, ყმაწვილო! მოპარული ხომ არა ხარ! — უთხრა ქალმა და საოცრად მშვიდი ცისფერი თვალები საქციელწამხდარ ვაჟკაცს შეანათა.

— აქეთკენ სადღაც ხოხობი გადმომიფრინდა. — ძლივს იპოვნა სიტყვა ლევანმა.

გოგოლამ ისევ ჩაიკისკისა.

— შენმა ხოხობმა აგერ იმ წნორებს გადაუარა!

— აბა საით? თუ ქალი ხარ, მამოვინე!

— მეძებრად ეს უფრო გამოგადგება! — უთხრა გოგოლამ და ხელი ქუჩისაკენ გაიშვირა.

ლევანმა მის ლამაზ ხელს თვალი გააყოლა და ღობის ძირში მიგდებული ნაგაზი დაინახა.

— მაგ ძალი ეზოში დაიბი, გოგოლა! არავინ მოგიტაცოს! — სწრაფად ჩაუჭრა სიტყვა ლევანმა.

— მომტაცებელი ვარგოდეს, ჩემო ლევან, თორემ ძალი იმას ვერ შეაშინებს! — მიუგო ქალმა, თვალები ერთხელ კიდევ შეანათა და ღობეს მოშორდა.

რთველის მოღვეამდე ლევანი და გოგოლა რამდენჯერმე კიდევ შეხვდნენ ერთმანეთს.

როცა გოგოლას ვინმე ახლდა, ლევანი ქალს ჩემად გაუღიმიებდა, მაგრამ იმ ღიმილში იმდენი ალერსი იყო, რომ გოგოლა წითლდებოდა და უბრალო გამარჯობასაც თამამად ვეღარ ეუბნებოდა.

— რა გემართება, გოგო! — წასჩურჩულა ერთხელ ნინომ, როდესაც მიმინოს ხევთან ყაშებიდან მომავალ ლევანს შეეფეთნენ.

— რა იყო?

— დინახე თუ არა, სახეზე ცეცხლი მოგეკიდა!

— ვინ დავინახე, რას ამბობ! — გოგოლამ ნაბიჯს მოუჩქარა.

— შეიძლება შე გასაჭრობო, ხალხში ასე გაწითლება! გიყვარს?

— ვაჩუმიდი... არავეინ გაიგონოს! ნინო და ვაჩუმიება?! —

— მაშ ვგრე უნდა, მე რომ არავეინ მიყვარს, მე უბედურს! — ამოიხზრა ნინომ, მაგრამ ამ ოხვრაში იმდენი კეკლუცობა იყო, რომ მის უბედურებას კაცი ვერ დაიჯერებდა.

— განა შენი გული მუდამ შენ დაგეკითხება, გოგო!

— რა ვიცი, ამ შირაქში ვაქრობიან, რომ არ ვიცნობდე, მაგრამ მათ დანახვაზე არცა ვწითლდები და არცა ვყვირდები! მე ისე ვატყობ, ქვეყანაზე არვეინ შემეყვარდება!

— მაშ ასე დაბერდები გაუთხოვარი?!

— გაუთხოვარი რატომ დავებრდები! ვისაც დედაჩემი ამირჩევს, ავდგები და მეც იმას ვაყვებები.

რა იცოდა მამის ნინომ, რომ ერთი წლის შემდეგ ეს სიტყვები სანანებლად გაუხდებოდა.

სანამ ერთმანეთს დაშორდებოდნენ, გოგოლამ კიდევ შეახსენა:

— თუ ჩემი და ხარ, არსად არაფერი წამოგდეს, თორემ ვინ იცის რას არ იტყვიან!

— იტყვიან, თორემ შენმა მზემ, ტყუილი იქნება! მე რას მიმაღაც, გოგო!

— მიწამ დამშალოს, თუ რამე დაგიშალა, მაგრამ მე თვითონ არ ვიცი, ნინო, ჩემს თავს რა ამბავია! ასე მგონია, სიხმარში ვარ!

თავი მეოთხე

უსიამოვნება

... და სწორედ მაშინ, როდესაც მათ ურთიერთობას სახელი უნდა დარქმეოდა, მანუჩარ უგრეხელიძეს ერთი ალილო შეეშალა და ნადიბაიძის ოჯახი მოიმიღურა.

ეს მოხდა იმ დღეებში, როდესაც კალათბანს უკრაინელი კოლმეურნეები ესტუმრნენ. რაც მაშინ სტუმრების განაწილებაზე ამბავი დატრიალდა, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს თედო ხელაშვილს დღესაც ეზარება მისი გახსენება.

კალათბანელი კოლმეურნეები უკრაინელებს ეჯიბრებოდნენ და ყველა მათგანს სტუმარი უნდოდა.

— ჯადოქარი ხომ არა ვარ, თქვე კაციკებო, რომ ოცდასამი კაცი ორას მას-

პინძელს გავაწვდინო! თითოს ათად ხომ ვერ ვაქცევ! ახლა ასე იყოს, ჩვენს ქვეყანაში სტუმარი არ დაილევია! — ამშვიდებდა ხელაშვილი მეზობლებს, მაგრამ გამგონი ვინ იყო.

საყვედურს და სამდურავს ბოლო აღარ ჰქონდა. ყველაზე მეტად ზაქარია ნადიბაიძის ცოლი ანუკა და მანუჩარი ცხარობდნენ.

ანუკას უარი ვეღარ უთხრეს, რადგან მისი უფროსი ვაჟი ლევანი უკრაინელ ტრაქტორისტს ეჯიბრებოდა.

მანუჩარს კი სტუმარი იმიტომ უნდოდა, რომ კარგი სტუმარი მასპინძლის ღირსი იყო. ეზოში სტუმარი რომ შემოვია, ღობის სარებიც ვაიხარებნო, ამბობდა იგი. მაგრამ საქართველოში პუ-

რადიკირი კაცი სხვაგან სად ყოფილა, რომ კალოთუბანში ყოფილიყო.

— ბოშო, ამ სოფელში რამდენი ფოტოგრაფი ჩამორიხინდება, ყველას ჩემთან მორაბენინებ ღამის გასათევად... ამისთანა ძვირფას სტუმრებს კი სხვაგან ვაუშნალე ლოგინი! ვითომ რაო, ჩემს სახლში წვიმა ჩამოდის, ბუხარში ჩალის ცეცხლი მინთია თუ როგორ ფიქრობ, გამაგებინე ერთი! — ეჩხუბებოდა მანუჩარი საბჭოს თავმჯდომარეს.

გულგაწყვლებული თედო ჯავრიანად ბუზღუნებდა:

— ი დალოცვილები, თუ ჩამოდიოდნენ, ცოტა ბლომად ჩამოსულიყვნენ, ამ დავიდარაბას გადამარჩენდნენო!

უსტუმროდ დარჩენილი მანუჩარი, მთელი დღე შუბლშეკრული დადიოდა, ბოლოს ისიც დაშოშმინდა.

იმ დილას ზაქარიამ ცხენი შეკაზმა და წითელწყაროში წავიდა სტუმრების ჩამოსაყვანად.

ანუკა სადილის თადარიგს შეუდგა. გიორგიმ ორმოვლილი ჭედილა დაჰკლა, საფლავე ჭებბი ცეცხლზე შედგა, უფროსი ძმის სახელობის ქვევრიდან სამი ჩაფი ღვინო ამოიღო, თხილის შამფურებიც დათალა. მერე სოფელში რაც კარგი მომღერალი ბიჭები იყვნენ, იმათ ჩამოუარა, რომ მათი დაპატივება სხვას არ მოესწრო.

მოშუადღევდა.

ანუკა თონეს ანელებდა, როდესაც კოლის წყალთან მანქანის ხმა მოისმა. ქალმა აკეცილ კაბას ხელი ჩაჰკრა, მოსახვევის ყური ტურნებზე მოისვა და ჭიშკრისაკენ გაექანა.

ყავისფერი ემადინი სწრაფად შემოშრიალდა დაბურულ ორლობეში, ასევე სწრაფად გასცილდა ანუკას ეზოს და უგრეხელიძის სახლთან გაჩერდა.

თეთრქილებიან ჩოხაში გამოწყობილი მანუჩარი ისე მარადად გადმოხტა მანქანიდან, თითქოს მხარი გასაფრენად ჰქონდა აწყობილი.

— ძალღი გადაბი, გოგო! — გასძახა გოგოლას, მანქანიდან გადმოსულ სტუმ-

რებს ხელის ბარგი ჩამოართვა და ეზოში შეუძღვა.

მანქანის ხმაურზე მეზობლებმაც გამოიხედეს და ანუკას შერცხვა, რომ ასე აჩქარდა და ფართოდ გაღებულ ჭიშკარში მარტოდ დარჩა.

— სად გადაიფეხა ის კაცი! — ჩილაპარაკა და ხელისგული მოიჩრდილა. ეზოდან ვერაფერი დაინახა.

— თონეს მიმიხედე, ივლიტა! — უთხრა მულიშვილს და ჭუჩაზე გავიდა, ძელიცხოვლის ბექზე გადადგა, საიდანაც წითელწყაროს გზა თოფის მანძილზე მოსჩანდა.

გზაზე მანქანები მოდიოდნენ, ისმოდა ძაღლების ყეფა, ბაღების ფრიაბული...

მალე ისევ სინაზე ჩამოვარდა. აღარც ზაქარია სჩანდა; აღარც სტუმარი.

* * *

ნაშუადღევს ზაქარიამ გაჭაფული ულაყი ეზოში შემოაქენა და მხიარულად დაიძახა:

— სტუმრები ხომ არ მომიშვიეთ, ხალხო!

— რომელი სტუმრები!? სად არიან სტუმრები! — წამოვარდა ანუკა.

— როგორ თუ სად არიან! მანქანაში ჩავსხი და მანუჩარს გამოვატანე, შინამდე მიმიცილე-მეთქი. აქამდე არ მოსულან?

ანუკას მიწისფერი დაედო.

— თვალი კი დამიდგეს. მაშ ისინი ჩემი სტუმრები იყვნენ?!

— რას ამბობ, დედაკაცო, ვერ გამოგია!

— რასა და... აგე შენი სტუმრები! — ანუკამ უგრეხელიძის ეზოსაკენ გაიშვირა ხელი: — თავისას მიიყვანა იმ ვაჟბატონმა! შენს სტუმრებს შენ თვითონ ვერ გამოჰყევი, შე არდასაცალბელო!

— ჩოხელმა თათბირზე დამიძახა, სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება უნდა დაწვეროთო. დრო აღარ იყო. მეც ავდექი და სტუმრებს მანუჩარი გამოვაცოლე. ვაი შენ ჩემო თავო! ზაქარიამ შუბლზე ხელი შემოირტყა და ცხენიდან ჩამოვიდა. ერთხანს ჩაფიქ-

რებული იდგა და უღვას იგრებდა. მე-
რე ჩემად გაეცინა.

ანუა გაეცხლდა.

— რა გაცინებს, კაცო! სახლი უხვედ-
რი გამიხადე!

— ჩემი უკულობა მაინებს. მამ
კვიანი კაცი იმერელს სტუმარს ან-
დობს?! ოქრო ხალხი ხელში ჩაუყარე,
შინ მიიყვანდა, მა რას იზამდა!

გულშემოყრილ ანუას ხმა არ ამოუ-
ღია და შეიძლება ამ ამბავს ასე მშვიდო-
ბიანად ჩაეცლო, რომ ზაქარიას დამწვარ-
ზე მდღლარე არ დაესხა. ადგა და ცო-
ლის დაუეთხავედ მანუჩარს ერთი
ჩაფი ძველი ღვინო გაუგზავნა.

ანუამ ეს მხოლოდ მაშინ გაიგო, რო-
დესაც მეორე დღიას გოგოლამ ცარიე-
ლი ჩაფი მოიტანა და ანუას უთხრა:

— დეიდა, მამამ დიდი მადლობელი
ვარო. სტუმრებმა სთქვეს, ამისთანა
ღვინო ჯერ არსად დაგვიღვივიაო.

ელდანაცემმა ქალმა გოგოლას ველა-

რაფერი უთხრა, მაგრამ წაიდა იგი თუ
არა, ჩაფს ხელი დასტაცა და
მივიარდა.

— ეს რა გულმა დაგანება, კაცო! ჩე-
მი სტუმრების მომტაცებელს ღვინო
როგორ გაუგზავნე! ბარემ შენი ქამარ-
ხანჯალიც მიგეტანა, რომ იმ არდასა-
ცალებელს სტუმრებთან თავი უფრო
მოეწონებინა!

— ქალო, გაიგონე, — შეუტია ზაქა-
რიამ: — ამისთანა დროს შენ-ჩემობა არ
იქნება! ისინი მართო ჩვენი სტუმრები
როდი არიან, მთელი შირაქის სტუმრე-
ბი არიან. უგრებელიძე ახალმოსახლე
კაცი. ჯერ ვენახიც არ ჩაუყარია, მისი
შერცხვენა მთელი შირაქის შერცხვე-
ნაც იქნება...

ბევრი უმტყიცა ზაქარიამ, მაგრამ
ანუას წარბი არ ეხსნებოდა, და როდე-
საც სალამოხანს უგრებელიძის ეზოდან
სიმღერა მოისმა, მან თავშალი მოიხურა
და ფერმაში წაიდა.

თბილისში

კერბი ქალი იყო ანუა ნადიბაიძე.
სტუმრების მოტაცების შემდეგ ვერ
იქნა და გული ვერ გაულო უგრებელი-
ძის ოჯახს და იმდენი საწყენი შეახვედ-
რა კარის მეზობელს, რომ მაგდანს მათი
სახელის გაგონებაც კი არ უნდოდა.

— ჩემს ქალს ვენახში გაკიდებულ
საფრთხობელას უფრო გავატან, ვიდრე
იმ თითილოციას შეიღოს! — ამბობდა
იგი და შეიღს ეხვეწებოდა, თუ ჩემი
დედა-შვილობა გინდა, ნადიბაიძის
ოჯახს ჩამოშორდიო.

— მამ რუსულსაც დავანებო თა-
ვი? — ჰკითხა ერთხელ გოგოლამ.

ლევანი და გოგოლა რუსული ენის
შემსწავლელ წრეში დადიოდნენ წი-
თელ-წყაროში. ამ წრეს კოლია დუბოვი
ხელმძღვანელობდა.

— რუსულს კი არა, ქართულსაც და-
გავიწყებ, იმ ბიჭთან გავლილი რომ და-
გინახო! — გამოუცხადა მაგდანმა.

დედის სიტყვა ოჯახში ბეჭედი იყო.
ამიტომ ვერ გაემხილა გოგოლას, რომ

ნადიბაიძის ვაჟი უყვარდა. მხოლოდ ხან-
დახან სამკითხველოში თუ შეხედებოდ-
ნენ ერთმანეთს, თორემ ხალხში ერთად
გამოჩენას როგორ გაბედავდნენ.

დამსმენი და მეთვალყურე ბევრი
ჰყავდა გოგოლას.

ამიტომ ლევანის სიხარულს საზღვარი
არა ჰქონდა, როდესაც იგი და გოგოლა
საქართველოს კომკავშირის ყრილობის
დელეგატებად აირჩიეს. მთელი ერთი
კვირა თბილისში ერთად იქნებოდნენ...
იმ ვეება ქალაქში შირაქელ ტრაქტო-
რისტს ორი კაცი არ იცნობდა. მამ ვინ
არის დამშლელი და დამბეზღბელი!
წაიყვანე გოგოლა, სადაც გინდა, უთხა-
რი, რაც გინდა. უტყირე თვალბეში, რამ.
დენიც გინდა...

ახლა ვიღას ახსოვდა დედისადმი მი-
ცემული სიტყვა და ისინიც ისე თამა-
მად დაჰქროდნენ ქალაქში, თითქოს ნამ-
დვილად დანიშნულები იყვნენ.

ქუჩაში ხეტიალი რომ მოსწყინდებო-
დათ. მერე მალაჩიებს ჩამოუვლიდნენ.

ფული არცერთს არა ჰქონდა, მაგრამ შეყვარებული ქალ-ვაჟის ბედნიერებას რა დიდი ხაზინა უნდა!

ტყუილა აუვლ-ჩაუვლიდნენ დახლებე გამოფენილ საქონელს, მერე ერთმანეთს ჩუმად გაუცინებდნენ და ისევ ქუჩაში გამოვარდებოდნენ.

ყრილობა დამთავრდა თუ არა, შირაქელი კომკავშირელები მატარებელში ჩასხდნენ და გზას გაუდგნენ. ლევანი და გოგოლა ორი დღე კიდევ დარჩნენ თბილისში.

გოგოლას უხაროდა და თან ეშინოდა თბილისში დარჩენა. უხაროდა იმიტომ, რომ დედა-ქალაქში გავლა-გამოვლა ენატრებოდა. ავლაბრის საიდუმლო სტამბა, მთაწმინდის პანთეონი, რუსი მხატვრების სურათების გამოფენა... რამდენი რამ ჰქონდა სანახავე უგრეხელიძის ქალს.

ეშინოდა იმიტომ, რომ გული ეუბნებოდა, ლევანი აქ სიყვარულს აუხსნიდა და რატომღაც არ უნდოდა, თავისი ბედის არჩევანი ამ უცნობ ქალაქში მოეხდინა.

გოგოლა თბილისში მხოლოდ ორჯერ იყო ნაწყობი და მისი ქუჩების ორომტრიალში თავს უმწეოდ გრძნობდა.

შაბათ-დილას ავლაბრის საიდუმლო სტამბაში იყვნენ. ნასადილევეს მთაწმინდის პანთეონი დაათვალიერეს. დიდხანს იდგნენ ილიას საფლავზე თავდახრილ მწუხარე ქალის წინ, და როდესაც მთაწმინდის კალთებს ბინდი მოეფინა, პანთეონი დასტოვეს და სტალინის პარკის აღმართს შეუდგნენ.

ერთხანს ბაღში დასვირნობდნენ. ცოტა დალილები იყვნენ. ხეივანში მყუდრო ადგილი მონახეს და ჩამოსხდნენ.

... ახლაც თვალწინ უდგას ლევანს ეს შორეული საღამო მთაწმინდაზე, სადაც ისინი პირველად სიყვარულში გამოუტყდნენ ერთმანეთს. ახსოვს პირველი კოცნის დამწველი სიხარული და გოგოლას შეშინებული ჩურჩული, დაგვიანებავენ, დაგვიანებავენ...

იმორებდა და ვერც იმორებდა ლევანის ტუჩებს და რალაც მაცდურად დიდი ლი უკრთოდა სახეზე.

ამ წუთს ელოდა ლევანი, ათასი სიტყვა ჰქონდა შერჩეული, მაგრამ ახლა ყველა დაავიწყდა, ერთის გარდა, და ის ერთიც ქალის სახელი იყო.

— გოგოლა... გოგოლა! — ჩურჩულებდა იგი და თავდავიწყებული ჰკოცნიდა ტუჩებში, ლოყებზე, მკლავებზე...

— ხელი გამიშვი... ლევან! — ეხვეწებოდა ქალი და თავი გვერდზე მიჰქონდა.

დასცქეროდნენ გაჩირალდნებულ თბილისს და ისევ სამუდამო სიყვარულს ეფიცებოდნენ ერთმანეთს, ისევ ის უხარო და უთავბოლო სიტყვები სწყუდებოდნენ ბაგეს, მაგრამ განა ოდესმე სიტყვა ყოფილა უფრო გასაგები?

ან თუ ოდესმე ყოფილა სიტყვა ისე ზედმეტი, როგორც იმ დამეს, როცა ისინი მთაწმინდის ფერდობზე ისხდნენ და მათ შეერთებულ ხელისგულებში გახარებული სისხლი ფეთქავდა.

— ძალიან კი დღეაღდი, გოგოლა! — გაიხსენა უეცრად ლევანმა მისი გამოჩენა ყრილობის ტრიბუნაზე.

— ვერ წარმოიდგენ, რა დამემართა! სიტყვა ზომ დაწერილი მქონდა, მაგრამ გავშალე ქაღალდი თუ არა, ერთი სტრიქონიც ვერ გავარჩიე. ხელი გამიშვი, თორემ ავდგები... ვერ გავარჩიე და მაშინ იყო, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა რომ გადმომხედა და თავი დამიქნია. გული ცოტა დამიწყინარდა... დაწერილიც მაშინვე დავინახე. ცუდად წავიკითხე?

— შენი სიტყვა ყველას მოეწონა.

მერე ანაზღად ერთი სურვილი მოერია ლევანს. უნდოდა თავის თავზე ელაპარაკნა. უნდოდა რალაც ისეთი ეთქვა, რომ გოგოლა განეცვიფრებინა მისი გამოგონების სიახლეს და მნიშვნელობას. ლევან ნაღობაძე არც ისე ხელწამოსაკრავი კაცი იყო, როგორც ზოგნი ფიქრობდნენ. როგორ სწყუროდა ლევანს, რომ ეს გაეგო უგრეხელიძის ქალს.

რამდენჯერ განიზრახა, საუბარი სურვილისამებრ მოემართა, მაგრამ ვერ გა-

ბედა, ვაითუ გოგოლამ დამცინოს, თავისი თავი დიდი ვინმე ჰგონიაო.

ამ დღეში იყო ლევანი, რომ უცერად გოგოლა თვითონ შეეკითხა, შენი ფოცხი რას აკეთებსო. როგორ გაახარა ლევანი ქალის გულისხმიერება!

დაწყობილი ლაპარაკი იცოდა უფროსმა ნადიბაიძემ, მაგრამ ახლა ცოტა გადიდგულდა, სიტყვის გამოზოგვა დაიწყო, რომ ქალის ცნობისმოყვარეობა უფრო წაექვებინა.

მერე თანდათან ეშხე მოვიდა. ესმოდა საკუთარი ხმის წელი, ოდნავ ამღერებული ქღერა და ეს ვამებოდა.

— დედაე, როგორ დავიგვიანე! — შეჰკივლა უცერად გოგოლამ.

რესტორანის მაღალსვეტებიან აივანზე ქალები ჩამქრალი იყო. აღარც მუსიკა უკრავდა და აღარც ხეივანებში მოსიერენ ზალხის ბუბუნის ისმოდა.

რა ჩქარა გადასულა შუალამე! გოგოლა დაფეთებული წამოვარდა და სანამ ლევანი მიწაზე გაფენილ საწვიმარს აიღებდა, მან ჩანთას ხელი დაავლო და ფერდობზე დაეშვა.

— ჩქარა... ჩქარა! — იძახდა იგი და ლევანისაკენ ხელს იშვერდა.

ლევანს გული დასწყდა, რომ გოგოლამ ბოლომდე აღარ მოუსმინა.

„იქნებ რამე ვაწყენინე!“ გაფიქრა მან და რაწამს ეს გაფიქრა, ამ ღამის ბედნიერებაც უმაღლე ჩამწარდა.

ჩუმიად აედევნა ბილიკზე მიმავალ ქალს.

გოგოლას ფეხი უცურდებოდა, ბნელში ჩირგვებს აწყდებოდა, — მომიცადე! — ეძახდა ლევანი, გოგოლა არ უცდიდა და ნადიბაიძის ვაჟს გული ეწამლებოდა.

ფუნჯულერის სადგურთან გოგოლა შესდგა, კაბა გაისწორა და გამგუნებულ ლევანს გვერდში ამოუდგა. სწრაფად გალიეს რუსთაველის პროსპექტი და რვა მარტის ქუჩაზე გავიდნენ.

— ახლა მარტო წავალ. შენ უკან გამოყევი. ამ ქუჩაზე ყველა მიცნობს! — უთხრა გოგოლამ და ნაბიჯს მოუჩქარა.

ნაცნობი ალყაფიც გამოჩნდა, გოგოლამ ეზოში შეიხედა.

— დავიღუპე! ძალუაჩემს არა სძინავს! შინ აღარ შემისვებს! — შეიცხადა მან.

— ნეტავი მართლა გამოგადგედეს! — უთხრა ლევანმა.

გოგოლა სწრაფად მოტრიალდა.

— სახლიდან გამოსადგები გოგოვარი?! — ჩაიციხა მან და უცერად წელში კეკლუცად გაიშრათა.

აბრეშუმის მძიმე ქსოვილმა ცხადად დახატა მისი სავესე ლამაზი სხეული, და ლევანიც ადგილს მოსწყდა, რომ ერთხელ კიდევ მოხვევოდა ამ საოცარ ქალს, მაგრამ გოგოლამ ჩუმად ჩაიკისკისა და ეზოში შეეარდა.

იმ ღამეს ლევანი სასტუმროში აღარ წასულა. ერთხანს უგზო-უკვლოდ დაეხეტებოდა ქალაქში. მიდიოდა, საითაც ქუჩა გაუხვევდა.

ახლა აღარსად აღარ ეჩქარებოდა. არც რაიმე საზარუნაეი აწუხებდა. ფიქრითაც არაფერს ფიქრობდა, თითქოს მთვრალი იყო და გულისყური ვერ მოეკრიბა.

მხოლოდ დროადრო სახეზე მშვიდი ღიმილი მოეფინებოდა, თითქოს რაღაცის სკვრეტდა, მარტოდენ მისთვის ხილულსა და საცნაურს.

ისევ რუსთაველის პროსპექტზე გამოვიდა.

ახლად მორწყული ასფალტის საარქეში ლამაზად გამოსახულიყენენ ქადრების მოცახცახე ჩრდილები, მდიდრულად მორთული ვიტრინები.

ელექტრო-რეკლამის ფერადი ნაკადები ღვედ-ღვედად ეფინებოდა ქუჩას. სიამე ლუოდა ლევანის გულში. უხაროდა უცნაურად მოხატულ პროსპექტზე სიარული. საითაც არ გაიხედავდა, ყველგან გოგოლა უღიმიოდა... ამ ღიმილმა შეაყვარა ლევანს უგრებელიძის ქალი.

რესტორან „დარიალში“ ამხანაგებს მოჰქრა თვალი და უცერად მათთან ყოფნა მოუნდა, მათთან საუბარი. მაგრამ მიუჯდა თუ არა ამხანაგების მზია-

რულ სუფრას, სანანებლად გაუხდა, რომ აქ შემოვიდა. არ ეგონა, მათი დროსტარება, ხუმრობა და ხარხარი თუ ასე მოსაწყენი იქნებოდა.

უკუნებოდ მოისმინა რალაც სადღეგრძელო, შეძინებო, ჩაილაპარაკა და ისევ ქუჩას მიაშურა.

ამ ბედნიერ ღამეს ლევან ნადიბაძეს ქვეყნად ყველაფერი ეპატარაებოდა.

დიდი ხანი არ გასულა, იგი ისევ იმ ალაყათთან გაჩნდა, სადაც წელიწადი გოგოლას დაშორდა. ფანჯრებში სინათლე არ იყო, მაგრამ ლევანს მაინც უხაროდა, რომ იმ ფანჯრებს ხედავდა.

კიბეზე ჩამოჯდა.

— შინ წადი, მოჭალაქვე! გვიან

არის. — უთხრა ბაღის მოაჯირთან მდებარე დარაჯმა.

— ცოტახანს დავისვენებ, დაღლილი ვარ, — მიუგო ლევანმა.

— არ დაგვიძინოს, თორემ მაგ ჩექმებს ისე გაგხდინან...

დაგვიძინოს!

„ამ სახლის წინ ძილი კი არა, სიკვდილი ვერ დამიხუტავს თვალებს!“ გაიფიქრა ლევანმა... და რამდენიმე წუთის შემდეგ ისე ტკბილად ეძინა, როგორც დიდხანს არ სძინებია.

რას იფიქრებდა მაშინ ლევანი, რომ მეორე დილას ქვეყანას ომის ხმა გამოავლინებდა...

მომიციდი, გოგოლაჲ!

ვერისა საღამოს სოფელში გაემგზავრნენ. ორშაბათს ლევან ნადიბაძეს უწყება მოუვიდა, პირველსავე ეშელონს დაღესტანში უნდა გაჰყოლოდა, სადაც ქართული ნაწილები იყო დაბანაკებული.

ნათესაებებსა და ამხანაგებს დილიდანვე დაემშვიდობა. ნაშუადღევს ვერხვის წყაროსთან გოგოლას შეხვდა.

დაღონებული, სიტყვაგამოღებული ლევანი მხოლოდ ერთსა და იმავეს უმერებდა თვალცრემლიან ქალს:

— დამივიწყებ, გოგოლაჲ?

— არა გრცხვენია! — ჩურჩულებდა გოგოლა და ლევანს გაუბედავად მხარზე ეკეროდა.

როგორ შეენოდა გოგოლას ცრემლნარევი ღიმილი და როგორ უქირდა ლევანს იმის დაჯერება, რომ ზეულ ისინი ერთმანეთს უნდა დაშორებოდნენ...

— მომიციდი, გოგოლაჲ?

— სიკვდილს მოუეცაო!

— ვინ იცის, ომი როდის დამთავრდება! შეიძლება ერთი წელიწადი გაგრძელდეს. შეიძლება ორი... უფრო მეტიც!

— ნუ მაწამებ, ლევანი! ორი კი არა, ოცი წელიწადიც რომ გაგრძელდეს, შენ როგორ დავგივიწყებ, შენი ქირიმე! ვაბსოვს ჩვენი ფიცი მთაწმინდაზე?

ლევანმა თავი გაიქნია.

— აქა ვარ და დედაშენი ახლო არ მიკარებეს! ჩემი სახელის გაგონებაც არ უნდა! იქ რომ ვიქნები, მერე შენ ჩემს ლოდინში ვინ დაგაბერებს!

— ყველა კარგი ბიჭი ომში მიდის და ვიღაზე უნდა გამათხოვონ! — გული გაუკეთა გოგოლამ.

ლევანს მწარედ გაეღიმა.

— ეჰ, ჩემო გოგოლა! როცა დედას ქალის გათხოვება უნდა, ბიჭიც გამოჩნდება და ბიჭმანდურიც.

ისევ ცრემლი, ისევ მხურვალე ფიცი და აღთქმა, რომ მოუცდის, მოუცდის, ნამდვილად მოუცდის... ალაზანში გადავარდება, გათხოვება რომ დაუპირონ!

მაგრამ ლევანს არა სჯერა, ან როგორ დაიჯეროს, რომ მაგდანი თავის ქალს ლევან ნადიბაძეს შეუნახავს, და საწყალმა გოგოლამ აღარ იცის, როგორ დამშვიდოს საყვარელი ადამიანი... ასე გულმოკლული როგორ გაუშვას!

— იცი რა?

გოგოლას ერთბაშად ხმა გამოეცვალა, სუნთქვა შეეკრა.

— რა დაგემართა! ავად ხომ არა ხარ!

— წავიდეთ... ახლავე ხელი მოვაწყობოთ! შენი ცოლი რომ გავხდები, მერე როგორღა გამათხოვებენ! შენც ჩემი

ჯავრი აღარ გაგყვება. ხმა ამოიღე, ლევან, რას გაჩუმიებულხარ!

— რას ამბობ, გოგოლა! ეს რამ ვაფიქრებინა! — წამოიძახა ლევანმა.

— რა იყო დედაჩემმა რაც უნდა ჰქნას! თუნდ თმებით მათრიოს! სახლიდან თუ გამაგდებს, დედაშენთან წავალ. არ მიმიღებს? მე მინდა შენ დამშვიდებული და გახარებული წახვიდე, სადაც მიდიხარ... გაიგე, რომ მარტო შენი ვარ... მარტო შენი!

გაოგნებული უსმენდა ლევანი ქალის ჩურჩულს.

ხელი მოვაწერთო!

არა, გოგოლა! ვინ იცის, ლევანი ცოცხალი დაბრუნდება თუ არა. მაშ ამ თავდადებულ ქალს ჭვრივის თალხები

რად გაუმზადოს! ყმაწვილქვეყნებშიც დამოდ რად გაუმწაროს! სიზღვირითაა მხოლოდ იმიტომ, რომ თავის აფორიაქებულ გულს წამალი მოუნახოს?! ეს რა ვეკაცის საქმეა!

ეს გაიფიქრა ლევანმა, გოგოლას კი არაფერი უთხრა, რომ მისი გული არ შეეშფოთებინა.

მლეკარებისაგან თვალზე ცრემლი მოადგა. ქალს თავი გადაუწია და თვალებში ჩახედა.

— შენი ქირიმე, გოგოლა! ეს რაც მითხარი, ჯვარისწერაზე მეტია... ახლა გინდ ცხრა ომს გამოვივლი! შენმა სიტყვებმა ყველა დარდი მომხადა გულიდან! — უთხრა ლევანმა და ათრთოლებული ქალი მკერდზე მიიკრა.

თავი მეხუთე

სადაური ხარ, ძმაო...

იბრძოდა, სანამ შეეძლო, სანამ მეორე თუ მესამე ჭრილობამ თოფი ხელიდან არ გააგდებინა. სანგარში ულონოდ ჩაეშო და გაყუჩდა.

კიდევ კარგი, სანგარი ღრმა იყო, თორემ მტრის ტანკები ზედ ისე წისქვილის ქვასავით ბრუნავდნენ, რომ ყველაფერს ფეჭავდნენ და მიწასთან ასწორებდნენ.

ბრძოლის ხმაური თანდათან მისწყდა. ეტყობა, ტანკების იერიში მოიგერიეს.

თოვდა.

სიჩუმე და მყუდროება მოჰქონდა ამ თოვლს.

დაჭრილი სისხლისაგან იცლებოდა, თვლებში სინათლე აკლდებოდა. ერთხელ მოეჩვენა, თითქოს შორიანლო ვილაკებები ლაპარაკობდნენ. სანიტრები თუ იყვნენ.

დაჭრილმა ღონე მოიკრიბა და კვნესა დაიწყო, იქნებ ჩემი ხმა გაიგონონო... მალე საამისო ძალაც გამოეღო.

მამინ გულის ჯიბიდან პატარა შავი მედალიონი ამოიღო, რომელშიაც ჯარისკაცის გვარი და მისამართი სწერია, და განზე გადაისროლა.

ნაშუადღევს დაჭრილი ჯარისკაცი სანიტარმა ქალმა იპოვნა. მაჯა გაუსინჯა და როდესაც შეატყო, იგი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მათარა პირთან მიუტანა... მოასულიერა. მერე გულის ჯიბეზე ხელი მოუფათურა.

დაჭრილი მოცოცხლდა, ჩამქრალი თვალები ქალს მიაპყრო და... მიხვდა, მედალიონს ეძებდა სანიტარი.

— დამეკარგა, ჩემო კარგო! — წასჩურჩულა მან და თვალი მოარიდა.

ქალმა წყალი კიდევ შეასვა და ფრთხილად ჰკითხა:

— სადაური ხარ, ძმაო? შენი სახელი და გვარი მაინც მითხარი! — დაჭრილმა თავი გააქნია.

— რად გინდა ჩემი სახელი და გვარი? არ მინდა საწყალმა დედაჩემმა ჩემი სიყვდილი გაიგოს...

ქალი შეკრთა, კიდევ უფრო დაიხარა, რომ დაჭრილის ჩურჩული კარგად გაეგონა.

— ასე წელიწადი რომ იცოცხლოს, დე მუდამ იფიქროს, ჩემი ვაჟი ოდესმე მაინც დამიბრუნდებაო! — ამოიხარა და ქალის მკლავზე ულონოდ მიესვენა.

სოფლის ორღობეში ქვიან გზაზე ცარიელი ორთავლა მირახრახებს. კოფოზე თავსაფრიანი დედაკაცი ზის.

ეტყობა, იგი ან ძალიან დაღლილია, ან გულზე რაღაც დარდი შემოსწოლია: მხრები ჩამოუყრია, ხელები კალთაზე უმწეოდ დაუკრფენია... სადავეც ისე დაუგრძელებია, თითქმის მიწაზე ეთრევა.

იგი ყურადღებას არ აქცევს, რომ ნებაზე მოშვებული ცხენი გზადაგზა დგება და ღობის ძირებში ამოყრდ ბლახს შეექცევა. ქალს თითქოს არსად არ მიეჩქარება.

ასე გალია მან გრძელი ორღობე და ნაციხართან გაუხვია, რომ უეცრად ქალს ხელი წაეღო და წამოიწია...

ვერხვის წყაროსთან კოჭლი შაქრო გამოჩნდა—სოფლის ფოსტალიონი. მობოდა შაქრო და მოკლე ფეხს მიწაზე ისე მაგრა ურტყამდა, რომ კაცი წელს-ქვემოდ მტვერში იყო გახვეული.

ოცდაშვიდი წელიწადი შეუსრულდა შაქროს, რაც იგი კალოთუბანში ფოსტალიონად მუშაობდა. ამ ხნის განმავლობაში ნელა სიარულს თანდათან გადაეჩვია და ახლა ისე თავქედმოგლეჯილი დარბობდა შირაქის მტერიან გზებზე, თითქოს მოსაკლავად დასდევდნო.

მისი ცოლი ამბობდა, სახლში რომ შემოევა, გული მიკანკალბს: არ ვიცი, რას წამოედება და წააქცევსო.

ფოსტალიონის დანახვაზე თავსაფრიან ქალს სახეზე აღმურმა გადაურბინა და მხოლოდ ახლა შეეტყო, რომ იგი არც ისე ხნიერი იყო, როგორც წელან სჩანდა.

ცხენს წიქებლა გადაჰკრა და ფოსტალიონს გამოუდგა.

მანუჩარ უგრეხელიძის ცოლმა ის-ის იყო თონიდან შებრაწული შოთები ამოყარა, რომ ჭინკარს ფოსტალიონი მოადგა. მაგდანმა კინკოტი იქვე მიადლო და მისკენ გაექანა.

ქომეზმა სარბილი დაუშალა. შეა-

გზაზე დაჰყარა და ფოსტალიონს ფეშისშველი მიეგება.

— არ გაიცედე, ძალუა მაგდან! — გაუღმა შაქრომ და წერილი გაუწოდა.

— შენ რომ ჩემს ეზოს მოადგები, შაქრო, იმ დღეს მკვდარი რომ ვიყო, მაინც გავცოცხლებდი.

მერე მარნიდან ხელადა გამოიტანა.

— დაიე, მუხლში ძალა მოგეცემა. რაც ეს ომი დაიწყო, შენისთანა მადლიანი ხელობის კაცი მეორე არ დადის ჩვენს სოფელში!

— იცოცხლე ძალუა მაგდან!

ზემოდან ცხენის თქარა-თქური მოისმა. შაქრომ მოიხედა და ორთავლა რომ დაინახა, ხელადა იქვე დადგა და ღობეს მოეფარა. ეტყობა, არ უნდოდა თავსაფრიან ქალთან შეხვედრა.

— რა მოგელანდა, კაცი! — მიამახა მაგდანმა ღობე-ღობე მიმავალ ფოსტალიონს; შაქრომ ნაბიჯს უფრო მოუჩქარა და მალე ორღობეში მიიშალა.

გაოცებულმა მაგდანმა გზას გაჰხედა, ის ქალი იცნო და წერილი სწრაფად უბეში დამალა.

თავსაფრიანმა ქალმა ცხენი შეაყენა. იგი მიხვდა, რატომ დაემალა ფოსტალიონი და სახე ისევ ჩაუჭრა, ჩაეფერფლა...

ღრმად ამოიოხრა და ცხენი ნელა უქანვე მიაბრუნა.

კალოთუბანში ვინ არ იცოდა, რომ ანუკა ნადიბაიძეს შვილის წერილი დაუგვიანდა.

— რა უიღბლო კაცი ვარ! ერთი ვერ გავახარე შვილის წერილით! — სწუხდა შაქრო და ანუკას ემალეობდა, არ შეძლო მისთვის თვალბეში შეეხედნა.

მეზობლებიც თანაუგრძნობდნენ ნადიბაიძეებს და როდესაც ფრონტიდან წერილს მიიღებდნენ, იმ წერილს ანუკას დასანახავად არ წაიკითხავდნენ.

ნადიბაიძეები აღრე ჩამოსახლდნენ შირაქში.

ვაეა-ფშაველას ჯერ კიდევ პირველი მეკომურები არ ჩამოეყვანა მთიდან,

როდესაც ზაქარიას მამამ კალოთუბანში მიწური ამოთხარა და ცხოვრება დაიწყო.

პირველი ხეც შირაქში ნადიბაიძეებმა დარგეს. ბოდბიდან ჩამოტანილი ბაყილო ახლანდელი უკვე ტოტეგაბარდნილი კაკლის ხე იყო.

საბჭოთა ხელისუფლებამდე თითქმის მთელი სოფელი მიწურებში ცხოვრობდა და მხოლოდ მიწიდან ამოსული კვამლი თუ ანიშნებდა გზად მიმავალ ადამიანს, რომ აქ კაკის მოდგმა ბინადრობდა.

ზაქარია ნადიბაიძე ახლა კარგა შეძლებული ოჯახიშვილი იყო. „პატარა პლის მეტი აღარაფერი გვინდაო!“ იტყოდნენ ხოლმე მოხუცი მშობლები და უფროს ვაჟს ეხვეწებოდნენ, შვილიშვილს მოგვასწარიო... მაგრამ დაიწყო ომი და ტრაქტორისტი ლევან ნადიბაიძე ოჯახს გამოეთხოვა.

გიორგი ზამთარ-ზაფხულ ცხვარში იყო, ხან შირვანში და ხან კიდეც თრიალეთის საძოვრებზე. იგი საუკეთესო მცნობად ითვლებოდა.

...იერის ფშანებში ხობებში ყოფნენ, როდესაც პირველი ფარა ბინას მიადგა. მწყემსმა ფარეხი გახსნა და მოშეებული ბატენები დედა-ცხვრებს დაერჩინენ.

აგერ თოვლის გუნდასავე თეთრი და მრგვალი ბატკანი გატენილ ცურს მივიარდა, მაგრამ ცხვარმა გვერდი გაკკრა და ცური პირიდან გამოაცალა. არც მეორემ მოაწოვა, არც მესამემ...

დედა-ცხვრები მოუთმენლად ბღაიანს, საკუთარ შვილებს ეძებენ და ვეღარ პოულობენ, რადგან ორი ათასი ცხვარი და ბატკანი, როგორც მორევი, დულს და ბრუნავს ერთმანეთში.

უცხო ბატკანს კი დედა-ცხვარი ძუძუს არ მოაწოვებს.

შვილის ცნობა დედას მეტადრე მამის უქირს, თუ ბატკანი წვიმაში დასველდა, გაარეცხა და სუნი დაჰკარგა.

ბატკნებს შიმშილი მოჰკლავს, ან თვითონ ფარა გასთელავს, რომ ბინაში მათი გაქირვების ტალკესი — მწყემსმცნობი არ იყოს.

დამკლავებული შევარდებოდა გიორგი აბღაველებულ ფარაში და სანამ ბინ-

დი გახშირდებოდა, ყოველ ბატკანს თავის დედას მოუძებნიდა. ვინც უნდა რა საოცარი თვალი უნდა ჰქონდეს მცნობს, რომ ამოდენა ფარაში, ასე ხელდახელ და ასე შეუცდომლად ათას დედას ათასი შვილი მიჰგვაროს!

ზაქარია ნადიბაიძე ამბობდა, მცნობად იბადებიანო, და მართლაც, როგორც მომღერალს თანდაყოლილი სმენა უნდა, ისე მცნობსაც თანდაყოლილი გემი უნდა ჰქონდეს.

რომელიღაც შეუმჩნეველი ხალი იქნება თუ თვალის უცნაური გამოკრთომა, მატყლის რომელიმე ბეწვი თუ ხმაში დაკარგული ძაფი — მცნობარს ყველაფერმა უნდა ანიშნოს დედა-შვილის გამოცნობის საიდუმლო.

მწყემსის მძიმე შრომას ბევრი დრო მიჰქონდა, გიორგი წელიწადში ერთხელ თუ ჩამოაკითხავდა სოფელს, ისიც რამდენიმე დღით.

მარტოდ დარჩენილი მშობლები ლევანის ტრაქტორზე მუშაობდნენ. თედო ხელაშვილის გული არ ანებებდა, ავადმყოფი ანუკა მინდორში სამუშაოდ გაეშვა, მაგრამ ლევანის დედამ იუკადრისა დღეცურად შინ ჯდომა. „ჩემი ბიჭის ტრაქტორი სასხვისოდ არ მემეტებო!“

მათ მანქანას მთელი შირაქი იცნობდა. მარჯვენა ფრთაზე ლამაზად გამოკრილი ფიცარი ეკიდა და ზედ წარწერა ჰქონდა: ლევან ნადიბაიძის ტრაქტორი.

მზემ კარგა შემოიმაღლა, როდესაც ანუკამ მინდორში საწვავი ჩაიტანა, ცხენი გამოხსნა და მიმინოს ხეცს მიამურა, სადაც ზაქარია ნაწვერალს ხნავდა.

ისევ ისე მხრებჩამოყრილი მიჰყვებოდა ხნულის პირს ანუკა ნადიბაიძე: ისევ ის სურათი აფორიაქებდა მის გულს... წვიმიანი ღამე იყო. ძილგატეხილ ანუკას აიენის სვეტზე შუბლი მიეყრდნო და ორლობეში მიმავალ ახალგაზრდებს გასცქეროდა. ესმოდა მათი მხნე სიმღერა და იმ ხმებში ერთ საყვარელ ხმას ეძებდა დედის გული. მისი სიყრმის შვილი ომში მიდიოდა.



— დედავ, თუ გიყვარვარ, არ გამაცი-
ლო! — შეეხვეწა იმ საღამოს ლევანი,
მერე ჩუმად გადაეხვია და წავიდა;

მალე მისი წერილებიც შესწუდა, და
აჰა, აგერ წელიწადი თავდება, ლევანის
აღარადფერი ისმის.

ანუკამ ხევთან გაუხვია და ორთქლიან
ხნულში მათი პატარა ტრაქტორიც გა-
მოჩნდა.

ქალი ძალისძალად წელში გაიმართა
და ნახიჯს მოუჩქარა, — არ უნდოდა
ზაქარიას მისი მწუხარება შეემჩნია.

დაბრუნება და შინ მოსვლა
ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო!

აღერძიანად მიუძღვრა მოხუცმა
ხნულში შემოსულ ანუკას და ტრაქტო-
რიდან ყოჩაღად გადმოხტა.

— რა გახტუნებს, ბერიცაო! აქაო
და შვილის ტრაქტორზე ვზივარო, და-
სანიშნი ბიჭი ხომ არა გგონია შენი
თავი?

— როგორიც ხარ ქარხანაო, ისეთი
გყავს თარხანაო! — გაეხუმრა ზაქარია.

— მაგასაც ახლავე ვნახავთ! — ანუ-
კამ ტრაქტორიდან დაჭდეული ჯოხი
გადმოიღო და რამდენიმე ადგილას
ხნულის სიღრმე გაზომა.

— აქ მობრძანდი, ვაებატონო! ასე
ხნავდა ჩვენი ლევანი? ამიტომ ჩამოვეი-
დეთ ტრაქტორზე მისი სახელი, რომ
სოფელში თავი მოვკრათ?

— რა იყო, ქალო, რა ცეცხლი მოგე-
კიდა!

— ოთხი თითის დადება აკლია, შენ
დაგაკლდა ოთხი დღის სიცოცხლე!

— ანუკას და ზაქარიას გაუმარჯოს!
რა განხუბებთ, ბებრებო! — კარავთან
კოლია დუბოვი იდგა.

ბრიგადირის დანახვანზე ზაქარიას
გული მიეცა.

— რა ვიცი, კაცო! ხელში არსენას
არშინი დაუჭერია და ჩამცივებია, ნახნა-
ვი არ გივარგაო! შოდი, თუ ძმა ხარ,
შენ გაგვასამართლე.

დუბოვმა ჩაიციხა, ანუკას ჯოხი გა-
მოართვა და ხნული გაზომა.

— ბებერი ხარისა რქანიც ეწევიანო.
მეტი რაღა გინდათ, თქვე დალოცვი-

ლებო! ნახევარი წელიწადია, ტრაქტორი
ისწავლეთ და ქვესკენლს ხომ იყენებ
აბრუნებთ!

ზაქარიამ უღვაშებზე ხელი გადაისვა
და ანუკას თავმომწონედ გადახედა.

— ძველი ძმაცკები ხართ. მოუდგქით
ერთმანეთს! — ქალმა კაბა შემოიკვალთა
და ტრაქტორზე ავიდა.

გუთნის პირი რბილად შეეკურდა მი-
წაში.

— დედა მყავსო, ლევანმა უნდა დაი-
კვებოს! — ჩაილაპარაკა დუბოვმა.

ზაქარიამ კარვიდან პატარა ტაბლა და
კალათი გამოიტანა.

— დაჯექი, კოლია, გაუნაწილდეთ.

— შეჩქარება, კაცო.

— მამ ბიჭი დამილოცე, მადლიანი
კაცი ხარ! — უთხრა ზაქარიამ და კალა-
თიდან ხელადა ამოიღო.

დუბოვმა ხელადა ჩამოართვა და
სთქვა:

— ლევანს გაუმარჯოს! ცეცხლში
იყოს, ცეცხლი ჩაქრობოდეს. წყალში
იყოს, წყალი დაშრობოდეს. გზაში იყოს,
გზა დალეოდეს. შინ მშვიდობით დაგიბ-
რუნდეს!

ხელადა მოიყუდა.

უჭირდა მოხუც ცოლქმარს ტრაქტორ-
ზე მუშაობა. ხანდახან მინდვრიდან ისე
დაღლილები ბრუნდებოდნენ, რომ ანუ-
კას ცეცხლის დანთება ეზარებოდა. მო-
ხუცები ხშირად ხმელა პურზე და ნიორ-
წყალზე გადადიოდნენ.

სახლკარიც მოუვლელი ჰქონდათ. სა-
ლამოხანს, როდესაც მენახირე საქონელს
მორეკავდა, ანუკას ძროხას კომპარის გამ-
ლებიც არავინ ჰყავდა.

ასე მიდიოდნენ დღეები, მაგრამ ერთ-
ხელ მინდვრიდან დაბრუნებულ ანუკას
ძროხა მოწველილი დახვდა, ბუხარშიც
ცეცხლი ენთო, კოკაშიც წყაროს წყალი
იდგა...

მეორე-მესამე დღესაც ეს ამბავი გან-
მეორდა.

— ეს რა კეთილი სული შემოგვეჩვია,
კაცო! ხელავე? — ანუკამ გაწყობილი
სუფრა შეათვალღერა.

ვილაცას მზრუნველ ხელს მწვენილი მოეტანა, კიტრი და პამიდორი დაეთალა და ზედ წიწყა მოებნია.

ზაქარია ამბყად წელში გაიმართა.

— კარგი შვილების დედ-მამას კეთილი მეზობელი არ დაეღვევა, ჩემო ანუკა! შეილის ხსენებაზე ანუკა ისევ ჩაიფერფლა.

— ერთი მოიცალე, კაცო და ზემოქედში გადადი. ლეკაანთ ალექსი ჩამოსულა. იქნებ ლევანის რამე ამბავი იცის!

— ხვალ უეჭველად წავალ.

— უთხარი, მალე წელიწადი იქნება, წერილი არ მოსულა-თქო!

— დაწყენარდი, ანუკა! რუსეთი დიდია! წერილი სადმე გზაში იქნება.

წერილი

დარდსა და ლოდინში მიიწურა ზაფხული. ლევანისაგან ისევ არაფერი ისმოდა. ანუკა მაინც ჯავრს არ უტყდებოდა.

კაცი ვერ შეატყობდა, რომ გული ერთ ძაფზე ეკიდა. მხოლოდ ათასში ერთხელ, როდესაც ჩუმი ცრემლები თვალებს დასწვავდა, ეზოში ბედელს ამოეფარებოდა და ტირილით გულს იოხებდა.

დარდმომზობილი ქალი მერე ისევ წელში გაიმართებოდა და თავის საქმეს უფრო მხნედ მოეკიდებოდა.

დარდი მაინც თავისას აკეთებდა. ერთხელ ზაქარიამ თვალი შეასწრო ასეთ სურათს: ანუკა ყაშების თავზე ფერღობს ხანადა, როდესაც ფოსტალიონმა ჩამოიარა. ანუკამ ტრაქტორი შეაყენა და ისე მიანგრდა ფოსტალიონს, რომ ზაქარიას ტანზე ბეწვი აეშალა.

კალოობა იყო. მთელი სოფელი მინდვრად იყო გასული და შაქროც წერილებს პირდაპირ კალოებზე არიგებდა, რომ ხალხის გული გაეხარებინა.

ტრაქტორზე შემდგარი ანუკა დიდხანს ვასტკეროდა მინდორზე მიმავალ შაქროს, იქნებ ჩემსკენ გადმოუხვიოსო, მაგრამ არა, ფოსტალიონმა უარის ნიშნად ხელი გაიქნია და სწრაფად ჩაუბრა.

სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო. გარედან ჰოტის კვილი მომსხმუნდა.

— რა დროს დაგვევლა, შეჩვენებულმა! — წაიჩურჩულა ანუკამ და ზაქარიას გადახედა.

ზაქარია მაშინვე წამოდგა, კედლიდან თოფი ჩამოიღო და ეზოში გავიდა.

ბნელოდა. მოხუცმა კარგახანს უტრიალა კაკლის ხეს, მაგრამ იქიდან ჩქამი არ ისმოდა.

„უ შე ტიალო!“ წაიდუღუნა მოხუცმა და თოფი ანდუნედ დასცალა.

მოისმა ფრთების ძლიერი ფართქენი. ბნელ ცაზე შავი ვეება ფრინველი აილანდა.

ანუკამ ისევ განაგრძო მეშაობა, მაგრამ ახლა, ეტყობოდა, გული და თვალი სხვაგან ჰქონდა.

— დედაკაცო, ე რა კვიცივით დაახტუნებ ტრაქტორსა! — მანქანას წინ გადაუდგა ზაქარია.

ანუკამ მოიხედა და მხოლოდ ახლა დაინახა, გუთანი ველზე გაქცეულიყო და კვალი განზე წაეღო.

ანუკამ ქმარს შეხედა და ძალისძალიად გაუღიმა, თუმცა ღიმილი იმას როგორ დამალავდა, რასაც გული ვერ მალავდა.

მაშინლა მიხედა ზაქარია, რა ძვირად უჯდებოდა საწყალ ქალს დარდთან ჰიდილი. ტრაქტორს თავი გაანებებინა, მაგრამ ანუკა შინ მაინც ვეღარა დგებოდა. ტრაქტორისტებს სადილ-ვახშამს უკეთებდა, ხან კიდევ ურემს დაუჯდებოდა და ალაზნიდან წყალს ამოიტანდა.

ის კეთილი სული კი ისევ ტრიალებდა ანუკას გამოკეტილ ოჯახში და მოხუც ქალს შრომას უმსუბუქებდა.

ანუკამ კარგახანს ვერ გაიგო, ვინ იყო იგი. მხოლოდ ერთხელ, როდესაც კალოთუბნელი ქალები წინდებსა და ხელთათმანებს ქსოვდნენ ფრონტზე გასაგზავნად, ანუკამ საჩხუბო პატარა ბოღნი იპოვნა, ვილაცას ტახტზე დაეტოვებინა.

ბოლნაში თბილი წინდები და ხელთათმანები აღმოჩნდა. ხელთათმანებზე ორად-ორი ასო იყო ამოქსოვილი: ლ. ნ.

როგორ გაუხარდა ანუკას ამ ორი ასოს დანახვა! გაუხარდა, რომ მისი ლევანი სხვასაც ახსოვდა სოფელში, შეიძლება კიდევ უყვარდა...

ბოლნა გასინჯა, იქნებ მისი მომტანის რაიმე ნიშანი ეპოვნა.

უეცრად ხელთათმანიდან პატარა ფოტოსურათი წამოცურდა.

ანუკამ დახედა... გოგოლა! უგრეხელიძის ქალი! ერთხანს წარბშეკრული დასცქეროდა ამ სურათს, მერე თავშალი მოიხურა და ეზოდან გადავიდა.

სახეზე ალმა გაჰკრა გოგოლას, ღობესთან ლევანის დედა რომ დაინახა. შუა ეზოში დადგა და ვერც წინ წავიდა, ვეღარც მობრუნდა.

— მოდი, შვილო, რისი გრცხვენია! — ხმა მიაშველა ანუკამ.

— მობრძანდით, — ძლივს ამოიღგა ენა გოგოლამ. ღობესთან თავდახრილი მივიდა.

ანუკამ ნიკაბი აუწია, თვალებში ჩახედა.

— გიყვარს ჩემი ლევანი?

გოგოლას არ ეგონა, რომ ამ პირქუს, ამპარტავან ქალს ასეთი აღერსიანი ხმა ექნებოდა. თავი დაუქნია... და უეცრად ცრემლი წასკდა.

— წერილი კიდევ არ მიგიღიათ?

— არა, შვილო, არ მიგიღია. ნუ სტირი! — ანუკამ ყმაწვილ ქალს ხელი მოხვია და სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, ზაქარიას სიტყვებითვე ანუგეშა: — რუსეთი დიდია... წერილი სადმე გზაში იქნება!

კაცმა ჭირი მალაო, ჭირმა თავი არ დამალაო! მალე დაეტყო ანუკას უძილო ღამეების კვალი. აქამდე ტრაქტორის მაინც აყოლებდა გულს, ახლა საამისოდაც აღარ ვარგოდა.

მხოლოდ ხანდახან გოგოლას თუ დაუძახებდა, გვერდით მოისვამდა და დიდხანს ეჩუქრულებოდა, ლევანის პავშობას იგონებდა.

პატარა ლევანი მეტისმეტად ცვალებად იყო თურმე. აგერ ახლა ქუჩაში მარტო გაეიდოდა დაბანის-დავარცხნილი და სუფთად ჩაცმული, მეორე წუთში კაცი ვერ იცნობდა, შინ ისე გაწეწილი შემოიპარებოდა.

საოცარი იყო, ასე ერთბაშად ყველათურს როგორ მოასწრებდა: კიდევ იჩხუბებდა, კიდევ იბანავებდა, ალუნის ხიდანაც ჩამოვარდებოდა, მინდორში აგრონომის ცხენს დუშაყს მოხსნიდა და მლაშე ტბისაკენ გააჰყენებდა.

ჯერ ეზოდან გადასული არავის ეგონა, რომ შუბლზე უკვე კვერცხისოდენა კობი ჰქონდა და ხალათზე ნახევარი სახელო აკლდა. იყო მერე ეზოში ლევანის სირბილი და ვაი-ღუდას ძახილი. ანუკა კარგა მიტყეპავდა, მერე ხელპირს დაბანდა და ხალათს გაუკრავდა.

ასე მიდიოდნენ წლები და თითქოს არაფერი იცვლებოდა დედა-შვილის ცხოვრებაში.

მხოლოდ ერთხელ (ლევანი მაშინ თორმეტი წლისა იქნებოდა) როდესაც დედამ ნაცელქარ შვილს ხელის შემოკვრა დაუპირა, ლევანი არ გაიქცა, წარბიც არ შეჰხარა. მხოლოდ გაწითლდა და დედას მაჯა დაუქირა, ხელი არ შემოაკვრევინა...

ანუკა პირველად გაჯავრდა, მაგრამ ბიჭს ანთებულ თვალებში რომ ჩახედა, მაშინვე გატრიალდა და მეორე ოთახში გავიდა.

„იმ დღეს პირველად დავინახეთ“, უამბობდა ანუკა სმენადქცეულ გოგოლას, „რომ ჩემი ლევანი უკვე პატარა აღარ იყოო!“

წავიდოდა გოგოლა... მალე სოფელიც დაიძინებდა, ძილგატეხილი დედა კი ისევ ათვანზე იჯდა და ბნელ ღამეს გასცქეროდა.

— იმ ბიჭს შეიძლება იქ ისეთი არაფერი უქირს, ეს კი აქ ღამის გათავდესო! — ფიქრობდა „ზაქარია და გული უკვდებოდა, ზეზეურად ჩამომდნარ ანუკას რომ ხედავდა.

ამ დღეში იყო მოხუცი, რომ ერთხელ

რალაც აზრმა თვალები გაუბრწყინა და მთელი ღამე არ მოასვენა.

ჯერ კიდევ დილა-ბნელი იყო, — წამოდგა და პირიც არ დაუბანია, სოფლის ფოსტალიონს ლოგინში მიუსწრო.

გალეძია, ეზოში გამოიხიმო და შეეხეწა, თუ ძმა ხარ, ერთი წერილი დამიწერეთ.

— შენ თვითონ წერა დაგვიწყდა, ზაქარია! — გაოცდა ფოსტალიონი.

— ჩემს ხელს იცნობს!

— ვის ემალები, კაცო?

— ანუკას.

— ანუკას?!

— ჰო, ნუ ყვირი. ყური დამიგდევითომ ლევანი იწერება... მაშ რა მქნა, შაქრო! ხომ ხედავ, დედაკაცი რა დღეშია!

შაქრო პირველად შეყოყმანდა, თითქოს მოხუცი ნადიბაიძე უსაქციელო რასმე ავალებდა, მაგრამ ზაქარიას მუდარას უარი ვეღარ უთხრა.

ოთახში შევიდნენ და სანთელი აანთეს.

— დღესვე მიუტანე. მხოლოდ იცოდე, ისე კი არ დაგეშართოს, გულმა გულს სიტყვა უთხრა და ენამ ორივე გასცაო! — უთხრა ზაქარიამ.

— განა ბალღი ვარ, კაცო! — შაქრომ გაფრთხილება იუყადრისა. წერილი დაწერეს და ისე სამკუთხივ დაჰკეცეს, როგორც ჯარისკაცებმა იციან.

სალამოს მინდვრიდან ადრე წამოვიდა ზაქარია. მოწყენილი მილასლასებდა სახლისაკენ, რომ უეცრად ბოგირთან მაგრად გამობრუქულ ფოსტალიონს შეეფეთა.

შაქრო შუაგზაზე გამოტილიყო, თავი უღონოდ ჩაექინდრა და ცხვირთან მიტანილ კონვერტს დასჩერებოდა.

თვალ ისე ანოოდა და თვითონაც ისე ქანაობდა, რომ ასოებს ვეღარ არჩევდა.

ზაქარია მიხვდა, საიდან მოდიოდა იგი. მწარედ გაელიმა და შაქროს გვერდი აუქცია.

სახლს რომ მიუახლოვდა, ერთი მთერალი კიდევ დაინახა. ბრიგადირი კოლია დუმოვი ლეინოში ისე დამბა-

ლიყო, ცხენზე შეჯდომა ვერ მოეხერხებინა. უხანგი ფეხთან ხელსაწყოებს და, ფეხს მიინც აცილებდა.

ზაქარიას არც მასთან შეხვედრა უნდოდა, მაგრამ დუმოვმა თვალი შეასწრო მოხუცს, უხანგს ხელი გაუშვა და ზაქარიას წინ გადაუდგა... გადახვია, გადაკოცნა.

— მომილოცნია, ძმაო, მომილოცნია! ვითომ ჩემი ძმის წერილი მიმეღოს, ისე გამიხარდა მე და ჩემმა ღმერთმა! შენმა ოჯახობამ გზაზე გამვლელო არავინ გაუშვა... ყველა ისე დაგვათრო... აი, ხომ ხედავ, ცხენზე ვეღარ აესულვარ...

დუმოვი კიდევ რაღაცას ლულულულებდა, მაგრამ ზაქარიამ ყური არ დაუგდო. სწრაფად გაეცალა და ორღობეში შეუხვია.

სუფრას მხოლოდ ანუკა და გოგოლა უსხდნენ.

— რას მოგიღხენია, დედაკაცო! ეს რა სუფრა გაგიშლია? — ზამაღლა იკითხა ზაქარიამ და სტუმარს გადახედა.

— წერილი, ზაქრო, წერილი მოვიდა! მისი ჰირიმიე! — წამოფრინდა ანუკა და უბიდან სამკუთხა ბარათი ამოიღო.

— წერილიო! რას ამბობ! — შესძახა ზაქარიამ და უმაღლე იგრძნო, ამ შეძახილს სიხარული არ ამოჰყოლია. მაგრამ ანუკა თვითონ ისე იყო გახარებული, ქმრის სიტყვების ასაწონად აღარ ეცალა.

— დაჯექი! ისინი ხომ დავათვრი! ვერც შენ გადამირჩები...

ზაქარიამ ხელი დაიბანა და სუფრას მიუჯდა. უეცრად გაახსენდა, ჯერ წერილი უნდა წაეკითხა, რომ ანუკას ექვი არ აეღო. წერილი გამოართვა და კითხვა დაიწყო.

ანუკამ ჯამი შეავსო.

— იცოცხლე, გოგოლაე! ჩემი ლევანი პირზე კოცნას გითვლის... ერთი თქვენი შვილი კალთაში ჩამიგორა და მერე თქვენი ჰირის სანაცვლო ვიყო!

დაცლილი ჯამი პირქვე გადმოაბრუნა.

— ასე დაეცალის მტერი ჩემს ლევანს!

კედლიდან ჩონგური ჩამოიღო და გოგოლას კალთაში ჩაუღო.

— მოდი ერთი, გოგო, ჩემი ქალიშვილობა გამახსენე! — ანუკამ ქოშები წაჰყარა და ზაქარიას ჩამოუქროლა.

ყველაფერს გაუძღებდა ზაქარია, მხოლოდ ახლა ცეკვას კი არა...

— ლუკმა შემარგე, ადამიანო! მშვიერ გულზე რა მეცეკვება!

— უ, უ, შე მართლა ბებერო! — დაჰკეცლა ანუკამ და სკამიდან წამოაგდო. მასაც რა გზა ჰქონდა! უნდა გაჰყოლოდა, თორემ თავის თავს ვასცემდა.

მეკლავები გამალა...

ლულუნებდა ჩონგური, მღეროდა გოგოლა და ამ თვაწყვეტილ სიხარულში ანუკა ვერ ამჩნევდა, რომ ზაქარიას თვალზე ერთი მდუღარე კურცხალი ბზინავდა.

სტუმრები დაიშალნენ თუ არა, ზაქარია აივანზე წამოწვა, ნაბადი წაიხურა და მაშინვე თავი მოიმიძინარა. იქნებ ახლა მაინც მოისვენოს ანუკამ, მარტო რომ დარჩება და მოსაუბრე აღარ ეყოლება.

აღარ შეუძლია ზაქარიას მესადე მოუსმინოს იმ წერილს და ცოლთან ერთად იცინოს და იმხიარულოს. არ შეუძლია, ტაში დაჰკრას, როცა გულს ტირილი უნდა.

მაგრამ არა, იგი ვერც ახლა დამალა ანუკას სიხარულს. აგერ ოთახიდან იატაკის პრაქუნე მოისმა. ანუკა ბუხრის თავზე რაღაცას ეძებს. გაიჩხაკუნა ასანთმა...

ანუკას სანთელი აუნთია, საწოლზე წამომჯდარა და ისევ იმ სტრიქონებს დასჩერებია, ისევ იმ წერილს ეფერება დედის გაუმადარი გული.

როგორ უცინის თვალები, შუბლი,

ლოყებზე შეყრილი ნოქები... როგორ უცინის ცრემლი, სახეზე დაკაწოლით რომ ჩამოსდის.

„საყვარელო დედავ! ვიცი ძალიან გენატრება ჩემი ნახვა“... ჩურჩულებს იგი და ცრემლს ვერ იმაგრებს, ან რად უნდა შეიმაგროს! იმ ცრემლს მისი დარდი და ვარაში მიაქვს...

ზაქარია წამოდგა. ეს წერილი უკვე საწამლადად გადაეჭვა მას.

ჩექმებს ხელი დაავლო და კიბეზე ფეხშიშველი ჩავიდა. სახლიდან ისე გაიპარა, ანუკას არც გაუგია.

გვიანი მთვარე კავკასიონის თოვლიან მწვერვალებს დასდგომოდა. ბრწყინვდნენ, კრიალებდნენ მწვერვალები და ისე ახლოს სჩანდნენ, თითქოს ეს მთები ალაზანს გაღმა გამოსულანო.

თეთრად ქათქათებდა შირაქის ველი. დღესავეთ ღამე იყო. ზაქარიას ტრაქტორის შუქით არ აღნთია. მინდორი დაიკვალა და ხენა დაიწყო.

განვლილი ამბავი თვალწინ უტრიალებდა. ეს რა ცეცხლში ჩავარდა ზაქარია! აქამდე მოხუცები ერთმანეთის ნუგეშითა ცოცხლობდნენ. ახლა კი იმ წერილმა მანუგეშებელი სიტყვა დაუკარგა ზაქარიას. დღეიდან მან ერთმა უნდა ზიდოს ის გაუნელებელი დარდი.

კარგად რომ გათენდა, ანუკაც გამოჩნდა. ისე გაღალბებული მოდიოდა. თითქოს წუხელს აქეთ წლები განახევრებიაო.

შორიდანვე შეეხმაურა ზაქარიას.

— შე საწყალო, სიხარულმა ისე გადაგრია, რომ ახლა ღამითაც დაიწყე მუშაობა?! მე კი ჯავრი არ მაძინებდა ამდენხანს!

— არც ბევრი ჯავრი ვარგა, ჩემო ანუკა, და არც ბევრი სიხარული! — მიუგო ზაქარიამ.

— წადი, დაისვენე. დღეს მე ვიციოდე და ჩემმა ქალობამ! — ანუკამ კაბის კალთა აიკეცა და ტრაქტორზე ავიდა.

ავიდა კი არა — აფრინდა.

ანა კალანდია



ღრუბლები

მათ გადაიარეს ცა პირამიდების,
ხეთა და მიდია...
ზღაპრული ურარტუ, ქართული მინდვრები,
კვლავ საით მიდიან?
რამდენი მწვერვალი გადავლეს უკლებლივ,
კვლავ ფეხქვეშ რაოდენ მწვერვალებს ითვლიან
ღრუბლები... კვლავ საით მიდიან ღრუბლები?
რა ვიცი... მიდიან...

ზელაზნის ტყეებზე ციმციმებს ვენერა,
ციმციმებს ვენერა
ლურჯ სხივთა მფენელად, ნაზ სხივთა მფენელად,
მკრთალ სხივთა მფენელად...
რამდენი ხმებია, როგორი მუსიკა,
რა უცნაური!..
გაგჩერდეთ, გავჩუმდეთ და ფეხქვეშ შეწყდება
ფოთლების ხმაური...
და ყური დავუგდოთ ამ ძლიერ მუსიკას
ცისა და მიწის,
ქვეყანას რომ თავზე ევლება...
რა მოაქვს ჩემთვის, რა მოაქვს შენთვის
ვენერას ციმციმს?
— ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა !

ნუშის ხე მორჩილი ტანის,
ფაქიზად გაზრდილი მღვიმეს,
როგორც ეს სარკინეს მთაა,
ცივი ეგონება ვინმეს...
გინახავთ, ვით ხედება იგი
სხალტბიდან ვადმოჭრილ ქარებს?
ო, ყოვლად ძლიერო ქარო,
თუ გიყვარს, უთხარი ბარემ!

ნავსადგურში

მთვარე და მთვარის ზოლი,
 მთვარე და გლიცინია...
 ცაში ვარსკვლავი ორი...
 ნეტავ რას მიცინიან?
 მთვარე და მთვარის ზოლი,
 მთვარე და გლიცინია...
 გემი პორტიდან მიდის,
 რეიდზე დგება ზოგია...

წყალში შექრილი ხიდი...
 გადმოსროლილი თოკი...
 გემთა ლეზები მძიმედ,
 ზღვაში ღრმად იძირვიან...
 ცაში ვარსკვლავი ორი...
 ნეტავ რას მიცინიან?
 მთვარე და მთვარის ზოლი,
 მთვარე და გლიცინია...

• • •

ლუშასპე და რიცა,
 ტბებზე ძეწნის ზილფი...
 ბზიფი, ბზიფი, ბზიფი...
 ლურჯი ავადპარა...
 მთვარე, მთვარე, მთვარე...
 მოხვალ? ალბათ, არა!
 ბზიფი, ბზიფი, ბზიფი,

ლურჯი ავადპარა...
 პალმის ჩუმი ტოტი
 ზღვისკენ დაიხარა...
 მთვარე, მთვარე, მთვარე
 და ზღვამ გაიხარა...
 მოიშორე ნისლი,
 ჩემო ავადპარა!

წყლის ზამბახი

ნუ შეგაშინებს სიჩუმე ღამის,
 ახლა მე გავშლი ჩემს ღამაზე ყვავილს
 და შევეუერთებ წყლის უხმო ლივლივს...
 ვადაფრინდება წყალზე ღამურა...
 ო, ეს ლურწამიცი როგორ ხმაურობს,
 როგორ ირხვევა ბანანის ჩრდილი...

იქ, ზღვის ნაპირას, თოვლია მთებზე
 და ტალღებს ჩუმად მიჰყვება თევზი...
 ყოველი ფიქრებს მოუცავს თავისს...
 როცა აანთებს ტალღებს ავრორა,
 ზღვის წიაღიდან მზე რომ ამოვა,
 მიესალმება ჩემს ღამაზე ყვავილს...

• • •

— თქვი, არჯაკელო მხვიარა,
 ქსანზე ვინ ჩამოიარა?
 — რაკი, ღრუბლებზე ვფიქრობდი
 და არა გამიგია რა...
 — მეც... სხვათაშორის ვიკითხე,
 სალაპარაკოდ კი არა!

• • •

კლდიდან კლდეებზე, ხევით ხევებზე
 ზღაპრული ქართლის...
 შენც გოლიათი, მზეც გოლიათი,
 კლდეც გოლიათი...
 არა, შენ უფრო ძლიერი ხარ ამ ქვის დევებზე,
 მწვერვალებზე რომ მოიხვეის ღრუბელთა რიდე!..
 ო, ამ კლდეებში... უგზო-უკვალოდ ვიარათ კლდე!



როგორ მინდა შენთან, ჩემო მაგნოლია!

ვით ფოთოლი შენი, მზეზე მოციმციმე,
 ქარებს აჟვლია
 და წასულა შენგან, გაფრენილა შენგან,
 მიწას. დაჰკონვია,
 ისე გული მისი სხვათა, სხვათა, სხვათა
 უტყვი გამგონება...
 არ ვახსოვარ ალბათ, არ ვახსოვარ ალბათ,
 ჩემო მაგნოლია!
 ჩვენ ცხრათვალა მზეთა და მძვინვარე ზღვათა
 ტრფობა გაგვეყვლია...
 მიგვატოვონ მარად მათ, სამხრეთის ქართა,
 რალაც არ მგონია...
 მაგრამ... გული მისი სხვათა, სხვათა, სხვათა
 უტყვი გამგონება...
 შე არ ვიცი, რატომ... არც შენ იცი, რათა,
 ჩემო მაგნოლია?
 ო, ასეთი წუთი, დაუბრუნებელი,
 შენც ხომ არ გჭონია?
 დაბრუნდება ისევ, დაბრუნდება ისევ,
 შენც ხომ არ გგონია?
 მშვენიერი ზღვების, მშვენიერი მთების
 ტრფობა გაგვეყვლია...
 როგორ მინდა შენთან, როგორ მინდა შენთან,
 ჩემო მაგნოლია!

* * *

თოვლი აჰარა-გურის მთების,
 ჩემეულ მთათა...
 მცირე წისქვილი გუბაზოულზე
 ჩემს ეზოს კართან...
 წყავის ფოთოლი, ნამს რომ ფრთხილად ინახავს,
 თრთოლვით...
 თოვლი აჰარა-გურის მთების,
 ნისლი და თოვლი...



იმერეთის სოფელში თუ გიცხოვრიათ, შეამჩნევდით, ალბათ, რომ წინათ ბევრი იქაური ხანში შესული გლეხი გრძელ წვერს ატარებდა. ამით ისინი ჩამოჰგავდნენ ძველთაძველ დროში ქვაზე გამოკვეთილ ასურელებს.

ამგვარი გარეგნობის გლეხები, აქა-იქ ახლაც მოიძებნებიან.

ერთი ასეთი შემორჩენილთაგანია ჩემი ძველი ნაცნობი იორდანე ბუბაშვილი. მე ის ბავშვობიდან მახსოვდა. ჩვეულებრივი მოსახლე, ბევრი არაფრის მქონე, მაგრამ ეთაჰილებოდა სხვაზე ნაკლებობა და თავი მუდამ ისე ეჭირა, თითქოს ბედით კმაყოფილი იყო. მაღალი ყორით შეკრულ ეზოში დაბალი გლეხური სახლი ედგა, ისე საიმედოდ აშენებული, ვითომც საუკუნეებისათვის გადალოცვილი ჰქონდა. ეზოში კიდევ საჩრდილებელი ცაცხვი, ძელური მარანი საწნახელით და ოჩოფეხაზე შედგმული სასიმინდე. თვითონ რომ გამრჯე იყო, შვილებიც შრომას შეჩვეული ჰყავდა. ცისკრიდან დაბინდებამდე საქმიანობით გართული იყვნენ ცოლი, უფროსი ვაჟი და ორი ქალიშვილი, არც თუ ლამაზი, მაგრამ ჯანით სავსე გოგოები.

მეორე ბიჭი, ალექსანდრე, ყველაზე უმცროსი, მამის შეეძინა, როცა აღარავინ ელოდა და, სიმართლე რომ ითქვას, აღარც იორდანეს ძალზე მორეულ ქალბრას შეეფერებოდა. ისე იყო, თითქოს პირდაპირ შვილიშვილი დაბადებოდა. მოულოდნელად გაჩენილ ამ ნაბოლარასაც, ალბათ, ღვთის წყალობად ჩათვლიდა იორდანე, მაგრამ ცოლი მშობიარობას გადაჰყვა და ოჯახი დაობლდა. ერთხანს გულში ხინჯი ჰქონდა ამ ნაბოლარასადმი, მისი შეხედვაც არ სიამოვნებდა, მაგრამ როცა პატარამ აიღვა ფეხი და ტიტინი დაიწყო, გულამოუბრუნდა მისკენ და რაც აქამდე

აღერსი დააკლო. შემდეგ ორკეცად აღუნაზლაურა. მის მზეს იფიცავდა, ენას უწაღებდა და ხშირად, როცა მკერდში ჩაიკრავდა, ალტაცებით წამოიძახებდა:

— ეს ბიჭი ჩამიდგამს სულს, ეს მაეხონებს მე!

წამოიჩილა ნაბოლარა და სკოლაში მისცეს. იმ დღეს, როცა მხარზე ჩანთა გადაკიდებულ პირველად სასწავლებელში გაისტუმრეს, იორდანე გაოგნებულვით დაბორილობდა სახლში და ეზო-გარემოში. ასე გახარებული და ბედნიერი არასოდეს არ ყოფილა თავის სიცოცხლეში. ისე შეიგრძნო ეს ამბავი, თითქოს სასწაული მომხდარიყოს, ხოლო თავისი მომავალი ცხოვრება რაღაც დიდი ნათელი მოსილი წარმოუდგა...

დრომ მოაწია და ზოგი რამ ცვლილებაც მოხდა ბუბაშვილების ოჯახში. უფროს ვაჟს მამამ ქალი უთხოვა და, როგორც კი რძალი შინ შემოიყვანა, ორივე თავისი ქალიშვილი ღირსეულად გააშთითვა და თავიანთ ახალ პატრონს ჩააბარა. რძალი მარჯვე დედაცაი გამოდგა, — ქმრის მოსიყვარულე და მამამთილის პატივისმცემელი, ალექსანდრესადმი ყურადღებინა, კეთილ-მეზობლის გამკითხავი და, ყველა ამ სიკეთესთან ერთად, ერთობ ხალისიანი. ის რომ საღამოს, საქმეს მოლეული, ეზოში გიტარას გამოიტანდა და დაამღერებდა, ადამიანი კი არა, გარემოც გაყუჩებული და დამტყბარი უსმენდა.

იღბლიან კაცად თვლიდა იორდანე თავის თავს და, ბედის მადლიერს, წინ ტყბილი მოხუცებულობა ეხატებოდა...

ამ კმაყოფილებაში მდინარებდა მისი ცხოვრება, როცა უკანასკნელად სოფელი დაეტოვა. მრავალმა წელმა გაიარა. რაც იქ არ ვყოფილვარ და თუ ხანდახან იქაურობა მომაგონდებოდა, თვალწინ ყოველთვის გრძელწვერა იორდანეს სახეც გაიელვებდა.

...დიდმა დრომ განვლო, როცა ისევე

ვესტურმრე ბავშვობიდან საყვარელ ამ კუთხეს.

შემოდგომის საღამო იყო. სოფლის შარაზე მივაბიჯებდი. წელიწადის არც ერთ დროში მზე ისე კეთილი და სასიამოვნო არ არის, როგორც სექტემბრის მიწურულში. ზაფხულის თვეებში მხურვალე სხივებით გააძლებს მიწას, მწვანით შემოსავს მთაბარს, ხეხილს სიტყბოდ შეეწოვება და შემდეგ, შემოდგომაზე, ნაბობოქრალი, დაცხრება და დატყდება. ახლა კიდევ უფრო ლამაზი ჩანს ფერშეცვლილი, ყვითლად დამწვინებული გარემო. ყველგან აქრილია ყანა, ბაღებში ხილი დაკრფილია, ეზოებში გამაღვარა ქაჭის სურნელი.

აი ის ძელქენარი, რომლის ტოტებქვეშ დაბინდებისას თავს იყრიდნენ ხოლმე დარბაისელი სოფლელები და გვიან ღამემდე საუბარში ერთობოდნენ. აი ის ბექობი, რომლის ძირში ჩვენი პატარა მდინარე სისწრაფეს ანელებდა და ღრმა კალაპოტში მშვიდად მიედინებოდა. ახლაც მესმის ის გიჟური ჟრიაჟული, რომელსაც წყალში ჩაყრილი ტოლები ავტეხდით...

ყხედავდი ნაცნობ ადგილებს, მაგრამ ყველგან აღარ მეგებებოდა ჩემი ახალგაზრდაობა. ბევრი რამ შეცვლილიყო აქ. სადაც ველური ბუნება იმასსოვდა, ახლა ვაზი და ბალი ხარობდა. ძველი ქოხმახების ადგილზე ბევრგან მაღალი სახლი ამართულიყო. ალაც კი ძველებურად დარჩენილიყო ყველაფერი.

იორდანეს ცაცხვიც ისევე ტოტებგამოშლილი დაეინახე, ოღონდ თითქოს გაველურებული და მარტობაში მყოფი. თითქოს იგივე ეზო, მაგრამ აღარც ყორე, აღარც ის სახლი და აღარც მარანი. რაღაც ფაცხა იღვა მხოლოდ. თვითონ იორდანე?

პატარა აღმართი ავიარე და მოულოდნელად ისიც დაეინახე. გზის პირად იჯდა და რქებში ბაწარჩაბმულ ძროხას აჟოვებდა. პირუტყვის მაყვლის ბუნქში თავი შეერგო და სიგრილეში შერჩენილ ბალახს ეძებდა.

იორდანე ძალზე მოხუცებულიყო. გრძელი წვერი, ყვითლად შერჩენილი მკერდზე ედინა.

მხოლოდ მაშინ მიცნო, როცა ვინაობა ვუთხარი. გაოცებით და თანაც ისე აღერსიანად ამომხედა, შევავტყე, რომ ესიამოვნა. წამოდგომა დააპარა, მაგრამ მე თვითონ მის გვერდით ჩამოვჯექი.

ზრდილობისათვის მისი ამბავი მოვიკითხე.

— მადლობელი ვარ, ჭირიმე, — ყრულ ჩაილაპარაკა.

ჩაჩუმდა, მერე გამომცდელი თვალით გადმოხედა და უეცრად რატომღაც ჩაიხიბინათა.

— მე რაღა საკითხავი ვარ, ჩემო ბიძიკო. დავლოლიალობ, დაეათრევე გაძლებულ სულს. არც მეკვდრებში ვწერივარ და აღარც ცოცხლებში.

ჩემი გაკვირვება შეამჩნია და განაგრძო:

— ახლა შენ იმას იფიქრებ, ბერი კაცია და ბუზღუნებსო. ეგ კი არა, დაილოცა ღვთის სამართალი, ჩემს ამბავს რომ წარმოვიდგენ, ისე მიცვივს, გამეციინება ხოლმე კიდევაც. შენ ჯგვარი გწერიდა და, რაც ჩემს თავზე ამბავია, არაკად არ თქმულა. არა, ნამდვილად ღმერთსაც საქმე შემოლეგია, თორემ აბა რაღა ჩემზე მოიცალა? ისე გამამასხარავა, რომ მე თვითონვე მეციინება. აჰ, არა, ბიძიკო, არ იფიქრო, ჰქუაზე შემცდარი არ გეგონო. შენც გაგეციინება. როცა გაიგებ... ჩემს კართან ჩამოივლიდი ახლა შენ. მერე? მოგეწონა იქაურება? ჰოდა, ასეა. შენი კეთილი გულის ამბავი რომ ვიცო, რაღა მოგეწონებოდა.

ჩემი უფროსი ბიჭი, გაგონილი გეტყენება, ომიდან აღარ დაბრუნებულა. ასე გვაცნობებს, საცხა კარპატები ყოფილა, იქ დაიღუპაო ომში. ერთხანს ისევე მაინც მის მოლოდინში ვიყავით. ერთი-ორი კაცი, მათი ჩამოსვლის იმედო რომ აღარ მქონდათ, ისეთი დაბრუნდა შინ. ეგერ კიდევ, ჩემი მეზობლის ბიჭი, გამოტყობებული რომ მყავდა ყველას, ახლ ჩვენი ბრივადირია, კელამ პირველი კაცია სოფელში. ჰოდა, ვიფიქრეთ, ღმერთი

მოწყალეა, იქნებ ჩვენც შევდომით გვაცნობეს-თქვა. სანამ მის მოლოდინში ვიყავით, ჩემი რძალიც კეუთით იყო. ვინ იცის, მისგან რომ შევიღოშვილი მყოლოდა, შეიძლება ახლაც კეუთით იქნებოდა. მარა, დელიოცა ლეთის სამართალი, არ გაიმეტა ჩემთვის ეს წყალობა. ამასობაში, შენ ხარ ჩემი ბატონი, მშვიდობაც ჩამოვარდა, მარა სამაგიეროდ ჩემს სახლში დაიწყო არეულობა. რომ გადაგვიწყდა ბიჭის დაბრუნების იმედი, ჩემმა რძალმა, არ ვიცი, რა ეშმაკები შეუჯდა, აიწვია ხელი ყველაფერზე და მეც ამისირდა. ჩემი ქმარი მიწაში ლებოდეს და შენ სული გედგასო? ნამეტანი გამიმწარა სიცოცხლე. მაინცდამაინც შენც ჩაძალდიო. სსსიცოცხლო პირი აღარ მქონდა ჩემი ბიჭის დამეარავს, მარა რა მექნა? ძალათი მომეკლა თავი? გაგონილა ამისთანა ცოდვის კითხვა?!

ერთ დღეს ჩემმა რძალმა გამომიცხადა, მე და შენი ერთად ცხოვრება არაფრით არ მოხერხდებოდა. გაპყო შუაზე სახლი, მარანი, რაც რამ მეზადა, აიკრა ბარგი და თავის სოფელში გადავიდა საცხოვრებლად. დავრჩით ასე მარტო მე და ჩემი უმცროსი ბიჭი. ჰო, ალექსანდრე... ვიფიქრე, აგერ ეს ბავშვი სწავლას გაათავებს, ამაგს დამიფასებს, მხარში ამომიდგება და გევიმართებთ-მეთქი წელში... მარა, კაცი ბკობდა, ღმერთი იციონდარო. დასტურ ჩემზე ყოფილა ეს ნათქვამი... სწავლა კი დაამთავრა ჩემმა ალექსანდრემ, მაგრამ რა ვიციოდი, თურმე იმ დღეს მემსებოდა თვალი. აბა, ბიჭო-მეთქი, ახლა შენ იცი და შენმა კაცობამ-მეთქი! და მე რომ გახარებულმა ხელი გადავხვიე, ასე მითხრა: — „რა ვქნა მამაჩემო, შენ რომ ფიქრობ, ისე არაა საქმეო, სოფელში გამჩერებელი არა ვარო. სწავლა იმიტომ კი არ მივიღე, რომ კოტეგით გამოყრუებულ ფულტროში ვიცხოვროო. ახლა ძველი დრონუ გგონია, ყველას საშუალება აქვს დიდი კაცი გახდესო!“ დაჰყრა ხელი და წავიდა. რატომ, შენ თავს შემოგველე, სოფელში არ დაედგომება ნასწავლ კაცს? განათლებულმა კაცმა რომ ხანდა-

ხან ტალახში ფეხი გაისვაროს, ეს ჩემოვნაგვრა თავზე? სანანებლად უნდა გამხდომოდა, რომ ბავშვმა წიგნი ისწავლა?

ასე მოგახსენო, სუთი წელიწადი გავიდა, მისი ასავალ-დასავალი არ ვიციოდი. მერე, როგორღაც, მოგვანებვიარ და ინამუსა. ჩამოვიდა, მნახა. რა დაგიმალო, გულნატკენი ვიყავი მასზე. მარა, რომ დავინახე, ისე მიამა, ღმერთი გამომეცხადა-მეთქი. ერთი-ორჯერ დავაპირე გულის მოსაფხანად მაინც საყვედური მეთქვა ჩემი დავიწყებისათვის. მაგრამ ისე იყო გამოწყობილი, ვერ შევხებდე. სკამი მივართვი ჩვენებური, სოფელური, სამფეხი. ცხვირსახოცი ამოიღო და დააფინა. უბრალოდ დაჯდომა არ ინება. ვიფიქრე, კაი ცხოვრებას შეჩვევია და მე რომ ახლა ვუსაყვედურო აქაურობა რატომ მიატოვე-მეთქი, ასე იტყვის გამოჩერჩეტებულა მოხუციო. როგორ ცხოვრობო, მკითხა. როგორც ხედავ-მეთქი. მიიხეღ-მოიხედა და, შევატყვე, არ ესიაშოვნა. ვერ მოგიწყვი კარგად შენი ცხოვრებაო. ე, მაშინ კი ვეღარ მოვითმინე და შევკადრე: — „რაობით-მეთქი, შვილო? თუ ყველა შენსავით ახალგაზრდამ სოფლად ცხოვრება იუკადრისა და გაქცევა არჩია, ჩემისთანამ რა გააწყოს-მეთქი?“ იმ დღეს მეზობელთან ისადილა. ჩემი მოტუტყული სადილი რაში იამებოდა. იქვე გაითია ღამე და მერე თავის გზას გაუდგა. ის იყო და ის. იმის შემდეგ მისი ლანდი აღარ მინახავს. აღარც ჩემს ამბავს კითხულობს, — მკვდარი ვარ, ცოცხალი ვარ. ვეღარც მე მოვიკვლიე სად არის. ბუღალტრად უნდა იყოს სადღაც, — არ ვიცი თბილისში, არ ვიცი ბათუმში. ღმერთმა კარგად ამყოფოს, მარა, ეს მითხარი, ამ ნასწავლ ხალხს სოფლად არ დაედგომება, თუ რაგაა საქმე? აქ მათთვის საქმე არ მოიძებნება, რომ ქალაქ ადვილას ვარბიან? ან რომელ წიგნში ამოიკითხეს, სახლ-კარი მიიტოვე, გადაშენდი, გადაგვარდი, შენიინიც დაივიწყე და შენი ბუდეც მოშალეო? კიდე მადლობა ღმერთს, ყველა

ჩემი შეილივით არ არის. ზოგ-ზოგი ვინ-
მე, ვინც აქ დარჩა, ურიგოდ არ ცხოვ-
რობს. ვინც შრომას არ გაექცა, შენც
ხედავ, ახალი ოდა-სახლები წამოვიშა.
წინათ რომ ჭრაქით ვიქვარტლებოდით,
ახლა აქაურობა ელექტრონით არის გა-
ჩაღებული. კარგი საქმეა, მარა, ბატონო,
ეს ხალხი თუ შემოეცალა სოფელს, ვი-
ლას გაუნათოს ელექტრონმა? ჰოდა,
ასე იყო, ჩემო ბიძიკო, ჩემი ალექსანდ-
რეს ამბავი. მე რომ იმან თავის სწავ-
ლით გამაზარა, ისე შენმა ბტერმა და
ორგულმა იზარა. მარა კაცი, თურმე,
მანცა გაუტეხელი ყოფილა. ვიფიქრე,
ბიჭმა იმელი არ გამიმართლა, ეგერ ქა-
ლიშვილები მყვანან და ხანდახან მაინც
მომხედავენ-მეთქი. ძალიან რომ გამი-
ჭირდა, დავკარი ერთხელ ფეხი და წა-
ვედი უფროსთან. სანამღი გავაშვითებ-
დი, სულ თვალში მიყურებდა და შაქა-
რი ამოდოდა პირიდან. ახლა კი, რომ
შევედი მის ეზოში და დაგლაზაკავებუ-
ლი დამინახა, სულის მოთქმაც არ მა-
ცალა, მომახალა: „რას ატორღილე-
ბულხარ, ბერიკაციო, რა დროს შენი
აქეთ-იქით ყანყალია, ვერ დეიბტვი
შენს სახლშიო? შენთვის მცალია ახლა
მეო?“ სიტყვა არ შემობრუნებია. წყალი
მინდოდა, ამაზედაც არ შევაწუხე, გა-
მოვბრუნდი და უმცროს ქალიშვილთან
გავსწიე. ვიფიქრე, მივალ, შეეჩვილებ,
მისი ღის შერცხვენას ვეტყვი, გულს
მაინც მოვიოხებ-მეთქი. მივედი, ყმა-
წვილო, და... ზიხი! სადღაა ჩემი უმც-
როსი, ან მისი ქმარი! ისინი კი არა, ნა-
სახლარის კვალაც აღარ ჩანს მათ ბარო-
ბაზე. მიუყიდ-მოუყიდათ თუ რამ გა-
ანდათ, და ბაზარ ადგილას გადასულან.
მეზობლებმა მითხრეს, იქ სახანძროს რაზ-
მში მსახურობს... სხვას თუ ცეცხლს
უჭრობს, მე რაღას მერჩოდა, ის ოჯახ-
აშენებელი? მე რაღაზე გამიჩინა გულში
ასეთი ჩაუჭრობელი ცეცხლი?

ჰოდა, ასე შემომეცალა ყველა. ამაზე
იყო მოგახსენე, რომ არც მკვდრებში
ეწერივარ და არც ცოცხლებში. ეს ერთი
გლაზა ძროხა შემრჩა, შეილები მავიერ,
და ამაზე ვიყოლიებ თავს. ზიხი! არა,

რომ თქვას კაცმა, ჩვენი კოლმეურნეობა
არ მივიწყებს და, თუ ხელის შეწყობა
თუ ალერსიანი სიტყვით მამხმარებდა
ხოლმე. ასე რომ არ იყოს, საცხა ყვავი-
ვით ამოძვრება სული. თავი მოგაწყინე,
ბიძიკო, მარა, შენ მოგეცა სიხარული,
ცოტა გულზე მომეშვა შენთან ლაპარა-
კით“.

ძროხა მეორე ბურდისკენ იწველა.

— დეჩი, შე სამგლე! — ბაწარი მოქა-
ჩა იორდანემ და მერე ცბიერი ღმილით
გაღმომხედა: — ა, ბატონო, ვიცი მე,
ბოლოს არც ეს გამაზარებს. ზიხი!

* *

ეს იყო და ეს. მეტი არაფრით იყო
შესანიშნავი ჩემი მოხუცი იორდანეს
ცხოვრება. მეტად მარტივი ამბავია და
იქნებ არ ღირდა ამაზე თქვენი ყურად-
ღების შეჩერება. რა თქმა უნდა, აქ სა-
ჭირო იყო მცირეოდენი სამკაულით
მაინც ამეჭრელებინა თხრობა, ბოლოს
აღმეწერა, თუ როგორ დავემშვიდობე
იორდანეს, როგორ თანდათან დაეშვა
ბინდი და ცის სიმაღლეში როგორ აკი-
აფდნენ ვარსკვლავები. იქნებ ამით მა-
ინც მოგგვირდით ცოტაოდენ სიამოვნე-
ბას. თუ არა და, მაშ ისე რა ყურადღე-
ბის ღირსი იყო ეს სრულიად უმნიშვნე-
ლო პატარა ამბავი პატარა ადამიანზე!
მართლაც-და, თუ მაინცდამაინც საჭირო
იყო მეამბნა რაიმე, ამაზე უფრო ღირს-
შესანიშნავი ვერაფერი მოიძებნა? რამ-
დენი საქვეყნოდ ცნობილი კაცი, ანდა
წარსულში რამდენი გვირგვინოსანი და
სახელგანთქმული რაინდი დარჩა ალუ-
წერული?! რა აურაცხელი სიმდიდრე,
ბრწყინვალეობა და რომანტიკაა იქ, —
ნადიმები, სიყვარული, არაბულ ტაიქე-
ბის მარულა, ქორ-შევიარდნებით ნადი-
რობა, სეფე ქალების ფარჩის შრი-
ლი! — და უეცრად ამის მაგიერ რაღაც
სოფელი და ვიღაც გრძელწვერა მოხუ-
ცი. რა შედარებაა! სასაცილოა, რა თქმა
უნდა! მხოლოდ შეცოდების ღირსია
ასეთი ღარიბი ფანტაზიის მქონე ავტო-
რი. ის-ღა დარჩენია მას, რომ თქვენს
წინაშე ბოდიში მოიხადოს.

ოთარ ჭაიძე



ქ ი ტ მ ს ა

შესავალი

კალატოზად, ხუროდ, მწედლად,
ღურგლად, მთაში, ბარში მწყემსად,
ლამისმზრედ, გუთნისდედად
ჰყავს და ჰყავდა ხალხს ქიტესა.
ამ მაღლიან სახელს ხალხში
გასჯდომია ის ფესვები,
საიდანაც მზრების გაშლით
ტანს იყრიან ქიტესები.
წინაპართა ამ სახელით
ჩვენში ახლა ბევრი დადის,
ვინც შაშხანის საკეტს ხელი
არ შეუშვა ბერლინადის.
როცა ლეჰსად ამ წიგნს ეწერდი,
დავეძებდი სიტყვას ნათელს,
ვიხსენებდი მოწიწებით
განა მარტო წმინდა სახელს...

ვიხსენებდი ძმას, მეგობარს,
არ მქონია სხვა ოცნება,
განა მისი გარეგნობა
და სახელი მაოცებდა.
ბევრი დადის მისი მსგავსი,
უხატავ სახეს სწორედ მისას,
ვინც ამდიდრებს დიდი აზრით
გზას მდულარე ცხოვრებისას.
ბევრი დადის მსგავსი მისი,
ბევრი მეძმო და მეგონია
მათი ჯანი, მათი სისხლი,
მათი გული დამყოლია.
ბევრი რომ ჰყავს სასახლო
შვილი გამრჯე, და ალალი,
ამიტომ ქუხს საქართველო,
ვით ქვეყანა ხალხმრავალი.

1

შინ მოსვლა

მცხეთის ახლოს ვიღაც სახლობს,
მთის კალთაზე უღვას სახლი,
ყვება-ყვფით იცავს მაღლობს
ერთი შავი კუდა-ძაღლი.
არვინ აღებს სახლის კარებს
ორწელიწადნახევარი,
ახლოს არვის არ იკარებს
კუდმიჭრილი მაყუფარი.
შუაზამთრის შუალამათ
მაღლობისკენ გზას დაადგა
ერთი ვიღაც შუატანის
შუბლმაღალი ახალგაზრდა.
მზარაში თავიარგული
აჰყვა იგი აღმართს ნელა,
მწარე დარღით დაჩაგრული
შედგა, მძიმედ ჩაახველა.
არც პასუხი დაგვიანდა,
ყვფა ატყდა ახლომახლოს.
იღგა მგზავრი, დარღიანად
გაჰყურებდა სამოსახლოს.
ყვფა ეღვის უმალ მიწყდა,
ძაღლმა ცნობა გულათ იცის.

უყუდობა დაავიწყდა,
შეეცადა კედლის ქიციანს.
იღგა მგზავრი შუბლმაღალი,
გულს ბევრი რამ უყუჩებდა,
ბაღრი მთვარე შუალამის
დაღლილ სახეს უმუტებდა.
უკენისოდა ვაეკაცს ეგზომ
მწუხარებით სავეც ველი.
მას მოვლილი დახვდა ეზო
განა გაპარტახებული.
ჯარისკაცი სახლთან იღგა
და გოდებდა მამის გამო...
თან უკვირდა — ვინ უვლიდა
მიტოვებულ კარ-მიდანოს?
ვინც ებადა მამის გარდა,
ისიც დახვდა დამარხული.
სიკვილს ველარ დაეცადა
ორი ზამთარ-გაზაფხული.
დახვდა კარი დაეცალი,
დაავიწყდა სახლში შესვლა,
იღგა გულზელდაკრეფილი,
მისცემოდა დარღს ქიტესა.

ბორცვი, როგორც ოქროს ტახტი,
დაჰყურებდა ველებს მაღლით
და ლოკავდა ომგადახდილ
ჯარისკაცის ჩექმებს ძაღლი.

II

ბლზის მარჯვენა

„ოჯახირა, მამაჩემმა,
შოიხადა ქვეყნად ვალი.
კარგი სახლი ააშენა,
ყველა გამვლელს რჩება თვალი“.
ზის ქიტესა ცხელ ბუხართან,
ფიქრობს ახლო წინაპარზე,
ცეცხლთან ჯდომა შეუყვარდა
ნაბრძოლს ცეცხლის წინაპარზე.
ზის, ასვენებს დაღლილ სხეულს,
ეფიცება ბუხარს ზურგიით,
ხან თოფს დაშლის მამისეულს,
უპრიალებს ლულას ზუზბით,
ხან შალაშინს იღებს იგი,
რანდავს მუხის ახალ სკამებს,
იცის გლეხმა თადარიგი,
უქმად წოლა არ აწვალებს.
ჰქონდა მამის მაგალითი —
გამრჯე გლეხის ჩეულებმა;
შეუყვითა სახლს კრამიტნი,
პერ-კედლები შეუღება.
სანადიროდ ახლო ტყეში
გავიდოდა სისხამ დილით,
კურდღელს კლავდა ახოებში,
შემოჰქონდა შინ სადილი.
ფრონტის შემდეგ შინ ტრიალით
ისვენებდა კაცი ძაღზე,
ღვინით სავსე ლიტრაინიც
ედო მუხის მაგიდაზე.
„ოჯახს უნდა გამოვადგე“ —
ვაეკაცს ჰქონდა ზრანვა წმინდა.
ბირველ მერცხლის გალობამდე
შინ დარჩენა გადაწყვიტა.
თქვა: — სიცოცხლე რად მიწადო,
თუ დავტოვე სახლი, მიწა.
ქვადაძეთა კარ-მიდამოს
არ მივაგდებ! — დავიცივა.
გულში მტკიცედ თქვა ქიტესამ:
„ჩემი ფუძე სხვა სად არის?
ჯერ მომელის თონა, თესვა,
მიცდის ბაღია, დასაბარი“.

ქვა დაადო მამის საფლავს,
ჩამოცურდა ლაწვზე ცრემლი,
მშობელს მიწა დაუდაფნა,
შინ დაბრუნდა თვალბსველი.
რიყის ქვები ზიდა მტკერიდან,
შემოარტყა სახლ-კარს ყორე,
ლოდებს თლიდა, მიწას თხრიდა,
კარბად ჰქონდა ვაეკაცს ღონე-
ზურგიით ზიდა ტყიდან ძუძვი,
შემოავლო ბაღს და ვენასს.
შვილის ვალი, ვით ანდერძი,
თხოულობდა განადღებას.
გლეხი ოჯახს ანახლებდა,
ტრიალებდა სამი კვრა
ბოლოს სახლ-კარს გადახედა
და თვითონვე გაიკვირა...
მაშინ იგრძნო მან ნამდვილად,
მაშინ მიხვდა და შენიშნა,
რა დიადი რამ ყოფილა
ძალა გლეხის მარჯვენისა.
ჩვენს ქიტესას ჩაეცინა,
ტახტზე გაწვა ჯანდალილი,
თბილ ბუხართან ჩაეძინა
და სიზმარი ნახა ტყილი:
სახარულით აღზნებულნი
სახეები დაღა ძმათა,
მათი პოლკის მზარეული
მის ბუხარში მწვადებს წვავდა.
ისხდნენ ძმები — ფრონტელები,
მასპინძლობდა მათ ქიტესა
და მსჯელობდნენ სოფლელები:
სად რა პური დაითესა,
სად როგორი დარი არის,
სად როგორი სეტყვა იცის...
თქვეს უტყვიარ-სატყვიარი
ლამის მთელი დედაპოწის.
— ჰე, ბიჭებო, შეხეთ მერცხნალს! —
დაიძახა უცბად ერთმა.
გაეღვიძა ჩვენს ქიტესას.
ფხიზელს რაღა უნდა ეთქვა.
მერცხლის ენით ეძახოდა
გაზაფხული: — გარეთ გამო;
მარტო რომ ხარ, ჰე, რა მოხდა!
ნულარ წუხხარ ამის გამო!
„ხალხში გავალ“, თქვა ქიტესამ
და მარჯვენის ანახარა
წამოიწყო ბარის ლესვა,
ბაღია-ბაღი გადაბარა.



არ დააკლო ვაზს ხარღანი,
გადაავლო სახლ-ქარს თვალნი
და სიმღერა თქვა ალალი:
— ეს ერთი და სხვა შრავალი!

III

ხალხში ბასვლა

გაზაფხული ჩვენში, ქართლში,
იცის მართლაც დალოცვილი,
ყველა რუში, ხევში, კვალში
ჩქეფს ნაფურის წყარო ცივი.
ყველა ყამირს ასდის ნისლი,
ჩანს კვირტებში მზის ხელობა,
ყაყაოთა ალში იწვიის
არაგვის და მტკვრის ხეობა.
და მაღლობი მცხეთის ახლოს
ისე მოჩანს თეთრი სახლით,
რომ გამვლელმა დაინახოს,
გაიხაროს ერთი ნახვით.
შხატვარს ისე გააბრუნებს —
ხატოს, ხატოს, ვერ დახატოს.
დგას მაღლობი, გადაჰყურებს
საქართველოს ძველ სატახტოს.
მოჩანს ჯვარი, ქარქაშიდან
ხმლის ტარივით ამოწვდილი,
გადასცქერის ქალაქს მშვიდად
კაცი ცეცხლში გამოცდილი.
ერთხელ კიდეც, როგორც ბავშვი,
თვალს შეავლებს ქართლის ველებს
და ქიტესას გონებაში
მომავლის გზა გაივლებს.
ჩაიხუნთქავს ხარბად ჰაერს,
იტყვის: — მეყოს დავენება! —
ჩვენს ქიტესას გაიხარებს
მცხეთელ მშათა ვახსენება.
— ჩავალ, ვნახავ, — თქვა ქიტესამ, —
მშაკაცების შინდა ნახვა!
შინ დატოვა ძალი მწყემსად,
თვითონ ბილიკს ფრთხილად ჩაჰყვა.
თავდაღმართი იყო მარწყვის
ხშირ ფესვებით დაბლანდული
და ლიკლიკით ბილიკს მარცხნივ
მიჰყვებოდა ნაკადული.
გარგლის, ნუშის, ატმის, წიწვის
დამათრობელ სურნელებას
მოვარდნილი ქარი მიწის
და ტყის სურნელს უნელებდა.

მწვანე ქალა, ვით ფარდაგი
სერთან ეგო კიდი-კიდე, **ერკონესული**
ზედ რკინიგზის ლინდაგებ **მზღნირთქვა**
ჩანდა, როგორც დიდი კიბე.
ეშვებოდა ძირს ქიტესა,
ბოლოს მოკლე ბილიკს გასცდა.
უცებ ვაჟკაცს ელდა ეცა,
სახტად შედგა რკინიგზასთან.
შედგა კაცი შიშნაჰამი,
შეჩვეული ცეცხლში შესვლას.
ჯანში სისხლი, ვით მაჰარი,
აუჯანყდა ჩვენს ქიტესას.
აიქნია ხელი, თითქოს
დაფრენოდეს თავზე მწყერი.
მისგან საქმე შეელას ითხოვს,
დასწყდომია გზას მწყერი.
ქვები, ღორღი, ქვიშა, ლაფი
რკინიგზაზე მთად დამდგარა.
ჩანს სიკვდილი, ვით ჯალათი —
დიდი მსხვერპლის ანბარა.
მძიმე წუთი დგას საზარი,
სამინელი რამ მზადდება.
დგას ქვადაძე და მზად არის,
თუ დასჭირდა, თავდადება...
— სიკვდილს უღრის აქ ღალატი,
სიკვდილს უღდის გზა ვერაგი, —
თქვა, გაიძრო მან ხალათი,
მიაყოლა თან პერანგი.
ორთქლმავალი რომ გამოჩნდა,
იგი ძრვოლამ აიტაცა,
ზე აღმართა, როგორც დროშა,
ტანსაცმელი ჯარისკაცმა.
ქამარზემოთ მთლად შიშველი
იღვა გლეხი მხარგაშლილი
და უშეწრდა ქართლის ველი —
რანაირი ჰყავდა შვილი.
ტანჩაფსკენილი, მსხვილმკლავებმა
მე ქვადაძის იღვა გზაზე,
ბევრი გულში ინატრებდა —
მქონდეს მისი სილამაზე:
საშურნალი იყო მტრისა
მისი გარჯაც, მისი ვაშაც;
მხართან კვალი ჭრილობისა
ყაყაოთფრად ენთო ვაჟკაცს.
იღვა იგი რკინიგზასთან,
აღემართა ცალი ხელი,
შორი-ახლოს არეინ ჰყავდა
გულის ჯაერის წამკითხველი.

კაცი ჰგავდა ქანდაკებას,
 შემანქანემ მოჰკრა თვალი,
 ძლივს მოასწრებს გაქვავებას,
 შეჩერებას ორთქლმავალი.
 ხმა გაისმა მკაბე უცბად,
 მუხრუჭები ლამის დაწყდა.
 ჩახტა ხალხი და შექუქიდა
 ხალათგახდილ ჯარისკაცთან.
 ერთი ვილაც „რბილის“ მგზავრი
 შეინჯღრევა, განრისხდება:
 — სუხუმიდან თბილისამდის
 არ მინდოდა გაღვიძება!
 — გაახილე, კაცო, თვალი! —
 ეტყვის ვილაც ახლობელი, —
 რომ ბრუნდები შინ ცოცხალი,
 იყავ ამის მადლობელი...
 და ქიტესამ სწრაფად მაშინ
 გადაიკვა ტანსაცმელი.
 გაიღიმა, ხალხის ზღვაში
 ძლივს მოძებნა გასასვლელი.
 ხელი სტაცა რკინის ნიჩაბს,
 ბრძანა, უკან გაჰყვა ხალხი;
 წინგაძლოა იცის ბიჭმა,
 კირ-ვარამიც აქვს ნანახი.
 ზოგი ფიცხლად, ზოგი დინჯად,
 ზოგი ლოღნით, დაზარებით
 თხრიდა, ყრიდა ღორღს და ქვიშას,
 ხვეტდნენ, წმენდნენ გზას მგზავრები.
 ბოლოს, როცა მორჩნენ საქმეს,
 გადახედეს აყრილ ლოდებს;
 იტყვის ერთი მოქალაქე:
 — გადამჩენი დაჯილდოვდეს!
 — დაჯილდოვდეს! — ატყდა ხალხში,
 — კარგი საქმე დაგვითვისა!
 ამ ძახილში, ამ ყაყაანში
 გაეპარა თვალს ქიტესა.
 მცხეთის შარავნაზე დინჯად
 მიდიოდა გადამჩენი:
 „ეს პირველი ნაბიჯია,
 ხვალ იკითხონ დანარჩენი, —
 რად მჭირდება საჩუქარი,
 ნკერდზე მაინც დაეხედათ,
 რატომ მაშინ არ ვუთხარი,
 მეც დავდივარ კაცი ქვეყნად“. —
 იძახოდა ასე გულში
 და თან მტკიცედ აბიჯებდა,
 თითქოს ისევ ასეულში
 იყო ფრონტელ მამბიჭებთან.

მძიმე დარდი აღარ ღლიდა,
 მიჰყვებოდა გზას ქიტესა,
 ხალხში გასვლის პირველ დღიდან
 გამარჯვება დაიწესა.

IV

მემორბრამბთან

რადამ უნდა დაალონოს
 ძმები-რკინისმკენეტელები
 კვირადღეა, სალალობოდ
 ბაღში სხედან მცხეთელები.
 მათ თვალეში ომის, ფრონტის
 ცეცხლი ჯერაც არ გამქარაა.
 შეხედავდით და იტყოდით:
 — თქვენს სამშობლოს ბარაქალა
 შეიცივობდით მათს თვალეში
 ცივ სიმკაცრეს, განვილლ განცდებს.
 გასჩენოდათ ვერცხლი თმებში
 ომგადახდილ ჯარისკაცებს.
 იხსენებდნენ მცხეთელ სწორებს, —
 ვის შინმოსვლა არ ეღირსა,
 ვინ მოზღოვის ველზე მოკლეს,
 ვინ ვარშაგის აღებისას.
 ერთად სხედან ოცდაოთხი,
 ოცდახუთი წლის ბიჭები:
 — ჰეი, ძმებო, ნულარ ოხრავთ,
 ეგრე ნულარ იღრიჯებთ.
 ხედავთ, ბაღში იმ გოგონებს? —
 იძახიან ჩქარი, ჩქარის,
 ჩიატანის ბიჭი ტოლებს
 მიახედეტს თვალისჩაყვრით.
 თან ქალს მზერას გააყოლებს,
 თითქოს ტყებმა თაფლით, შაქრით.
 — დედაშენი არ გათხოვებს?
 უპასუხებს ქალი:
 — ჩაქრით!
 — არა, დედა არ ათხოვებს! —
 დაიძახებს ვილაც გზაზე,
 რომ მოგთხოვდეს, რა აცხოვრებს —
 შენი ცხვირის სილამაზე?
 თვალადობა, ტანადობა
 თუ ქოჩორი გაყოფილი?!
 ქალმა გულში თქვა მადლობა,
 დარჩა დიდად კმაყოფილი.
 გაიხედა ყველამ გზისკენ,
 ვერ დამალეს აღტაცება
 და ქიტესა ხელად იცნეს

სიყრმის ძველმა ძმაცაცებმა.
საკოცნელად ზეზე მაშინ
წამოცვიდნენ ვეფხვი ძმები.
— არ მეგონა, შენ მცხეთაში
თუ გნახავდი, გეფიცები! —
დაიძახა ჩიაბიჭმა,
გადაკონა ძმა პირველმა:
— გეთხარ, როგორ გამოგიშვა
აქეთ მიქელ-გაბრიელმა?
მოიკითხეს, გადაკონეს
მათ სწორკაცი სანატრელი.
დაპყურებდათ, როგორც მოწმე,
გაზაფხულის ცა ნათელი.
როგორც ძველად, ბალობისას
ატყდა მათი ქრამიული.
უცებ ახლოს ხმა მოისმა —
სიმღერის ხმა მხიარული.
— იმ შენს დობილს გადაეცი,
ჩემო კარგო გოგონაო,
მისმა ნახვამ გამიჩინა
გულში ქიაკოკონაო.
წუხელ არა მძინებია,
გადაეცი, უთხარო,
უთხარი, რომ ყვავილია,
მე ვიქნები ფუტკარიო.
თუ დამძრახა სასიკვდილემ,
მომაყარა ქოქოლო,
მაშინ ჩემთან შენ წამოდი,
ჩემო კარგო გოგონაო...
იჩხეოდა ხმა ჩონგურის,
ბანს აძლევდნენ მაღლით მთანი.
ჩიაბიჭი ჩამოუვლის:
— აბა, განი, განი, განი!
დიღბანს, დიღბანს ქექდა ტაში,
მორჩა, შეწყდა ბოლოს ლხინი.
ლხინიც მშობელ ქვეყანაში
ტბილი არის, როგორც ხილი.
— ჩვენ ქიტესა არ გვინახავს
ბარე ხუთი წელიწადი,
ყველამ ერთხმად დაიძახა:
— მამ მიერთვას ცხელი მწვადი!
მტკვრის ნაპირას პურმარილი
გაიშალა ჩინებული,
მთვარე მთვარალი სტუმარივით
ჩანდა ჩამოძინებული.
საუბრობდნენ ერთმანეთში
მცხეთელები ნაღვინარი
და ქვადაძე ძმებს თვალბეჭი

შეპყურებდა ნაღვლიანი.
ღვინო განა ბევრი ესვა,
იყო ძმებთან ყოფნით მთვარლი,
ყურს უგდებდა მათ ქიტესა,
— რა ყოფილა ჰოსპიტალი...
მართლაც ძნელი გასაძლები,
უღიმღამო ალაგია,
კედლის პირას ყვავარჯნები
თოფებივით ალაგია.
ქიტესამ თქვა: — ნუ მასწავლი,
მეც გამიცნეს დოსტაქრებმა,
ძმაო, ყველამ მოვასწარი
ჰოსპიტალში დროსტარება.
ლხინი გვინდა ახლა, ლხინი,
ლხინი ნაღველს არეც-დარეცს! —
თქვა და მისი დაძახილი
გადაერხა არემარეს.
აწკრიალდა ხმა პირველი,
ბოზი ბანი ავუგუნდა,
ახუბუნდა ქართლის ველი,
მტკვარიც უფრო აღუდუნდა.
„ომში წასვლა მას უხარის,
ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო,
დაბრუნება და შინ მოსვლა,
ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო“.
ამ სიმღერამ ჩვენს ქიტესას
გული უფრო დაუთუთქა.
ბოლოს ადგა, უხმოდ შესვა
ხსოვნის ომში დაღუპულთა.
აიშალნენ ძმები ტბილად
და ქიტესაც სახლში გასწვეს.
ხვალ ახალი ელით დილა
ომგადახდელ ჯარისკაცებს.

V

საიდუმლო

მასპინძელი სახტად შედგა,
ეზო დახვდა დახვეტილი,
რალაც ახალს ანიშნებდა
ძალდი უტყვი და კეთილი.
ჩანდა შუშა შუშაბანდის
გაწმენდილი სარკესავით.
თქვა ქიტესამ: „შუღამით
თუ მესტუმრა ნათესავი...
წუხელ ვილაც აქ ყოფილა,
მოლზე მოჩანს კვალი ცხელი,
სარკმლებს, ეზოს დასტყობია



იღუმალი ქალის ხელი“.
 თქვა ქიტესამ და, როდესაც
 გამოაძრო კარს ურდული,
 ჰერის კოჭთან შემოესმა
 ჰიკ-ჰიკჰიკი და ელურტული.
 შეშაბანდში მერცხლას ბუდეს
 გაუსწორა კაცმა თვალი,
 დაილოცა: — აელურტულდეს
 ეს ერთი და სხვა მრავალი.
 შინ შევიდა ფეხაქრეფით,
 შედგა კაცი ალწილი,
 ტახტზე დახვდა პერანგები
 საგანგებოდ გარეცხილი.
 კოხტად დაუთოებელი
 დახვდა სუფრა, პირსახოცი,
 ვით ქორწილში მირთმეული
 საპატარძლოს მისალოცი.
 ღვას ქიტესა დაბნეული,
 ვით მწყურვალი და უქმელი,
 დახვდა დაწკრილებული
 დანა-ჩანგალ-ჯამ-ქურქელი.
 ჯარისკაცმა ჯერ არ იცის,
 ვინ ტრიალებს მის ოჯახში,
 მაგრამ მაინც სხვა ხალისი,
 სხვა სიახლე იგრძნო ჯანში.
 ჯერ არ ჰყავდა მას ნახული,
 ვინც ჩაკეტილ კარს აღებდა,
 მაგრამ გულში ჩასახული
 ცეცხლი უკვე ცახცახებდა.
 გამოვიდა გარეთ ჩუმად,
 მკერდზე მოხვდა მას ნიავი,
 ძირს გაეგო აბრეშუმად
 კოინდარი ნაშინი.
 ახალგაზრდამ იგრძნო გულის
 ხშირი ცემა, ხშირი ფეთქება,
 არ იცოდა — დიდებული
 საიდუმლო ვისთვის ეთქვა.
 გაზაფხული ედგა თვალწინ
 მწვანე მოლით, ოქროს ბალით.
 ოცდახუთი წლის ვაჟკაცი
 ცახცახებდა, როგორც ბალღი.
 ხმა ესმოდა ნაკადულის
 მოესმოდა ჩქამი ხეთა,
 და სწყუროდა ვაჟკაცს — გულის
 საიდუმლო მათთვის ეთქვა.
 მოესმოდა ხმა ნიავის,
 შემოაწვა ვაჟკაცს სევდა.
 ბაღში იდგა ნალვლიანი,

ბოლოს მამა გაახსენდა.
 —...თუ ჯალაბი კარგი შეხვედ
 გახსენებენ კაცურ კაცად,
 თუ არა და...“ მაშინ შედგა,
 შეიღს შეხვედა მამამ მკაცრად.
 ჩვენს ქიტესას ჩაესმოდა
 ნამის რჩევა-დარიგება;
 „მეტი რაღა გაეწყობა,
 ნარტოდ ყოფნა არ იქნება.
 ცოლი მყავდეს ღირსეული,
 ვაჟკაცების გაზრდა შეძლოს...“
 ასეთ ფიქრებს მიცემული
 ახალგაზრდა ვასცდა ეზოს.
 მიუხეობდა საღდაც დილით
 მას აპრილის სუნთქვა ლაღი,
 პატრონს ჩუმად, როგორც ჩრდილი,
 მიჰყვებოდა კუდა-ძაღლი.
 ვაჟკაცს ფიქრებს არ აცლიდა,
 დასჭყოდა თავს მერცხალი,
 ეძახოდა მალა ცოდან:
 მრავალ აპრილს დაესწარი!
 მიჰყვებოდა გზას ქიტესა,
 გზას, გლუხაკის მკლავით გაპრილს,
 და უსმენდა თითქოს მერცხლად
 გადაქცეულ მამის აჩრდილს.
 ბოლოს, როცა შედგა ქვესთან,
 დაეძაგრა მას ძარღვები.
 ქვას დახედა, ზედ ლამაზად
 ენთო ლურჯი ზამბახები.
 დახვდა ახალმოკრეფილი
 ყვავილების თაიგული.
 უცებ, როგორც მოკვეთილი,
 შეფრთხილდა კაცის გული.
 გული დიდხანს ფრთხილებდა,
 ჩადგა შეიღის თვალში ცრემლი.
 საფლავზედაც ტრიალებდა
 იღუმალი ქალის ხელი.
 დასცქეროდა მამის საფლავს
 და სჯეროდა ჩვენს ქიტესას:
 ვერ შეძლებდა შეიღის სწრაფვა
 მშობლის შავი ხედრის შეცვლას.
 მისცემოდა კაცი ფიქრებს:
 „ბევრი გზაა დაქსაქსული,
 მაგრამ ამ გზებს, ამ ბილიკებს
 არ ჰქონია დასასრული.
 ბევრი გზაა ქვეყნად, მაგრამ
 ერთით მინდა სიარული,
 საღდაც მიღვას ფეხი მაგრად,



სადაც მიცდის სიყვარული.
გამარჯვებულ ჯარისკაცად,
გუთნისდღედად, მწველად, ხუროდ.
გაფჩნდი ქვეყნად, მამის ნაცვლად
რომ სამშობლოს ვემსახურო.

VI
თიზება

„ჩემად მოსვლა რას მიქვია,
დამენახე, რას დიდგულობ,
შინ სტუმრობა გამოიგია,
მაგრამ ეგრე საიდუმლოდ?
რუსთავეისკენ წავალ ხვალ-ხვად,
ვიცი, გულში ბევრჯერ იტყვი:
„წახვალ, მაგრამ განა გასძლებ
ჩემზე დარდით, ჩემზე ფიქრით!..“
მინც გავძლებ, სიტყვას გაძლებ,
შორს არსაით დავიკარგო.
დამენახე, რაკი ძალზე
შემაყვარე თავი, კარგო.
მე ქვადამე ვარ ქიტესა,
მაგრამ გული არ მაქვს ქვისა,
ვიცი, კარგთან კარგის თესვა
და გადაზღა ამავისა.
გნახე, უცხო ქალო, სადმე,
ჩემი სიტყვა დაგახსომდეს:
ჭირში, ლხინში გამომცადე,
არ ვიმტყუნებ არასოდეს.
ეგებ სედები — გებრალები,
რა მაქვს შესაბრალებელი?
დამანახე ეგ თვლები,
გახდი ჩემი მბრძანებელი“.
იჯდა იგი დარცხენილი,
თითქოს უცნობ ქალთან შერცხვა.
ბოლოს ადგა და წერილი
ოთხად კოხტად გადაკეცა.
შინ დატოვა მან ნაწერი,
როგორც კოცნა და ალერსი,
მერე სხვენში ნახა ცელი —
გასაკერი, გასალესი.
დაკბილული, როგორც ხერხი
იარალი ქლიბს დანებდა.
ცელს ალესავს მარჯვე გლები,
ბოლოს გასწევს მთიბავებთან.
გული მათკენ მიუწევდა,
მათაც ჰქონდათ განზრახული
რუსთავეისკენ წასვლა ერთად,

როცა გავა გაზაფხული. ეროვნული
რუსთავეისკენ ჰქონდათ მიმართვა
და იცდიდნენ, მინც მშენი
შინ რჩებოდათ, როგორც ვალი,
„გასათიბი სათიბები.
მწვანე მარჯვენე, მწვანე მარცხენე,
უკან მწვანე, წინაც ასე...
რომელ მხრიდან არ გეძახის
მწვანე მიწის სილამაზე.
გიხარია ნახვა ველთა,
ვით მოყვრისა, მახლობლისა.
ჩვენს ქიტესას გაახსენდა
წლები ტკბილი ბალღობისა.
გაიხსენებს გლები ნათლად,
ვით უხილავ დედის მუხლებს,
ვით სანატრელ დედის კალთას,
ეჯდა იგი თელის უღელს.
მიჰყვებოდა ბელტს ბალახში
დამცვარული, რძისლილეზა
და ოზოლი გლეხის ბაღი
ურმულს ტკბილად ღლინებდა.
მისდევს ახლა გზას ქიტესა,
ლამის ფრთები გამოისხას.
ამ ველებში ჩაითესა
წლები მისი ბალღობისა.
სველ სათიბში გრძელი ცელით,
შარვალდაკაბიწებული
მიდის იგი, ძველი წლება
არ აქვს გადავიწყებული.
განა ქამმა დავიწყების
ქანგი მოსცხო სიმამწვილეს,
მას ბაღობა — მასპინძელი,
როგორც სტუმარს, მიაცილებს.
ვაჟაკს ველზე დახვდნენ მშენი:
ვალმოხდილი მფრინავები,
ქვეითები, ტანკისტები,
ცეცხლით შტრების მთიბავები.
მწკრივად ჩადგნენ სველ სათიბში,
მოიღერეს მათ ცელები.
ჩამოსცივდა ბალახს შინით
უწმინდესი ცვარ-ცრემლები.
უცებ ტყვიის ხმაზე დასტვენს
გალესილი ათი ცელი:
რას ეყოფათ ახალგაზრდებს
გასათიბად ქართლის ველი.
გაუვლიათ მათ მედგარი
შეჯახებით გზა დიდების,
და რა დიდი საქმე არის

თიბვა ცვრიან სათიბების!
 ცელავს, ცელავს ბალახს ცელი,
 მწვანე ბალახს პირქვე აწვენს.
 — ტიღავ, როგორც ქალაქელი,
 უხეიროდ იქნეე მაგ ცელს. —
 გაიხუმრა ჩიბიძემა:
 — თიბავ, კვალსაც არ აჩენო.
 უპასუხა ტიღამ დინჯად:
 — გიჯობს ენა გააჩერო.
 ჩვენს ქიტესას ჩაეციანა
 და გახურდა უფრო მაშინ,
 როცა მიხა ჩაეცილა
 ორ მოცილეს ხუმრობაში.
 — ძმებო, ალბათ გაგიგიათ,
 დასცინოდა მკვდარი სხვებსო,
 ორს იმდენი გაგითიბავთ. —
 ერთი მწყერიც წაიღებსო.
 — დაგვაცადე, ამხანაგო,
 წადი, მოდი დილაზეო.
 რომელ მწყერზე ლაპარაკობ,
 თავში რომ გყავს, იმაზეო?
 — მიხა, წელში რას მოხრილხარ,
 კურღლულს ხომ არ ეპარები?
 გაიშალე, — ამბობს ტიღა,
 თან ხითხითებს ნეტარებით.
 — გრძელი ენა წამოგზრდია,
 ამიტომაც არ იზრდები,
 სათიბავად რად მოდიან
 შენისთანა რაინდები?
 ახლა თედო ჩაერია
 მათ დაევაში, მათ კამათში.
 — ტიღავ, მითხარ, პაერია,
 თუ კაცია მაგ ხალათში?
 — თედო, როგორ გაოფლილხარ,
 მაინც დადემ ვაეკაცურად.
 ხალათივით გადმოგგრიხავ,
 გადაგგრიხავ გასაწურად!
 შაირობა გააჩაღეს,
 ლექსი ლექსზე გაიღექსა.
 — ვინ გაუძლებს ამ ყაჩაღებს? —
 მხიარულად თქვა ქიტესამ.
 — მოედოიდი ზედაზნიდან,
 დალილს ძილი მოაშინდაო,
 დავიძინე, დამესიზმრა
 ტიღა, შენი ცოლისდაო.
 ხარხარებდნენ ძმები ერთხმად
 და ცდილობდნენ მორკინაღნი,
 ერთმანეთზე მეტი ეთქვათ

სიტყვა ეკალ-ხორკლიანი.
 ბალახს სხვებზე უკეთესად
 კრიდა გლები სიტყვაძვირი,
 მოუძლოდა ძმებს ქიტესა,
 როგორც ძველი ბრიგადირი.
 ვაეკაცს გარჯა უხდებოდა,
 ძირს აწვენდა ბალახს ცელი,
 მზის გიზგიზით ხუნდებოდა
 ჯარისკაცის ტანსაცმელი.
 მის თვალებში იღვა ეშში,
 უხდებოდა გაღიმება,
 გაღისროდა სიტყვას ძმებში,
 ჩამქრალ სიცილს აღეფებდა.
 სამ დღეს ასე თიბეს ველი,
 მკლავებს გარჯა ველარ ღლიდა.
 მწვანე ველი, ვით მწველი
 ფურ-იჩრემი, რძესა ღვრიდა.
 ბოლოს, როცა მორჩნენ თიბვას,
 გადახედა ძმებს ქიტესამ:
 — წმინდა ნამით პირს დავიბან,
 მიწის ნაწურს ბეშვით შეეცვამ.
 ამ მიწაში იწვის პაპა,
 ჩამარხული ჯავარ-ფესვად,
 მას ჩაესმის, ვით წინაპარს,
 ჩვენი ღზინიც, ვაშაც, კენესაც, —
 თქვა, შეავლო ველებს თვალი,
 წინ დაუდგა მას სურათად:
 სათიბებზე, როგორც კვამლი,
 ლურჯი ნისლი დაცურავდა.
 არ უჩანდა ველებს სიგარძე,
 კიდე, განი, დასასრული.
 იწვა მთელი მწვანე სივრცე,
 ცელით წმინდად გაპარსული.

VII

ყოფილი ძმობილი

მოქრის ცხენი, ოფლში ცურავს
 სადავეებ მოშვებული,
 ზედ ვიღაცა დეკაცურად
 აზის შეზარხოშებული.
 ხელმოჩრდილვით გადახედავს
 გზას ქიტესა მალლობიდან.
 იგი ხელად იცნობს მხედარს —
 ძმადშეფიცულს ბალობიდან.
 მაგრამ, როცა ომი ატყდა,
 მაშინ ჩაქრა ძმებში ძმობა,
 ძმა ძმას სკოლის აივანთან

ცივად გამოემშვიდობა.

„ძველი ძმობის დაიწყება არ იქნება“, თქვა ჭიტესამ.

უცებ ატყდა მძაფრი ყუფა, მხედარს ძალღი დაშინა ეცა.

ხის ჭიშკართან დახვდა დინჯად, შეეგება მგზავრს ძმობილი.

— შემობრძანდი! — დაჰპატიცა, როგორც ახლადგაცნობილი.

— ხედავ? ძალღმაც ველარ გიცნო, —

ეტყვის სტუმარს მასპინძელი, —

პირუტყვულად მიხვდა, იგრძნო, რომ დაჰკარგე ყადრი ძველი.

დაეგლიჯე, იქნებოდა

შენთვის სასჯელ-განაჩენი.

მითხრეს, თურმე ისე მოყვდა,

არ გინახავს მამაჩემი.

— დამაცადე, ახლავ გეტყვი,

ჰა, დამახრჩე, ძმაო, ბარემ. —

უპასუხა გულდაწყვეტით

კოლექტივის თავმჯდომარემ.

გარეთ დასხდნენ, ყაკლის ჩრდილში

ძმები ფიც-ვერცხლნაძამები

— ვერ მოსულხარ ძალღის შიშით? —

თქვა ჭიტესამ გაჯავრებით.

— ახალშენში ვიყავ სამ დღეს,

გაგიგია ახალშენი?

სწორედ მაშინ ველარ ვნახე

ის საწყალი მამაშენი...

თქვა შემთვრალმა თავმჯდომარემ

და ბარბაცით ადგა ზეზე.

— ვარ ძმაცაი, ვარ მოყვარე,

შენთან მოველ სხვა რამეზე:

მთელ კოლექტივს, მტერ-მოყვარეს,

უნდა ჩემი მოცილება,

თურმე ჭორიც დამიყარეს:

გაძლოო ჭორწილებმა.

მას ჭიტესა უპირის: — ვიცი,

განა ახლაც არ ხარ მთვრალი?

არ დაიწყო ფუქი ფიცქ,

იცის ხალხმა სამართალი.

— კვირადღეა, ძმაო, კვირა! —

თავმჯდომარემ გაიკვირა. —

კვირადღეა, ძმაო, ძმაო,

ფუქვად აღარ გევაჭრები.

ხვალ-ზეგ უნდა გამოიმცვალონ,

თავმჯდომარედ შენ დარჩები? —

თქვა, დუმილი ჩამოვარდა,

გადაიქცა სმენად მთვრალი, სტუმარს ცუდად ჩამოართვა მასპინძელმა ეს ნათქვამი.

ჩვენს ჭიტესას რაღა ეთქვა,

წუთი დადგა ლოდინის.

ძმობილს მაინც ახარებდა

ნახვა ძველი ძმობილის.

უპასუხა სტუმარს ცალკებად:

— არ მშურს შენი მაგიდა,

ვერ გავიგე, უკაცრავად,

ჩემგან მაინც რა გინდა?

ვერ ამოვხსენ გამოცანა,

რად მიყვები არაკებს.

ხალხმა კი არ გამოგვხანა,

ღვინო გალაპარაკებს.

მას სტუმარი, როგორც ბაღი,

ეტყვის: — გითხრა ნამდვილი?

შენ, კომუნისტს, ომგადახდილს,

გიცდის ჩემი ადგილი. —

ჩვენს ჭიტესას ეციენება:

— გემსახუროს მრავალ წელს.

ძმაო, არვინ გეცილებო

დიდი კაცის სავარძელს.

თუ ხარ ჩემი ძმადნაფიცო,

დამიჯერე, ძმასთან:

თვითონ ხალხმა კარგად იცის

კაცის ასმა-ჩამოსმა.

შევისწავლე კაცის ცნობა,

კვამე ფუთი მარბილი.

წაიშალა ჩემი ძმობა,

როგორც წყალი ჩავლილი.

არ გეწყინოს, რომ გაკადრო,

გითხრა გულისნადები:

თავმჯდომარე თუ ხარ, კარგო,

კაცის თავზე რად ჯღები?

გაგითიბეთ სათიბები,

თვალწვედენი ველები.

ძმაო, კიდევ გამიწყრები?

მკაშიც მოგეშველები.

ხვალ-ზეგ გავეწეო რუსთაისკენ,

შენ კი, როგორც მოცილილი,

ყველგან ნულარ წახვალ ისევ,

სადაც გეღის ჭორწილი.

ზოგს დაუხვდი მახვილივით,

ზოგს არ უთხრა უარი. —

თქვა ჭიტესამ და ღიმილით

გააცილა სტუმარი.

VIII

უცნობი ქალის წერილი

„რომ დავდივარ შეუღამეს,
ჩემზე არ თქვა — შემლილია...
სახლის კარებს ჩუმაღ ვაღებ,
განა შენი მეშინია.
არ გეგონოს, გიგებს მახეს
ეინმე ქვეამხიარული.
ჩუმაღ მოსვლას მიკარანახებს
მხოლოდ წმინდა სიყვარული.
ომში წახველ, ველარ განახე,
კარგო, შორი ცეცხლით მწვაველი.
სახლი, კარი შეგინახე,
გიცდი ოთხი წელიწადი.
მოვლა, ზრუნვა არ დავაკლებ,
დავიტირე მამაშენი.
განა თავი დაგამადლე,
რა მოგწერო დანარჩენი?
ორ დას ეუვლი, ორ პატარას,
ობლებს ჩემი მაღლი მოცუბე.
მე სინდისმა მომბაბრა
მათი თავი და სიცოცხლე.
კარგო, ყოფნას ასეთ დღეში
განა ბევრი გაუძლებდა?
ვიწვი, ვიწვი, უმაღლისში
სწავლას ვასწრებ დაუსწრებლად.
ვერსად მნახავ ხუთ წელიწადს,
ეგრე დავთქვი სასიკეთოდ.
დამეყაროს გულზე მიწა,
თუ ლალატი გაგიბედო-
მას იცოდე, კარგო, ჩემი
რწმენა, ფიქრი და განზრახვა:
სანამ სწავლას არ მოვრჩები,
არ შეგხვდები, არსად განახე.
თუ რუსთავეში გინდა წასვლა,
გზა გეფინოს ვარდ-ფურცლებად.
სიყვარულთან ერთად სწავლაც
გააგრძელე დაუსწრებლად“.
წაიკითხა ეს წერილი,
და ქიტესა უცებ შედგა.
იმღღევიანდელ მეწყერივით
დაეჯახა გულზე ელდა.
ვაყვაცს შერცხვა ატირება,
დაჯდა, სახლში დარჩა დიდხანს.
მეთუჯერ ამირებდა
თითო სიტყვის გადაკითხვას.

და ქიტესამ ბოლოს წერილს
მიაწერა ორი ბჭკარი: **გიგლიონთქვა**
„კარგო, ვერსად გამექცევი,
თუ ჩემს სახლში მოგისწარი“.

IX

მ. ბ. მ. მ. და ივანე

ჯარისკაცი ხრიოვ მინდორს
გასცქეროდა გაოცებით.
ჯგუფად, განა თითო-თითოდ,
ძირს ეყარა ნაღმტყორცნები.
ტუნს იკვნიტდა გაბრაზებით,
მოეკუმმა კაცს თითები:
მტრის ტანკები, ზარბაზნები
ჩანდნენ წაშლილ სვასტიკებით.
ცეცხლში ფრთები დასცვენოდა
ჩონჩხადქცეულ თვითმფრინავებს.
გლეხი რისხვით გასცქეროდა
რკინის გროვებს — ტვიფრიანებს.
გარდასული ომის ჯართი
ისე ჩანდა გარდაბანთან,
თითქოს მთელი ფრონტის ნაშთი
რუსთავესკენ გადაბარგდა.
მატარებლის სარკმელიდან
გაპყურებდა გზას ქიტესა,
ცეცხლს აფრქვევდა თვალებიდან,
ჩაესმოდა ხალხის კენჭის,
მოხუცების ოხვრა, გმინვა
და ქეთინი ობოლ ბალღთა...
„ეს ნაცნობი ომის რკინა
გარდაბანთან როგორ დამხვდა,—
თქვა ქიტესამ, — ომის კვალი
ომგადახდილს სად არ მხვდება!
ეს ლითონიც სისხლიანი
ტრაქტორებად გადადნება.
აშენდება აქ ქალაქი —
მზიან დროშებს გადმოჰკიდებს...“
უცებ ეტყვის ამხანაგი:
— რუსთავეში ვაწით, გაღმო, ქიტეს.
არხის მარჯვნივ მუხნარია,
გაპიშულა, მარცხნივ ველი.
ჩვენს ქიტესას უხარია,
რომ მოვიდა აქ პირველი.
„არ ჩამვილის უქმად ვარჯჯა,
მე ვაქნები მასპინძელი.
წილად მერგო, უნდა გავკრა,
დიდი ქარხნის საძირკველი“.

თქვა და სიტყვა გაუმართლდა,
 თქვა და კიდევ მოხდა ასე:
 ვაჟაკს ღონე გაუთათა
 ფაქრმა დიად მომავალზე.
 გაქრა ქარხნის საძირკველი,
 წამოიწყო კედლის ლესვაც-
 უცებ კვირა საკვირველი
 გაუთენდა ჩვენს ქიტესას:
 დაქანცული, ოფლიანი
 მშენებელი გზაში შედგა.
 მგზავრი ქერა, კორფლიანი
 მას რაღაცას ანიშნებდა.
 „ვინ იქნება?“ — თქვა ქიტესამ,
 წუთით ეშვმა გააოცა.
 უცებ უცხო კაცი ეცა
 და მმასავით გადაკოცნა.
 — ჰეი, ქიტეს, ველარ მიცანი?
 დავიწყება ადვილია?
 ნახევარი დედამიწა
 ფეხით ერთად დაგვივლია.
 შეგხვდი, ძმაო, მოვითავებ
 ჩვენ ყველაზე გვიან ომი.
 არ უჯერებ განა თვალბს?
 მე ვარ ივან ივანოვი. —
 გადაკოცნა ძმამ მძაკაცი.
 მაგრამ მაინც არ სჯეროდა,
 თუ ნახავდა ფრონტელ არწივს
 საქართველოს სამკვდლოსთან.
 მოიფშენიბა მან თვალეზი:
 — შენ ურალში მეგულები.
 — ძმაო, ცეცხლში ნაწვალეზი
 ჩამოვფედი შებებულებით.
 საქმე მქონდა სავალალოდ,
 ბერძენი, გული გეტყინება.
 წყალტუბოში საბანაოდ
 განმარწეს ექიმებმა.
 სამ კვირაში კაცად ვიქმეც,
 გადავყარე ყავარჯენები.
 ხვალ ურალში წავედ. ქიტეს,
 მეტხანს არსად არ დავრჩები.
 მომენატრა ჩემი ბრძენი,
 დროც თავდება შებებულების...
 საუბრობდნენ ძველი ძმები
 ხელ-ხელ გადახვეულები.
 — ფუ, შემირცხვეს მამ ულვაში,
 თუ გაგიშვა ხვალ ურალში! —
 რიხიანად თქვა ქვადამემ,
 მე ვარ შენი მასპინძელი.

შინ მესტუმრე, დამაფასე,
 ერთ ღღეს მაინც გამიძელს
 რუსთავს, თბილისს, გორს
 მოატარებს მომე მომემს.

ქალაქს მთიდან რომ დახედავს
 ივანოვი, გაოცებს:
 — რა ძვირფასი რამ ყოფილა,
 ძმაო, შენი ქვეყნის თვალი.
 ომმა დიდხანს გვაკოვდილა,
 მაგრამ იყო ჩვენი ვალი,
 რომ დაგვეცვა კავკასია,
 უკრაინა და ურალი.
 რაც კარგია, ღამაზია —
 მტრის შორიდან საშურნალი.
 ბოლოს მყუდრო დადგა წამი,
 დადგა ჭამი შებინდების.
 დაწყურებდნენ თბილისს ძმანი,
 ვით ვაყები ერთი დედის.
 უგრილებდა მათ მხურვალე,
 ფართო მეკრდებს კოჯრის სიო.
 ივანმა თქვა: — აღბათ მალე
 დამაბატიეებ ქორწილშიო...
 — დაუსწრებლად ესწავლობ, ძმაო,
 დაუსწრებლად მიყვარს ერთი.
 ვატყობ, ბედი არა მწყალობს,
 რალა უნდა გითხრა მეტი...
 ჩვენს ქიტესას მმადნადიცი
 ვერ გაუგებს, გაუწყრება:
 — დაუსწრებლად სწავლა მესმის, —
 სიყვარული დაუსწრებლად!

X

რუსთაველის პროსპექტში

ბრვე ვაყაცი პროსპექტს მისდევს
 და თან გულში ჩაცინებით
 ამბობს: „ჰგვანან ნელდ სიმინდებს
 ულვამწვანე ყმაწვილები.
 ქული მწვანე, პალტო მწვანე,
 პრელი, მწვანე ყელსაბამი. —
 იცინოდა კაცი მწარედ.
 არ მოსწონდა ეს ამბავი.
 სად ფუძდება მათი ნიჭი...“
 იტყვის გლეხი უჩვეული,
 როცა შეხვდა ათი ბიჭი
 ქიორდახუტუქებულნი.

ქიტესამ თქვა: „ავუწივდი
ჩემებურად, უცხად ყურებს,
მაგრამ როგორ გავუძლებდი
ერთი ამდენ უსაქმურებს. —
დგანან კედლებს მიყრდნობილნი,
ტანადები, თვალადები,
შემთვრალეები, ვით ყოფილი
დარდიმანდი თავადები.
იმათ ჩოხა მაინც ეცვათ,
ნახე ამათ რა აცვიათ, —
გულში წყენით თქვა ქიტესამ,
არა შიათ, არა სცივათ,
არ სწყურიათ, დგანან ასე,
უღარდელად აბოლებენ,
დგანან ასე და ლამაზებს
ურცხვად მზერას აყოლებენ.
გადაავლო თვალი მკაცრად:
— ეჰ, ნეტავი, ეჰ, ნეტავი,
რუსთავს მომცა მათი თავი, —
თქვა ყოფილმა ჯარისკაცმა.
ყველას ზელად კაცად ვაქცევ,
გარჯა უფრო შეერგებათ,

დავზრდი ჯანსაღ ახალგაზრდებს
დიდი ქვეყნის მშენებლებად!
თქვა ქიტესამ, თან გახედა
ფართოდ გაშლილ, ლამაზ გამზირს.
ომგადახდილს აწუხებდა
ხვედრი მრავალ ახალგაზრდის.
მათი ქცევა აოცებდა,
მიჰყვებოდა ხალხის ტალღებს,
მუშტრის თვალით ამოწმებდა
გლები ცაში აქრილ სახლებს.
ჩვენს ქიტესას განა მარტო
ეს ქალაქი აქვს ნახული?
ვაქყაცს ახსოვს მტრის სატახტო
და მშვიდობის განაფხული.
კარგად ახსოვს დასავლეთი
ცეცხლით გაჩირაღდებული.
ჩვენს ქიტესას განა ერთი
ქალაქი აქვს აღებული!
მიდის ახლა, ხმას ჩაესმის
ვაქყაცს ცაცხვის თუ ჩინარის...
ხმა ჩაესმის, ვით ალერსი
უცნობ ქალის — უჩინარის.

(დასასრული იქნება)



მონადირეები

ულრანი ტყის მყუდროება თოფის ჭუხილმა დაარღვია. პირველ გასროლას მოჰყვა მეორე, მეორეს—მესამე და ზედ მონადირის ბრაზმორეული ძახილი:

— ჰაი, დედასა! მაინც წამოხვედ, ტი-ლო... სანგალაუ, არ გაუშვა ეგ ოხერი! დაგეშილმა ძაღლმა ღვეღავი გააბა. დამფრთხალ ნადირს კვალდაკვალ გაედევნა.

თოვლზე გართხმული სქელი კვამლი გაიფანტა, თოფის წამლის სუნი მოედო ირგვლივ, კიდევ ისმოდა კლდეთა შორეული ყრუ გამოძახილი.

დაბარდნილი ბუნჩები შეირხა, შემხმარ ფოთლებზე შრიალით ჩამოიშალა თოვლი, ბუნჩებში შავი ხეუტუკა თავი გამოჩნდა, შავი შეზრდილი წარბები მის სწორნაკეთიან სახეს ვაკეკატურ იერს მატებდა. ჯარისკაცური ფარაჯა ეცვა ამოკვალთული, სანადირო პაჭიკები მუხლის თავებამდე სწვდებოდა. მარცხენა ხელში სანადირო კაპიანი ჯოხი ეჭირა, მარჯვენაში — თოფი.

გათოშილი, ეკლიანი ტოტები ედებოდა ტანზე, ხელებსა და სახეს უკაწრავედა, არ იმჩნევდა ამას მონადირე, გამგებლებული მიარღვევდა ბუნჩნარიანს.

წუთით შედგებოდა, ყურს მიუგდებდა ძაღლის ყეფას — ხშირტიყიან ფერდობს გაჰკიდებოდნენ ნადირი და ძაღლი. გამბული ღვეღავი მიწყნარდებოდა დროადარო, ცოტა ხნის შემდეგ — კი ისევ ასტებდა სანგალა გნიასს...

აღმართი აათავა, თავდავიწყებით დაეშვა თავქვე. ახლა თოვლისაგან დაზნექილი ტოტები ედებოდა სახეში, ბარდამი ეყრებოდა ხეუტუკ ქაჩორხა და მხრებზე. გაოფლიანდა, თოვლი აღწებოდა სახეზე და ღვარად ჩასდიოდა საყელოში. ვერც ამას ამჩნევდა ქაბუცი. მხოლოდ ერთი იყო იმისი ფიქრი — რო-

გორმე მიესწრო საყელში შევლებისათვის, იქნებ დაეღწია თავი ანაზღვეული სირცხვილისაგან.

სამი ესროლა, სამივე დაუცდა, კარგა მანძილზე გაჰყვა კვალზე, თუ დაიჭრა სისხლი იქნებო, მაგრამ ამაოდ!

„ზაქროს თუ წააწყდნენ, აუცილებლად მოჰკლავს“ — ეს აზრი არ ასვენებდა მონადირეს. მერმე, რას იტყვის ხალხი? ჯარში ნამყოფმა სროლაში გაწრთვნილმა შევლს ვერ მოარტყა, ზაქრომ აჯობაო.

ხომ მოეჭრება თავი.

ან რაღა პირით ამბობდა, რომ ასეულში პირველი მსროლელი ვიყავიო, ან როგორღა ეჩვენებინა ვისმესთვის სროლაში მიღებული საპატიო სიგელები!

ამ ფიქრით ჩავიდა ბოლოში და ისევ აღმართს შეუდგა. გორაზე შედგა დიდ ლოდთან, მიაყურა: სანგალას ნაწყვეტ-ნაწყვეტი ყეფა თანდათან უახლოვდებოდა შავკლდის ყელს.

თვალის ერთი გადავლებით მოზომა მანძილი. „გადამასწრებენ, — ამ აზრმა გული შეუკუმშა, — ერთსაც ვცდი, რაც იქნება, იქნება“ — გაიფიქრა. „არაფერი გამოვაო“ — ხმამალა ჩაილაპარაკა თავისთვის და ნერვულად ჩაიქინა ხელი.

ქვიდან თოვლი გადმოწმინდა და ზედ შედგა. მხრებიდანაც ჩამოიბერტყა. ტყიან ფერდობს გახედა გულდაწყვეტილმა. დროადარო ისმოდა სანგალას ყეფა. წუთით-წუთს უახლოვდებოდა ნადირი სამშვიდობოს. საყელში თუ გადაასწრებდა, მოკვლავ ფიქრიც ზედმეტი იყო.

ქაბუკს მოუსვენრობა დაეტყო. არა, ეს სირცხვილია, უნდა შევატყობინო, — გაიფიქრა გულში. თხილის ტოტები გადასწია და ქვიდან პირდაპირ გადაეშვა კბოღაზე.

შეუსვენებლად ჩაირბინა ნაგლეჯიანი დაღმართი. ფეხები უსხლტებოდა გაყინულ სია ქვებზე, ჩაიმუხლებდა, ისევ აღგებოდა... შიშველ გორაზე აირბინა გახელებულმა, აქედან უფრო გარკვევით მოჩანდა მიწისხიდა და შავკლდის ყელი.

კვლავ შედგა გორაზე, ხელი მოიჩრდილა, შავკლდის ყელს გახედა აქოშინებულმა.

კვლავ ისმოდა ძაღლის დაგმილი ყეფა.

ნადირი უახლოვდებოდა საყელს. ერთხანს უყურა, სული მოითქვა, მერმე მიწისხიდისკენ გასძახა მთელი ხმით: — ზაქროო, ჰაი, ზაქროოო... შავკლდის ყელში ჩამოდი, შავკლდის ყელში! გეზი ეგრე აიღეს, ორნი არიან! იჩქარე თორემ გადაგასწრებენ! — მერმე თავისთვის ჩაილაპარაკა, — მე დამეცდა, შენ მაინც აღარ დაეცდინო...

ეს რა მომივიდა, — ფიქრობდა მონადირე, — როგორ დავიბენი. იქნებ გადავიჩვიე ნადირობას? სამი წელია, რაც ნადირისთვის აღარ მისვრია, ნიშანი აღარ დამიღვია... ან იქნებ თოფმა მილალატა? მაგრამ, ხომ გამოვცადე, სამი ვერსოლე, სამივე ერთი მეორეზე უკეთესად მიიტანა. არა, რომ არ ავჩქარებელიყავი, უსათუოდ მოვკლავდი... მერე-და, როგორ მარჯვედ იღვა ვაცი. გაუყენებელი კენტლა ნაყელის მწვანე ფოთლებს!

მართლაც, პირველად ისე დაიბნა, რომ სროლაც ვერ მოახერხა. გაიტაცა მისმა სილამაზემ, შნოიანმა მიხერა-მოხერამ, უწყინარმა დინჯმა თვალებმა. მალემაღ გადახედვდა გვერდით მდგომ თხას, თავს დაიქნევდა, კისერს მოიღრცებდა ამაყად. მერე ისევ მაყვლის ტოტებს დაჰკორტინდა, — აქა-იქ ამოშვერილს თოვლიდან, ან ხავსს მოსძოვდა ხეს ძირას... და ისევ დედაშველს გადახედავდა.

...არა, რომ არ ავჩქარებელიყავ, აუცილებლად მოვკლავდი. არც ავჩქარდებოდი, რომ ის სატილო ტოტი არ მომდებოდა ჩაბმახზე. ხმელი ფოთლის შრიალმა შეაყრთო და დააპირა კამარის შეკერა. შემეშინდა — ვაითუ გამას-

წროს-მეთქი. აღარც კი მახსოვს კარგად, მიზანში როგორ ამოვიღე ვეწმინტე რებულმა დამიზნებაც ვერ მოვახერხებ და თოფს კი ვემდურია... მეორე როგორღა ვესროლე, ის სულ არ მახსოვს! — ფიქრობდა გულში. კვამლი რომ აიკრიფა, წყაროს თავზე გამოჩნდნენ ორივენი უვნებლად. წინ ვაცი მიუძღვოდა თავაწეული... ლამაზები იყვნენ, შნოიანები!

წუთით გაუხარდა, ორივენი რომ ისევ ერთად ნახა უვნებლად. მართლაც, ცოდვა ამ ლალი, უწყინარი პირუტყვის ანაზღეული სიკვდილი, მით უმეტეს, როცა თავს იწონებს სატრფოს წინაშე, ამაყად იღრებს კისერს და თვალფხიზლად მფარველობს გულისტოლს.

სანამ თვალს მიეფარებოდნენ, გულმა არ მოუთმინა და ერთხელ კიდევ სცადა ბედი...

სანგალა კი არ ცხრებოდა. ახლა სულ ახლო ისმოდა შავკლდის ყელთან მისი ბობორა ხმა. მაგრამ ეს აღარ ესმოდა ფიქრებს ადევნებულ ჰაბუტს.

...მთ ნამდვილად უნდა უყვარდით ერთმანეთი! — დასაკვნა ბოლოს გულში. — მაშ რას მივაწერო განუშორებელი ერთად ყოფნა. ერთმანეთისადმი ზრუნვა. როგორ გადახედა ვაცმა თხას, ფოთლის შრიალს რომ მოკერა ყური, თითქოს თვალებით ანიშნა, ახლოს მოდიო. ისიც აცახცახებული მიეკრა გვერდზე. თემცა რა შეუძლია, მაგრამ სიყვარულს მაინც არ ღალატობს... სიოცხლეს სწირაეს სიყვარულისათვის!

თოფის ხმამ გამოარკვია ფაქრებიდან. წამოვარდა, თოფი ჩაბლუჯა და გასაქცევად მოემზადა. ერთის წუთით ისევ ადგილზე გაქვავდა, ვერ გაარკვია, საიდან იყო თოფის ხმა.

ხელმეორედ დაიჭექა შავკლდის ყელთან. ხელმეორედ გამოეხმაურნენ მუქი კლდეები. შორს გაიფანტა კლდეთა გამოძახილი, უკანასკნელად ყრუდ გაიშხილა ხშირი ტყეში, თითქოს ტყემ ამოისუნთქაო ძალუმად და შორეულ მთათა ქარაფებს შეეხიზნა საუქლამოდ.

სანგალას მხიარული წყევწყავი მისწვდა მონადირის დადარაჯებულ სმენას. მერმე ამხანაგის ძახილი გაიგონა:

— გიგვი, აქეთ წამოდი, აქეთ! ჰაი, გიგვიი!..

— გააგორა უთუოდ! — დაიძახა ხმა-მალა და გადაეშვა მოწყვეტილ ბეჭზე. გიგი შეშლილივით გარბოდა ტყეში. დაღმართს ჩაირბენდა, აღმართი დახედებოდა წინ, აღმართს მორჩებოდა და მოსხლული ფერდობზე დაეშვებოდა ისევ. დაიღალა, მუხლები ეკეცებოდა, მაინც არ იმჩნევდა, შეუსვენებლად გარბოდა წინ.

როგორც იქნა, მიიღწია შავკლდის ყელს. გული ამოვარდნას ლამობდა ბუდიდან, დარწმუნებული იყო, რომ ზაქრომ აჯობა, და ბოღმა ახრჩობდა.

ათავა უკანასკნელი აღმართი და დაიბნედა მეორე მხარეს. ღრანტეში შენიშნა ზაქრო, მარცხენა ხელი შვლისთვის ჩაეკლო რქებში, მარჯვენა ხელით მოსკიდებოდა უცვეთელის ტოტებს და ლამობდა ზევით ამოწევას. ამოიწვედა ოდნავ, მოწყდებოდა უცვეთელის სუსტი ღერო და ისევ ღრანტეში ჩაგორდებოდნენ ორივენი.

— დაიცა გიშველი! — უყვირა ზევიდან გიგვი, თოფი მხარიღლივ გადაიგდო და ჩაირბინა მისაშველებლად. — არიქა, თუ ძმა ხარ, მომკლა ამ წყუელმა, ჯოხი ჩამომაწოდე, ჩამოსვლა არ გინდა.

გიგვი ჯოხი ჩააწოდა, ფეხი გაიმაგრა თოვლში და მთელი ძალით ამოსწია ზევით.

ამ ყოფით ამოათრეის ნადირი ღრანტედან და ხის ძირას მიაგდეს. სანგალა კუდის ქნევით ეალერსებოდა ხან ერთს, ხან მეორეს. მოკლულ ნადირს დასუნავდა, გვერდზე გადაბტებოდა წკაპტუნით, ერთი-ორჯერ დაიყუფებდა და კუდის ქნევით მონადირეებთან მიირბენდა.

ჰაქიქების სამუხლებებიდან ერთმანეთში ახელილი თოვლ-ტალახი გადმობერტყეს და დაღლილები ქვებზე ჩამოსხდნენ. სანგალა კი ჭირისუფალივით მიუწვა გვერდით შველს, რომელსაც ნა-

ტყვიარიდან ორთქლი ასდიოდა. ტყვიადილიაში მოხვედროდა. თბილარს მონადირის მძივებულ მოგორავდა — ფაფქა ბეწვზე და წითლად ლებავდა დატყვინილ თოვლს.

— ო! რა საცოდავად დაიხავლა. ტყვია რომ მოხვდა! — დაიწყო ზაქრომ და გაოფლიანებული შუბლი სახელოთი მიიწმინდა, — საცოდავი, როგორ გამოარბოდა, რომ სიკვდილისაგან თავი დაეღწია, რა იცოდა, რომ სიკვდილს უახლოვდებოდა.

შენი ძახილი რომ გავიგონე, აქეთ დავეშვი და აგე; აიმ კლდეს ამოვეფარე. მერე სანგალას ყუფა გავიგონე; მეგონა ქვევით გადასასწრეს-მეთქი და გადავბტი პირდაპირ, აგე, აიმ ნაკლუჯიანში, — ანისმებდა ხელით ზაქრო და ისე იყო გართული, რომ არც კი შეუღმჩნევია გიგი უსმენდა თუ არა, — ქვაზე ფეხი დამისხლტა, დავეკურდი და ასე ჩავედი ბოლომდე, ფეხი ვეღარ ავიდგი. წამოვიდა-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ რას ვხედავ! ჩემს პირდაპირ, აი სწორეთ ამ ადგილას გამოიხდნენ. შედგა ვაცი, თხაც გვერდით ამოუდგა... მე მაყვლის ბუჩქები მფარავდა. ამ კბოდეს მოერიდა, თუ მე შემნიშნა, არ ვიცი, მარცხნივ შემობრუნდა და პირდაპირ სიბრტყით გამისწორდა. მე თოფი გადმოვიღე ფრთხილად... თავფეხიანად ეკანკალებდი, არ დამიცდეს-მეთქი და თავს ძალას ვატანდი, რომ არ აეჩქარებულეყავ. თოფი რომ გადმოვიღე, გადახტომა დააპირა. მე ნელა დავუსტვინე, სტვენახე შედგა. გულის კანკალით ვაუუსწორე თოფი და... კვამლი, რომ აიკრიფა, დავინახე ფერდობზე მოგორავდა, ადგომას ცდილობდა, წინა ფეხებზე წამოიწვედა, მუხლი მოეკვეთებოდა, ჩაიჩოქებდა უმაღლე. ამოდ ებრძოდა სიკვდილს! ჩემს ფეხთან დაეცა ცოცხალ-მკვდარი. თვალბში მომამტვრდა; სიკვდილი უკრთოდა ლამაზ თვალბში! ვერ ავიტანე მისი შემოხედვა, გული დამეწვა ცოდვით, თავი მოვარიდე... თხა დავინახე, აიმ გორახზე, დაბნეული დარბოდა უახლოდ, გზა ვეღარ გაეგნო. მერე იმას

ვესროლე, მაგრამ შორს იყო. წავიდეს, ხელცარიელები ხომ არ დაერჩიო, მარტო ამისი რქები რად ღირს, აბა დახედე, როგორ არის ატოტვილი!

ზაქრო აღტაცებით ჰყვებოდა ნადირობის თავგადასავალს და ეტყვი არ არის ბევრს აქარბებდა კიდევ.

ასეთია მონადირის ჩვეულება!

თვითონ რომ ჩამოფეჭვა ყველაფერი და სათქმელი აღარაფერი დარჩა, ახლა გიგას შეეკითხა. შენ რა ჰქენი, როგორ დაგცდა? დამფრთხალებს ესროლე?

— აჰჩქარდი და დამიცდა, — ცივად მიუვო გიგიმ, — ნიშანი ვერ მივეუყენე. ისე გარბოდნენ, თვალი ძლივს შევასწარი.

ზაქრო ახლავდა დააკვირდა მეგობრის მოღუშულ სახეს — რა მოგივიდა, გიგი! არა გრცხვენია? სულ ერთი არ არის, გინდ მე მომეკლა, გინდ შენ? ნადირობის დროს ხომ უცნობებიც თანასწორი ამხანაგები არიან, მე და შენ მით უმეტეს! შენ რომ არა, ვერცა მე მოვკლავდი. შენს ადგილზე იქნებდა ვერცა მე მომეკლა. მაგრამ საყელი სულ სხვაა: ჩასაფრებული ხარ და იცი რომ ნადირი ზედ მოგაწყდება და წინასწარვე ნიშანი გვაქვს დადებული. გამრეკი მოულოდნელად წააწყდება და, რა თქმა უნდა, გადახიხდება. არა, გიგი, ეგ გულში არ გაიტარო, ჩემს ადგილზე არც შენ დარჩებოდი ხელცარიელი.

ზაქრო წამოდგა, მეგობრულად მოხვია ხელი და ნელი ხმით ჩაუძმერა:

ნადირი, მონადირეო,
მთას წახვალ, გეხედებოო,
დღეს თუ ვერ მოკალ, ხვალ მოკლავ,
აუგ არ დაგედებო!

გიგის უნდოდა ეთქვა, — შენი გამარჯვება არ შემშურდება, ჩემს თავზე მომდის გულიო, მაგრამ ზაქრომ აღარ აცაღლა, — აბა ახლა კი წავიდეთ, აბიდასტურაში დავისვენოთ, მწვადიც შექვვით და სამხარციც. ეჭამოთ. რა გაჯავრებს, ნადირობა ბედია, აუგი მაინც არ დაგედება! — ამ სიტყვებით ზაქრომ თოფე-

ბი აიღო, გიგიმ შველი მოიგდო ზურგზე და ნელი ნაბიჯით შეჰყენდა ნელ-ნელა ფენილ გორს.

* * *

აბიდასტური საცნაოდ მოზრდილი ვაკეა, სოფელ თეთრწყლების ჩრდილოდასავლეთით, ცივის მთის აღმოსავლეთ კალთაზე. ოთხივე მხრიდან ხშირი უღრანი ტყე აკრავს, დასავლეთით თანდათან მალღდება და თავდება. პატარა გორაკით, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი „უქვა-გორას“ ეძახიან. უქვა-გორაზე ასწლოვანი მუხისა და იფენის ხეებს შორის ამართულია ხავსითა და ხვით დაფარული უძველესი ციხესიმაგრე, მდუმარე, როგორც სინანული და პირქუში, როგორც შორეული ჩვენი წარსული. უფრო დასავლეთით გადის ასეთივე უძველესი გზა, რომელიც იწყება სოფელ იყალთოში. მიემართება სამხრეთით და ჰყვეთს ცივის მთას იქ. სადაც ამჟამად თბილის-თელავის გზატკეცილი გადის და გომბორის გადასავალს ეძახიან. ეს გზა თავის დროზე დიდი დანიშნულებისა იყო: იგი კახეთს, საქართველოს გულთან, თბილისთან აერთებდა, მაგრამ დღეს ისეა ბალახითა და შამხნარით დაფარული, რომ აღარც კი ეტყობა, თუ აქ ოდესმე გზა ყოფილა.

გიგიმ და ზაქრომ ძველი ციხე-გალავნის ნანგრევთა შორის მშრალი ადგილი გამოიხატეს; გიგიმ მუხის ხმელი ტოტები ჩამოამტვრია და ცეცხლის ანთებას შეუდგა. ზაქრომ უკანა ფეხები ჩაუტყავა ნადირს, სამწვადეები ააქრა, შამფურები გათალა სახელდახელოდ და მწვადები ააგო.

ამასობაში ცეცხლიც აინთო, ხმელმა მუხის შემამ გააბა ტყაცატყუცი; მალე ჩანაკვერჩხლდა. ზაქრომ ცეცხლს გული გადაუშალა და მწვადები გაუწყო, გიგიმ საგზალი ცარიელ ჩანთაზე ამოალავა.

ამიშინდა ცერიანი მწვადი, მადის აღმძვრელი სუნი მიმოაფრქვია ირგვლივ.

ზაქრომ მათარას პირი მოხსნა, პატარა „საგზაო“ ყანწი აავსო და გიგის მიაწოდდა:

— აბა ჩვენი გამარჯვებისა იყოს!

გიგიმ ყანწი ჩამოართვა:

— შენი გამარჯვებისა იყოს, ზაქრო, შენით გადავრჩით დღეს შერცხვენას. გამარჯვებული შენა ხარ და პირველი სადღებრძლოც შენ გეკუთვნის, ოღონდ წელიდან რომ მითხარი, გეწყინაო, ძმობას გეფიცები, არა მწყენია, ჩემს თავზე მომდიოდა გული, შენი გამარჯვება კი ოდნეადაც არ შემშურებია! შენი გამარჯვებისა იყოს... კვლავაც ხელი მოგმართოს!

მწვადს შეექცეოდნენ და წელიწად აყოლებდნენ ეპიტაურს. ლოყები შეფუცლა ორივეს, თვლები აუციენდა და საუბრის საღერღელი აეშალა. ციხის ხავსმოდებულმა კედლებმა წინაპართა სასახელო საქმენი გაახსენა, ერთმანეთს ეცილებოდნენ წაკითხულისა თუ გავაონილის მოყოლაში. ეს საუბარი ბოლოს წინაპართა შესანდობარით დაავტრინენეს, დარჩენილი ხორცისა და პურის ნაპურებით სანჯალას გაუმასპინძლდნენ და მოეშხადნენ.

შზის მკრთალი სხივები ამაოდ ეთელებოდნენ კავკასიონის დათოვლილ თხემებს. საღამოს ბინდი იკიდებდა ფეხს. ლილისფრად ელავდა დათოვლილი ბორცვები. სამგორულმა წამოუბერა ბინდისას, თოვლი მოხვეტა გორებიდან და ტრიალ-ტრიალით აიტაცა ჰაერში.

გიგიმ და ზაქრომ აქ გაატარეს თავიანთი წმინდა ბავშვობა და შინაარსიანი წლები სიყრმისა. ნაცნობი ადგილების დანახვამ ბავშვობა გაახსენა ორივეს, განსაკუთრებით გიგის, რომელიც ამ სამი წლის განმავლობაში დღეს პირველად იყო აქ.

— ზაქრო, ცოტა ხანს შევჩერდეთ, — სთხოვა მუდარის კილოთი გიგიმ და მხარზე მოკიდებული შველი ისევ ხის ძირას მიაგდო. — დიდი ხანია აქ აღარ ვყოფილვარ. აქ მთელი ბავშვობა გამივლის თვალწინ და გული სხვარიგად დამიწყებს ჩქროლვას... აგე, აიმ ბებერ მუხის ძირას რამდენჯერ გვითამაშია, აგე, ჩვენი საყვარელი წყარო, სადაც სამხარი უნდა გვექვამა მწყემსებს, წყა-

როს ქვევიდან ვაკეში საჩილიკაო ადგილი გვექონდა ამოჩემებული. რამდენჯერ თოფის სროლაში გავჯიბრებულვართ. სხვა რამდენი ტკბილი მოგონებაა დაკავშირებული ამ ადგილებთან, ყველას როგორ ჩამოთვლის კაცი...

ტყის პირას თივის ბუღუღებს შეასწრო გიგიმ თვალი.

— ოჰო, ეს კარგი გიქნიათ, წინათ კი ამ ადგილს თითქმის არ ვიყენებდით. პირუტყვს თუ ამოვრეკდით ბავშვები, სახნავ-სათესად კი გამოუყენებელი იყო.

— ვაი, რომ ისევ ისეა დღესაც, — თქვა ზაქრომ და ცისფერი თვლები სიხარულით გაუბრწყინდა, — მაგ თივებს რომ ხედავ, სათავისოდ ვინმე გამოთიბავდა ტყის პირებში, კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა კი არც ისეთი ბეჯითია, რომ ასეთ განაპირა ადგილებზე შეიწუხოს თავი. იცი, გიგი, მე ეს აზრი დიდი ხანია მიტრიალებს თავში. სატრაქტორო ეტრსები რომ დავამთავრე და სოფელში დავბრუნდი სამუშაოდ, მაშინვე საკითხის აღძვრა მოვიდნოვ კრებაზე, მაგრამ სიცილად არავის ეყო, მხარი არავინ დამიჭირა...

— როგორ, მხარი არავინ დაგიჭირა, რას აკეთებდა კომკავშირული ორგანიზაცია? ეს საქმე ახალგაზრდობის საქმეა.

— შენ არ იცი, რა უნიათო იყო წიქა, ის რომ ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს, დიდი შეცდომა იყო. ვერ იქნა და ვერ გამოვნახე მასთან საერთო ენა. რამდენჯერ ვუთხარი, შენ ოღონდ მოიწადინე და ტრაქტორის, ატანა ჩემზე იყოს-მეთქი, მაგრამ ვერაფრით დავიყოლიე. ხან უგზოობას იმიზეზებდა, ხან კიდევ რას... თავმჯდომარეც მხარს უჭერდა. ბათონ ერთხელ ისიც კი მითხრა, სახნავ-სათესი არც აქ გვაკლია, ეს დავამუშაოთ რიგიანად, გეგმა შევასრულოთ და საყვედურს არავინ გვეტყვისო. თითქოს საქმე მხოლოდ ის იყოს, რომ საყვედური არავინ გითხრას! მეც უნებურად თავი დავანებე... აი ახლა შენი იმედი მაქვს, ახლა ორგანიზაციას შენ მეტაურბობ, ხალხიც გიჯერებს, ყვე-

ლას ხათრი აქვს შენი. შენ მხარი დამი-
ჭირე და ამ ადგილს ზაქრო მალე გადა-
მწევებ... მერე რა საბოსტნე ადგი-
ლია, მალღობი, გრილი და, რაც მთავა-
რია, ნასვენნი. ოცი, ოცდახუთი ჰექ-
ტარი ნოყიერი, ხამი ნიჭა ხუმრობა
საქმე როდია კოლმეურნეობისათვის...

— ბათოს მე თვითონ მოველაპარაკე-
ბი. არა მგონია, ამაზე უარი გვითხრას.
ბათოს უყვარს საქმე, მაგრამ რა ქნას,
ერთი კაცი ყველაფერს ვერ აუწეა...

გაგი ცოტახანს ჩაფიქრდა, და განა-
გრძობ:

— იცი, ზაქრო, რამდენი რამ ვნახე
ჯარში ყოფნის დროს, ამ ლაპარაკზე გა-
მასხენდა. მე ჩემი თვალთ ვნახე, რა
სასწაულებს ახდენს ხალხი ჩვენს ქვე-
ყანაში. ჩვენი ნაწილი ახლოს იდგა და
საბრძოლო მეცადინეობებს ვატარებ-
დით სწორედ იმ უღბურ ადგილებში,
სადაც ამჟამად ხალხმრავალი ახალშენე-
ბია. იმაზე ჯოჯობხეთ ადგილს კაცი ვერ
ნახავდა: სიცხით გადაწვარი, ქვიშის
შუქი, თვალუწყდენელი ტრამალები,
არავითარი ცოცხალი არსება, გარდა
ქვეწარმავლებისა! ვინ იფიქრებდა, თუ
იმ ცხოვრება შეიძლებოდა. პირველად
რომ მივიდა ხალხი, სამართლე გითხრა,
გამიკვირდა, რამ გააგებია ეს ხალხი, —
ფიქრობდი გულში, — აქ რომ არ ცო-
დვილობენ, გაწყდა ქვეყნად სახნავ-სა-
თესი-მეთქი. არც დავიჯერე, თუ ის
ხალხი მართლა საცხოვრებლად იყო მო-
სული. ორი დღის შემდეგ აიბარგებთან
და საიდანაც მოსულან, ისევ იქ წავ-
ლენ! — დავცინოდით ბიჭები...

ერთი წლის შემდეგ კიდევ მოვხვდი
იმ ადგილებში. თვალს არ დავუგერე,
სადა იყო გადაწვარი, უსაცოცხლო
უღბანო, მის ნაცვლად სიცოცხლე ძა-
ლუმად ფეთქავდა. იქ იგრძნობა მძლავ-
რი მაჯისცემა ნამდვილი შემოქმედები-
თი ცხოვრებისა, ბრძოლისა და წინსვ-
ლისა! ახლა არ იკითხავ ჩემს გაკვირვე-
ბას, იქ რომ ყანები ვნახე, არ დაიჯე-
რებ, არაფრით არ ჩამოუფარდებოდა
ჩვენებურს. ეს პირველი მოსავალია, —

გვეუბნებოდნენ ახალი მობინადრენი,
თქვენ მომივალში უნდა ნახოთ... რის-
თვალის იქნება ჩვენი „ახალი ქვეყ-
ნა“.. მე იქ რამდენიმე დღე დავრჩი. რა
ეროვნება არ ცხოვრობს იქ: რუსი, ქარ-
თველი, სომეხი, უზბეკი, უკრაინელი...
წარმოიდგინე, ჩინელები და კორეელებიც
კი შემხვდნენ. სულ ახალგაზრდო-
ბაა, სოფლის უფროსიც და სოფლის
თავკაციც. აი სად არის ნამდვილი შინა-
არსიანი ცხოვრება, ცოცხალი და მიმ-
ზიდველი! ჩვენ კი რა, ცხვირწინ უზარ-
მაზარი მიწაა და ვერ მოგვივლია, ვერ
გამოგვიყენებია! ახლა მიინც უნდა გა-
მოვიყენოთ. დაგვთანხმდებიან — კარგია,
არა — და ჩვენსას გავიტანთ, შენ მარტო
ეს მითხარი, გზა რომ არსაიდან არ უღ-
გება ამ დალოცვილ მიწას?!

— ვიცი, რაც გინდა თქვა, ტრაქ-
ტორი როგორ ამოვიტანოთო, არა! ეს
ადვილია, აბა გახედე ამ ძველ ნაგ-
ზევს, — და ზაქრომ გიგი დასავლეთისა-
კენ შემოაბრუნა. — შენ თუ გახსოვს. ეს
ნაგზევი შარაგზას უერთდება ზედ
უღელტეხილზე: მე შესწავლილი მაქვს,
ისეთი საიმედო გზაა, რომ ტრაქტორი
კი არა, „პობედაც“ თავისუფლად შეი-
ძლებს ამოსვლას. მართალია, ცოტა შო-
რიდან მოგვიხდება შემოვლა, მაგრამ.
ანდაზისა არ იყოს, გზა შორი მორარეო,
ჩვენც შორიდან შემოვლით საქმესაც
გავაკეთებთ და მანქანასაც მშვილობი-
ნად გადავარჩინთ.

— ყოჩაღ, ზაქრო! — შესძახა გიგიმ
აღტაცებით, — მომეცი ხელი!

ხშირი ბინდი წამოეპარა საუბარში
გართულ ქაბუტებს. გამუქდა ლილისფე-
რი მინდორი, გაბაცდა ჯმუხი მუხების
სილუეტები. მძლავრად წამოუჭროლა
სამგორტულმა, ფიფქი შეაყარა ორივეს
სახეში.

— აბა ახლა კი წაიხედეთ! — უთხრა
ზაქრომ, შველი წამოიკიდა და მოკლე
ბილიკით სოფლისაკენ დაეშენენ.

— ამას აუცილებლად გავაკეთებთ! —
ფიქრობდნენ ახალგაზრდები.



ს ა თ ა ფ ლ ი ა

ნარკვევი

დალის რვა საათი იყო, როდესაც წყალტუბოს მატარებელი დაშორდა თბილისის სადგურს. კუბეში ჩემთან ისხდნენ მხოლოდ ორნი — ერთი უკრაინელი, იშვიათი დაავადებული, და მეორე — ციმბირელი მასწავლებელი ქალი.

უკრაინელს, რომელიც ზემო თაროზე იწვა, მეტად დაღლილი და უკმაყოფილო გამომეტყველება ჰქონდა. იგი საუბარს ერიდებოდა და შეკითხვებზე დაღი გაქირვებით იძლეოდა პასუხს.

ცამბირელი ქალი კი, პირიქით, სულ სხვა ხასიათისა იყო. მისი მსუქანი, მაგრამ მოძრავი სახე, პატარა მრგვალი ტანი და ცოცხალი ცისფერი თვალები, რაღაც სიმშაბათის იწვევდა მოსაუბრეში.

ქალი რევმატიზმს უჩიოდა და წყალტუბოში მეორედ მიემგზავრებოდა სამკურნალოდ.

— შარშან გახლდით წყალტუბოში. მძიმე ავადმყოფი ჩამომიყვანეს. არ მჯეროდა, რომ მომიხდებოდა, ვინაიდან წყლით მკურნალობას სექტბერულად ვუცქეროდი. ეს, ალბათ, ჩემს ჩამორჩენილობას უნდა მიეწეროს. მაგრამ... — იგი, კმაყოფილი, იცინის, — როგორც ხედავთ, თითქმის მთლიანად განვიკურნე. პირდაპირ სასწაული მოხდა ამ ოქტვინს საქართველოში...

ცოტა ხნის შემდეგ მან განაგრძო:

— უკვე ოცი წელია, რაც ვმასწავლებლობ. მენატრებოდა ნახვა საქართველოსი, რომლის სიტურფე ასე კარგად, ასე ცოცხლად აქვთ აწერილი ჩვენს საუკეთესო პოეტებს. ავადმყოფობის გამო ეს ნატვრა შემისრულდა. მჯერა, რომ საბოლოოდ განვიკურნები და წელს უეჭველად შევძლებ სათაფლიის ნახვას. თქვენ ალბათ გინახავთ ის შესა-

ნიშნავი გვირახი და დინოზავრების ნაკვალევი, რომელიც ერთადერთია საბჭოთა კავშირში? — შეკითხება ქალი.

მე თავი გავაჭნიე.

— არ გინახავთ? საკვირველია! როგორც ქართველს, არ გეპატიებათ. ეგ ხომ მსოფლიო მნიშვნელობის ადგილებია... უკაცრავად, რა პროფესიის ბრძანდებით?

მე რატომღაც გადაწყვიტე, არ გამემხილა ჩემი ვინაობა.

— ინჟინერი გახლავართ.

— მაშ თქვენ ინჟინერი ბრძანდებით... — მის სახეზე რაღაც მოწყენილობის ნიშანი აღიბეჭდა. შემდეგ მან ისევ გულწრფელად გაიცინა:

— თქვენ, იმედია, მამატიებთ, ასეთი რამეები მაინცდამაინც არ გაინტერესებთ.

მე საპიროთ ჩავთვალე ინჟინრების დაცვა და სიცილითვე ვუპასუხე:

— როგორ გეკადრებათ! ჩვენ მეტად ცნობისმოყვარენი ვართ. ხშირად ვიღებთ მონაწილეობას ექსპერსიებში, დავდივართ თეატრებში, კინოში ვუსმენთ რადიოგადამცემებს და გატაცებით თვალყურს ვადევნებთ სპორტს, განსაკუთრებით ფეხბურთს. გარდა ამისა, ჩვენს შორის არიან ისეთებიც, რომლებიც დრამებსა და, ზოგჯერ, ვრცელ პოემებსაც კი წერენ. საერთოდ...

ქალმა შემაწყვეტინა:

— დიახ, დიახ, რასაკვირველია! მეტისმეტად სიმშაბათური და კარგი ხალხია, სიცილით დაუშატა მან, — მაგრამ, რაც შეეხება დრამებსა და პოემებს, რა მოგახსენოთ...

ჩვენი საუბარი უეცრად შეწყდა, როგორც ეს, საერთოდ, ვაგონში საუბარს

სწვევია. ქალს დაღლილობა ემჩნეოდა. მან მოიბოდიშა, მიწვა და მალე მიეძინა.

მეც დამძინებოდა. გამოვძვირებოდა, როცა მატარებელი რიონის სადგურს უახლოვდებოდა. რაღაც უცნაურმა სიხარულმა ამიტანა. ვგონებ, არასოდეს არ მომნატრებია ქუთაისი ისე ძლიერ, როგორც ახლა. თითქოს მთელი საუკუნე არ მენახა ეს ჩემთვის ძვირფასი, საყვარელი ქალაქი, სადაც ჩემი ბავშვობა და ახალგაზრდობა გაატარე. ჩემს მეზობელ ქალსაც გამოვძვირებოდა და ფანჯარაში გაიხედა. ზემო თაროზე კი უკრაინელი ისევ განაგრძობდა ძილს.

მე და რუსის ქალი, როგორც ძველი ნაცნობები, ვეშვიდობებოდით ერთმანეთს. ვესურვებ მას საბოლოოდ განკურნებას და წყალტუბოდან სათაფლიაზე ფეხით ასვლას.

უღრუბლო, მზიანი დღით შემეგება მშენებლობის ხარაჩოებში ჩამდგარი და ცხოვრების ახალი რიტმით ამმარებულ ქუთაისი. ტროლეიბუსში ჩავჯექი და ჩავეარე ნაცნობ შენობებს. როგორ გამშვენიერებულა ქუთაისის ბაღი! ქუთაისის ახალი თეატრი, გედვიით თეთრი და ლამაზი, ამაყად დაჰყურებს მოსაფალტებულ მოედანს, რომელსაც სტალინის კარგად შესრულებული მონუმენტი ამკობს.

აი კლასიკური გიმნაზიაც. მრავალი პიროვნება აღზარდილა მის კედლებში — გამოჩენილი მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები. აქ სწავლობდნენ და აქ მიიღეს საშუალო განათლება აკაკი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ, აქ სწავლობდნენ ვლადიმერ მაიაკოვსკი და სამოქალაქო ომის განთქმული გმირი ვასილ კიკვიძე, რომელთაც კარგად ვიცნობდი. რატომღაც მემორიალურ დაფაზე არ არის აღწერილი, რომ აკაკი და ნიკო — ეს საამაყო შვილები ჩვენი ერისა — ამ გიმნაზიის კედლებში აღიზარდნენ.

აი „თეთრი ხიდი“, სადაც მე უნდა ჩამოვადე, მაგრამ ცნობისმოყვარეობით გატაცებული ვაგრძელებ გსას. აი

ძველი ორბირის ქუჩა, რომელიც ახლა სტალინის სახელს ატარებს, ისევე მოედნიდან დაწყებული იგივე მთაწითელა და წყალტუბოს რაიონის დასაწყისამდე. ასფალტით მოკრიალებული, გაფართოებული და ახალი შენობებით დამშვენიებული.

დიდი მოძრაობაა ამ ქუჩაზე. ქალაქი სწრაფად იზრდება. ახალი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა წარმოებს რიონის ველის დასავლეთით.

მიჰქრინან საბარგო და მსუბუქი მანქანები, ტროლეიბუსები, ავტობუსები. აი ქუთაისის ავტოქარხნის მიერ გამოშვებული გაკრიალებული ახალი საბარგო ავტომობილები — ჩვენი ქვეყნის სიამაყე.

აი, წყალტუბოსა და წულუკიძეში წასასვლელად გამზადებული ავტობუსები. უნებლიეთ მაგონდება „ყაფანთან“ ჩამწკრივებული ძველი დილიყნები, „ლინიეიკები“ და ეტლები. დაბალი და გაჭვართლული სამიკიტნოების წინ ნახევრად მთვრალი შეეტლევები ლაზღანდარობდნენ ლოთობით გამოთაყვანებულ ლაზიან მიკიტნებთან და დროგამოშვებით გაიძახოდნენ: „აბა, ვინ მიემგზავრებით ზონში და კულაშში, დაჯექით, ახლავე წყალთი!“ მეც არაერთხელ მიმგზავრავა ამ დილიყნებით და „ლინიეიკებით“... მაგონდება ეს დრო და მელიშება. როგორ შეიცვალა ქალაქის სახე, როგორ გადასხვაფერდა ყველაფერი!

ვინც კი ქუთაისში ჩამოდის, რომ გაეცნოს ჩვენს ისტორიულ ძეგლებს, — ბაგრატის ტაძარს, გეგუთში დავითისა და თამარის სასახლის ნანგრევებს, გელათს და სხვას, უსათუოდ შეხედება პეტრე ჭაბუკიანს. ეს გახლავთ განათლებული ადამიანი, ნამდვილი საბჭოთა პატრიოტი და გამოცდილი პედაგოგი. მთელი სიცოცხლე შესწირა მან ქართველი ხალხის ისტორიული ძეგლების დაცვას. დიდი ხანია თვალყურს ვადევნებ ამ პიროვნებას. ჩემს ყურადღებას იპყრობს იგი თავისი თავდადებული მუშაობით,

სისპექტივით, დაუშრეტელი ენერჯით. პეტრე ჭაბუკიანი სამოცდახუთი წლისაა. 1912 წელს ქუთაისში საშუალო განათლების ექსტერნად დამთავრების შემდეგ იგი შედის იურიდიის, ეგრეთწოდებულ დერპტის, უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო და ისტორიულ ფაკულტეტზე, რომელსაც 1916 წელს წარმატებით ამთავრებს.

სულ ახალგაზრდა, ენერჯით სავსე, იგი ბრუნდება საქართველოში და მშობლიურ ქუთაისში პედაგოგიურ მუშაობას იწყებს. მისი პედაგოგიური მოღვაწეობა რვა წელი გრძელდება.

როგორც ისტორიისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებელი, იგი თავის მოწაფეებთან ერთად აწყობდა ექსკურსიებს ქალაქგარეთ და მათ ჩვენი ქვეყნის თავისებურ მხარეებს აცნობდა. ერთ-ერთი ასეთი ექსკურსიის დროს, ქუთაისიდან ორი-სამი კილომეტრის დაშორებით, გორაკზე, რომელსაც „თეთრა მიწა“ ეწოდება, მან მოულოდნელად ქვის ეპოქის ადამიანის სადგომი აღმოაჩინა. ამისი უტყუარი დასტური კაცისაგან გაკეთებული სამეურნეო იარაღის და საჭურვლის სიმრავლე იყო. ეს მოხდა 1924 წელს.

ამ აღმოჩენას ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი საისტორიო მუზეუმისათვის, რომელიც 1924 წელს დაარსდა. ქვის ეპოქის ექსპონატებში გამდიდრა ქუთაისის მუზეუმი.

ამ აღმოჩენით აღფრთოვანებული, ჭაბუკიანი განაგრძობს ქუთაისისა და, კერძოდ, „თეთრა მიწის“ მიდამოების დათვალიერებას და შესწავლას. 1925 წელს, ზაფხულში, პეტრე ჭაბუკიანი სათაფლიის მთაზე აღმოაჩინა უდიდესი გვირაბი, რომელსაც თავისი დარბაზის სიდიდითა და მშენიერებით მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უქირავს.

გვირაბის აღმოჩენამ ჭაბუკიანში დაბადა შთაგონებული აზრი ამ გვირაბის ირგვლივ გატიალებული მიდამოს გარდაქმნისა და გამშენიერებისა.

„ოდესღაც ხომ აქ უდაბურა ტყე შრიალბდა! — გაიფიქრა მან. — განა

შეუძლებელია, რომ ასეთივე ტყე შრიალბდეს აქ ახლო მომავალში? — ჭაბუკიანი არ დაკმაყოფილებულა აღმოჩენებით. იშვიათმა შრიომისუნარიანობამ, დაკვირვებისა და ძიების ნიჭმა საშუალება მისცა მას 1933 წლის ზაფხულში მოეხდინა კიდევ უფრო სერიოზული სამეცნიერო მნიშვნელობის აღმოჩენა. სათაფლიის გვირაბს ზემოთ, დასავლეთ-სამხრეთის მხრივ, იგი წააწყდა კარსტული ფენის ჩამონგრეულ და გაშისვლებულ ნაწილს, რომელზეც აღბეჭდილი იყო რაღაც უცნაური ფორმის ნაკვალევი. იგი ახერხებს კლდის ზედაფენის აღებას და გაფართოებას. ნაკვალევთა რაოდენობა მატულობს. ერთ ნაეტრფალს მისდევს მეორე, მესამე... ეს იყო დინოზარების გაქვავებული ნაკვალევი, რომელიც შემდეგ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ ჭაბუკიანის სახელობის ნაკვალევად გამოაცხადა.

პეტრე ჭაბუკიანი 1933 წელს გელათში გამოიცილა დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული გელათის აკადემიის შენობა, რომელიც მანამდე დაკარგულად ითვლებოდა.

წყნარი მზიანი დილაა. შეედივარ დაწესებულებაში, სადაც პეტრე ჭაბუკიანი სიძველეთა დაცვის ინსპექტორად მუშაობს. ვაცნობ ჩემი ჩამოსვლის მიზანს:

სათაფლიის გვირაბისა და დარბაზების გადღება გეინდა, ვინაიდან ამ გვირაბის ოდნავად, დამაკმაყოფილებელი სურათები, სამწუხაროდ, არ მოგვეპოება.

— ვიცი. რამდენიმეჯერ ვცადეთ სურათების გადღება, მაგნიუმის აფეთქებით მაგრამ არ ივარგა, — მიპასუხე ჭაბუკიანმა.

— მაგნიუმით გადღება უნიონთა: იგი არავითარ ეფექტს არ მოგვეცემს, ვინაიდან ყველაფერს ერთ სიბრტყეში გვიჩვენებს. გვირაბის სიდიადეს ამ საშუალებით ვერ გამოვავლენთ.

— ეგ მართალია, მაგრამ გვირაბში ელექტროშუქის უქონლობის გამო სხვა

საშუალება არ მოგვეპოვება. უკვე დადგენილია გვირაბში შექვის გაყვანა, რაც არავითარი სიმძნელეს არ წარმოადგენს, მაგრამ ამჟამად...

— უნდა მოვახერხოთ თუნდაც ერთი საათით გვირაბის განათება.

— ეს ძალიან კარგი იქნება, — სიხარულით ამბობს ჭაბუკიანი, — მაგრამ ამის მოწყობა რთული საქმეა. შევეცადოთ და, რადგან ეს საჭიროა, მოვახერხოთ.

შევთანხმდით, ქუთაისის ხელმძღვანელ ამხანაგებთან მივსულიყავით მოსალაპარაკებლად. დანიშნულ დროზე მივედით კიდეც. ყოველგვარი დახმარების გაწევა აღგვეთქმეს. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ძრავის შოვნა და მანქანებით მისი გვირაბის კარამდე მიტანა, შემდეგ ექვსასი მეტრი იზოლირებული მავთულის მიტანა და მისი გვირაბში გაყვანა.

რამდენიმე დღის შემდეგ ვიშოვეთ კინოძრავი და ექვსასი მეტრი მავთული.

დანიშნულ დღეს, დილით, სათაფლიისაკენ გავემგზავრეთ. სატვირთო მანქანა სტალინის ქუჩიდან წყალტუბოს შარაგზით მიდის და სათაფლიისაკენ უხვევს.

შემოდგომის ნათელი დღეა. უღრუბლო, გაშუქებული ლაქვარდი დაგვანათის თავს. მარცხნივ ჩვენს თვალწინ იშლება ათასფრად აქლერებული რიონის ველი. მცირე კავკასიონის შეთოვლილი მწვერვალები გვირგვინით ამკობენ პორიზონტს.

ბუნების მრავალფეროვნებით მდიდარ საქართველოში. უმთავრესად ორი ველი — ალაზნისა და რიონისა — გამოირჩევა თავისი მშვენიერებით. ისინი არ ჰგვანან ერთმანეთს. გრანდიოზულ და დიად სანახაობას წარმოადგენს ალაზნის ველი სიღნაღის მაღლობიდან, როდესაც იგი იფარება შირაქიდან შემოჭრილი ცისფერი ჯანლით, რომელიც მას ფანტასტიკურ ფიორდად აქცევს. მზით ასხივოსნებულ ჯანდს კავკასიონის მოქროვილი მწვერვალები დაჰყურებენ

ზევიდან, თითქოს დარაჯად უდგენენ ამ ტურფა და მდიდარ მხარეს. რიონის ველი უფრო რბილი ხასხებით და ნაზი ფერებით წარმოგვიდგება. იგი უფრო ვრცელია და ფართო, კავკასიონის მცირე და მთავარ ქედებს შუა მოქცეული. შავი ზღვის სურსნელებით გაფლენილი ნიაგი დაქრის ამ ველზე და აბიზინებს ჩაის პლანტაციებით, დაფინით და ციტრუსებით დაფარულ მდელოს. ზამთარი აქ რბილია და ხანმოკლე. აქ უფრო ადრე იწყება გაზაფხული შაშვების ოდნავ სევდიანი სტეპით და იისფერი საღამოებით, რომელნიც ნეტარებასა და სიმშვიდეს ჰგვრიან ადამიანის გულს...

მანქანამ სათაფლიის სერს მიადგინა. ვტოვებთ მანქანას, რომ დანოზავების ნაკვალევი დავათვალიეროთ.

რამდენიმე ათეული წლის წინათ აქ არაფერი არ იყო, გარდა პირტუცვის მიერ გათელილი და გატიალებული ჩირგვნარისა — ეს მიდამოები გამოცხადდა ნაკრძალად და ახლა სამის ტექტარზე შესანიშნავი ახალგაზრდა ტყე შრიალებს. ძელქვა, ბზა, ურთხელი, წაბლი, რცხილა და მუხა ხარობენ აქ და ახარებენ ადამიანის თვალს. ტყე იმდენად დაცულია და მოვლილი, რომ გაკვირვებას იწვევს. სიამაყის ზრძნობა იღვიძებს ჩემში იმ ადამიანებისადმი, რომელნიც უბრალოდ, ყოველგვარი ანგარების გარეშე შრომობენ, იღწვიან და, სიყვარულით შთაგონებულნი, აკეთებენ ჩვენი ხალხისათვის ფასდაუდებელ საქმეს.

— ყველაზე დიდ ჯილდოს ადამიანისათვის ის საქმე წარმოადგენს, რომელსაც იგი სიყვარულით აკეთებს. — მოკრძალებით ამბობს ჭაბუკიანი, — ტყე, რომელსაც თქვენ აქ ხედავთ, სულ ახლო მომავალში გაახარებს ჩვენს ნორჩ თაობას. აქ ბავშვებისათვის გაშენებული იქნება სანატორიუმი და ავარაკი. წარმოუდგენელია ამისათვის უკეთესი პირობები. აქედან ქუთაისამდე და წყალტუბომდე მხოლოდ ხუთი კილომეტრია. ზოგჯერ, თითქოს გონების

თვალით, ვხედავ ამ ტყეში მონაგარდ ბავშვებს და მესმის მათი ჟრიაბული. ამაზე მეტი ჯილდო ჩემთვის რა უნდა იყოს?

აი დინოზავრების ნაკვალევით. მაგრამ ჩვენამდე აქ უკვე ხსევები მოსულან. ეგ წყალტუბოდან ჩამოსული ექსკურსანტები არიან. მათ შორის ვხედავ ჩემს ნაცნობ ციმბირელ ქალსაც. სიხარულით ვეგებებით ერთმანეთს.

— თქვენი წინასწარმეტყველება ახლა, — ამბობს იგი გაბრწყინებული სახით.

მე ვაცნობ მას პეტრეს. ქალი მას პატივისცემით ართმევს ხელს.

— ბევრი მსმენია და წამიკითხავს თქვენ შესახებ, — ამბობს იგი, — ვერა ინბერის პოემავიც ხართ მოხსენებული. ძლიერ მიხარია, რომ ჩვენმა პატივცემულმა ინჟინერმა გამაცნო თქვენი თავი. ქალი ჩემზე მიუთითებს.

— ინჟინერმა? — გაკვირვებით და ღიმილით კითხულობს პეტრე. — უკაცრავად, ქალბატონო, მაგრამ ამხანაგ ნიკოლოზს მე ვიცნობ როგორც პოეტს და არა როგორც ინჟინერს...

ქალი თითის ქნევით მემუქრება და შემდეგ ხელმეორედ მართმევს ხელს.

— გაპატივით. განკურნების შემდეგ საოცრად ლმობიერი შევიქნენი. ამჯერად წყალტუბოს წყალმა ჩემზე კიდევ უფრო კარგად იმოქმედა. წარმოიდგინეთ, უკვე მეხუთე აბაზანის მიღების შემდეგ ყოველი ნიშანწყალი რევმატიზმისა გაქრა. როგორც ჩანს, ამინდსა და წელიწადის ამა თუ იმ პერიოდს ერთგვარი მნიშვნელობა აქვს და ნაწილობრივ გავლენას ახდენს წყალტუბოს წყლის მოქმედებაზე.

— შესაძლებელია. მიხარია, რომ აქ ჩვენ ერთმანეთს შევხვდით. მაინტერესებს ჩვენი თანამგზავრის მდგომარეობა. ზომ არ იცით, როგორ არის?

— ვის შესახებ მეკითხებით?

— აი იმ უკრაინელის შესახებ, რომელიც ჩვენთან ერთად მგზავრობდა.

— ჰო, როგორ არა? საგრძნობლად მოიკეთა და, თუმცა ჯერ კიდევ ჯოხით

დადის, მაგრამ კმაყოფილია და მზიარული. ველარც კი იცნობთ მცირე შესვენების შემდეგ ვაჭრებით დინოზავრების ნაკვალევის დათვალიერებას. პეტრე იძლევა ახსნა-განმარტებას ამ ნაკვალევთა დიდი სამეცნიერო მნიშვნელობის შესახებ და გვიამბობს, თუ როგორ შესძლო მან მათი აღმოჩენა.

— ამხანაგო პეტრე, — მიმართავს მას მასწავლებელი ქალი. — თუ არ ეცდები, დინოზავრების ნაკვალევი, საქართველოს გარდა, საბჭოთა კავშირში არსად მოიპოვება.

— დიახ, მთელს საბჭოთა კავშირში ეს გახლავთ ერთადერთი ადგილი, სადაც შენახულია ამ გადაშენებული გიგანტების ნაკვალევი. ამით აიხსნება მათი უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობა. ამ ნაკვალევის აღმოჩენამ უარყო წინათ დამკვიდრებული შეხედულება, თითქოს მთელი ამიერკავკასია ზღვით ყოფილიყოს დაფარული.

ჩვენს მეცნიერებას პირველად არც კი სჯეროდა ჩემ მიერ აღმოჩენილ დინოზავრთა ნაკვალევის სინამდვილე, ვიდრე მოსკოვიდან ჩამოსულმა სპეციალურმა კომისიამ არ დაადასტურა ეს.

120 — 125 მილიონი წლის წინათ აქ ზღვის ნაპირი იყო. — განაგრძობს ჭაბუკიანი. — მთელი სივრცე, რომელსაც თქვენ აქედან ხედავთ დასავლეთით და სამხრეთით, დაფარული იყო ზღვით. ადამიანი ჯერ კიდევ არ არსებობდა და, აი, აქ ეს გადაშენებული ცხოველები დასეირნობდნენ და საცვებს დაეძებდნენ.

125 მილიონი წლის წინათ... მაშინ, როდესაც დედამიწაზე ადამიანი არ არსებობდა... ვის შეუძლია გავზომოს ეს თავბრუსდამხვევი უფსკრული განვლილი ეპოქისა?

შავა ზღვიდან გამოქროლილი გრილი, საამო ნიავი არხებს ნორჩი ტყის შტოებს, აშრიალებს ფოთლებს, აღერსიანად ეთამაშება პეტრეს ქალარა თმებს.

ნაკვალევის დათვალიერებისა და ფოტოგრაფირების შემდეგ სწრაფი ნაბიჯით მივემართებით სათაფლის გვირა-

ბისკენ, რომელიც აქედან დაახლოებით ნახევარი კილომეტრით არის დაშორებული. გზადაგზა ვათვალიერებთ ტყეს.

სათაფლიის გვირაბის რკინის კარების მახლობლად, მწვანე ბალახით დაფარულ პატარა მიწდორზე, უკვე მუშაობაა გაჩაღებული. ძრავის გუბუნე უერთდება წყაროს ჩუხჩუხს. ეს ის წყაროა, რომელმაც რამდენიმე ათეული ათასი წლის განმავლობაში გათხარა ეს გვირაბი ამ კლდოვან მთაში და შიგ ფანტასტიკური დარბაზები გააშენა.

ყველანი ვიწყებთ მუშაობას, რათა დავეხმაროთ ოსტატებს მათეულის გაშლასა და გაყვანაში. უბუკიანი აღებს შვი რკინის ვეებერთელა კარებს.

შევიდვართ გვირაბში. წინ პეტრე მიგვიძღვის ჩირაღდნით ზელში. ქვიანი და დაქანებული ჩასახლეული მალე ფართო კორიდორად იქცა: აქა-იქ მალაღი თაღებიდან წვეთავს. გვერდით წყაროს ჩხრიალი გვესმის. სიციხით და მუშაობით დაღლილნი წყაროს ვეწაფებით. ყველანი დუმლიმა შეიძვრო. ჩირაღდნის ალის ლაპლაპი ფანტასტიკური ლანდებით მოსავს ამ ზღაპრულ სანახაობას. აი პირველი დარბაზიც გიგანტური სტალაქტიტებით და სტალაგმიტებით. მეორე დარბაზიც ასეთივე გრანდიოზული და საოცარია. ერთი კუთხე ამ დარბაზისა ქაჯეთის ციხის წარმოდგენას ჰბადებს. იგი თითქოს ზღაპრული ჯადოქრის ზელით არის გაშენებული; თითქოს ათასი წლების განმავლობაში მუშაობდა აქ, რომ გამოეკვთა დარბაზები კლდიდან და ეს თვალწარმტაცი სანახაობა შეექმნა.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირში არსებულ არც ერთ გვირაბში, გარდა სათაფლიისა, აღარ მოიპოვება სტალაქტიტები და სტალაგმიტები. ეს იმიტომ, რომ გვირაბები არ იყო სათანადოდ დაცული და ყველას შეეძლო თავისუფლად შიგ შესვლა. ეს ზრუნვა მიეწერება პეტრე უბუკიანს. მისი თაოსნობით აგებულმა რკინის კარებმა, რომლის გასაღები მხოლოდ მას ახარია,

დაიცვა სათაფლიის გვირაბი განადგურებისაგან და შეუნარჩუნა მისი მინერალური ფაფილი სახე.

სტალაქტიტების და სტალაგმიტების მრავალფეროვნება სურის თვალს. ალაგ-ალაგ ისინი ფეერულ სვეტებად შეერთებულან. აგერ, ვეებერთელა სტალაქტიტს, წვეტიანი თავით ძირს დაქანებულს, ასეთივე ვეებერთელა სტალაგმიტი ეგებება ქვემოდან; ისინი ლამის შეერთდნენ, მაგრამ ამისათვის კიდევ რამდენიმე ათეული საუკუნეა საჭირო.

ყველაფერი უკვე მოწესრიგებულია გვირაბის გასაშუქებლად და, აი, პირველად, დღიდან ამ გვირაბის გაჩენისა, ელექტროშუქი ანათებს მას. ალტაცებული ჩვენ პირველად ვხედავთ გვირაბსა და მის დარბაზებს საესებით განათებულს. სულგანაბლენი ფუტკერით ბუნების ამ სილამდეს და გავიიწყდება, თუ რისთვის ვართ აქ მოსულნი. ფოტოკორესპონდენტი იწყებს დარბაზების გადაღებას.

მზე დასავლეთისაკენ იხრებოდა, როცა გვირაბიდან გამოვედით. ჰქროდა საამური ნიაგი, საღამოს მოახლოების წინამორბედი.

— თუ არ დაგეზარებათ, აქედან ქუთაისში ქვეითად წავიდეთ მოკლე გზით, — მითხრა პეტრემ, — ვინახულოთ ჯიშასტარო — ოდესღაც ბესიკ გაბაშვილის მამული, რომელიც მას სოლომონ მეფემ უბოძა. იქედან ბესიკის ნასახლარსაც დაგანახებთ, სადაც 1905 — 1906 წლებში ამხანაგი სტალინი არალეგალურ მუშაობას ეწეოდა და ხელმძღვანელობდა რევოლუციურ მოძრაობას.

განა ეს ფაქტი თავისთავად საინტერესო არ არის? სახლი, რომელშიც ცხოვრობდნენ გამოჩენილი პოეტი ბესიკი და შემდეგ — ქართველი ხალხის უკვდავი შვილი სტალინი?

— სულ მალე ქუთაისიდან სათაფლიამდე გზა ასფალტით დაიფარება, — ამბობს მცირე პაუზის შემდეგ პეტრე. — ახლა კი ცოტა გავვიჭირდება სიარული.

— არა უშავს, სიამოვნებით წამოვალ, — ვუბნები მე. — ჩემთვის, როგორც მონადირისთვის, ასეთი მანძილის გავლა ძნელი არაა. პირველად, ძლიერ კმაყოფილი და მადლობელიც ვიქნები.

ვემშვიდობებით ამხანაგებს და ჩქარი ნაბიჯით მივემართებით ჯიშასტაროსაკენ.

— გაგაცნობ მეტად საინტერესო მოხუცს — ილიკო ფურცხვანიძეს. იგი თითქმის ასი წლისაა. მთელი სიცოცხლე მან ჯიშასტაროს ტყის ჰოვლას შეაღია. იქვე ცხოვრობს თავისი ოჯახით: ცოლით, შვილებით, შვილიშვილებით, შვილიშვილის შვილებით... საყვარელი და პატივსაცემი მოხუცია. მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, ტყეს დაუზარელად უვლის.

ცოტა ხნის შემდეგ სათაფლისს ჩრდილოეთ სერზე ავედით. ჩვენს წინ მომხიბლავი სანახაობა გადაიშალა. მარჯვნივ კავკასიონის თოვლიანი მწვერვალები — უშმა, თეთნულდი, გისტოლა და ზომლის მთა მოჩანდა. მარცხნივ — ზღვამდე გადაშლილი, ცისფრად მოელვარე რიონის ველი და მცირე კავკასიონის ქედები, აქა-იქ უკვე თოვლით დაფარულნი. ირგვლივ ტყე შრიალეზა და ფოთლების ალერსიანი ბუტბუტი ატკობდა სმენას. თითქოს ხელის გულზე მოჩანდნენ ქუთათისი, სამტრედიის, წყალტუბოს და შორით ვანი და შუალუკიძე. რამდენიმე ხანს ხმაამოუღებლად ვუცქეროდით ამ სანახაობას.

ნახევარი საათის შემდეგ შევდიოდით ჯიშასტარას ტყეში, რომელიც დაახლოებით სამოც ჰექტარს მოიცავს.

ხუთიოდე წუთის შემდეგ ტყის ვიწრო ბილიკზე გამოჩნდა ნელი ნაბიჯით მომავალი მოხუცი გრძელი ყვარჯნით ხელში. იგი არაბული ზღაპრიდან გადმოსულ თეთრწვერა ჯადოქარს ჰგავდა, ალერსიანად შემოგვეგება და ტყეში შეგვიძღვა. ახალგაზრდა ტყე, შემოგვეგება სიგრილითა და სურნელებით.

კლდიდან მოჩუხჩუხე ცივერქვეშისა ჩამოესხედით.

რამდენიმე წუთით დუმილი ჩამოვარდა. ილიკომ თითქოს იგრძნო ჩემი გულსატყუა და ამ ახალგაზრდა ტყეზე ლაპარაკი წამოიწყა:

— ღრმა მოხუცი ვარ და, როგორც იტყვიან, ცალი ფეხი სამარეში მიდგას. ვიცი, ამ ტყის დაეცეცებას ვერ მოვესწრები, დიას, როგორ არ ვიცი, მაგრამ ჩვენი ნორჩი თაობა, ჩვენი შვილები და შვილიშვილები ხომ მოესწრებიან? ჩვენ ყველანი ხალხს ემსახურებით, მის მომავალზე უნდა ვიზრუნოთ. მომიტევეთ, რომ ლაპარაკით თავი მოგაწყინეთ. სწავლულსა და განათლებულ ხალხს ჩემი ღარიბება არა ჭკირდებოთ, მაგრამ, ჩემი ხნის კაცს სიზმარიც კი დაეჯერება. რა არ მინახავს, რა არ გადამიტანია ცხოვრებაში. ამ ტყის დაცვის დროს ერთხელ დამპრეს კიდეც. ჩემი მოკვლა უნდოდათ. გადავრჩი, — ამბობს მოხუცი და გვიჩვენებს თავის კეფაზე ღრმად შეზორცებულ დიდ ქრილობას.

სიყვარულით შევცქერი ამ შესანიშნავ ადამიანს, მის სპეტაკ სახეს, თოვლივით თეთრი თმებით და წვერებით შემქულს, კაცს, რომელიც ახალგაზრდული სიყვარულით უვლის ჩვენი ხალხის დოვლათს.

მცირე საუბრისა და შესვენების შემდეგ ტყიდან გავედით და მოზორებით დაეინახეთ მალღობზე წამომდგარი საკმაოდ დიდი ქვის შენობა — ბესიკ გაბაშვილის ნასახლარი.

ლამდებოდა, როცა მოხუცმა მიგვიწვია თავის ოღაში ტყის განაპირას, სადაც მისი ოჯახი გველოდებოდა ფართო აივანზე ლამაზად გაშლილ ქართულ სუფრასთან. ჩვენს გვერდით მოჩანდა სოფლური სამზარეულო, რომლის შუა-ცეცხლის ირგვლივ აფეცებებთან კეცები, სხეენიდან ჩამოშვებულ ჯაქვზე ეკიდა მოზრდილი კარდალა, საიდანაც ირიბად ამომავალი სურნელოვანი ოსშივარი ირგვლივ იფანტებოდა.



განთიადიდან შუალედზე *

ტიურინგიის პატარა ქალაქი იენა, სადაც 1909 წლის შემოდგომა და ზამთარი გავეატარე; მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გერმანელი რომანტიკოსების თავშესაყარ ცენტრს წარმოადგენდა. იენის უნივერსიტეტში თავის დროზე შილერი, ფიხტე, შელინგი, შლეგელი კითხულობდნენ ლექციებს. შელინგის შემდეგ აქ ერთ წელიწადს ჰეგელსაც ექირა ფილოსოფიის კათედრა. მისი ბიოგრაფები ამბობენ, რომ თავისი „სულის ფენომენოლოგია“ მან იმ ღამეს დაასრულა, როდესაც ნაპოლეონმა პრუსიის ჯარი გაანადგურაო; ფრანგების არტილერია ქალაქის გალავანს ყუმბარებს უშენდა, მაგრამ ფილოსოფოსი ისე ღრმად იყო ჩაფლული თავის თხზულებაში, რომ ეს ვერც კი შეამჩნიაო.

ჩემს დროსაც იენის შეუშფოთებელი ატმოსფერო ადამიანს ხელს უწყობდა, რომ განყენებულ ფილოსოფიურ პრობლემებში ჩაღრმავებულიყო. ქალაქში მხოლოდ ერთი დიდი წარმოება იყო, მთელ მსოფლიოში ცნობილი ცეისის ოპტიკური ფაბრიკა, და წიგნების ერთი გამომცემლობა დიდერიხსისა, რომელიც უპირატესად გერმანელი რომანტიკოსების ნაწიერებს აქვეყნებდა. უნივერსიტეტის შენობიდან, რომლის შესავლის კედელი შემკული იყო შვეიცარიელი მხატვრის ჰოდლერის სურათით, სადაც წარმოდგენილი იყო იენელი სტუდენტების ამხედრება 1813 წლის გამათავისუფლებელ ომში, ლუთერის ქუჩით ავლიოდით ტყით დაფარულ სერზე, ნაპოლეონის ჭვასთან, საიდანაც ნაპოლეონს 1805 წელს თვალი ედევნებია იენის ბრძოლისათვის. აქედან წყნარ

შემოდგომის დღეებში კარგად ჩანდა მდინარე ზალეს ტირიფიანი და თხმელიანი ნაპირები, რომელთაც გოეთესთვის მისი ცნობილი ბალადა „ტყის მეფე“ ჩაეგონებინა.

იენაში სომეხ სტუდენტთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი კოლონია არსებობდა. ერთი დაშნაკელის გამოკლებით, ისინი ნამდვილი ძმური და მეგობრული გრძნობით იყვნენ გამსჭვალული ქართველებისადმი. განსაკუთრებით სიმპათიურ შთაბეჭდილებას ახდენდნენ ანატოლიელი სოფლის მასწავლებლები, რომელნიც იენაში მოსულიყვნენ პედაგოგიკის შესასწავლად.

უფულობის გამო მე ლუთერის ქუჩაზე უფრო ხშირად და ხანგრძლივად მიხდებოდა მარხულობა, ვიდრე ეს საჭიროდ მიაჩნდა გერმანული პროტესტანტიზმის მამამთავარს. ამას ზედ დაერთო ინტენსიური გონებრივი მუშაობა, რამაც ძლიერ დამძალა. ამიტომ 1910 წლის გაზაფხულზე სამშობლოში დაბრუნდი დასასვენებლად. შემჩნეული მქონდა, რომ, რა დაღლილიც უნდა ვყოფილიყავი, საკმაო იყო ორიოდვე კვირა ჩემს სოფელში გაშეტარებინა და კრიზისების კონცერტი მომესმინა, რათა სულიერი და ფიზიკური ძალები საესეებით აღმედგინა.

მაღე საქართველოში ჩემი დაბრუნების შემდეგ უანდარმერიათ „სახალხო გაზეთის“ ბეჭდის თანამშრომელი დაატუსაღა. რედაქცია თითქმის სრულიად დაცარიელდა, მას მხოლოდ ორი-სამი მეორეხარისხოვანი თანამშრომელი შერჩა. გაზეთი დიდ გაქირვებაში იყო ჩავარდნილი. ამიტომ მე უყოყმანოდ მივიღე მისი თანამშრომლების თხოვნა, მათთვის დახმარება გამეწია ყოველდღიურ სარედაქციო მუშაობაში.

ჩვენ ძალიან მიიმე პირობებში გვიხდებოდა მუშაობა. ოთხი-ხუთი კაცი — იროდიონ სონღულაშვილი, სვიმონ მაკავარიანი, სანდრო გრძელიშვილი, სიკო ფაშალიშვილი და მე — ძლივს ვასწრებდით წვრილმან სარდაქციო სამუშაოს, დეპეშების თარგმნას, წერილების და კორესპონდენციების სწორებას, ქრონიკის შედგენას, მოლაპარაკებას და მიწერ-მოწერას სტატიებისა და მოთხრობების ავტორებთან. გაზეთის ტირაჟი, რომელიც რუსეთ-იაპონიის ომის დროს და 1905 წელს თხუთმეტ ათასამდე აღიზდა, სამი ათასზე იყო ჩამოსული. ხელის მოწერის და განცხადებების შემოსავალი ვერ ასდიოდა სტამბის და ქაღალდის ხარჯებს, დეფიციტის დასაფარავად სესხისა და დახმარების ძებნა გვიხდებოდა. თანამშრომლები არაერთად გასამრჯელოს არ ვღებულობდით. დიდი საქმე იყო, თუ ჩვენი მკაცრი მოლარე ესტატე ავალიშვილი კვირაში ერთხელ თითო აბაზს მოგვეცემდა იაფფასიანი სადალოს საკმელად.

ცენზურა თანდათან უფრო მკაცრი და შარბიანი ხდებოდა და პოლიტიკურ თემებზე წერა თითქმის შეუძლებელი იყო. ჩვენ ძალიან გეაფუხებდა, რომ გაზეთი სრულიად უფერული გახდა და არსებითად ახალი ამბების, დეპეშების და განცხადებების ფურცლად იქცა, ოღონდ გაცხოველებულად სანდრო შანიშაშვილისა და ოსებ გრიშაშვილის სატრფიალო ლექსებით.

ერთი ჩვენი თანამშრომელი არალეგალური პასპორტით ცხოვრობდა. ეს იყო სიმონ მაკავარიანი, ცნობილი ქართველი საბჭოთა კომპოზიტორის ალ. მაკავარიანის ბიძა. მას ვიცნობდით როგორც უანგარო მოღვაწეს. თუმცა უკვე 25 წლის ვაჟაკი იყო, მაგრამ მის სახეს რაღაც ბავშვური გულუბრყვილობის იერი ჰქონდა.

ერთხელ სიმონ მაკავარიანმა სარდაქციო მუშაობის დასრულების შემდეგ შემომთავაზა, სადმე ერთად ვისადილოთო. პუშკინის ქუჩის ბოლოს ერთ სარდატში ჩავედით და იაფფასიანი კერძი

და ერთი ბოთლი ღვინო მოვითხოვეთ. ვერც კი მოვასწარიტ ერთმანეთს უსაღღამოდ დღეგრძელო დაგველია და უსაღღამოდ დღეგრძელო დღეები გვესურვა ჩვენი მეტეხის ციხელი მეგობრებისთვის, რომ სარდატში შემოვიდა უსიამოვნო სახის მამაკაცი, ცივი, გამსჭვალავი თვალებით აგვათვალა, დახლთან მივიდა და ერთი ჭიქა ლუდი მოითხოვა. მაკავარიანმა მაშინვე ეკვი აიღო, ეანდარმერიის მზევრავიაო. მე დავამშვიდე, ჩვეულებრივი ხელოსანია-მეთქი. როდესაც ცოტა ხნის შემდეგ სარდატიდან ამოვედით, დავინახეთ, რომ მთელი მიდამო პოლიციელების რაზმით იყო გარემოცული ორი უიარაღო ყურნალისტის დასაქურდად. ცოტა მოშორებით თვალი მოვკარი ჩვენს ლუდის მოყვარულ მამაკაცს. ის ისე სტოდა და როკავდა, თითქოს ომში მიმავალი იროკეზების ბელადი ყოფილიყოს. პოლიციელებმა შუაში ჩაგვიყენეს და ეანდარმთა სამმართველოში წაგვიყვანეს. ეს სამმართველო ახლანდელი ძერკინსკის ქუჩის და ლაბორატორიის შესახვევის კუთხეში იყო მოთავსებული, დიდ შენობაში, სადაც ამაჟამად გეოლოგიური სამმართველოა. იქ ჩვენი გაზეთის მესამე თანამშრომელი სანდრო გრძელიშვილი (სანგანიძე) დაგვხვოდა და პატიმრებული. ჩვენი დაკითხვა დაიწყო ახალგაზრდა ქერათმიანმა პოლკოვნიკმა. მან პირველად უაღბასპორტიან სიმონ მაკავარიანს მიმართა: „რა ჰქვია მამათქვენს და დედათქვენს, ბიძათქვენსა და ძალუათქვენს? რამდენი და-ძმა და რამდენი ბიძაშვილი გყავთ?“ მას დამაკმაყოფილებლად არ ეჩვენა ჩემი ამხანაგის პასუხი, რაც გასაკვირველი არ იყო, ვინაიდან კარგად იცოდა, რომ ის გორელი მოქალაქე იყო, პასპორტი კი კახელი თავადიშვილის — ვახვაიშვილისა ჰქონდა.

მე ვფიქრობდი, რომ არაფერი მქონდა დასამალი. ეანდარმს ვუთხარი, ჩემი კავშირი „სახალხო გაზეთთან“ იმაში გამოიხატებოდა, რომ ევროპიდან წერილებს ვაწვდიდი ქართული ლიტერატურისა და კულტურის საკითხებზე, ხოლო უკანასკნელ თვეებში, წინანდელ-

ლი ხელმძღვანელების დატესტვების შემდეგ, სარედაქციო სამუშაოს დასრულებდით-მეთქი. როგორც ეტყობოდა, ეს განცხადება მან ჩემი დანაშაულის უცილობელ საბუთად მიიჩნია.

ჩვენ ცალ-ცალკე დაგვაიწყვიდეს ბნელ საცნებში. იქ გატარებული ერთი დღე და ღამე მთელ საუკუნედ მეჩვენა. როგორც კი ტახტზე წამოვწვი ტანთ-გაუხდელი, ჩემზე იერიში მოიტანეს სხვადასხვა ჯურის მწერებმა. მწუხროდა, სარკმელის საფარი გაწვიე და შემთხვევით მაზლობლად გამვლელ მსახურს წყალი ვთხოვე. პასუხი არ გამცა, თითქოს ყრუ-მუნჯი იყო.

როდესაც მეორე დღეს საღამოთი მეტების ციხეში მიმიყვანეს, მეჩვენა, აგარაკზე მოვხვდით-მეთქი. თავდაპირველად საერთო საყანში დამამწყვდიეს. ჩემმა ახალგაზრდა ნაცნობმა ტიტე გელაძემ თავისი ღარბი ვახშამი გამინაწილა, — გარედან შემოგზანაღი ყველი და ლავაში. როდესაც დაწოლის დრო მოვიდა, ჩემმა მასპინძელმა თავისი ლოგინი დამითმო და თვითონ იატაკზე დაწვა, ჩემი პროტესტის მიუხედავად. კიდევ კარგი, რომ მეორე თუ მესამე დღეს საბანი და ბაღში შემომგზავნეს გარედან. მეტების ციხეში საუკეთესო ქართული ინტელიგენტების და მუსუბის საზოგადოება დამხვდა. ზოგი მათგანი ჩემი ძველი ნაცნობი და მეგობარი იყო. რადგან ტუქალთა დიდ უმრავლესობას რევოლუციონერება წარმოადგენდნენ, მათს წრეში განსაკუთრებით თვალსაჩინოდ იგრძნობოდა იმ წყნობრივი კავშირის არსებობა, რომლის შემწეობით დევნილი ადამიანი ყოველ ჩაქირვებას შედარებით ადვილად იტანს.

ჩემი საყანი მტკვრის მხარეზე გადიოდა, ის იმ საყანის გვერდით იყო მოთავსებული, სადაც მეფის სატრაპებმა უგნური გუშაგის ხელით სარკმელში მაცქერალო ლადო კეცხოველი მოჰკლეს. მეც მიყვარდა სარკმელში ცქერა, თუმცა უქიდან არაფერი ჩანდა, გარდა ქონხახებისა და ტყავების მთელავი დაბაღებისა. ერთხელ, საღამოს, ჩემი ნაცნობი ქალი-

შე-ლი დავინახე. იგი მტკვრის მხარე-ვენა ნაპირზე იდგა ბექტობის მხარე-სარკმელისკენ იცქირებოდა. ქალი ახ-ხვედა მისი კაბის კალთებს და თხელ თავსაბურავს. ეს იყო პირველი და უკანასკნელი პაემანი, რომელიც ჩვენ ერთ-მანეთს გავუმართეთ, მაგრამ ის ცხოველად ჩამებუჭდა მეხსიერებაში.

ფრანგი პამფლეტისტი — ჰანრი როშფორი, რომელიც პირადი გამოცდილებით კარგად იცნობდა საკატორლო ციხეებს, თავის ავტობიოგრაფიაში ამბობს, დატყვევებული მამაკაცისათვის განსაკუთრებით ძნელი ასატანია, რომ მას არ ესმის ქალის ხმა, მისი სიცილი და არ შეუძლია თავისი თვალები დაასვენოს ქალის თმაზე ან მის გულ-მკერდზე.

ტიტე გელაძე და მე ჩქარა ერთმანეთს დაგვაშორეს. მე პატარა ორსაწოლიან საყანში გადამიყვანეს, ის ციმიბრში გადაასახლეს სამუდამოდ. შემდეგ ბევრა გამოვიკითხე, მაგრამ ვეღარ გავიგე, რა ბედი ეწია. მიაშბეს, თითქო ის ციმიბრიდან იპონიაში გაქცეულიყოს, ხოლო იქიდან ავსტრალიაში თუ ამერიკაში გადასულიყოს. მაგრამ შეიძლება ეს ასე არ იყოს და ჩემს მეგობარს საღამე ტუნდრებში ეძინოს, უფრო ცივიში. ვიდრე მეტების ციხის ასფალტის იატაკი იყო.

მეფის მოთვრობა გულმოდგინედ მისდევდა გრიბოედოვის სკალოზუბის შეგონებას, რომ უწყალოდ იყო ელემენტებს სათავეში ფელდფეხული უნდა ჩაუდგეს, ვალტერის მაგივრად. ციხის უფროსი რომევეიჩი წარმოშობით პოლონელი იყო. ის საუკეთესო ლექსიკონგრაფი იქნებოდა, ლანძღვა-გინების ლექსიკონის შედგენა რომ ყოფილიყო საქარო. მთელი დღე ციხის ეზოში გაისმოდა მისი ღრიალი, უხვად შეზავებული მრავალსართულიანი გინებით და ცინიკური გამოთქმებით, რომელნიც მოკლებული არ იყვნენ ერთგვარ ვულგარულ გონებაშახელობას. როგორც ეტყობოდა, მას წარმატებით ჰქონდა დასრულებული მეფის ყაზარმის და სა-



როსკიპოს აკადემიები. მისი თანამემწე სუსტი ხასიათის რუსი პოლკოვნიკი იყო. ჩვენგან ის მოითხოვდა: თუ ტუსაღების სერიზობის დროს (რომელიც დღემდე ნახევარი საათი გრძელდებოდა) ეზოში გავივლი, მწკრივის მეთაურმა სამხედრო სალაში უნდა მომცესო. ერთხელ მან ჩამოგვიარა, როდესაც ჩვენს მწკრივს გიორგი ლასხიშვილი მეთაურობდა. ლასხიშვილმა თავისი ბეცი თვალებით ვერ დაინახა ჩვენი პოლკოვნიკი, მაგრამ თუნდაც დაენახა, სამხედრო სალაში მაინც არ მისცემდა. ასეთი ურჩობისათვის ის კარცერში ჩასვეს.

თეთრი ტერორი მძინვარებდა და სამხედრო სასამართლოს უმკაცრესი განაჩენები გამოჰქონდა. ერთხელ, სალამოთი რკინის ბადიანი ფანჯრიდან დავინახეთ, რომ შეიარაღებულმა ჯარისკაცებმა ახალგაზრდა ქართველი ტუსალი შემოიყვანეს სამხედრო სასამართლოდან. ხელების მოჭრაობით შევეკითხეთ, რა მოგასაჯეს-თქო. მან ყელზე მარჯვენა ხელი მოისვა იმის ნიშნად, რომ სახრჩობელა ჰქონდა მისჯილი. შემდეგ მტკიცე ნაბიჯით სიკვდილმისჯილთა კამერისკენ გასწია ბორკილების ელარუნით.

„სახალხო გაზეთის“ თანამშრომლები შედარებით ადვილად გადავრჩით: რამდენიმე თვის პატიმრობის შემდეგ ადმინისტრაციული წესით შიდა რუსეთის ქალაქებში გადასახლება მოგვისაჯგეს, — ზოგს ხუთი, ზოგს სამი წლით. ჩემთვის მთავრობის წინაშე გენერალმა მყაუშვილმა იშუამდგომლა და ნება დამითეს, ისეც გერმანიაში დაებრუნებულიყავი.



ბავარიის სატახტო ქალაქ მიუნხენს, სადაც პირდაპირ გავემგზავრე მეტეხის ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, რათა იქ რამდენიმე თვე დამეყო, გერმანიის ათენს უწოდებდნენ. ეს სახელი მას დამსახურებული ექნებოდა, რომ ამისთვის საკმაო ყრფილიყო ქალაქის მოედანზე ამართული კარიბჭეები და

საუცხოოდ მოწყობილი მუზეუმები. რომელთაც ძველი ბერძენების კულტურის ღირსეულობით ბავარიელები პრაქტიკულად ნაკოთეს და გლიბტოთეს უწოდებდნენ. მაგრამ მიუნხენი, რასაკვირველია, ვერ დაიკვებინდა, რომ თანამედროვე კულტურული კაცობრიობის გონებრივ მოძრაობას ვმეთაურობ, ისე როგორც კლასიკურ ეპოქაში მას ათენი მეთაურობდაო. თვით გერმანიაშიც, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების დეცენტრალიზაციის წყალობით, რამდენიმე ქალაქი არსებობდა, რომლებიც მიუნხენს არ ჩამორჩებოდნენ.

ბავარიაში უცხოელი უფრო გულთხაზოგადობას ხვდებოდა, უფრო გემოგახსნილს გერმანული რენესანსის ტრადიციებისა და რომანული ქვეყნების ზეგავლენის წყალობით; რომის, ფლორენციის, პარიზის სიახლოვე აქ უფრო იგრძნობოდა, ვიდრე ჩრდილოეთ გერმანიაში. სამხატვრო გალერეებში, გამოფენებზე, მხატვართა და მოქანდაკეთა ატელეებში, კონცერტებზე ხშირად შეხვდებოდით გაურკვეველი ეროვნების ქალ-ვაჟთ ფერმკრთალი სახეებით. და თითქოს ცხოვრების გადაღმა მაქქერალი სევდიანი თვალებით. სალამოობით, როდესაც ელნათურები ინთებოდა და არტისტული კაფეები იღებოდა, ქალაქს რაღაც გაურკვეველი ვნების თოთოლვა იცავდა, ცხარე სიამოვნების წყურვილი, დამახასიათებელი კატასტროფების წინაშე მდგომარე საზოგადოებისათვის. ქალაქის ერთს მთავარ მოედანზე ობელისკი იყო ამართული. მიუნხენელები ირწმუნებოდნენ, ეს ობელისკი წიქცევა, თუ მის გვერდით ოდესმე უბინაო ქალიშვილმა გაიარაო. ჩემს დროს მიუნხენის ობელისკი მტკიცედ იდგა და, მგონია, შემდეგაც არ წაქცეულა ბავარიის რევოლუციებისა და პეტრების პერიოდში.

როდესაც უცხოელი გერმანიიდან ბოდენის ტბის გზით შვეიცარიაში გადადის, ის ხელშესახებდად ხედავს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ერის სულიერი ფორმაციისათვის საერთო ისტორიულ

მოგონებებს. როგორც ცნობილია, შვეიცარიის სამი ტომი ცხოვრობს — გერმანელები, ფრანგები და იტალიელები. ზოგიერთ კანტონში გერმანელები და ფრანგები შერეულნი არიან. გერმანია, საფრანგეთი და იტალია უშუალოდ ესაზღვრება შვეიცარიას. ამისდა მიუხედავად, აქ არავითარი გაუგებრობა არ ხდება ეროვნულ ნიადაგზე და შვეიცარიელი ჩვეულებრივ არ იტყვის, მე გერმანელი, ფრანგი ან იტალიელი ვარო; მას შვეიცარიელობა, „ფიცის კავშირის“ წევრობა საამაყოდ მიაჩნია.

შვეიცარიის ფედერაციას საძირკველი პირველად ფირვალშტეტის ტბის ნაპირას ჩაეყარა მეცამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც სამი პატარა ტყის კანტონის გლეხებმა და მწყემსებმა ერთმანეთს შეჰფიცეს, თავი დაეცვათ ავსტრიის ბატონობისაგან. სხვა კანტონები მათ უფრო გვიან მიემხრნენ, ყოყმანის, ბრძოლის, დროებითი გამოთიშვის შემდეგ. მათ შორის ხანდახან მტრობასაც უჩენია თავი. მაგრამ ისინი უფრო მტრულად უტყუროდნენ მეზობელ სახელმწიფოებს, — ავსტრიას, ბურგუნდიას, სავოიას, საფრანგეთს, და პატარა „ფიცის კავშირი“ განმტკიცდა ბრძოლის ველზე, სადაც გლეხების მსუბუქად შეიარაღებული რაზმები ხშირად ამარცხებდნენ მძიმედ შეჯავშნული ფეოდალების ცხენოსან ჯარებს.

შვეიცარიის ისტორიის შემდგომი ფურცლები ყოველთვის ასეთი სასიქაღლო არ იყო. მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში ამ ქვეყანამ თავი განსაკუთრებით იმით ისახელა, რომ ის დაქირავებულ ჯარებს აწვდიდა ევროპის დიდ სახელმწიფოებს. მეცხრამეტე საუკუნეში კი თავისი მთების, ტბების, კეთილმოწყობილი კურორტებისა და საისტუმროების წყალობით შვეიცარია საპაემანო ადგილად გადაიქცა მთელი დედამიწის ტურისტებისა და მოწყენილი, უქმად მოხეტიალე სნობებისათვის. ხოლო რადგან ხანგრძლივად ისე არაკითარი იარაღის, არავითარი ტანსაცმელის ტარება არ შეიძლება, რომ მათი

კვალი არ დააჩნდეს ადამიანის თიხი-ნომიას, შვეიცარიელებს ნათლად ეტყუებათ, რომ მათ წინაპრებად ჰყოლიათ არა მარტო ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი, არამედ ევროპის ლანდსკნებები და მკვარეებიც.

*
* *

როგორც ჩვენი დედაქალაქი თბილისი, ნაციონალური ლეგენდის მიხედვით, დაარსებულია იმ ადგილას, სადაც ვახტანგ გორგასალს ხოხობი თუ ირემი მოუვლავს, ისე, შვეიცარიელების ისტორიული გადმოცემით, მათი ბერნი აშენებულია იმ ადგილას, სადაც შუა საუკუნეებში უღრანი ტყეები ყოფილა, დათვების სამფლობელო, მშვენიერი სანადირო გრაფი ცერინგერებისა და ერლახებისთვის. მე მგონია, რომ არის რაღაც ღრმა აზრი იმ თქმულებებში, რომელთაც ხალხი ჰქმნის თავის ისტორიისა და პრეისტორიის ბნელ საუკუნეებზე. როგორც ყოველი რომელიღაც ლეგიონერი, პრეტორიანელი და იმპერატორი ამკლავებდა, რომ მის ძარღვებში მგლის რძით გამოზრდილი რომულუსის სისხლი სდიოდა, როგორც ყოველი ქართველი ქალი საუკეთესო შექმნად მიიღებს, თუ მას ირემს ან ხოხობს შეადარებენ, ისე ბერნელი მოქალაქეები, მგონია, თავიანთ თავს სრულიადაც შეურაცხყოფილად არ ჩათვლიან, თუ ეტყვიან, რომ მათი მშობელი ქალაქი ტყუილ-უბრალოდ არ ატარებს დათვის სახელწოდებას. ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში ბერნის სენატმა ქალებს აუკრძალა კრინოლინების ჩაცმა და ძვირფასი მაქმანებისა და სამკაულების ტარება. ეს როგორისტული სული ჩემს დროსაც ძლიერი იყო შვეიცარიის სატახტო ქალაქში.

არ ვიცი, მომხდარა თუ არა ოდესმე ბერნის ტყეებში იმის მსგავსი ეპიზოდი, როგორც პროსპერ მერიმეს აღწერილი აქვს თავის „ლოკისში“, მაგრამ დიდად ნიშანდობლივია, რომ ბერნის ბაი-რალზე დათვია გამოხატული, ქალაქის

საუბრისთვის შადრევანზე დათვის ქანდაკებაა ამართული, ამ მოსახლეობის საყვარელ გასართობს დათვები წარმოადგენენ. ეს დათვები მოთავსებული არიან ქალაქის განაპირას, ერთ ღრმა რკინის მოაჯირიან ქვის ხაროში, სადაც თითქოს რაღაც ხალხური ბალანის მსახიობები ჩამსხდარიან და სასაცილოდ ჯამბაზობენ სტაფილოს, ტკბილეულისა და ხორცეულის ჰონორარის მილოდინში.

ამ ქალაქში მე თითქმის ორი წელიწადი გვატარე. ფილოსოფიური ლექციები და ხელოვნების ისტორიის სემინარი აქ უფრო მოსაწყენი იყო, ვიდრე ლაბკივში. ერთადერთ გონებრივ გასართობს წარმოადგენდა ოპერის თეატრი, სადაც რუსეთიდან ჩამოსული მომღერლები ვოტანის და ზიგფრიდის როლებს ასრულებდნენ, ხოლო უზომოდ გათქვირებული გერმანელი ქალები კრიმპილდას და იზოლდას ასახერგებდნენ. სამშობლოს მოწყვეტილი, მის გონებრივ მოძრაობასთან და მის ყოველდღიურ ცხოვრებასთან სუსტად დაკავშირებული, მე ერთგვარ სანაზღაუროს ეპოულობდი ჩემს მეგობრებთან და უცხოელ სტუდენტებთან ურთიერთობაში. ჩემთვის ერთგვარ სანაზღაუროს წარმოადგენდა აგრეთვე ალბებში მოგზაურობა და ალბური ტბის პირას სეირნობა თბილი ზაფხულის საღამოს საათებში, როცა ჩამავალი მზის სხივები ღებავდა ლურჯ-მწვანე ტალღების ზედაპირს და ღვინის ფერი ნარინჯის ფერს ეჯიბრებოდა, რათა მზის ჩასვლის შემდეგ ფოლადის და ტყეის ფერში ჩანთქმულიყო.

ერთხელ ბერნში, დილით, ჩემი სახლის კიბეზე ჩავდიოდი. გვერდით ამიარა ორმა ახალგაზრდა ქალმა. როგორც ეტყობოდა, სტუდენტები იყვნენ. „რალაი გაუბრყვეველი შინით ვარ შეზერობილი“, უთხრა გერმანულად ერთმა მეორეს. „არ მესმის, რისა გემინია, — უპასუხა მას რუსულად მეგობარმა. — ჩვენ მშვიდობიანია რესპუბლიკის ცენტრში ვიმყოფებით“.

ნახევრად სიბნელეში კარგად ვერ გავარჩიე მათი სახეები, მხოლოდ შევხსენიე, რომ პირველი მათგანი გამხდარი და ფერმკრთალი იყო, რის გამო მისი დიდი თვალები და ხშირი თმა კიდევ უფრო შავი ჩანდა. რატომღაც გავიფიქრე, ამ ქალმა პირველად და უკანასკნელად არ ამიარა გვერდით, ის ჩემს ცხოვრებაში რაღაც როლს შეასრულებს-მეთქი.

აღმოჩნდა, რომ ის უნივერსიტეტში სწავლობდა და ჩემს მეზობლად დასახლებულიყო. ჩვენ თავდაპირველად უფრო გონებრივმა ინტერესებმა დაგვაახლოვა. მეტერლინკიდან, როდენბახიდან და ვერლენიდან ფლობებზე გადავედით, ფლობერიდან — მერამიზე და სტენდალზე. მეორე ჩვენი საერთო გატაცება მთებზე და ტყეებში ხეტიალი იყო. ბერნის ალბებში მოგზაურობის დროს ის მსუბუქად დახატოდა თოვლით დაფარულ ნაპრალებზე, უშიშრად გადადიოდა აქაყბებული მდინარის აარეს ბეწვის ხიდებზე და სახიფათო უფსკრულების პირას ალბურ ვარდებს და ედელვაისებს ჰკრეფდა. ჩვენ გვიყვარდა როგორც მზის ნათელი ზოლებით განათებული ტყე, ისე მისი შავი კედლის წინ ჯდომა უმთვარო ღამეებში.

ორი წლის შემდეგ ჩვენ გარემოებამ ერთმანეთს დაგვაშორა. ვილჰელმ ტეჟა, ყოველ განშორებაში სიკვდილის შეგრძნობა შედისო. მაგრამ არ გვეგონა, რომ ეს დაშორება საშუალოდ იყო. რამდენიმე წლის განმავლობაში მიწერ-მიწერა არ შეგვიწყვეტია. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ერთმანეთის კვალს ვიკარგეთ.

1947 წ. ზაფხულში მოსკოვს გავემგზავრე, რათა პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელ ყრბობას დაესწრობოდი. საზეიმო კრება მოსკოვის დიდ თეატრში შედგა. კრების დასრულების შემდეგ მომიახლოვდი ერთი სქელი ტანის მოხუცი ქალი და წითელი ვარდი მომიწოდა. მე ის ვერ ვიცანი. აღმოჩნდა, რომ ოცდათხუთმე-

ტი წლის წინათ განსორბული ჩემი მეგობარი იყო.—როგორ მიცანით, ვკითხე დიდად გაოცებულმა. „თქვენი მხრების მოძრაობაზე“, მითხრა მან ღიმილით.

და აი ახლა, როცა ამ ქალზე ვფიქრობ, რომელმაც ჩემს თვალწინ ორჯერ გაიღევა, მაგრამ უფრო თვალსაჩინო კვალი დატოვა, ვიდრე ელვა ტოვებს გახაზბულის ან შემოდგომის ღრუბლებზე, მე მას ვხედავ არა ისეთს, როგორც ის მოსკოვში წარმოიშობა დიდი თეატრის ფოიეში, ელექტრონის შუქით განათებული, არამედ ისეთს, როგორც ის ბერნში მეჩვენა ნახევრად ბნელ კიბეზე.

* * *

ჩქარა ბერნში ჩასვლის შემდეგ ჩემი წყნარი ცხოვრება ერთმა დრამატულმა ეპიზოდმა შეამფთოთა.

ბერნის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც მაშინ ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა ევროპაში, ერთი ქართველი ქალიშვილი სწავლობდა, ჩემი შორეული ნათესავი. ის უფრო შრომისმოყვარე იყო, ვიდრე მისი ნახი, გამკვირვალე სახის კანის მიხედვით იყო მოსალოდნელი; როდესაც ადამიანი მის თავს უცქეროდა, მშვენიერი წაბლისფერი თმით შეშკულს, ვერ წარმოიდგენდა, რომ მისი გონება საკმაოდ ფხიზელი იდეალებისავე იყო მიმართული. ამ ქალს მხოლოდ ერთხელ, ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნის დროს, გამოეჩინა მისთვის სრულიად ურუფერებელი რომანტიზმი და ცოლად მითხოვების პირობა მიეცა ერთი ახალგაზრდა კაცისათვის, რომელსაც მასზე 1905 წელს წარუშლელი შთაბეჭდილება მოეხდინა მიტინგზე წარმოთქმული სიტყვებით. თუმცა იმ ახალგაზრდა კაცს თურქული გვარი ჰქონდა, მაგრამ დედით რუსი იყო, მამით — სომეხი. ისიც ბერნის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე იყო ჩაწერილი. ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში მას თავისი სატრ-

ფის ჯიბის ექსპლოატაცია ეწარმოებინა, რათა უზრუნველად დრო ეტყობინებოდა ყავახანებში და ბანქოს სათამაშო ბუნაგებში. რაც შეეხება მეცნიერებას, არა მგონია მასზე რაიმე წარმოდგენა ჰქონოდა, გარდა პათოლოგიური ფსიქოლოგიისა, რომელიც მას ლექციებისა და წიგნების გარეშეც შეეძლო შეესწავლა თვითდაკვირვების გზით.

როგორც შემდეგ გამოირკვა, ბერნში ჩემს ჩასვლას დიდად შეუშფოთებია ჩემი ნათესავი ქალის მიჯნური. მე, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა იმ გარემოებაში, რომ მან თითქმის გაცნობისთანავე წინადადება მომცა, სადღე ტყეში ან მინდორზე წავსულიყავით სროლაში გასაჯობებლად. მე ვერაფერი სწავიბერი ვიყავი, მაგრამ დაეთანხმებოდი, ჩემს ნათესავ ქალს რომ არ დაეშალა. მეორეჯერ მთხოვა, თოფ-იარაღის მალაჩიაში შევეყოლოდი. ტყეები მოითხოვა, რევოლვერი ამოიღო და დახლთან მისი გატეხა დაიწყო, ისე რომ ლულის პირი ჩემი წელისკენ ჰქონდა მომართული. არ ვიცი, რას უფრო ამოწმებდა, თავის გამბედაობას, თუ ჩემსას. შემდეგ თავის მეგობრებთან გამოტეხილყო: ძალიან ენახობ, რომ მაშინ არ მოვკალიო!

ჩემთვის საქმის ვითარება გვიან გამოირკვა. ჩემს ნათესავ ქალს ბერნში ჩასვლამდე არასოდეს არ შეეხებდრივარ. გაცნობის შემდეგაც მას ჩემთვის არ გაუშხელია თავისი ინტიმური ცხოვრების ამბები. მაგრამ მას, ალბათ, ჩემი დახმარების იმედით, მხოლოდ ჩემთან წინასწარ შეუთანხმებლად, უარი ეთქვა თავისი საქმროსათვის. ამ უარმა, როგორც ეტყობა, სრულიად ააფორიაქა უქმი და ნაყროვანი ცხოვრებით მოღუწებული მამაკაცის სული. მას ბუნებრივად ექვი დაეხადა, რომ მე ვიყავი მისი ყოფილი საცოლის ჩამოგონებელი. ეს ამბავი გახმაურდა სტუდენტების წრეში.

ერთხელ, დალით ადრე, ჩემთან შემოვიდა ერთი ჩემი ნაცნობი სტუდენტი და მითხრა, რომ მისი შეურაცხყოფილი მეგობარი, გამზადებული, რათა იარაღით დაეცვა თავისი თავმოყვარეობა,

შირს შელოდა მოსალაპარაკებლად. შირ-
ხია, მეც რევოლვერი ჩამედო ჯიბეში.
რევოლვერი არ მქონდა, მაგრამ კიდე-
ვაც რომ მქონოდა, მაინც თან არ წავე-
ლებდი, ეიანიდან დარწმუნებული ვიყა-
ვი, რომ ასეთს შემთხვევებში ადამიანი
მოწინააღმდეგეზე უფრო თავდაპირი-
ლობით მოქმედებს, ვიდრე თოფ-იარა-
ღით.

შირს ჩამოსვლასთანვე ჩემს ახირე-
ბულ სტუმარს მონღოლურა იერის
ნაყვავილარ, ბრტყელ სახეზე, სათვალე-
დან მაქცერალ ამღვრეულ თვალებზე
და ათრთოლებულ ხმასა და ხელებზე
შევატყე, რომ უძილო დამე მქონდა გა-
ტარებული, თავგზა დაქარგული იყო და
ყოველგვარი ძალმომჩრეობის ჩადენა
შეეძლო. მე მას მტკიცე ტონით დავუწყე
საუბარი. ვუთხარი, რომ თავის საცო-
ლისაგან მას უარი ჩემი კარნახით არ
მიუღია, ისევე როგორც ჩემი კარნახით
არ მომხდარა მათი პირობის დადება.
მაგრამ, რაკი ქალს მასზე გააზოგებდა
აღარ სურს, მას, როგორც ინტელიგენტ
ადამიანს, უნდა ესმოდეს, რომ მექა-
რათ ვერას მიაღწევს, მხოლოდ მკაცრ
წინააღმდეგობას წააწყდება როგორც
ჩემი, ისე ჩემი მეგობრების მხრით.

მან თავისი არ დაიშალა და სცადა რე-
ვოლვერით აღედგინა თავისი ყოფილი
საცოლის ერთგულება. ქალმა მილიცი-
აში განცხადება შეიტანა, რომ მოკვლას
ემუქრებოდნენ, და ყოფილი საქმარო
დაატუსაღეს. სატუსაღოდან მან ქალს
წერილების გზავნა დაუწყო. ევედრებო-
და, ნუ დამღუბავ, ოღონდ აქედან ჩემი
თავი გაათავისუფლებინე და პირობას
დავებდ, რომ ბერნიდან სხვა საუნევერ-
სიტეტო ქალაქში წავალ სწავლის და-
სასარტლებლად.

ჩემმა ნათესავმა ქალმა პირველად
მხოლოდ ამის შემდეგ მომხართა, რათა
რჩევა მიმეცა. მე ერთი უდიდესი შეც-
დომა ჩავიდინე, როგორც საზოგადოდ
ჩემს ცხოვრებაში ჩამიდენია: ქალს
ვერჩიე პატიმრის გასათავისუფლებ-
ლად განცხადება შეეტანა იმ პირობით,
რომ ის ბერნიდან სხვა უნივერსიტეტში

გადავიდოდა. პატიმარმა ეს პირობა და-
დო, მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში
ხოვა შინიდან ფულის მისაღებად და
გამგზავრებისთვის მოსაშაღებლად. მი-
ღებული ფული ლენის სმაში და ბან-
ქოს თამაშში დახარჯა. ბოლოს, როდეს-
საც დანიშნული ვადა მოვიდა, ღამით
ლექციებიდან მარტოდმარტო შინ მიმა-
ვალ ქალს გზაში დახვდა, შეძახილებით
დააფრთხო და გაქცეულს რევოლვერის
ტყვია მოარტყა თავში.

მწელად დასაჯერებული ამბავი მოხ-
და. ათიოდე ნაბიჯიდან გასროლილმა
ნაგანის ტყვიამ ადვილად ვერ დასძლია
ხშირი ხუტუქი თმის წინააღმდეგობა და,
თუმცა კეფის ძვალი გახვრიტა და ტვინ-
ში სალაპარაკო ცენტრი დაახიანა,
მაინც იმდენი ძალა ვერ გამოიჩინა, რომ
შებლის ძვლიც გაერღვია: ის წარბს
ზემოთ გაჩერდა თავის ქალაში.

როცა მეორე დილით ქირურგიულ
საავადმყოფოში შევედი, დავინახე, რომ
დაჭრილი ქალი საწოლზე იწვა თავგადა-
პარსული და თეთრ მარმარეშემოხვეუ-
ლი. მას სახეზე რაღაც ბავშვური უმწე-
ობა ეტყობოდა, სრულიად განსხვავე-
ბული მისი წინანდელი ენერგიული გა-
მომეტყველებისაგან. „ნიანია“, მომ-
მართა მე. გამოირკვა, რომ სხვების ლა-
პარაკის აზრი ესმოდა, თვითონ კი ვერ
ლაპარაკობდა: ყველას და ყველაფერს
„ნიანია“ უწოდებდა: ეს ალბათ პირ-
ველი სიტყვა იყო, რომლითაც ის თავის
გადასას მიმართავდა ენის ადგმის დროს.
დოსტაქარს საპიროდ არ ეცნო ქირურ-
გიული იარაღებით მოქმედება. მას ეთ-
ქვა, ოპერაციის გაკეთება სახიფათოა,
უმჯობესია, ტყვია თავის ადგილზე
დარჩეს, ის თავის გარშემო ერთგვარ
გარსს გაიკეთებსო.

ერთი წლის განმავლობაში ახალ-
გაზრდა ქალი გამოითელდა, ნელ-ნელა
მეტყველების უნარი აღიდგინა და გა-
სათავებელი გამოცდები ჩაბარა სამე-
დიცინო ფაკულტეტზე. მაგრამ თავის
ტკივილები დასჩემდა და მის ნათელ,
მახვილ გონებას რაღაც უხილავი ჩრდი-
ლი გადაეფარა.

ბერნის ნაფიცი მსაჯულთა სასამართლომ, რომელზედაც ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ქალის ჩვენებამ, დაწერილმა დიდი გულწრფელობით, დამნაშავეს ათი წლის საკატორღო ციხე მიუსაჯა. მას ვერაფერი უშველა ყველაზე სახელგანთქმული შვეიცარიელი კრიმინალისტიის ცვრაგენის სიტყვამ, ვინაიდან სასამართლოში გამოიჩინა, რომ დამნაშავეს ქალის მოკვლა წინასწარ მოფიქრებული განზრახვით გადაწყვიტა და თავისი დამცველს შეკითხვაზე, ეკვი ხომ არ გქონდა, რომ შენს ყოფილ საცოლეს ვინმე შეუყვარდო, მან უარყოფით უპასუხა.

განცდილმა ამბებმა ჩემში გააძლიერა მოუსვენრობა და შეშფოთება. ამ სულიერი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად საუკეთესო საშუალებად ითვლება მოგზაურობა.

არსად ისე მწვავედ არ მიგრძენია სულიერი თავშესაფარობა, როგორც ზამთრის თვეებში ბრიუსელში ვიგრძენი. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე კეთილმოწყობილი ქალაქი ევროპაში, შესანიშნავი თავისი არქიტექტურული ანსამბლებით, მდიდარი მუზეუმებით და წიგნთსაცავებით, თავაზიანი მოსახლეობით, ხოლო განსაკუთრებით — სანიმუშო სისუფთავით. მთელი ქალაქი განუწყვეტელი რეცვის პროცესში იმყოფებოდა: სანით შეიარაღებული დიასახლისები ფანჯრების ჩარჩოებს და დარაბებს რეცხავდნენ, უზარმაზარი ცოცხებით შეიარაღებული მუსუმი — ასფალტთან ქუჩებსა და მოედნებს, ბოლოს შეუტყრებელი წვიმა — შენობების სახურავებს და კედლებს. მაგრამ აქ ბევრი სისხლიც დაღვრილა თავისუფლებისათვის, და ერთ მშვენიერ ოთხეუთხედ მოედანს მემორიალური დაფა აქვს: „აქ დეჟა ალბას ბრძანებით ინკვიზიციის წინააღმდეგ გამოსვლისათვის 1568 წ. თავი მოკვეთეს გრაფ ლამორალ ეგმონტს“.

ბრიუსელში პირველად შევხვდი თედო სახოკიას, მგზნებარე ქართველ პატრიოტს, თუმცა ციმბირს გარდა,

სადაც თედო სახოკიამ, როგორც პოლიტიკურმა დამნაშავემ *ერუსალიმის* მეფის ხარჯზე იმოგზაურა *ქვემო* დენიშე ევროპული ქვეყანა ჰქონდა შემოვლილი და, გარდა ფრანგულისა, იტალიური და ინგლისური ენებიც იცოდა, თავისი ფესვებით იგი ღრმად დაკავშირებული იყო ქართულ კულტურასთან და მოუთმენლად ელოდა, რომ მთავრობისაგან საშობლოში დაბრუნების ნებართვა მიეღო. მისი ოთახის კედელზე ერთი ტაბელკალენდარი ეკიდა: რადროსაც უნდა შესულიყავით, თუნდ გათენებისას, იმ დღის რიცხვი უკვე წაშლილი ჰქონდა. როცა მე ვეუბნებოდი, დღევანდელი დღე ხომ მხოლოდ დაიწყო-მეთქი, ის მიპასუხებდა, დაწყებული დღე ემიგრანტისათვის უკვე განვლილი დღეა. ის მზად იყო თავისი სიცოცხლის დღეები შემოკლებინა, ოღონდ თავისი საშობლო კედლე ენახა.

იშვიათად შემხვედრია ადამიანი, რომელსაც იმდენი მეგობარი ჰყოლოდეს, რამდენიც თედო სახოკიას ჰყავდა: მას პირადი ურთიერთობა ან მიწერ-მოწერა ჰქონდა თავისი დროის თითქმის ყველა გამოჩენილ ქართველ მოღვაწესთან და მისი დაუბეჭდავი მოგონებანი საინტერესო მასალას შეიცავენ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების გასაცნობად.

მეორე ქართველი, რომელსაც ბრიუსელში გავიცანი, იყო „მამელუკის“ ავტორი კ. თათაროშვილი (უიარაღო). მას მღვდლის ანაფორა გაეხადა, რათა ბელგიის სატახტო ქალაქში მოსულიყო ბუნებისმეტყველო შესასწავლად. იგი გამოიჩინოდა ნათელი ოპტიმიზმითა და სიცოცხლის სიყვარულით. ბრიუსელის ქუჩებზე ისე ხმამალა ლაპარაკობდა, გეგონებოდათ, ენგურის ნაპირას დგას და ცდილობს ხმა მიაწვდინოს მეორე მხარეზე მდგომარე ადამიანსო. თავდაპირველად თითქმის არავითარი საღსარი არ ჰქონდა საარსებოდ, მაინც გულს არ იტეხდა. მეგობრების შემწეობით შეძლო უნივერსიტეტის კურსის დასრულება, შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და

თბილისის უნივერსიტეტის ლექტორი გახდა; თავისი ხელით პატარა ბინაც ააშენა მთაწმინდის უბანში; მაგრამ ზედმეტად დაენდო თავის ჯანმრთელობას, არ მოიშალა სუსხიან დღეებში უპალტოოდ და უქედოდ სიარული, გაცივდა და ფილტვების ანთებას გადაჰყვა.

თათარიშვილს და მე ფრანგული ენის გაკვეთილებს ერთი მოხუცი ქალი გვაძლევდა. ერთხელ ამ ქალმა შემომთავაზა, სპირიტისტთა წრის სეანს დაესწრებოდა. დარბაზში, სადაც მე შევედი, საკმაოდ მრავალრიცხოვან საზოგადოებას მოეყარა თავი; უმრავლესობას ინტელიგენციის წარმომადგენლები შეადგენდნენ. მე ვერ შევძელი საიქიოს ბინადართ დავეკავშირებოდი და ისეთი შთაბეჭდილება გამოვიტანე, რომ ეს ვერც სხვებმა შეძლეს. საერთოდ სპირიტინში, ოკულტინში და სხვადასხვა მისტიკური მიმდინარეობანი მოწმობდნენ ბურჟუაზიული აზროვნების კრიზისს ევროპაში.

ამითვე აიხსნებოდა ინტერესის გაძლიერება შუა საუკუნეების რელიგიური ხელოვნებისადმი. ერთი ახალგაზრდა ბელგიელი დამიმეგობრდა, ხელოვნების კარგი მცოდნე. მასთან ერთად ხშირად დავდიოდი ბრიუსელის მუზეუმებში. უკვირდა, რომ რენესანსის მხატვრობასა და ქანდაკებას უპირატესობას ვაძლევდი შუა საუკუნეების ხელოვნების წინაშე.

*
* *

სამშობლოდან ჩემი განდევნის უკანასკნელი დღეები ევროპაში განსაკუთრებით გავარჯარებულ ატმოსფეროში გავატარე. ორი მოპირდაპირე კოალიცია — სამთა კავშირი და სამთა შეთანხმება ემზადებოდა გადაწყვეტი შეკიდებისათვის, რასაც კარგა ხნით უნდა გადაეწყვიტა კულტუროსანი კაცობრიობის ბედი. გაცხარებით წარმოებდა ომის დიპლომატიური მომზადება, ორივე მხრის მეთაურები დიდ აქტიობას იჩენდნენ.

ერთხელ, როდესაც ვერ კიდევ ბერნში ყოფნის დროს, ნაშუადღევს ჩემი ოთახიდან გამოვედი, ქუჩაში აღჩქვარებლად მიმავალი ეტლი დავინახე. შიგ შევიცარიის პრეზიდენტის გვერდით ვილჰელმ მეორე იჯდა; თუმცა უბრალო სამოქალაქო ტანსაცმოსი ეცევა, მისი არცნობა შეუძლებელი იყო, იმდენად დამახასიათებელი სახე და აწყობილი უღვაშები ჰქონდა. ეტლს არავითარი ამაღა არ ახლდა და მას არც არავინ ყუყუადლებას არ აქცევდა. გერმანიის იმპერატორი შვეიცარიაში პოლიტიკური მიზნით იყო ჩამოსული; მას სურდა გამოერკვია, დაცავდა თუ არა გერმანიისადმი კეთილგანწყობილ ნეიტრალიტეტს შვეიცარიის რესპუბლიკა. არ ვიცი, რა პასუხი მიიღო მან რესპუბლიკის პრეზიდენტისაგან, მხოლოდ, ჩემთვის, ყოველ შემთხვევაში, აშკარა გახდა, რომ მოახლოებულ გრანდიოზულ ორთაბრძოლაში მნიშვნელობა ენიჭებოდა შედარებით მცირე პოლიტიკურ ფაქტორებსაც კი.

ეს ჩემთვის კიდევ უფრო ნათელი გახდა 1913 წლის ზაფხულის თვეებში, როდესაც ბოდენის ტბის ნაპირას ეცხოვრობდა, ერთ შვეიცარიულ სოფელში ბადენის ქალაქ კონსტანციის მახლობლად. ამ მშვენიერ ქალაქში მეთხოვმეტე საუკუნის დასაწყისში შედგა ცნობილი მსოფლიო საეკლესიო კრება, რათა ბოლო მოეღო დასავლეთის ქრისტიანობის სქიზმისათვის. მან კოცონზე დაწვა მიუსაჯა ჩეხ რეფორმატორს იან ჰუსს. ჩემს დროს კონსტანციის საეკლესიო კრების შენობა ძალიან არქაულ და უწყინარ შთაბეჭდილებას ახდენდა, კონსტანციის ხილს არქივიპისკოპოსების ქვის ქანდაკებანი ამკობდნენ, ინკვიზიციის ყველა კოცონი ჩაფრთხილი იყო, პაპის მომხრე და მოწინააღმდეგე თეოლოგების კამათი — დაღუშებული. მაგრამ საკმაო იყო კაცი შვეიცარიიდან კონსტანცში გადასულიყო, რათა მაშინვე ეგარძნო, რა ახლო იყო ქართველი. რომელსაც ერთხელ კიდევ უფრო შეეზანზარებინა ბებერი ევროპა. ქალაქი

საესე იყო ოფიცრებით, რომელთაც, იმისდამიუხედავად, რომ ზაღენის საჰერცოგოში იმყოფებოდნენ, განსაკუთრებით პრუსიული იერი ჰქონდათ. ბევრი იყო პოლიტიკური აგენტიც, რომელთაც დაკვირვებული აღამიანი ყოველთვის გამოარჩევს უმოძრაო ნიღბებისა და მოუსვენარი გამოხედვის წყალობით.

მსოფლიო ომის მოახლოებამ მრავალ მწვავე სოციალ-პოლიტიკურ საკითხთა შორის დღის წესრიგში დააყენა ეროვნული საკითხიც, განსაკუთრებით მრავალერიან და კოლონიურ იმპერიებში.

საქართველოშიც მრავალი პროგრამა იქნა წამოწყებული ეროვნულ საკითხში. ქართველმა მენშევიკებმა ავსტრიელი სოციალ-დემოკრატების მიერ შემუშავებული პროგრამა მიიღეს. ეს პროგრამა გულისხმობდა კულტურულ ავტონომიას, რაც არსებითად გამოიწვევდა გარკვეულ ტერიტორიაზე მოსახლე სხვადასხვა ერის მშრომელთა გაერთიანებას.



შეთორმეტე საუკუნის პირველ ნახევრიდან, როდესაც სახელოვანმა ფილოსოფოსმა და პოეტმა პიერ აბელარმა წმინდა ენევიევის გორაკზე, იქ სადაც ამჟამად პანთონის შენობაა ამართული, ღია ცის ქვეშ ლექციების კითხვა დაიწყო და ამით საძირკველი ჩაუყარა უნივერსიტეტს. შემდეგ სორბონად წოდებულს, პარიზი დასავლეთ ევროპის კულტურულ ცენტრად ითვლებოდა. ამ ქალაქმა ხელმძღვანელი როლი შეინარჩუნა მთელი რვა საუკუნის განმავლობაში, როდესაც დასავლეთის კაცობრიობამ ფეოდალიზმიდან რენესანსის გზით ბურჟუაზიული კულტურის აყვავებას და მომწიფებას მიაღწია. ამ ქალაქში მისციეს ზეაღმავალი ბურჟუაზიის ბელადებმა რელიგიური ფანატიზმის დამცველებს გადამწყვეტი ბრძოლები. ამ ქალაქიდანვე სორბონის თეოლოგები თავიანთი ლექციებით, ნაწერებით და გა-

დაწყვეტულებებით ბოქავდნენ თავის უფალ აზროვნებას. ბოლომდე მწვავენი გრანდიოზული ბრძოლები შეეცდნენ საუკუნეში ბურჟუაზიის პარიზის პროლეტარიატმა გაუმართა. ამიტომ დასავლეთი ევროპის გამთიშველი კონფლიქტები და კულტურული მიუბანი ჩემს დროს ისე კარგად არსად არ იგრძნობოდა, როგორც პარიზში.

პარიზი ახალმისულს. უწინარეს ყოვლისა, თავისი კონტრასტებით აოცებდა. მე ერთ იაფფასიან სუფთა სასტუმროში ეცხოვრობდი ლათინურ კვარტალში. ხშირად გვერდით ჩამოვლია პანთონისთვის, სადაც ვოლტერი, რუსო და პიუგო განისვენებდნენ. და წმინდა იაკობის ქუჩა გადამისერავს, ესოდენ სახელგანთქმული საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქიდან. მაგრამ იქიდან შორს არ იყო სენ-მიშელის ბულვარი, სადაც ის დიდი კოშკის საათი ეკიდა, რომლის დარეკვა ბართლომეს ლამეში ფანატიკოსმა კათოლიკებმა ნიშნად მიიღეს. რათა ჰეგნორების ელექტა დაეწყათ. ხშირად, როდესაც წმინდა ენევიევის ბიბლიოთეკაში შევდიოდი, ფიქრით ამ შორეულ საუკუნეებში გადავსულვარ. როდესაც საფრანგეთის დედაქალაქს პარიზი კი არა, ლუბეცია ერქვა და როდესაც ნორჩი ენევიევა მოქალაქეებს ეროვნული თავისუფლების სახელით ატილას ურდოების წინააღმდეგ ამხედრებდა. მაგრამ, შემდეგ, როდესაც იქიდან საღამოთი ჩემს მეგობარ ქართველ პოეტთან პაოლო იაშვილთან გამივლია ესტრპადის ქუჩაზე, ძალაუნებურად იმ საშინელ იარაღზე მიფიქრია, რომლითაც ინკვიზიტორები ერთეკოსებს აწამებდნენ. მაგრამ იმავე უბანში იდგა პანთონის საუცხოო შენობა. სადაც რელიგიური და პოლიტიკური ფანატიზმის დიდი შემმუსკერელები ვოლტერი, პიუგო, ზოლა და სხვები განისვენებდნენ. ხოლო ყარიბჭეს როდენის ბრინჯაოს ქანდაკება „მოაზროვნე“ დაარჯობდა. რამდენი ისტორიული მოვონება იყო დაკავშირებული გოთიკური ხუროთმოძღვრების

შედევრთან, პარიზის ნოტრდამთან, რომლის ქვის ქიმურებს ადამიანი შუა საუკუნეებში გადაჰყავდა! მაგრამ საკმაო იყო მის კომპლექსურ ასულიყავით, რომ მთელი თანამედროვე პარიზი დაგენახათ.

ჩემს დროს საფრანგეთის დეტალურად პალატაში მგზნებარე ჰუმანიტარული და ინტერნაციონალისტური ჟორჯის მოღვაწეობდა და „გერმანელთა შთანთქმელობა“ კლემანსოც: წიგნის მალაზიების ვიტრინებში ანატოლ ფრანსის რომანების გვერდით ბულვარული რომანები იყო გამოფენილი. ქალაქს ჰქონდა ვოლტერის სახელობის ყავახანა, სადაც ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები იყრიდნენ თავს, და „მულენ რუჟის“ და „ფოლი ბერკერის“ კაფე-შანტანები, სადაც ათასგვარ სამუალებს იგონებდნენ გამაძლარი და ხანში შესული ბურჟუაზიების დაჩლუნგებული სქესობრივი გრძობების გასაღიზიანებლად. ხელოვნების ხიდიდან კი უძიმდოდ შეყვარებულნი ან უსახლკარონი სენაში ვარდებოდნენ თავის დასახრჩობად.

არსად დედამიწის ზურგზე ამდენი უსაქმოდ მოხეტიალე ადამიანი ერთად თავს არ იყრიდა, როგორც იტალიელების და კაპუცინების ბულვარზე, არსად იმდენი ლამაზი ქალი თავის სხეულს არ აფენდა, როგორც გრანდ-ოპერაში. ამავე დროს, პარიზის მანსარდები დასახლებული იყო ყველაზე შრომისმოყვარე ახალგაზრდებით, ხოლო პარიზული ხელოსნები — დურგლები და კალატოზები, მკავეჯეები და წიგნის მკინძავეები, თერძები და ფეხსაცმელების მკერავები — ნამდვილი მხატვრები იყვნენ. შუა საუკუნეების და რენესანსის ოსტატების ჩამომავლები. არსად ბურჟუაზიულ მსოფლიოში ადამიანის ტვინი ისე არ იქანცებოდა, არსად მისი ნერვები სიამოვნების ციხეცხელებით ისე არ ითენებოდა, როგორც პარიზში. მაგრამ, ამავე დროს, ყოველ საზოგადოებრივ ფენაში ისტორიული ტრადიციის ბევრად უფრო ძლიერი იყო, ხოლო ოჯახის მორალი უფრო მტკიცე.

ვიდრე ფრანგული ლიტერატურის მიხედვით შეიძლება წარმოგვედგინა. კლიუნის მუზეუმი ერთ-ერთი მტკიცედ დამახასიათებელი ძეგლი იყო პარიზში. მის ეზოში ქვის ლომები იდგნენ, ისინი, მგონია, რომელი ტერმების ნანგრევებიდან იყვნენ დარჩენილი. ამ ქვის ლომებს თავზე მწვანე შოლი ამოსვლოდათ სიბერის გამო. მუზეუმის დარბაზები სავსე იყო შუა საუკუნეების და რენესანსის ეპოქის ავეჯეულობით, იარაღით, ბრინჯაოთი, ქურჭლით, სამკაულებით. როდესაც ადამიანი ფერადი ფანჯრებით განათებულ ოთახებში სანთლიდან გაკეთებულ შეჯავშულ რაინდებს უცქეროდა, გათიჯრ სავარძლებში მჯდომარეთ: ან ძველებურ ფართო ბუხრებზე მიყრდნობილ, მას ეგონებოდა, გვაროვანი შეომრების ან ფრანსუა პირველის ჯარისკაცების საზოგადოებაში ვიწყოფებო. მაგრამ საკმაო იყო ქუჩაში გასულიყავით და მაშინვე დიდი თანამედროვე ქალაქი და გუთმულეობდათ თავისი ელნათურებით და გზის რქებით, ავტომობილებით და ყავახანებით, ილლიაში წიგნებამოხრისი სტუდენტებით და მომხიბლავი გრიზეტებით.

პერ ლაშეზის სასაფლაო თითქოს პარიზის გვირგვინს წარმოადგენს. არსად ისე არ იგრძნობა მკიდრო კაემირი ცოცხალ და გარდასულ თაობებს შორის, როგორც ამ მშვენიერ ნეკროპოლში. ქირისუფლები მარტო ახლად გარდაცვლილი ადამიანებისთვის როდი ზრუნავდნენ. როდესაც აბელარის და ელოიზას ქვის საკოფაგებთან მივედი, დავინახე, რომ მას ცოცხალი ყვაილების თაიგულები ეყარა, ეს უბედური მიჯნურები კი აქ ოთქმის რეაისი წელიწადი წვანან. ნახევარი საუკუნის წინათ ჩემამდე მათი საფლავი ჩვენმა დრამატურგმა გიორგი ერისთავმა ინახულა და მანაც ცოცხალი ყვაილების გვირგვინები აღმოაჩინა, ახალგაზრდა ქალების მიერ მოძენილი. ყვაილების გვირგვინებითაა შემკული ფედერატების კედელიც, სადაც 1871 წლის

მასში გააფთრებული ტერის და გალიფეს ჯარისკაცებმა კომუნარები დახვრიტეს. ალბათ აქ ხშირად თავჩაქინდრული მღვარან სერგი მესხი და ნიკო ნიკოლაძე.

ერთხელ პარიზის ბირჟის ეზოში შევიხედე. სახეგაწითლებული, გაოფლიანებული სპექულიანტების ღრიანცელმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მეგონა საგაყეთში მოვხვდი-მეთქი. ამის შემდეგ სორბონაში ერთი ცნობილი პროფესორის ლექციას დავესწარი. ის აუდიტორიაში შემოვიდა, საუბარებში ჩაჯდა ისე, როგორც, ჩემი წარმოდგენით, ლეი მეთოთხმეტის დროინდელი კარისკაცები ხსდებოდნენ, და იტალიური რენესანსის ლიტერატურაზე ორსაათიანი ლექცია წაიკითხა.

შინაგან წინააღმდეგობათა მიუხედავად, პარიზი მაინც ერთს დიდს მხატვრულ ანსამბლს წარმოადგენს და მისი ორგანული განვითარება თითქმის არ შეფერხებულა რომის ეპოქიდან დღემდე. საფრანგეთის დედაქალაქი მტერს იშვიათად აუღია, ხოლო როდესაც აუღია, მოკრძალებით შეჩერებულა მისი ისტორიული ძეგლების წინაშე. ლუერის აშენება მეცამეტე საუკუნის პირველ წლებში დაიწყო, ის მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დასრულდა ნაპოლეონ მესამის დროს. ამისდამიუხედავად, ლუერი მთლიანობის და პარმონიულობის შთაბეჭდილებას იწვევს. ამ ხნის განმავლობაში თბილისის სასახლეები მტრებმა ათასჯერ დაანგრეს და დაწვეს. მაშინ როდესაც ისინი ბალატებიდან საძირკვლებიც აღარ დარჩენილა, პარიზს ყველა ისტორიული ეპოქის ძეგლები შეუნარჩუნებია და სენტ-შაპელის ტაძრის ქვის არშიებიდან ეიფელის კოშკის რკინის არშიებამდე, ეოგენების მოედნიდან ელისეს მინდვრებამდე შეუწყვეტელი ტრადიციის ჯაჭვია გაბმული.

მაგრამ ფრანგი ერი, რომელსაც ჯვაროსნების ეპოქიდან პარიზის კომუნამდე ამდენი სახელოვანი ბრძოლა გადაუხდია და ამდენი მხატვრული ძეგლი

დაუდგამს, შემოქმედებით უძღურებსა მოეცვა იმპერიალიზმის ეპოქაში ნაშრომს ჩემს დროს კოლეე დე ფრანსში ერთ-ერთ მელიც ერთგვარ უმაღლესი საფეხურის უნივერსიტეტს წარმოადგენდა, პარიზ ბერგსონი კითხულობდა ფილოსოფიის კურსს. როგორც ეტყობოდა, ის პოპულარული იყო შეძლებული საზოგადოების მანდილოსნებშიც, რომლებსაც ასაკი ნებას აღარ აძლევდათ ტრფილების გართობებში ჩაბმულიყვნენ. ისინი აუდიტორიაში ორი საათით ადრე მოდიოდნენ ბერგსონის ლექციების დაწყებამდე და ნაწილობრივ ლექსებისა და რომანების წიგნებით, ნაწილობრივ წინდისჩხირებით იყვნენ შეიარაღებულნი. დაგვიანებულად მოსულ მსმენელთათვის აუდიტორიაში თავისუფალი ადგილები აღარ იყო; ისინი მეზობელ ოთახებში იდგნენ შეჯგუფებულნი. ძნელი საფიქრებელია, რომ მათ აქ რამე ესმოდათ. ამრიგად, გამხდარი, წვერ-ულვაშითარსული, შავსერთუკიანი ბერგსონის სიტყვები, მანერული ტონით წარმოთქმული, უნაყოფოდ იკარგებოდა კოლეე დე ფრანსის კედლებში, მაგრამ ამ სიტყვებმა შემდეგ გავლენა მოახდინეს ამ კედლების იქით — იტალიელ ფაშისტებზე, გერმანელ ნაცისტებზე.

პარიზის ერთ-ერთ ყველაზე მომხიბლავ სამკაულს უცილობლად მისი სენის სანაპიროები წარმოადგენს. აქ, სხვათაშორის, ბუკინისტებს ძველი წიგნებით სავსე ყუთები უწყვიათ. აქ შეხედებოდათ შედეგრებს, რომელთა შემქმნაში წიგნის ავტორი, მხატვარი, სტამბის მუშა, ამკინძავი ერთმანეთს შეჯიბრებოდნენ. რა მძაფრ სიამოვნებას განიცდიდათ, როდესაც რომელიმე ძველქრონიკას აღმოაჩენდათ, გულუბრყვილო სურათებით შემკობილს, ლაფონტენის იგავ-არაკებს ან პეროს ზღაპრებს დორეს ილუსტრაციებით, რუსოს „აღსარებას“ და ვოლტერის ფილოსოფიურ მოთხრობებს, რომელთაც არავითარი მხატვრული სამკაული არ ხქირდება, იმდენად პლასტიკურია მათი ხახებო...



მაგრამ საკმაო იყო რომელიმე წიგნის ფარდულთან შეჩერებულეყავით, რომ იქ თანამედროვე რომანის სახალხო გამოცემას მოგაწვდიდნენ: მისი შინაარსი ქმრის, ცოლის და საყვარლის დაუსრულებელ კომბინაციას წარმოადგენდა, ხოლო მის გარეკანს ჩვეულებრივ ამკობდა სადღისის უღვაშებიანი მამაკაცის და მაღალ გულშეკრდიანი დედაკაცის სურათი, რომელიც შეურაცხყოფას მიყენებდა ყოველი ლექსის მთხზველი პარიკმაზერის გემოვნებას.

შემოდგომის და გაზაფხულის სალონებში, სადაც აკადემიური ფერწერის და ქანდაკების გამოფენები იმართებოდა, უპირატესი ადგილი ტიტველი ქალისა და ვაჟის თემას ეკირა. მაგრამ ტიტველი სხეულების დიდი პოეტების — ბუშეს, ენგროს, რენუარის ადგილი მათ უძლურ ეპიგონებს დაეკავებინათ. ისინი იძლეოდნენ არა სხეულის შეგრძნობას, არამედ მისი გარეკანის ნერვულ თრთოლვას. პეიზაჟისტებს დიკარგული ჰქონდათ ბუნების საიდუმლოების გრძნობა, რომელიც დიდ ფრანგულ მხატვრულ სკოლას ახასიათებდა მთელი მისი გმირული პერიოდის მანძილზე, კლოდ ლორენიდან და პუსენიდან დაწყებული — ეან-ბაპტისტ კორომდე. დავიდის, დელაკრუას, კურბეს რევოლუციური ტრადიციები გაძევებული იყო ფერწერიდან და ქანდაკებიდან, აკადემიური მიმართულების მხატვრები თითქოს მხოლოდ იმას ცდილობდნენ, რომ ნაშუადღევს შეუშფოთებელი საიმოვნების წუთები მიენიჭებინათ კარგად დანაყრებული ფილისტერებისთვის.

უფრო შემარცხენე მხატვრები თავიანთ ტილოებს და მარმარილოებს ცალკე აფენდნენ, დამოუკიდებელთა გალერეაში. ერთი ორჯერ დამოუკიდებელთა გამოფენებზე წავედი ერთი ახალგაზრდა ფრანგი კრიტიკოსის თანხლებით. კუბისტები, ფუტურისტები, ორფისტები ჭკუადაძვდარი ბურჟუაზიული საზოგადოების შეშფოთებას და ჯარტიანებას ცდილობდნენ გეომეტ-

რიული ფიგურებით, „ამღვრეტელი ნებისმიერებით“, კარდონზე დაწებებულნი. ფერების დი ჩერებით და შუშის ნატეხებით. მასსოვს, ერთ სურათზე რაღაც არაბუნებრივი ბორბლები და მავთულები იყო დახატული; ერთი კუთხიდან ფართოდ გახელილი, გაშტერებული ცალი თვალი იცქირებოდა. ჩემს თანამგზავს თავი ახალი ხელოვნების მცოდნედ და მეგობრად მოჰქონდა; მე შევეყიითხე, რას ნიშნავს ეს სურათი-მეთქი. „ახალგაზრდა შეყვარებული ქალ-ვაჟი მთვარიან ღამეში ზღვის პირას სერირობისა, მითხრა მან მეტად სერიოზული სახის გამომეტყველებით. სხვაგან თავგაპოხილი მამაკაცები აცაბაცა მაცქერალი თვალებით „აზროვნებას“ გამოხატავდნენ, ძეხვის ფეხებიანი და თეძობბომონგრეული დედაკაცები — „შშენიერებას“. და ამ ტილოების და ქვების წინ მნახველები იდგნენ, ზოგი — აღშფოთებული ან გაოცებული, ზოგი — ირონიულად მომღიშარი, ზოგიც — ნაძალადევად აღტაცებული იმის შიშით, რომ ხელოვნების უცოდინარობა ან ჩამორჩენილობა არ დამბრალდესო.

ამ დროს მე გატაცებული ვიყავი ჩემი სამშობლოს აღორძინების გზების ძიებით. მე არ ვახდენდი ქართველი ერის იდეალიზაციას: მე უკვე გამოსული ვიყავი იმ ასაკიდან, როდესაც შეყვარებულნი ნეტარი აღტაცებით შესერვიან თავიანთი ტრფილის საგანს. იმ ლექებს, იმ მანქას, რომელნიც ქართველ ერს ჩავგრისა და მონობის საუკუნეებმა დაუტკავეს, მე თვით ჩემს ბუნებაშიც ვხედავდი. მაგრამ მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ძველი იბერული და კოლხური ტომების ჩამომავლებს ჯანსაღი ფესვები ჰქონდათ და ბებერი მუხის ტოტებს, მრავალჯერ გასხეპილთ მტრების მიერ, ახალი ნორჩი ყლორტების გამოღება შეეძლოთ.

ერთხელ საღამოს პაოლო იაშვილმა და მე ჩვენს ნაცნობ ქართველ ემიგრანტთან შევიარეთ სასტუმროში. იქ დაგვხვდა მიხეილ დავითაშვილი, რომელიც პარიზში რომელიღაც ქარხანაში

მეშობდა უბრალო მუშად. მან გვიბრა, ხვალ რუსი სტუდენტების მოწვევით ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი მოხსენებას კითხულობს ეროვნულ საკითხზე და ერთად დავესწროთ.

მანამდე ლენინი არ მენახა. მე ის რატომღაც მაღალ, გამხდარ, გრუხათმიან მამაკაცად მყავდა წარმოდგენილი; სახტად დავრჩი, როდესაც დარბაზში ტანმორჩილი, მელოტი კაცი შემოვიდა. მას ტუჩებზე ხანდახან ძალიან დამახასიათებელი ლამილი უკრთოდა, თითქოს რაღაც ისეთი იყო, რაც სხვებისათვის მუდამ საიდუმლოებად რჩებოდა. მან თავის მოხსენებაში ენერგიულად გააკრიტიკა კულტურული ავტონომიის იდეა და განაცხადა, ჩვენთვის პირველხარისხოვანი და მეორეხარისხოვანი ერები არ არსებობენ, ყოველ ჩაგრულ ერს თვითგამორკვევის უფლება უნდა მიეცეს, ეს უფლება მის სრულს დამოუკიდებლობასაც გულისხმობს. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რუსეთის მომავალი რევოლუცია იმდენს მისცემს ჩაგრულ ერებს, რომ ისინი არ ისურვებენ რუსეთიდან გამოთიშვას. ლენინმა რამდენჯერმე დაიმოწმა სტალინის ახლად გამოსული "რომა-მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი".

ქართული დამსწრეების განსაკუთრებით მიიპყრო იმ გარემოებაში, რომ ლენინი დიდხანს შეჩერდა გურიის გლეხთა ცხოვრების როლზე 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში. ლენინმა თქვა, რომ გურიის მშრომელმა გლეხობამ დიდი შეგნება და ორგანიზაციული ნიჭი გამოამჟღავნა 1905 წელს, მან თავის რესპუბლიკაში მოსპო ყოველი ძალმომრეობა და დანაშაული, თვალნათლივ დამტკიცა, რომ რუსეთის მეფის პოლიტიკას მხოლოდ დეზორგანიზაცია შეაქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ახალი კაცობრიობის წინამძღოლის სიტყვებში მე შევეგობინი ხალხთა თავისუფლების დიდი გზა.

1914 წლის აპრილის ერთ თბილ მზიან დღეს ბევრი ვისეირნე ბულონის ტყეში, სადაც პარიზელი ამორძალები თავიანთ ბედაურებს მიაგლეგებდნენ. შემდეგ ორიოდე დღე ჩემს ქართველ მეგობრებთან საუბარში გავატარე; უკანასკნელად ჩამოვფარე ჩემს ნაცნობ ბუკინისტებს სენის ნაპირას და სამშობლოსკენ გამოვსწიე.

ორიოდე თვის შემდეგ პირველი მსოფლიო ომი დაიწყო.



სიტყვა დიდ შემოქმედზე*

გორკის სიკვდილმა საბჭოთა კავშირის მშრომელთ თავზარი დასცა და გულწრფელი კავშირი მოჰგვარა. თქმა არ უნდა, რომ ეს დანაჯლისი ჩვენთან ერთად მშრომელი კაცობრიობის ყველა მეგობარსაც შეაწუხებს, ვინაიდან მას, გორკის, უცხოეთში უთვალავი მკითხველი, მეგობარი და პატივისმცემელი ჰყავდა.

მეტად თავისებურია განსვენებული მწერლის ბიოგრაფიაც და სტილიც. ხალხის ქვემო ფენას მრავალი დიდი მოღვაწე წარმოუშვია, მაგრამ მას ჯერ არც ერთი გორკის ტოლი არ მოუცია. განა გასაოცარი არ არის, რომ აღამიანმა „მანწილოებით“ დაიწყოს და მწერლობის მარშლობით დაასრულოს?

თითქმის ყველა მწერალს მოეპოვება უშუალო წინამორბედი, გარდა გორკისა. ის ცალკე დგას, იგი თითქმის „უნათესაო“ მწერალია, შეუდარებელია, თავისთავადია და ესეც უდიდეს ძალას და სიმკვეთრეს ანიჭებს მას.

ზოგი მწერალი მკითხველს და სახელს ხანგრძლივი ბეჯითი შრომით შოულობს. გორკომ იგი სამიოდე წელიწადში მოიპოვა, იმიტომ მოიპოვა ასე ადვილად, რომ მან, უდიდესი ნიჭით დაჯილდოებულმა, სრულებით ახალი სტილით ახალი სამყარო ახალნაირი მსოფლშეგრძნობით გააჩვენა. მის მოთხრობებში აჯანყებული სული დღედა ვულკანით, და ეს სული ჩვენი საკუთარი სული იყო. ვინაიდან ჩვენც, მაშინდელი ახალგაზრდობაც იმგვარადვე ვღვდობით და ჩვენი თავი იმ გრიგალს წინამორბედად მიგვაჩნდა, რომელიც პირველად 1905 წელს და მერმე 1917 წლებში ამოვარდა. ეს ორი გრიგალი პოლიტიკურად ლენინი — სტალინი და მათმა პარტიამ

მოამზადა, ხოლო მხატვრულ მწერლობაში ყველაზე მეტი დეაწლი უამაველად გორკის ეკუთვნის.

გორკი შეუდარებელი მთხრობელია. ის უდიდესი ოსტატია მხატვრული სიტყვისა. სანიმუშოა მისი დახვეწილი მანერა წერისა, მისი სიზუსტე, სინათლესადა ენა, ტიპების ასახვის უნარი, ეკვეთური სიტყვა და ჯანსაღი სოციალისტური რეალიზმი.

უკანასკნელ დროს უთვალავი მემუარული და საპორტრეტო ლიტერატურა გაჩნდა, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრება გორკის „ჩემს უნივერსიტეტს“ და ლევ ტოლსტოის პორტრეტს. ამ ქანრის მწვერვალზე, გორკის გარდა, ჯერ არავინ ასულა.

უბადლოა აგრეთვე მისი ადრინდელი მოთხრობებიც: „ოცდაექვსი და ერთი“, „ჩელკაში“, „ჩემი თანამგზავრი“, „აღამიანის დაბადება“, „გრიგალის მოციქულო“, „შეგარდენის სიმღერა“, „დედაბერი იზირგელი“ და სხვა მრავალი.

გორკი, მხოლოდ მწერალი კი არა, ის უდიდესი მოქალაქე და მრავალმხრივი მოღვაწეც იყო.

შარშანწინ მწერალთა ყრილობაზე მან გვითხრა: პუშკინი საბჭოთა კავშირის ყველა ერს ეკუთვნისო. ახლა ჩვენ ვამბობთ: გორკიც ყველა ერს ეკუთვნის, როგორც რუსთაველი და ყველა კლასიკოსი საბჭოთა ყველა ერისა.

მწერალთა ოჯახი დაობლდა. აღარა გვყავს დიდი მასწავლებელი და ბელადი. აღარც მისი ნაცვალი მოჩანს, მაგრამ მხნედ ვიყოთ, ამხანაგებო, ვინაიდან ლენინი — სტალინის მიერ მოხსნული და განოყიერებული მიწა მალე მრავალ ახალ გორკის გამოგვიზრდის. ჯერჯერობით კი ჩვენივე დიდმა ოჯახმა უნდა გასწიოს მისი მაგიერობა.

* თქმული მწერალთა სამგლოვიარო სხდომაზე მ. გორკის გარდაცვალების გამო.



მემობარი — ნაცნობი

ერთი წუთის წინ შემთხვევით შეგცდა
უმნიშვნელო თუ უბრალო რაღაც
და ამა უკვე „მეგობრებს“ შენსას
აუწვევიათ ხელები მაღლა;

პირველს მისთვის, რომ ტყავი გაგაძროს
და გაგაშავოს ყველაზე ადრე...
მეორეს მისთვის, რომ სხვას დაასწროს
და თქვას: აქამდეც ვფიქრობდი აგრე...

რა უნდა ითქვას იმ ორზე, ნეტავ?
წაშალე გულის ყველა არეში!
მაგრამ მესამე მეგობარს ხედავ,
მეგობარს, თითქოს წინწყლებს გარეშე.

ოგი, ვით გუშინ, თავზე გველება,
გულს ვაღაგიშლის, აღარ გშორდება,
გამწვიდებს ხშირად: — სისულელეა
და ყველაფერი გამოსწორდება.

არ მოგატყუებს, პირდაპირ გეტყვის,
რომ მითითება არის ალალი,
და არ გეკუთვნის სასჯელი მერტი,
შეცდომა ისე მცირე რამ არი!

მაგრამ ამა რად უნდა აჰყვეს გულს
და როცა განსჯის ფრთხილად, ჰკვიანად,
ხმას მისცემს სწორედ სასტიკ
საყვედურს,
რაც არასწორად მიაჩნია მას.

არ ეთანხმება-მეთქი სრულიად
ამ მეტად მძიმე სასჯელს... ასე რომ...
მაგრამ რამის თქმა უხერხულია,
წინადადება რაკი არსებობს.

კრებიდან თავის სახლში წაგათრევს,
თავისთავსა და ქტევას ამართლებს
და გეფიცება — მეც ვიტანჯებო.
ღიას, ძმავ, ღიას! შენი სასჯელი.

შენზე ნაცლებად როდილა მიმძიმს,
მიყვარხარ და ეს მრავალმა იცის.
დაგვიღევია, რად უნდა ფიცი,
და ესეც კიდევ სულყველამ იცის.

თანასოფლელნიც ხომ ვართ! ცხადია,
აქ ყველასათვის ნათელი არი,
რომ ოცდახუთი წელიწადია
ერთმანეთისთვის ღია გვაქვს კარი.

და შენი დაცვა — თვითონ მითხარი —
შეიძლებოდა ასეთ დროს? არა!
წამოვიდოდა დაცინვა ღვარად
და რებლიკები განუქოთხავი.

გვეტყოდნენ: ჩვენთვის არის ცნობილი,
ჭირში ხელს უწვდის მშობილს მშობილი.
რას მოიგებდი შენ ამის შემდეგ,
რას მიიღებდი? — უარეს შედეგს.

ისე კი, ძმავ, ჯოხი ძალიან
გადალუნეს და... დარდი მაწვება,
საყვედურისთვის, რაც მართალია,
არც კი მინდოდა ხელის აწევა.

შეეკითხები: — მაინც ასწიე?
პასუხს იძლევა: — ეს დღეს ავწიე,
მაგრამ, ხომ იცი, ძმავ, აწ კიდევ
რაიკომია, ქალაქკომია,
გაასაჩივრე, განა გაგწირეთ,
და არ მოგიხსნან, არა მგონია.

თუ დამიძახეს, ვიტყვი, რომ ამ მხრივ
დადგენილება მკაცრია ძლიერ.
მოგისმენს ხალხი, გაგიგებს ხალხი,
გაასაჩივრე, იბრძოლე, სძლიე...

თუკი ამბავი გაგრძელდა დიდად,
მიიღე შენი მეგობრის ხელი, —
საქმელი გინდა, საწოლი გინდა,
როდესაც გინდა, მობრძანდი, გელი!

უცურობ, როგორ ღელავს და დარბის,
როგორ ტრიალებს, ფუსფუსებს,
ბორბავს.

კეთილიც არის,
გულთბილიც არის,
და თავისთავით ამაყსაც მოჰგავს.

პურს გაჰმევეს, გასმევეს და მოგასვენებს,
რომ დაგიაშოს მწარე ცხოვრება.
მოდის და ახლა ცუდად ახსენე,
ქნებ არც მეტი მოეთხოვება?!

მაგრამ უეცრად კითხვა ისმება
და უბრალოა ამ კითხვის არსი:
„ეთქვათ, მაინც რატომ არ შეიძლება, —
კენჭისყრა მოხდა კრებაზე ვიდრე
და საყვედური მიიღე კიდეც, —
წინასწარ ეთქვა თავისი აზრი,

რომ თქვენ უბრალო მოყვრები არ ხართ,
რომ ერთად სცემდით ყველა მტერს
ლახვარს,
რომ შრომაშიც და ქარიშხლის ქამსაც
თქვენ უმაგრებლად ერთმანეთს მხარსა,

რომ ბრძოლით განვლეთ მრავალი წელი,
რომ არა ბრმა და უგუნურ რწმენით,
არამედ თვისი სიცოცხლით მთელით
კენდობა იგი და სჯერა შენი!“

დიბ, შეეძლო ეს ეთქვა იმ წამს
და არაფერი ზელს არ უშლიდა,

და მოუსმენდნენ სიმართლეს მისაქმუნელი
შეშინდა, ნეტავ რას შეუშინდა?

შენ საყვედურის გაქვს საფუძველი,
თუმცა როდია ამქვეყნად მარტო...
საქმე ის არის, როგორ უცქერი
ყველაფერ ამას—ვიწროდ თუ ფართოდ!

ვიწროდ შეხედავ? რა უშავს მაშინ,
მოიხსენიეო უნდა კეთილად.
მეტს ნულარ ემბე ნურასდროს მასში,
მადლობა უთხარ, რომ ასეთია.

ფართოდ შეხედავ? — სიმკაცრე გშვენის
და უნდა მიხვდე ბოლოს და ბოლოს:
ის მეგობარი არ იყო შენი,
ნაცნობი იყო მხოლოდ და მხოლოდ!

მე რომ ვახსენე თავში, ის ორი
მოჰკვეთე შენს გულს და განიშორე,
ჯანდაბისაკენ ერთად უვლიათ,
არ დინახონ შენმა თვალებმა!
მაგრამ მესამის საქმე რთულია
და ადვილია შეყოყმანება

ამგვარი ჩვევის დასაღწავად
დროა ერთმანეთს ვუთხრათ ხმამალა,
რომ ის მესამე ზოგჯერ მეცა ვარ,
რომ ის მესამე შენც ხარ ხანდახან...

თარგმანი ხუბა ბერულავამ.

ვეპანი ვინოკაკოვი



ღმსები მხედრულ მოვადეობაგე გუზაგები

სძინავს ქვეყანას, მხოლოდ წითელ ვარსკვლავებს ჰღვიძავს,
ასველებს ჰადრებს ღამეული ნისლი და ბური...
ოკვანეთა შორის გაშლილ მშობლიურ მიწას
დაიხოქე და

დაადე ყური.

გესმის ფეხის ხმა? შორს, საზღვარზე, წევანს ნისლები,
ნუ, გუშაგები, მიჰყვებიან ბილიყებს ცვრიანს...
— შესდექ, ვინ მოდის! — შესძახებენ შარად ფხიზლები.
საგუშაგოზე გუშაგები გუშაგებს სცვლიან...

დაე, ბნელი და გრძელი იყოს დეკემბრის ღამე
და იყოს სივრცე კუპრისფერად ჩალამებული,
დგანან ბიჭები — დაუძინრებს, ფხიზლებს და მძლავრებს,
აქეთ ქვეყნის ძილი და სიმშვიდე ჩაბარებული.

ტყე-ტყე, სერი-სერ, ტრამალ-ტრამალ ფეხის ხმა ისმის,
ღუმან ღამეში ფიჭვნარები და მუხნარები...
მოდიან — ხელებს კონდახები ჩაუბლუჯიათ,
ხელებს,

რომელთაც მოაწერეს ფიქვეშ გვარები.

ჰამლები

ჩვენ საწყობსუკან ვეებერთელა მორები გავდევით,
მოვაწყეთ სცენა ღირებით, ყავრით, ძელებით...
იქ იმ დღეს ჰამლეს თამაშობდა კოლკა ავდევეი
და, ეფრეიტორს

აეშვირა ცისკენ ხელები.

ეს — როლში, ხოლო ცხოვრებაშიც, ასევე, მახსოვს,
ჩვენი ზემდეგი მას შეგნებულ მებრძოლად თელიდა.
ის იყო ქერა, კორფლიანი, ჩადგმული, ფართო;
ღარბაისელი

ის იყო დიდად.

გამოვიღოდა, თავდახრილი ერთხანს დაჰყოფდა,
ხელს დაიკრეფდა, როგორც ამას მოითხოვს სცენა;
მაგრამ, როგორც კი შესძახებდა: „ყოფნა — არყოფნა!“
გვეცინებოდა რატომღაც ყველას.

მე ჰამლეტები დიდ სცენებზე მინახავს ბევრი,
გამომავალი ნათელ წრეში კულისებიდან,
დამიზნებული ბინოკლების მინახავს ტყერი,
მინახავს, როგორ გასცქერიან გულისშგერიითა.

გახსნიან ბაგეს — ბინოკლები იწყებენ თრთოლას...
მათი სცენა! მათი ცეცხლი და ძალა მოსწონთ!
მაგრამ ამასთან... გვაერთებდა საერთო თოვლი,
საერთო წვიმა...

და ვუსხედით საერთო კოცონს.

• •

რამდენი რამე
გადაგზნა და გემახსოვრება!
შენ მეგობრობდი,
მსახურობდი,
ლაშქრობდი ერთხანს...
აი, აელო კომპოზიტორს
შენი ცხოვრება,
შენი ცხოვრება
კომპოზიტორს მუსიკით ეთქვა!

ეთქვათ,
დასაწყისში,
ჯერ აელო ზაფხულის დილა,
ანაგვირილა გაზონებში,
ჩერო და ხენი...
და ლირიკული ფლექტებით
ნაზად და ტკბილად,
წყნარად და ფრთხილად
მოეხაზა ბავშვობა შენი.

შენ იზრდებოდი
ჩხით დამწვარი,
ჯანმრთელი,
ჯამუხი;
წიგნი და შრომა
და გართობა გიყვარდა გულით...

პიონერული,
გამყვიარი პაწია ბუკით
აქ შენს შესახებ
ყველაფერი იქნება თქმული.

შემდეგ — დღეები,
ფიცხელი და მძიმე დღეები,
გრიალი ბრძოლის,
ტრამალებზე ხანძრების ბოლი —
აქ. საჭირთა,
საყვირების დადგას ტყეები,
დაჰკრას დაფლადებს,
თავს იკლავდეს მძვინვარე დოლი...

შენ დაეკაკადი,
ის აღარ ხარ,
გასწორდი მხარში,
მხნედ გიძგერს გული
და ვალმობდილს მშვიდობა ვშვენის.
დე, მან ამაყი,
მოზეიმე, მგრგვიწავი მარშით
დღევანდელი დღე
და მსვლელობა გადმოსცეს შენი.

თარგმან მუჰამან ლეზანიძე

თ. შივაჩავაძე



დ ე ქ ს ე ბ ი

დილა მთებში

ცა მხიარულად იცინის ზევით
ღამის ქარწვიმით გადაწმენდილი,
ძირს კი ცეარნამში ციალებს ზევი
მძიმე მთებს შუა ხმაგაკმენდილი.

მხოლოდ ღრუბლები გარს ეხვევიან
გოლიათების შიშველ კლდეებსა,
თითქოს კედლები ჩამონგრევიათ
თილისმით შექმნილ სასახლეებსა.

ც ი ვ ი რ ო ნ ი

სთქვა ოქროპირმა, ნიშნად წყრომისა,
სამოქალაქო ბრძოლების ზღვაში:
„მე გვიან ავდექ და მალე გზაში
წამომეწვია ღამე რომისა!“
ასე: მაგრამ როს ეთხოვებოდა
რომის დიდებას მგზავრი გვიანი,
კაპიტოლიდან მისჩერებოდა,
თუ რა ზვიადად იძირებოდა
მისი ვარსკვლავი პირსისხლიანი.

ნეტარ არს, ვისაც ამ ქვეყნად ხანი
საბედისწერო ეამს უთევია,
ის ღმერთებს ლხინში მიუწვევიათ,
მასთან საუბნოდ ყოფილან მზანი.
მალალ ქვეყათა მათთა მცნობელი,
თათბირსა მათსას ის დასწრებია
და, ვიდრე განვლო წუთისოფელი,
უკვდავებას, ვით ცათამყოფელი,
მათ ფიალაში დასწაფებია.



ვით ოკეანე დედამიწას არტყია გარსად,
აქვს ჩვენს ცხოვრებას გარემოცვა სიზმარეული;
დადგება ღამე და ხმოვანი ტალღების ღვარსა
სცემს კიდებზე სტიქიონი მკერდაწეული.

ეს არის ხმები, გამზადებას რომ გვიბრძანებენ.
უკვე გაცოცხლდა ნავსადგურში თილისმა ნავი;
სწრაფად იზრდება მოქცევა და მიგვაქანებენ
საზღვარშემოხსნილ სივრცეებში ზვირთები შავი.

იწვის მთლიანად ცა ვარსკვლავთა დიდების ალით
და გადმოგვექერის იღუმალი სიღრმეებიდან.
ჩვენ, ფერგამკრთალნი, წინ მივცურავთ უჩინარ კვალით,
შემოგარსულნი მოგიზგიზე უფსკრულებითა.

ხ ი ლ ვ ა

ქამია ერთი — დგას მსოფლიო დადუმებული,
და იმა ქამსა, სასწაულთა გამომწვეველსა,
სამყაროს ეტლი, კოცონივით გაბრწყინებული,
გაივლის ზეცის კარგალებულ საყურთხეველსა.
სქელდება მაშინ, ვით ქაოსი წყალზე, წყვდიადი,
უმახსოვრობა ატლანტივით აწევა ხმელეთს.
ამ დროს ღმერთები ბრძნულ სიზმრებში მოსწყვეტენ ბნელეთს
მარტოდენ მუზის ქალწულებრივ სულს განთიადით.

როგორ ნათდება კვამლის სვეტი ზეაწეული,
როგორ მიცურავს ჩრდილი მისი ძირს დაჩნეული!
„აი ეს არის, — შენ მოთხარი, — ცხოვრება ჩვენი: —
არა თუ კვამლი, მთვარის გამო სინათლის მჩენი,
არამედ ჩრდილი ამ კვამლისგან გამოქცეული!“

ჩემი სულია აჩრდილები ელიზიუმში,
დადუმებული, სხივოსანი აჩრდილებისა.
მათ არ ეხებათ არც ამ შმაგი წლის განზრახვანი,
არც სიამენი, არც სამსალა მწუხარებისა.
ჩემი სულია აჩრდილები ელიზიუმში,
მან ვით მიიღოს ეს ცხოვრება, როგორც მშობელი?
ან თქვენ ვით იძმით, უკეთესი წარსულის ლანდნო,
ეს ბრბო უგონო და უგრძობელი?

შამოდგომის საღამო

ჩანს შემოდგომის გამჭვირვალე საღამოებში
რალაც გულთბილი სილამაზის იღუმალემა...
ავყია შუქი და სიჭრელე ხეთა რტოებში,
უკითხელ ფოთოლთა ნაღვლიანი აშრიალები;
სიმშვიდე ცისა, მტრედისფერად მოწმენდილისა,
რომლის ქვეშ მიწა დგას თბილი ბავშვივით წყნარი;
ვით წინათგრძობა მომავალი ქარტეხილისა,
ხანდახან ცივი, უეცარი დაჰბერავს ქარი.
დაქანცვა, დაღლა... ყოველივეს ირგვლივ აჩნია
ნაზი ღიმილი ქცნობისა და ძალთა კლებისა,
რაიც გონიერ არსებაში ჩვენ მიგვაჩნია,
ტანჯვის დროს, ნიშნად ამაღლებულ მოკრძალებისა.

კოეზია

როცა ელვავა, მებთა კვეთება,
როცა ქვეყანას ცეცხლი ედება,
ქანაობს მიწა სტიქიის ფრთაზე, —
სტოვებს ის ჩვენთვის ცის საფირონსა,

ქნარს ააქლერებს ჯადოსნურ ხმაზე
და აჯანყებულ, ბობოქარ ზღვაზე
შემარიგებელს ასხამს მირონსა.

ღამუხვილება

ღაწუნარდა ზეცა. ბოლავდა კიდევ
მუხა, ზედ მეზი რომ დასცემოდა,
და კვამლი, როგორც მოცისფრო რიდე,
განბანილ ხეებს გადაჰფენოდა.

ღიღი ხანია სირთა ხმოვანი
გალობა უკვე ტყვე მოსდებია;
მთებს ცისარტყელა შეიდგეროვანი
რკალის ბოლოთი დაჰყუდებია.

ეტლით მივდივართ მოთენთილები
დიდხანს. დღე უკვე მწუხრით ძლეულა.
გზაში ფიჭვების გრძელი ჩრდილები
ერთ განუწყვეტელ ჩრდილად ქცაულა.

ნელა შავდება სივრცე ტყიანი...
რა მოსაწყენი ადგილებია!
ღამე, ვით მხეცი ასთვალისანი,
ყოველ ბუჩქიდან მოგვჩერებია.



დაპარაკობს ღმრად

მე მყავდა შვილი — ბიჭი პატარა...
მღვლოთა ოქრო, ცის შნო და ეშხი,
მინდურის ყაყაჩო, კოკორმაცვალა
იხატებოდა მის ლალ თვალებში.

ბიჭს თმები ჰქონდა თეთათვის ფერი,
იჯდა საწოლზე, ლალობდა მარტო.
ჩან გაიწვედა მზისაკენ ხელით,
რომ მიწვდომოდა ბრიალა მნათობს.

— შოიკა ჩემო ბიჭუნავ კარგო! —
ტყბილად ვუმღერდი პატარას ლხენით.
გაიზრდები და დედილოს ვარდო,
მთელი ქვეყანა იქნება შენი.

შემდეგ კი ომი ვით ქარიშხალი,
მოვარდა, დასწვა ქალაქი ცეცხლმა.
ჩვენი ქვიშაც კი იწვოდა ალით,
თვითმფრინავებმა გაჰკვეთეს ზეცა.

ყვავილებს კვამლში შეეკრათ სუნთქვა,
მინდურები იქცნენ სისხლიან ტბებად.
ბომბი... ბომბს ბომბი მოსდევდა უკან...
და ჩემი ბიჭი მომიკლეს მტრებმა.

ეს მე თვითონვე ვიხილე ცხადად,
ლითონის შავი ნაჭრების რისხვა...
მის კეთილ, ნათელ თვალებში ჩაქრა
სამარადისოდ სილურჯე ცისა.

ტუნზე გაცივდნენ სუსტი ბგერები,
გაჰქრა ღიმილი, გაჰქრა ხალისი.
კვდებოდნენ ბავშვის თბილი ხელები
და სისხლიანი ძრწოდა დაისი.

იმ ღამეს შვილი დავასაფლავე,
დამნაშავე კი მითხარ ვინ არის?
ეგებ მეც მცირედ ვარ დამნაშავე.
ჩემს სიკვდილში მეც მიდევს ბრალი?!

და მე კიდევ მყავს მეორე შვილი —
ნაზი, ძვირფასი ბიჭუნა ჩემი;
მე მას ვაჩუქე ცა ფერად ლილის,
ველებიც ოქროს ღიმილის მჩენი.

მე მას ვაჩუქე ქვეყანა მთელი —
მდინარე, მთები, ხევი ტყიანი,
კაცობრიობას ვარგუნე დიდი
მე საჩუქარი — ადამიანი!

მაგრამ კვლავ მესმის, გაიგეთ მესმის,
ბიზნესმენების ნაბოლღვარს ვისმენ!
კვლავ სურთ გაგვხვიონ ჩვენ სისხლის
ჩქერში,
მწუხარებაში ჩაგვაგდონ ისევ.

კვლავ სურთ დახუტონ შენი თვალები
ჩემო ბიჭუნავ, ვარდივით შლილო.
სურთ გააციონ ისევ წველებით
შენი ფუნჯულა ხელები, შვილო.

მაგრამ ახლა მათ ვეტყვი მე — „არა“
და შენაც, დედავ. შვილს ადექ ფარად.
მსოფლიოს ყველა დედებო მძალავრად
ჩვენ ვეტყვით იმათ სასტიკად: „არა!“

უდას არ დავუწყებთ ვიდრე
ბრჭყალებით
სახლში შემოვა სიკვდილის ცელი;
ვიდრე მხეცები თვითმფრინავებით
ბავშვთა დახვერტას იწყებენ ლხენით.

კედლებზე მტკიცედ დავწერთ ჩვენ
„არა“.
„არა“ დავწერთ ჩვენ სახლებს მარად.
ჩვენ სისხლით დავწერთ გადამწყვეტ-
მართალ
ჩვენს პასუხს: არა. არა და არა!

და თუ ამითაც, მაინც არ შედგა
 ბოროტმოქმედთა თავხედი ჯარი,
 მთელს პლანეტიდან ყოველი დედა
 თქვენს ქარხნის კარებს შეამტვრევს
 კაღლით.

გაჩერებენ დანდგარა დაზგებს
 და ჩაძირავენ თქვენს გემებს ზღვაში:
 წყალში ჩაყრიან ტვირთსა და ბარგებს,
 ააფეთქებენ მანქანებს გზაში.

დავეკიდებით თვითმფრინავს ფრთაზე,
 არ მივცემთ ნებას აფრინდნენ ისევ.
 კისერში ვწვდებით მფრინავებს წამსვე,
 — აღარ გაბედოთ! — ეუბრძანებთ
 მტკიცედ.

შთავარ ბანდიტებს მივწვდებით
 მელგრაღ.
 გავასამართლებთ სასტიკად. მჯერა.
 უდრეკ ფოლადზე მტკიცეა ნება,
 რათა დაეიცვათ შვილები ყველამ.

აი, შენ გიყვარს ფუნჯულა ბავშვი,
 არც კი აკარებ ქარსა და ნიავს,
 რიგზე უხარმავ მას ფაფაქმედი
 მაგრამ რა ჰქენ რომ არ მოკლას
 ტყვიამ?!

მაშ, შენ მშვიდობის მედრომე გახდი
 და სასწაულებს არ ენდო, არა!
 დედურ სიყვარულს უწოდებს ხალხი
 ჩვენს ნება-სურვილს აღგზნებულს
 მარად.

ჩვენი ბავშვების სასთუმლებიდან
 კაცთსაძულველი გავდევნოთ ომი.
 მთელს ქვეყანაზე სამარადისოდ
 მტკიცე მშვიდობა დაეიცვათ შრომით.

ეს მე ეიგრძენი აღმსდგარმა რისხვით,
 გულით. გონებით, საკუთარ სისხლით.
 მე ყოველივეს თვალნათლივ ვხედავ,
 თქვენ გეუბნებით ამას მე — დედა!

თარგმანი გრიგოლ იმედაძისა

უძველესი



ოი კაპიტანო! ჩემო კაპიტანო!

1

ოი კაპიტანო! ჩემო კაპიტანო! აჰა, მოვიარეთ გზები საშიშარი;
რასაც ვეძიებდით, უკვე მოვიძიეთ, სძლია ჩვენმა გემმა ყველა ქარიშხალი;
აი წავსადგური, ზარს დაუგდე ყური, ხედავ ხალხის ზეიშს, წრფელს და
პირდაპირულს.
● ევალს რომ არ ამორებს ხომალდს შემომავალს, მარად მრისხანეს და მარად
თავგანწირულს?

მაგრამ, ოი გულო! გულო! ჩემო გულო!
რისთვის დააყენეს აქ ეს სისხლის ღვარი,
სადაც კაპიტანი, ჩემი კაპიტანი,
დაეცა და გღია მკვდარი?

2.

ოი კაპიტანი! ჩემო კაპიტანი! აღსდექ, მოისმინე, როგორ გიხმობს ზარი,
როგორ გიხმობს ხალხი, რათა მალე გნახოს შინდაბრუნებული საყვარელი
გარდის კონებს კრავენ, შენთვის გვირგვინს წნავენ, დროშის ტყვიის შრიალში
მგზავრი:
საყვირს აყვირებენ.
აღსდექ, მიგელიან დიდი სიხარულით ხალხით გაქვდილი მთელი ნაპირები.

ოი, მამე ჩემო, ჩემო კაპიტანო!
მკლავზე დასვენებულს დაგქვეითებ მწარედ;
ნუთუ სიშმარია, ნუთუ მეჩვენება,
რომ გემბანზე გღიხარ მკვდარი?

3

ჩემი კაპიტანი პასუხს არ იძლევა, მისი ბაგეები დუმს სისხლდაწრეტილი,
მამა ველარა გრძნობს, მაჯა აღარ უცემს, ყველა კავშირი აქვს ქვეყნად
გაწყვეტილი:
გემი ნაპირზეა, განვლო გრძელი გზები, მას ხომ კაპიტანი ჰყავდა ღირსეული,
ვინც გამოატარა ყველა განსაცდელში, ვისით გამარჯვება არის მიღწეული?

რეკეთ, ზარებო, და, ხალხო, იზეიმე!
შე კი მწუხარების ცეცხლით გულდამდნარი, —
აქ, გემბანზე, ვივლი, სადაც კაპიტანი
დაეცა და გღია მკვდარი.



ლუიზიანაში მე ვნახე ბერმუხა

ლუიზიანაში მე ვნახე ბერმუხა,
 მარტოკა იღვა ტრიალ მინდორზე და ტოტებზე ხავსი ეკიდა.
 უამხანაგოდ და უტოლოდ გაიზარდა იგი ამ ველზე
 მუქ ფოთლების მზიარული შარიშურითა,
 ტანდაკორძილი და უდრეკი — შემართებით მე მგავდა იგი.
 მაგრამ მიკვირდა, უსიყვარულოდ როგორ სძლებდა ის ბერი მუხა,
 რა ძალა ჰქონდა, ასე ამოდ რომ შრიალებდა,
 რადგან მე ვიცი: მის ადგილზე მე ვერ გავძლებდი.

მე ჩამოვტეხე მას ერთი ტოტი
 და ჩემს ოთახში ჩამოვკიდე რტო ხავსიანი.
 მისთვის კი არა, ჩემი ტკბილი მეგობრები მომგონებოდა,
 (მე უმისოდაც ეს დღეები სხვა რამეზე არც მიფიქრია),
 ის უცნაური ნიშანსვეტი იქნება ჩემთვის,
 მე მარადვამს რომ მაგრძნობინებს სიტკბოს კაცურ საყვარულისას.
 ლუიზიანაში, ტრიალ მინდორზე
 დე, იშრიალოს იმ ბერმუხამ თუნდაც მთელი თვისი სიცოცხლე,
 მე კარგად ვიცი: მის ადგილზე მე ვერ გავძლებდი.

პერიების მზით გარუჯულო ბრინჯაოს ბიჭო!

პერიების მზით გარუჯულო ბრინჯაოს ბიჭო,
 შენს აქ მოსვლამდე ჩვენს ბანაკს ბევრი სასურველი ძღვენი მოსვლია,
 მოსვლია ქება და საჩუქრები, კარგი საკვებიც, სანამ ბოლოს
 ახალწვეულთ შენც არ მოაყევი —
 არაფრის მქონე ჩემი ბიჭი, მაგრამ რა იყო, ჩვენ ერთმანეთს
 შევხედეთ მხოლოდ
 და ყოვლისაგან უპოვარმა მთელი ქვეყნის საჩუქრებზე მეტი მომიძღვენ.

თარგმანი ინგლისურიდან თამაზ ჩხენკელიძისა.

ნიხაში ბანჯაილი

★

ღექსები

ნუ იმსახურებ ნურასდროს
შაჰის ჯარსა და დივანში,
გული შაჰისკენ ნუ გიწევს,
ცეცხლი ნუ გიძევს თივაში.
თბილია მეფის სასახლე,
მნათობნი მისნი მნათობენ,
მინც გახსოვდეს: მეფის კარს
არ გაეკარო სათოფედ-
შეხედე ბეჩავ ფარვანას,
ეს მცნება რომ არ დაიცვა,
სანთლის ალს გაეთამაშა,
დაითუთქა და დაიწვა.
მწდეგ, ხედავ? სუნთქვა გაჭირდა,
დარღმა მომსპო და დამადნო.
ღვთის მადლსა, ცოტა დამისხი,
საქმე მიქენი სამადლო.
ვინ იცის, იქნებ დამოცხრებს
მაგ თედრი ღვინის ბადაგით
გული, დარღსა და ვარაშში
უღვთოდ ნაწვი და ნადაგი.

მე გავლოთდი და ღვინის სმა
უკვე წესად დამეწესა.
ერთი კათხა მომაწოდოს,—
დამიძახებთ ღვინის მწდესა!
ღვინო მასვი, დავიოკო
შმაგი ვნება და წყურვილი.
ღვინო მასვი, ვით ეს ცრემლი
კამკამა და დაწურვილი.
ეგებ ღვინომ უფრო მძლავრად
ააღდროს ჩემი ჩანგი.
გული, დარდით გათანგული,
დავიაპო ეგებ ჰანგით.
გზაზე ჯიქი ჩამისაფრდა,
მიღარაჯებს რისხვით მთვრალი,
იქნებ კვალი ავუქციო,
ავუხვიო იქნებ თვალი.
დრო იყო და მეც ვხარობდი,

განა ლხინი გავიყავი...
დრო დადგა და შევიცვალე,
ეპ, რა ვარ და რა ვიყავი!
ეპ, რა ვარ და ხვალ, ვინ იცის,
იქნებ ჯანიც გამეცლება.
მე დიდხანს ვერ ვიბოგინებ
და დიდხანს არ გამეძლება.
მწდეგ, დამისხი, ააჩქეფე
ლალისფერი ღვინის ღადო.
ლექსის ჯადო მინც შემჩრეს,—
ვიმღერო და ვიღაღადო!

ცხოვრებაში თავს გველივით
ნუ წამოჰყოფ, შენ იყოდე,
თორემ ტალღა თავს წაგაწყვეტს
და კაცი არ შეგიცოდებს.
თუნდ შევიდათა მღვეიც იყო,
დიდხანს როდი დაგაცლიან
და ლამაზად შეიღსავე თავს
თითო-თითოდ წაგაცლიან.
განა რაა ქედმაღლობა,
რომ იმისთვის გაისარჯო,
ჯერ ამაოდ დაიხარჯო
და მერე კი დაისაჯო?!
ნურც ძალიან იბღინებები,
თორემ გელის მეტი დარდი:
ძირს, მიწაზე, დაასკდები,
თუ მაღლადან ჩამოვარდი.
თავზე მტვერი დაიყარე,
ნუ აიკელ მთა და ბარი
და იყავი, როგორც მიწა,
მდიდარი და თავმდაბალი.

რად გაშფოთებს მომავალი
ფუქი შიშით და ვიშითა,
ჯერ რა იცი, რა მოგივა
უცაბედად და იჩქითად?
დამიჯერე, რასაც გეტყვი,

ერთი სიბრძნე მაგონდება:
 წარსულს ველარ დაგიბრუნებს
 მასზე ოხვრა და გოდება!
 ის დღეები გარდასული
 რა იყო და რა გვონია?
 მასზე ხელი ჩაიჭიფე,
 თითქოს სულაც არ ჭკონია.
 თუნდ ქაახას მოუარე
 ლოცვითა და შეიდჯერ ცოცვით,
 თუნდ იცოცხლე ქვეყანაზე
 წელიწადი შეიდჯერ ოცი,
 ვერ გიშველის, მაინც ვერა,
 რომ გაგივა ყოფნის ვადა,
 უნდა მოკვდე და დატოვო
 ის, რაც გყავდა და გებადა!
 თუ მიწაში წოლა გველის
 და თუ შეგვჭამს თანაც ქია,
 სულ ერთია, ტანად ბრგვე ვართ,
 თუ ვიქნებით ტანად ჩია!
 ირიცრაჟა, ჩქარა ცისკარს
 შევავებოთ ღვინის ჯამი.
 მერიქიფევე, ღვინო გვასვი,
 სანეტარო დგება ჟამი.
 სმას ეს არის, ახლა ვიწყებ,
 სმა მე აწ მაქვს დაქადული,
 დამისხი და ამიჩქეფე
 კვლავ სიცოცხლის ნაკადული!

მწდევე, მოდი, შენი ჭირიმე,
 მოიტა ღვინის ხელადა.
 წამალი მასვი ისეთი,
 ვიქცე გიჟად და ხელადა.
 წამალი მასვი ისეთი,
 რომ დამიკარგოს გონება, —
 თავს დამავიწყებს და თავი
 ამქვეყნად არ მეგონება!
 ეამმა დარეკა, ნიშამი,
 გეყო ხაფი და ძახილი.
 ის დრო წავიდა, ყრმასავით
 რომ გიქნევი მახვილი.
 ხელაე? წელში ხარ გახრილი,
 თუმცა ლომი ხარ ძლიერი.
 ვით მელამ, მელაკედურად
 არ შეიცვალო იერი!
 გამიგონია, არსებობს
 ერთი ჯილაგის მელია.

თავს იმკობს პატარაძლივით,
 ცბიერია და ჭრელია.
 როდესაც ავი დარია,
 როცა წვიმს, როცა ქარია,
 სოროდან აღარ გამოდის,
 თვალს წკურავს, ვითომ მკვდარია.
 მოიქუნტება კუთხეში,
 საჩხოზე დიდად არ ჩივის,
 ხელებს და ფეხებს ილოკავს,
 ის არის მისი არჩივი.
 არჩია ბეწვის გულისთვის
 თავისი სისხლი ეწვნია:
 ტყავს ვუფრთხილდებით სუყველა,
 მისი დარდი კი ბეწვია.
 ის კი არ იცის, სიკვდილი
 მოვა და მახეს დააგებს
 და საცოდავი მელია
 თავს იმ ბეწვისთვის წააგებს;
 რადგან სწორედ იმ ბეწვისთვის
 მელას აძლევენ არჩევანს.
 სხვას მიაქვს მისი ბალანი,
 მისგან კი კვალიც არ რჩება.
 აბა, რად გინდა, ხალიჩა
 ამაოდ ქსოვო და ქარგო,
 თუ შენ ვერ გამოიყენებ,
 შრომა რად უნდა დაკარგო.
 ვინც უნდა იყოს, იცოდე,
 მდიდარია თუ გლეხია, —
 ხარბია ყველა პრანქია,
 კულდაზიკა და გრეხია.
 ნუ ცდილობ, ფარდით დაფარო
 ეგ შენი ზადი და ხინჯი,
 მახინჯი კაცი სარკეშიც
 მახინჯი არის, მახინჯი.
 ვიციოთ ჩვენ შენი ოინი,
 შენი ხრიკიც და ფანდიცა,
 ერთი გვიკადრე, ბატონო,
 ჩვენც გადმოგვხედე ზანდისხან.
 რომელი თეთრი ლალი და
 წითელი ბროლი შენა ხარ,
 რომ დღემდე შენი ბადალი
 ქვეყნად არავის ენახა!
 ნუ გაიქცევი კაცთაგან,
 თუ შენ კაცი ხარ ნამდვილი,
 ასე უფროა ლამაზი,
 ასე უფროა ადვილი!
 ოქროს მადანიც რომ იყო,
 შენზე ძვიარი თქვენა, ახია.





საქართველო
ნიხაში ბანჯელი

უქმი განძი და ქონება
მიწაშიც ბევრი მარხია.
თუ ახლოს ვერ მიუღწევი
და ჯაფაც ფუქად ჩაგიაჩს,
განა სულ ერთი არ არის,
ხურმა არის თუ ჯაგია?
ეჰე, ჩიტოვით გაფრინდა
ქამი სიყრმისა ნეტარი.
ერთი ვიცოდე — ამქვეყნად
რა დამარჩენია ნეტავი?
კაცს ამკობს სიყრმის ყვაფილი,
კაცის ლაზათი იგია.
მე ის ყვაფილი დამიქნა,
ახლა კი ჩემი რიგია.
თუ ტანში ქარი გაგიდგა
და ბებერ ძვლებში გავიდა,
უნდა უჩქარო, ქარები
გამოირეკო თავიდან.
არ გეკადრება, ბებერო,
რომ დარჩი ასე თავნება.
შორს კარმაგისგან ბიჭური
ვნება და ამპარტავნება!
ბალი კარგია მანამდე,
ბალში მანამდე გავივლი,
სანამდის ვარდი ვარდს კოცნის,
ყვაფილს უღიმის ყვაფილი.
თორემ ჭირხლი რომ დააზრობს,
ვარდები ველარ ჰყვაფიან.
გარდისვეწება ბულბული,
აყრანტალდება ყვაფია.
გალიკარგება რეჰანი,
ბალი ყრუვდება, უქმდება,
ხეს ეძარცვება ფოთოლი,
მებალეს ჯული უკვდება.
იტირე, ბერო ბულბულო,
გალობას ნუკი მოჰყვები.
ხომ ხედავ, გაჰყვითლებიათ
ვარდებს წითელი ლოყები!
ხომ ხედავ, წელში გამოღუნა,
ვით ალვა, ქამთა დინებამ.
წავიდა მამა სახლისა,
დარჩენა აღარ ინება!
სიბერე მახლავს, რა გიკვირს,
ორმოცდაათი წლისა ვარ.
გამოვიცვალე, ძმობილო,
განა რაც ვიყავ, ისა ვარ!
ამდენი ტვირთის ტარებით
დამძიმდა ჩემი სხეული.

გზები ვიარე ციციბო,
გზები — ვიწრო და ხვეულა
ისე დავვარდი, ხელებით
ღვინის ჯამს ველარ ვეხები.
მუხლებში ღონე არ შემარჩა,
არ მშორჩილებენ ფეხები.
დამიძაბუნა საწუთრომ,
დამილილავა სხეული,
ვარდს ვარდისფერი წამირთვა,
ფერი დამიდვა სხეულის.
დამთავრდა ჩემი მგზავრობა,
გზად შედგა ჩემი მერანი.
მე ვწევარ, თავსასთუმალთან
მიზის სიბერე ვერანი.
ბურთს ველარ გავეკიდები
ფეხმარდი ქარაშოტითა.
დავარდა ჩემი ტაიკი,
ველარ დამიძრავს შოლტითა.
ვერ ჩავალ სირაგხანაში,
კლიტე დავკარგე ღვინისა.
აფსუსს, გაბმულო ქეიფო,
დროსტარებავ და ღვინის სმავ!
შოგჯერ ეს გული ტიალი
ისე დრკება და ბინდდება,
რომ ხან სიცოცხლე მწყინდება
და ხან სიკვდილი მინდება.
აფსუსს, ვითომდა გამწყრალი
ქალწულთა საყვედურები!
სურო დაცილია და მწდეგს
ჩამოუყრიათ ყურები.

• •

...კაცს აღხენს შრომა ნამდვილი,
განა ადვილი ფაცური.
არ დაგავიწყდეს: კაცი ხარ,
საქმე იცოდე კაცური!
იქას გაუტეკა ცხოვრება,
თავს ბედი იმან აღირსა,
ვინაც სიხარბის ბედაურს
არ ანებებდა აღვირსა.
ისე იცხოვრე ამქვეყნად,
ჩემი რჩევა გზიანი,
შენ გაიხარო, მაგრამ სხვას
არ მიაყენო შიანი.

• •

მწდეგ, მოდი, შენი ჭირიმე,
ნუ დამზარდები ჯაფითა.

ბადაგი გამომიტანე
 გლუნის უბრალო ჩაფითა
 სავეს რძითა და თაფლითა,
 რომ არ დამართოს ძალიან, —
 რჯული არ გადამეციდოს,
 შარისთვის არა მცალია.
 ვარდისფურცლობის ქაშია,
 ყვავილმა თავი გვაღირსა.
 ბუნების დიდო მებაღე,
 კარი გაგვიღე ბაღისა.
 ბალი ყვავილით მოჩითე,
 მტილი მოქარვე მოვიტა.
 ცხოვრების შფოთით დაღლილი
 შენთან ნიშამი მოვიდა.
 დაე, ტოკავდნენ ნარგიზნი,
 თვალებს იფშენეტდნენ იანი,
 დაე, დასკდნენ და აფშვინდნენ
 ვარდთა ბუტკონი რძიანნი.
 წელში გამართე აღვები,
 მთვარეს უთხარი: გუნება
 არ იცვლო-თქო, გელის-თქო
 ათქვირებული ბუნება.
 წადი, ბულბული მონახე,
 ეძიე მისი გზა-კვალი
 და გადაეცი: გელის-თქო
 ბალი — ყვავილთა აკვანი.
 წალკოტებს მტვერი მობანე,
 არ მოერიდო თავსხმასა.
 ლაქვარდი რომ ირეცხება,
 უფრო კარგია, ხასხასა.
 მინდვრად ყაყაჩო ღაღადებს,
 ველზე ირწყევა წალამი.
 სალამი მინდვრის ყვავილებს,
 ჩემი სათუთი სალამი!
 დაუკარ, თორემ ეს გული
 ვაებას გაუთანგია.
 ჰანგია მისი წამალი,
 ქეიფია და ჩანგია.
 მეფური სუფრა ნაქები
 სმითა და პურის ჭამითა
 გავშალოთ, ძმებო, და ღვინო
 ხელში ავიღოთ ჯამითა.
 ლოთი-ბაზარა კაცი ვარ,
 დამისხი, ნუ კი მიწყურები,
 განა უბრალოდ მწყურია,
 განა უბრალოდ ვიწყები!
 შეეუნდოთ, ვისაც სიკვდილის
 ხელი შეეხო მსახერელი.

ვინც დღეს ჩვენს გვერდით
 ვახსენოთ მათი სიხელი,
 რათა, ეჰ, რათა შემდეგში
 რომ მოგვიგონონ მე და შენ,
 დალიონ ჩვენი ხსოვნის და
 ჩვენი შენდობის ზედაზე!



მართლაც-და, რაა საწყუთრო,
 რომ მისი ქება გაქირდა?!
 უნდა ეცადო, მაგ ცბიერს
 ვაუხსლტე მაცთურ კლანქიდან.
 წუთისოფელი ხე არი
 ოთხფესვა და ექვსტოტება.
 ჩვენ ამ ხეზე ვართ ჯვარცმული
 და გვმართებს მისგან ოტება.
 როდესაც კირხლი წამოვა,
 ქარი უბერავს ცივია,
 ცვივიან ჩვენი ფოთლები,
 სულ ცვივიან და ცვივიან...
 ნუთუ ამ ბაღში მოესულვართ
 მართლაც მნახველთა დარადა,
 არა-და კაცი ვერ ვნახე,
 რომ აქ ეცხოვროს მარადა.
 ამ ბაღში მუდამ ასხია,
 ტოტიც გაცლილი როდია,
 ასეა: ერთნი მოდიან
 და მეორენი მოდიან.
 არა არის რა ამქვეყნად
 ღირდეს შოვნად და ოხვრადა —
 ჩვენ წავალთ მოუსაგლეთში,
 ის კი დაგვრჩება ოხრადა.



სიტყვის მწონავი მოვიდა,
 საქმე არ გახლავთ ადვილი.
 ჩვენს მარგალიტებს გასინჯავს, —
 ყალბი არის თუ ნამდვილი.
 სხვებმა იკითხონ, თორემ მე
 ეს არც მეხება აღბათა,
 მე პატიოსან თვლებს ვყიდდი,
 ყალბს ვთვლიდი მუდამ ყალბადა.
 მე რომ სხვას გამოვეციდო
 და ვწერო, იგი რას შერება,
 ერთი სამელნე დაშრება,
 ერთი მწერალი დაშრება.
 მე ჩემს სიმძლავრეს თვითონ ვგრძნობ
 და სხვამ, თუ უნდა, მკილოსა.

მე ჩემთვისა ვარ, არავის
 არ გამოვუბამ კილოსა.
 ალალ-მართალი კაცი ვარ,
 სიკეთის გზაზე მავალი.
 არ ვემტერები არავის,
 მტერი მაინც მყავს მრავალი.
 და თუმცა თავი რაც მახსოვს,
 შხამი მისევამს და გესლოა,
 მუდამ სიკეთეს ვეძებდი,
 ავი არ დამითესია.
 რა გაეწყობა, რადგანაც
 ამ გზას დავადექ თავიდან,
 ამ გზას გავყვები ბოლომდე
 და უარესსაც ავიტან.
 მე არა ძალმიძს სიყვე
 ანგარებისა გამო ექნა, —
 ეს ჩემი ტყავი დაბაღმა,
 რა ექნა, ამგვარად გამოქნა.

* *

იქნება არც კი იცოდე,
 ჩემო დილაღ და რიკრავო,
 რომ სიტყვის ზვირთებს ვაზვირთებ
 და ჩანჩქერივით ვგავმეაობ,
 რომ ოქრომჭედელს ვგავარ და
 ოქროპირი ვარ თავადა.
 ვინც ჩემი ლექსი ისმინა,
 ნამეხარივით დაეარდა.
 თუ გინდა გულისთ დაიპყრო
 ღვთისნიერ კაცთა გულები,
 შენი ოქრო და ფულები
 უმაქნისია სრულებით.
 არ შეიყვარო ოქრო და
 არ დაიღუპო თავადა:
 ოქრო ზინათად თუ ვარგა,
 მოსაკაზმ-მოსართავადა.
 ის, ვინც ოქროებს ინახავს,
 ვერ მოისვენებს წამითა,
 ფულებზე ვიშით სულს დალევს,
 ქურდების შიშის ქამითა.
 ბევრი ფული და ქონება
 ბევრი ჯავრი და ქირია.
 ცოტა ქონება იკმარე, —
 ცოტა წუხილი სჭირია.

* *

თავიდან მომწყდი, ეჯიბო,
 გადი, მიხურე კარები.

წადი და შენს გზას ექვი, ^{სიკეთის}
 ახლოს ნუ მომეკარები. ^{გინდობისთვისა}

მეყო, რაც დღემდე ვამონე
 გული შფოთსა და ვნებასა,
 ნუ მიშლი ჩემთვის რულდუნსა,
 მიმიშვი ჩემსა ნებასა.

თავი არა მაქვს არვისი
 ლიჯინისა და საუბრის.
 საკუთარ თავთან ვბაასობ,
 სხვა მოსაუბრეს გაუერობი.
 ვინმე მუშტარი თუ მოვა,
 შორეულ გზებით ნავალი,
 გასინჯოს ჩემი საბადო,
 შიგ რომ ლარი მაქვს მრავალი;
 ნახოს განჯელის განძები,
 იხაროს მისი მზერითა,
 ლექსის ნადიმზე მეწვიოს, —
 დატკბეს ლხინით და მღერითა, —
 უთხარი: შინ-თქო, ეჯიბო,
 არ გახლავს მასპინძელი-თქო.
 თუნდაც შინ იყოს, შეხვედრას
 მასთან ამაოდ ელი-თქო.
 თუმცა, დაიცა, ეჯიბო,
 ყარიბი ყარიბს გაუგებს.
 ხალხს მტრად ნუ გადავიცილებთ,
 ნუ ვათქმევინებთ აუგებს.
 არა, ეჯიბო, კარები
 არ დაუკეტო არავის.
 სტუმრისთვის კარის ჩაკეტვა
 მოსაწონი ხომ არ არის.
 რადგანაც ეს ზღვა დიდება
 ჩემთვის ლექსებმა იწება,
 კარი გავუღოთ ზღვასავით
 ლექსის და ხალხის დინებას.
 მოვიდეს, ვისაც ახლებს
 სურვილი ჩემი ნახვისა.
 მოჯარდნენ, ნახონ სასახლე
 მოშაირეთა შაჰისა.
 მოვიდნენ, თორემ ზეალ უკვე
 ვერ მიხილავენ თვალადა —
 გილანში მიმეჩქარება, *)
 სიკვდილი მაწევს ვალადა!

თარგმანი მახალი თორდუანი

* გილანში წასვლა — საიჭიოს გამგზავრება.



მოსუბი ჩილი

ვატზე დგომის შემდეგ, ნასადილეგს ზემო საწოლზე ავძვერი და ჩვეულები-სამებრ ჩიბუხს დაუწუყე ძებნა. მაგრამ დახეთ უბედურებას! თამბაქო აღარ მქონია. დალილიობის მიუხედავად, არ დამეძინა, რალაც მწიფწინდა გულსა და ყელში.

ვინც თამბაქოს ეწევა, კარგად იცის, რას ნიშნავს, თუთუნი რომ გამოგლევა კაცს და ისიც ღია ზღვაში! ვთხოვდი კარლოსს, მაგრამ ის უკვე ხერინავდა, კედლისკენ პირშექცეული. ჩემს ქვევით, დაბლა საწოლზე, მოხუცი ჩილი იწვა ვთხოვო? მაგრამ მასაც უთავდება თამბაქო. თითქოს ამის დასადასტურებლად მომესმა ნაღვლიანი ხმა, რასაც ამოხვრა მოჰყვა.

— უკანასკნელი ჩიბუხი!

ის ხალისიანად ფშვნეტდა თავის ფართო ხელისგულზე დაგრებილი თამბაქოს უკანასკნელ ნაჭერს და ჩიბუხს ტენიდა. ჩილი ნელა აკეთებდა ამას, თითქოს ცდილობდა სიამოვნების გახანგრძლივებას. შემდეგ ხენშით გაიშლართა საწოლზე და ფრთხილად მიიტანა ანთებული ასანთი ჩიბუხთან. თვალები ნეტარებით დახუჭა. მე ყელი გამიშრა და ძალისძლად გადაეყლაპე ნერწყვი. უცბად ჩილიმ გაახილა შავი თვალები და ცნობისმოყვარეობით შემომხედა. მე სწრაფად დავხარე თვალები.

— შენ არა გაქვს თამბაქო? — მომესმა მისი ხმა.

— არა მაქვს! — ვუპასუხე ჩახლეჩილი ხმით.

მაშინ ის წამოდგა, ჩიბუხიდან დანით ამოჩიქნა თამბაქო, ხელისგულზე დაიყარა და მომაწოდა.

— არა... არ მინდა! — ვუპასუხე და ვგრძნობდი, როგორ მიწუხდა გული.

— მოსწიე! — დაყინებით მითხრა მან.
— არა! — უფრო მტკიცედ ვუპასუხე. — ეს ხომ შენი უკანასკნელი ჩიბუხია!

— მერე შენც ხომ გინდა მოსწიო?
— მაგრამ, შენც ხომ გინდა? რატომ უნდა მომცე მე უკანასკნელი თამბაქო?
— იმიტომ, რომ ეს მეტად სასიამოვნო იქნება ჩემთვის, იმაზე უფრო მეტად ვიდრე მე მოეწევი, — უბრალოდ მიპასუხა მან.

— არა... გმადლობ. შენ თვითონ მოსწიე. ეს ჩემთვისაც სასიამოვნო იქნება.

— მაშინ, სხვა გზა არ არის, უნდა გამოვეთხოვოთ თამბაქოს, — თქვა და წამოიწია, რათა ზღვაში გადაესროლა თამბაქო.

— რას შვრები?! რისთვის?! — დავუყვირე.

— უკანასკნელად გეუბნები... აილე! — და მის ხმაში შეურაცხყოფა ვიგრძენი.

— კარგი, მხოლოდ შუაზე გავიყოთ.
— ეს არც მე მეყოფა, არც შენ... მთლიანად აილე! — გაჯავრებით წარმოთქვა მან.

მე ჩიბუხის ტენა დავიწყე. ახლა ის ადევნებდა თვალყურს ჩემს მოძრაობას. მისი შავი თვალების სიღრმეში თბილი, მოალერსე ნაბერწყლები აკიაფდა; სახეზე კეთილი ღარები გამოჩნდა, ბაგეები ძლივს იკავებდნენ ღიმილს. დიას. ის კმაყოფილი იყო.

— იცო, ჩილი, — წყნარად, რომ არ გავლიძებოდა კარლოსს, ვთქვი მე, — რა კარგია, რომ შენ ყველასთან თანასწორად და თავისუფლად გიპირავს თავი, უბრალო მესზღეაური იქნება იგი, კაპიტანი თუ მეფე!

— სულ უბრალო საიდუმლოებაა, — ჩურჩულით მიპასუხა ჩილიმ. — თუ შენ

პატიოსანი შრომით ირჩენ თავს, უფლება გაქვს, არავის წინაშე არ მოიხარო ქელი.

ჩილის სამოცდაოთხი წელი შეუსრულდა. წარმოშობით ის ჩილიდან იყო (აქედანაა მისი მეტსახელი), მის მომწვაწვანო თითბრისფერ სახეზე მკვეთრად მოჩანდა შავი მოქანცული თვალები. ჩვენ ჩილის სულ სამი თვეა ვიცნობთ, მას შემდეგ, რაც მასთან ერთად დაგვიქირავეს ამ ინგლისურ გემზე. ძველმა მეზღვაურმა ერთბაშად მიიპყრო ჩვენი რაზმის ყურადღება. ამ წყნარ და კეთილ ადამიანში რაღაც ფარულ ძალას ვგრძნობდით.

ჩვენ გვეგონა, რომ ამ გულკეთილ ადამიანს ჰქონდა იმის გაკეთების უნარი, რასაც სხვა ვერავინ გაბედავდა. უფროსებიც კი, რომელთაც ჩილთან ჰქონდათ საქმე, იმდამლებდნენ ხოლმე ჩვეულებრივად მკვეთრსა და უხეშ ხმას.

ჩილი გადაბრუნდა და თვალები დახუჭა. მე ჩიბუხი ბოლომდე მოვწიე. ამ დროს კუბრიკში განსი შემოვიდა. წითური, წითელლოყება, ქალარაშერეული, კაიზერ ვილჰელმივით აპრეხილი უღვაშებით, ის ქედმაღალი და გაფხორილი იყო, როგორც ინდაური. უფროსების წინაშე გამოიჭიმებოდა და მხედრულად ამლევდა სალამს, რაც სავაჭრო ფლოტში სრულიად არ იყო სავალდებულო. თავის სწორებთან ის თავდაკვირილი იყო, ახალგაზრდა მეზღვაურებს არ ელაპარაკებოდა, არამედ ხმაჩახლეჩილი უბრძანებდა, ყეფდა, მხეტურად აბრიალებდა თვალებს. სიტყვას „შენ“ ის წარმოთქვამდა გერმანულად, განგებ უხეშად, თითქოს ძალს უბრძანებდეს; როცა ნასვამი იყო, თავს გვაბეზრებდა თავისი სიმღერით. „დეიჩლანდი იუბერ ალლეს“, იყო ერთადერთი სიმღერა, რომელიც მას უყვარდა. თავის სამშობლოში სამხედრო ფლოტში მსახურობდა, ამბობდა, რომ იყო ბოცმანი, რაც არავის სჯეროდა, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, ეს პატარა ხარისხიც საკმაო იყო იმისათვის, რომ სამუდამოდ გაგიყებულყო.

შემოვიდა თუ არა კუბრიკში, განსმა თავისი თავხედური თვალყურისმარება პყრო და დაისისინა:

— ეი, შენ! დაიძინე!

ამაზე მე მხოლოდ გამელიძმა და მხრები ავიჩეჩე. მივეუთითე შუბლზე და მერტოთი გავექნიე ჰაერში.

განსს სისხლი მოაწვა სახეში და მაგრად დააბაკუნა ფეხები, ხოლო ჩილმა ჩაიხითხითა.

— დაიძინეთ! — კიდევ უფრო საშინლად დაიღრიალა განსმა.

— რა ხმაურია? — გაისმა კარლოს გულმოსული ხმა.

— მოვიდა ბონა და მაწვენს დასაძინებლად, — ვთქვი.

— ვინ ბონა?

— შენი თანამემამულე.

— გააგდებ აქედან ის...

— რაო?.. აი შე მაწანწალა! — განსმა მუქარით იწყო პიჯაკის გახდა.

— მოდი! მოდი! — წამოხტა საწოლიდან.

— მოიცა, კარლო! — დავუყვირე, — მე თვითონ მოვეუცი მაგას! — საწოლიდან ჩამოვეშვი ფეხები, რომ იატაკზე ჩამოვმხტარიყავ, მაგრამ ჩილმა დამიკიორა ფეხი.

— განს! — გაისმა მისი დაბალი ხმა. — მოილე მოწყალეობა, წადი აქედან, ვიდრე გვიან არ არის. — მოხუცმა მშვიდი ტონით, მაგრამ ისეთი დამაჯერებლობით წარმოთქვა ეს, რომ განსს ცბიერად გაელიძმა და უკან დაიხია. მოხუცი ჩილის სიტყვებმა ჩააფიქრა.

— მე აქ არაფერი საქმე არა მაქვს, — ჩაილაპარაკა განსმა. — მე მხოლოდ ჩემს პიჯაკს ვტოვებ აქ. — იმის დასაფარავად რომ შეეშინდა, დაუმატა — თქვენი ბედო, რომ ვახტზე ვდგავარ... — მოაჯახუნა კარი და გაქრა.

...კაშკაშა მთვარე ამობრწყინდა ხმელთაშუა ზღვაზე. ცა და ზღვა შეიღებდა მუქ-მოლურჯო ფერებით. ჰაერი ისე წმინდა და ნათელი იყო, რომ, გვეგონებოდათ, მთვარე წყნარად დაკურავს ცასა და ზღვას შორისო. სიცილიის ნაპირებიდან დროდადრო მონაბერ ქარს თან

მოჰქონდა ბალახისა და ყვავილების სურნელება. მთვარეს ზღვის მუქმოლურჯო ზედაპირზე თვით ჰორიზონტამდე გაველო ციმციმა ვერცხლისფერი ბილიკი და ამ ბილიკზე, წყლის წყნარ ჩურჩულში, ფრთხილად შეცურდა ჩვენი გემი. როცა ვახტზე დგახარ, ბუნების სილამაზესა და სიდიადესთან პირისპირ, რაღაც ტკბილ სევდას განიცდი. არაფრის შესახებ არ ვინდა იფიქრო, არაფრის ცოდნა არ ვინდა. თითქოს უერთდები ბუნებას, ითქვიფები მასში, გავიწყდება შენი მონური შრომა და ქირვა-რამი... ტვინი და გული ისვენებს... ასეთ წუთებში შენს წინაშე იშლება სიცოცხლის მთელი სილამაზე და სიხარული.

ნეაპოლიტანელი ცეცხლფარეში ამოვიდა გემბანზე და თავის ციტრანზე დაუკრა. გაისმა სათუთი, წკრაილა ხმები. ამ ხმებს ააყოლა მან თავისი სასიამოვნო ტენორი. კუბრიკიდან ხალხი ამოვიდა და მის ირგვლივ მოიკალათა.

ბევრ ჩვენთაგანს არ ესმოდა იტალიური ენა, რომელზედაც მღეროდა ცეცხლფარეში, მაგრამ მისი სიმღერა უსიტყვოდ გასაგები იყო ჩვენთვის. ცეცხლფარეში მღეროდა სიყვარულზე, კარგსა და წმინდა სიყვარულზე, ისეთ წმინდაზე, როგორცაა ეს ჰაერი, ეს ღამე. ციტრის ხმები ადამიანში იწყვედა იღუმალ გრძნობებსა და სურვილებს. ეს ხმები უხმობდა თავისიანებისაკენ, მგგობრებისა და სამშობლოსაკენ. გემბანი დადუმდა. კიბეზე მიყუჩდა მესაჭე, გაინაბა მთვარე, ზღვა, ჰაერი. ყველაფერი დადუმდა... გეგონებოდა გემიც კი შედგაო!..

გემბანის წინა ნაწილზე წყნარად ამოვიდა ჩილი და უხმოდ დაეშვა თოკის გორგალზე. ის უძრავად იჯდა და მთვარის შუქზე ისე მოჩანდა, თითქოს კაშკაშა სპილენძისგან არის ჩამოსხული. გვეშინოდა, რომ არ გამოგვბარვოდა სიმღერის თუნდ ერთი ბეგრაეც კი, ამიტომ ხმას არ ვიღებდით.

— კარგია, — ჩაფიქრებით წარმოთქვა ჩილმა, როდესაც სიმღერა გათავდა და გაბმით ამოიოხრა.

— ჩილი, შენს ცხოვრებაში ვჭონია მძიმე რამ ისტორია? — შევეკითხე.

ჩილი შეერთა.

— რა ვქნა, — დაფიქრების შემდეგ წარმოთქვა მან. — ვიამბო?.. კარგი. შენთვის ამის მოსმენა სასარგებლო იქნება. დიხს... ეს მოხდა სან-ფრანცისკოში. მე შევიერთე ახალგაზრდა, მეტად მშვენიერი მუშა-ქალი — იტალიელი მერი. ის იყო ცხრამეტი წლისა. მისი დედა ამერიკაში ბედის საძიებლად მოვიდა. ამ ჰბედის» გამო ის მალე ვარდაიცვალა. მერი ქსოვდა ქალის ჩანთებს — იმ დროს ხელთ ნაქსოვი ჩანთების მოდა იყო, მაგრამ მეტად მცირე ხელდასს ღებულობდა.

მეპატრონეს არ ჰქონდა თავისი საწარმო. ის შეკვეთას სახლებში აძლევდა. და აბრეშუმიც, რისგანაც ჩანთებსა ქსოვდნენ, მუშა-ქალებს უნდა ეყიდათ თავისი ხელდასით, რომელიც ერთობ მცირე იყო. როგორც ხედავ, მეპატრონისათვის ეს წარმოება ხელსაყრელი იყო. მერის ძლივძლივობით ყოფნიდა შემოსავალი საცხოვრებლად, მას კი ჩემი გამოკვებაც უხდებოდა.

მე უმუშევრად დავრჩი. მეზღვაურის პროფესია ნაკლებ გამოსაყენებელია, მე კი სრულიად არ მინდოდა ზღვაზე წასვლა და მერის მიტოვება; არც მას უნდოდა ჩემი გაშვება. ჩვენ ძლიერ გვიყვარდა ერთმანეთი. ის ერთობ სანდომიანი იყო, და განსაკუთრებით მიმზიდველი იყო მისი ტუჩები და ჩაჩხვლენტილი ნიკაბი. მის თვალებში რაღაც ბავშვური იერი გამოკრთოდა. როცა მას ჩამოეუფდე სიტყვა შესაძლო განშორებაზე, ბაგეები საცოდავად დაემანჯა.

მე მზად ვიყავი, ყოველგვარი შავი სამუშაოსათვის მომეკიდა ხელი, მაგრამ შრომის ბირეებზე ჩემს ვარეშეც ბევრი უმუშევარი იყო. ფაბრიკებიდან მუშებს ითხოვდნენ. ღამის სათევები და ბარაკები საესე იყო უმუშევრებით. ამას ისიც დაერთო, რომ მერი ფეხმძიმედ შეიქნა. რა უნდა გვექნა? მე ასე განვსაჯე: ყოველ შემთხვევაში მარტო მე-

რის უფრო ეყოფა თავისი ხელფასი, ხოლო მშობიარობისათვის დავებრუნდები ფულებით, რომელსაც გამოვიმუშავებ მთელი რეისის მანძილზე. გემზე მუშაობის დროს ვიყარათებ, თამბაქოზედაც კი ხელს ავიღებ, რათა ზედმეტი დოლარი შემოვიწინაო. მერი ჭკითინებდა, თითქოს სამუდამოდ მეთხოვებოდა.

მძიმე გრძნობით წავედი ზღვაზე. ვვარაუდობდი, რომ ნახევარი წლის შემდეგ შინ დავბრუნდებოდი, მაგრამ ჩვენმა გემმა მოულოდნელად, დეპეშით, მიიღო ახალი მიმართულება — ინდოეთიდან აფრიკისაკენ, და ჩვენი რეისი თერთმეტ თვეს გაგრძელდა. როცა დავბრუნდი სან-ფრანცისკოში, ჩემი მერი იქ აღარ დამიხვდა.

აქ ჩილიმ საუბარი შეწყვიტა და ჩიბუხი გამოწოვა. პაუზა გრძელი გამოვიდა.

— მე ვნახე ის...

— ნახე?! სად?

— მე მოვირბინე მთელი ქალაქი, გარყენილების ყველა ბუნაგი, ვეწვიე ბარბარა კოსტს.

— ეს რაღა არის?

— შენ ყოფილხარ სან-ფრანცისკოში?

— არა, ჯერ არ ვყოფილვარ.

— ასე, იქ, ნავსადგურში, არის ასეთი უბანი, მას ეწოდება ბარბარა კოსტი, ის მთლიანად საროსკიპო სახლებისაგან შედგება. შედიხარ რომელიმე სახლში და მოხვედები ოთახში. თითბრის ბარიერი ორად ჰყოფს ამ ოთახს. ბარიერს იქით ხალიჩაზე დგანან ან წვანან ნახევრად ტიტველი ქალები. მამაკაცები უხმოდ ირჩევენ „საქონელს“.

დარბაისელი მოხუცი ქალი საქარგით ან წინდის ჩხირით ხელში ზის სკამზე შესავლთან და მონოტონური ხმით განუწყვეტლავ იმეორებს „საქონლის“ ფასს. მამაკაცი ირჩევს ქალს და მასთან ერთად ადის ზემოთ.

ამ კვარტალში არის აგრეთვე სპეციალური სახლები, სადაც იყიდება „კოლონიური საქონელი“: ზანგი, გავანელი, ფილიპინელი, ინდოელი ქალები. აი

აქ, ამ ბარბარა კოსტში, ვიპოვე მე ჩემი მერი...

ჩილიმ კვლავ შეწყვიტა საუბარი და ძალუმაღ გააბოლა ჩიბუხი.

— მე, რასაკვირველია, დავებენი — განაგრძო მან, — თუმცა რამდენიმედ მომზადებულიც კი ვიყავი საამისოდ.

— მერი! — დავიყვირე და ვეცი ბარიერს. — მერი!

მერი მოვიდა, როგორღაც უცნაურად შემომხვდა და წყნარად, ზანტად მკითხა:

— რა გინდა? რა გაყვირებს?

— მერი! — განვაგრძობდი ყვირილს, არ ვაქცევიდი ყურადღებას დამსწრეთა გაკვირვებას და კარბში მიღგომი დედაბრის ალიაქოსს. — რას აკეთებ შენ აქ?

— განა შენ ვერ ხედავ? — გაიღმა და მიპასუხა, — ვმუშაობ.

— წავიდეთ აქედან, წავიდეთ! ჩქარა! — რატომ?

— მე მინდა მოგვლაპარაკო. საჭიროა.

— ვილაკამ უხეშად მომკიდა მკლავზე ხელი. ეს იყო დედაბერი. ის მრისხანედ დამკვიროდა სათვალევებს ზემოდან და ცდილობდა ჩემს გარეთ გაგდებას.

— წაიყვანე ზემოთ ან წადით აქედან, — წაიხროტინა მან. — აქ სალაპარაკო ადგილი არ არის.

— კარგი! — ხელი ვკარი დედაბერს და ბარიერზე გადავბტი, — წავიჭეთ, მერი!

— წავიდეთ! — გულგრილად მიპასუხა მან.

ვიწრო, უფანჯრო ოთახში, წითელი ლამპის სუსტ სინათლეზე, მძიმედ დავეშვი სკამზე. ჩემს წინ, საწოლზე თავჩაქინდრული იჯდა ჩემთვის უცხო ვილაკა ქალი. სად გაქრა მისი მიამიტი თვალები! მათ ნაცვლად — უღიმილამო, ცივი გამომეტყველება! პუდრის სქელი ფენის ქვეშ აღარ არის ჩახველებილი ნიკაპზე, საღებავმა დაამახინჯა მისი ბავშვური ბაგეები.

— რამ გაიძულა აქ მოსვლა? — ძლივს წარმოვთქვი მე.

— რამ? — მან მალლა ასწია თავი. — ვნებამ მამაკაცებთან, — და ბოროტად ჩაიცინა.

მე სახე დამელმძივა.

— თქვი! — ვთხოვე, თქვი! — შევეხვეწე.

— გაკვირვებამ, — მიბასუხა მან.

— არ შეგეძლო მოგეცადა ჩემს მოსვლამდე?

— არ შემეძლო, ვაჟი დამებოდა.

— ვაჟი?! ბიჭი? — სად არის?

— არ ვიცი.

— როგორ თუ არ იცი?

— მომტაცეს!

— ვინ მოგტაცა? ვინ? მოკვლად მითხარი, ნუ მაწვალე! ჩემი სინდისი წმინდაა შენს წინაშე... გეფიცები. გემმა გააგრძელა თავისი რეისი. მე მოგწერე...

— ნუ ყვირი. როცა ბავშვი დაიბადა, ცხოვრება სრულიად შეუძლებელი გახდა. კანტორა ვანაგრძობდა ხელფასის შემცირებას ჩანთების დამზადებაზე. უჭმელობის გამო არ მყოფნიდა რაღაც ბავშვისათვის. აუცილებელი გახდა რძის ყიდვა. აქ კიდევ კანტორის განკარგულება: ჩანთები უნდა დაგვეზადებინა წითელი აბრეშუმისაგან. მე არა მქონდა წითელი აბრეშუმი, მე მხოლოდ თეთრი აბრეშუმი მქონდა. მისგან მე დავამზადე ჩანთა. მაგრამ კანტორის აგენტმა დაიწუნა ჩემი ნამუშევარი. ვთხოვე წაეღო ეს ჩანთა, რომ მისი საფასურით წითელი აბრეშუმი მეყიდა. ვტიროდი, ვევედრებოდი... მას კი ამის მოსმენაც არ უნდოდა. ბავშვი კი საცოდავად ქნაოდა... ისე საცოდავად... მაშინ მე ასეთ ხერხს მივმართე: გადავწყვიტე, შემეღებოდა თეთრი აბრეშუმი, მაგრამ რადგან საღებავის საყიდი ფული არა მქონდა, გადავიჭერი ძარღვი აი, აქ. — მან მაჩვენა ვენა მაჯასთან, — და დავიწყე ძაღვის სისხლით შეღებვა.

— სისხლით ღებავდი?

— ჰო... მეზობელმა ქალმა გულწასული მიბოვია. მისი დახმარებით სახლის

მობინადრენი ცენტრობით ავროვებდნენ ფულს ჩემთვის წითელი აბრეშუმის საყიდლად, მაგრამ რა თქმა უნდა, ბევრის შეგაროვება ვერ შეძლეს: ღარიბი ხალხია. მაშინ დავრწყე საღამოობით ქუჩაში გასვლა და მამაკაცების ატორლიალება, მაგრამ ისინი, რატომღაც მიწუნებდნენ. ბავშვი კი საცოდავად ღწოდა... მე ძლიერ მინდოდა მისი გადაჩენა... მაშინ მოვედი აი, აქ... ბარბარა კოსტაში. მე ძალიან მეშინოდა, თითქოს სიკვდილით უნდა დამსაჯონო, მაგრამ აქაც კი, ბარბარა კოსტაში, როსკიების დამქირავებელ კანტორაში, უარი მითხრეს... ვჭვთვინებდი, ვევედრებოდი, ისინი კი მეუბნებოდნენ, რომ აქ ღარიბთა თავშესაფარი არ არის. ჩემს ბედზე შემოვიღა ვიღაც მოზუცი გამობრანქული ქალი, ყურადღებით დამაკვირდა და თქვა: თუ კარგად მაკმევენ, მაშინ, შესაძლოა, რამე გამოვიღეს ჩემგან, ხოლო როცა შეიტყო, რატომ ვარ მე აქ, დაეინებათ მოთხოვა ჩემი მიღება. „ასეთები, — თქვა მან, — ყოველთვის ცდილობენ ხოლმე“.

მიმიღეს და, მართლაც, ვცდილობდი... დამამობათ „ემუშაობდი“, ხოლო ღღისით ბავშვთან მივბროდი. სულ შენა გგავდა, მხოლოდ ტუჩები და ჩახვლეტილი ნიკაბი ჩემი ჰქონდა. ხან თავის დახრჩობა მოვიწოდებე, მაგრამ საკმარისი იყო შემეხებოდა ბავშვისათვის, რომ მე თავიდან ვიშორებდი ამ აზრს.

— მაგრამ, სად არის ახლა ბიჭიკო? — ვიყვირე მე.

— დამაცა... ერთხელ ჩემს ბინაში შემოვიდა ორი, ერთობ შესანიშნავი ქალი, დამაცქერდნენ ჯერ მე, მერე ბავშვს შეხედეს: მკითხეს — მყავს თუ არა ქმარი და სად არის იგი. შემდეგ დამემშვიდობნენ და წაივდნენ. მივხვდი, რომ ეს ქალები იყვნენ „ქუმიანტარული საზოგადოებიდან“. მე გამაცივა რაღაც გამოურკვეველა, უსიამოვნო წინათგრობის გააო. გავიდა რამდენიმე დღე. თითქოს დავმწვინდდი კიდევ, მაგრამ ერთხელ, როცა „სამუშაოდან“ დავ-

ბრუნდი, ჩავიხედე იმ კალათაში, რომელშიც ჩემი ბიჭიკო იწვა და... გრძნობა დაეკარგე...

კალათი ცარიელი იყო. მეზობლებმა მიაბმეს, რომ ის ორი ქალი მოვიდა გვიან საღამოს, ჩემი არყოფნის დროს, პოლიციელის თანხლებით, მოწმეების თანდასწრებით წაიყვანეს ბავშვი. მაგიდაზე დაეტოვებინათ ერთი ფურცელი ქალღალი — სასამართლოს განაჩენი: „ბარბარა კოსტის მეძვე ქალს არა აქვს ბავშვის აღზრდის უფლება“.

— მაგრამ, რა უყვეს ბავშვს?

— არ ვიცი. არ ამბობენ. უეჭველია, ის აქედან შორს არის, სხვა შტატში, რომელიღაც თავშესაფარში. იცი, მე თითქმის ქუდიდან შევიშალე.

მერი უცხად ატირდა, მისმა ტუჩებმა კვლავ მიიღეს ჩემთვის ცნობილი ბავშვური გამომეტყველება და ერთი წუთით ვიხილე ჩემი წინანდელი მერი. ძლივს ვიკავებდი თავს, რომ არ ავკვირვებულყავ... ორივენი ვლემდით. რა გაეწყობა? ბავშვი დაეკარგე, მაგრამ რა ვუყო მერის? მართალია, ეს ის მერი აღარ არის, რომელიც მე ასე მიყვარდა. რაც უნდა მდომებოდა, აღარ შემეძლო ჩემში ძველი გრძნობის აღძვრა. მაგრამ სინდისი სხვას მიკარნახებდა: „როგორი გრძნობაც არ უნდა გქონდეს მისდამი, მაინც შენს წინ ხომ შენი მერი ზის, ის მერი, რომელიც შენი შვილის გულისათვის თავისი სისხლით ღებავდა აბრეშუმს და ამეამად შენ თვალწინ იღუპება ბარბარა კოსტაში...“

— წავიდეთ! — მტკიცედ ვუთხარი და მკლავზე ხელი წავატანე.

— საით?

— ჩემთან. წავიდეთ ამ ჯოჯოხეთიდან. ჩვენ სამუდამოდ დავიცივწყებთ ამ ადგილს, კვლავ ერთად ვიცხოვრებთ და შემდეგ, იქნებ, ჩვენი ბავშვიც დაგვიბრუნონ.

მერი ჩაფიქრდა, ფიქრობდა დიდხანს...

— ჰო, კარგი, წავიდეთ? — კვლავ შევიხედე მის მკლავს.

— არა... უკვე გვიანდა! — მტკიცედ მიპასუხა მან.

— რატომ?

— მე ახლა უცხო ვარ შენთვის... წამხდარი. სულ ასე მეგონება, რომ შენ სიბრალულის გამო სჩადიხარ ამას. არა! შენი სინდისი წმინდაა. მაშ რატომ უნდა იტანჯო ჩემი გულისათვის? ამით მე ტანჯვა არ შემიმსუბუქდება.

ამაოდ შევეპასუხე, ვუმტკიცე, ვარწმუნე, ვემუდარე... ის მტკიცედ იღგათვის ახრზე.

ავდექი და წამოსვლა დავაპირე, მაგრამ მან ხელი მომიკიდა და შემაჩერა.

— დაიცა... აიღე ჩემი! მე ხომ პროცენტებზე ვმუშაობ. — და მან გამომიწოდა რაღაც ვარდისფერი ქალღალი.

— რისთვის? — გავიკვირე.

— ამით შენ დედაბერს გადაუხდი ერთნახევარ დოლარს. სხვანაირად არ გაგიშვებენ.

ქუჩაში გამოვევარდი... მთელი ღამე ვსვამდი, რომ როგორმე თავიდან მომეშორებინა სასოწარკვეთილება, მაგრამ მაინც ვერ დავაღწიე თავი მას.

ჩილი გაჩუმდა. გაჩუმდა ციტრიც. მთვარე მარჯვნივ გადაიხარა და თან გაიყოლა ვერცხლისფერი ბილიცი.

— ამის შემდეგ მერი არსად შეგხვედრია? — შევეკითხე მოხუცს.

— რამდენიმე დღის შემდეგ მე კვლავ ვეწვიე ბარბარა კოსტას, მაგრამ ის იქ აღარ იყო. გაქრა... ჰო... სავალალო და სამწუხაროა, მთელი ქვეყანა შემოიაროს კაცმა და ამ სიბერის ეამს ისე მოკედეს, რომ მის ახლოს არც ერთი ახლობელი ადამიანი არ იყოს. ეს ჩემი უკანასკნელი რეისია. მე ამ გემზეც ძლივს მიმიღეს. რა მომელის, როდესაც ძალა გამომელევა? მთელი ჩემი ქონება ერთი ტომარა ზარახურა, ერთი წყვილი ახალი ჩექმა და ჯამაგირი რეისისათვის. მოსვენება მინდა, საკუთარი კუთხე მინდა მქონდეს. მინდა გავქვიმო

ჩემი ბებერი სხეული და მშვიდად წამოვწვე ბალახზე, მზეზე, მაგრად დავიძინო მიწაზე, არ მესმოდეს ოკეანის ღრიალი და საათის მომაბეზრებელი წიკწიკი... მე ვოცნებობ, რომ ამ რვისის დამთავრების შემდეგ, თუნდაც მცირე ხნით, მივცე ჩემს თავს ასეთი ფუფუნების ნება, ხოლო როცა ფუფუნები გამომელევა, გავყიდო ჩემქმები, რომ უფრო გავიხანგრძლივო სიამოვნება, შემდეგ კი... მოხდეს, რაც მოსახდენია...

გემბანზე გაისმა გამოზომილი და მკაფიო ფეხის ხმა, თითქოს ვიღაცა მარშით დადიოდა. გაისმა ძახილი:

— შენ ეი, დაიძინე!

— მე მინდა ციტრას ვუსმინო, შენ რა გინდა? — ბავშვურად, გაუბედავად გაუპროტესტა შეგირდის ხმა.

— გასწი კუბრიკში! — დაიყვირა განსმა.

— შენ რა გესაქმება?! მე არ ვმუშაობ. ჩემი დროა.

— გამოუძინებლად ცუდად იმუშავებ.

— რა შენი საქმეა? — აღელდა შეგირდი — შენ აქ ჩვენი პატრონი არა ხარ, არც კაპიტანი და არც ბოცმანი ხარ.

— შეკამათები კიდევ! — განსმა ყმაწვილისაკენ გადადგა ნაბიჯი, მაგრამ ის აღამიანთა გამძაფრებულმა დრტყინვამ შეაჩერა.

— შე, მაიმუნო! გაეთრიე აქედან!

— საძაგელი ქმნილება! გააფუქა მუსიკა!

სანამდის უნდა აფუქო შენ აქ პაერი?

— რაო? რაო?! — აღრიალდა განსი.

განსს მაგარი სილა გააწნეს. მისმა მუჭარამ ვერავინ შეაშინა.

გემი პორტ-საილში მივიდა. კვირას, როცა მთელი რაზმი ნაპირზე გადავიდა, ჩილი გემბანზე დარჩა. ის მთელი დღე თავის ნივთებს ალაგებდა, ხელებს აფათურებდა თავის ტომარაში, ძვრებოდა საწოლის ქვეშ. ხოლო საღამოს შევამჩნიეთ, რომ ის ჩვენთან საუბარს ერიდებოდა. ვახშობისას ის დაღლილივით ოხრავდა და საკმელისათვის ხელიც არ მიუჯარებია... ის როგორღაც ჩვენს ზე-

მით იცქირებოდა და მის შავ თვალებში რაღაც გულის ტკივილი იფარქმებოდა. მისი სახის ფერიც კი არაჩვეულებრივი გახდა. თითბრისფერ ლოყებზე წითელი ლაქები გაუჩნდა.

— რატომ არა სქამ?

— ავად ხარ? — ეკითხებოდნენ მას.

ის არ უპასუხებდა.

შეშფოთებულებმა გადახედეთ ერთმანეთს და მხრები ავიჩინეთ. ასეთ ყოფაში ჩილი არასდროს არ გვენახა. მაგრამ აი, მოხუცმა სევდიანად გადაგვაველო თვალი და ყრუდ წარმოთქვა:

— მე თქვენგან მივდივარ!

— რატომ?

— რა მოხდა? — ყოველი მხრიდან ეკითხებოდნენ ჩილის.

— თქვენს შორის... არის ქურდი, — წარმოთქვა ჩილიმ, ზურგი შემოგვაქცია და ტომარაში იწყო თავის ნივთების ჩალაგება.

— ქურდი? სადაა ის? ვინაა? — ავლელდით ჩვენ.

— არ ვიცი, ვინაა, მაგრამ ის აქაა. თქვენს შორის, — თქვა ჩილიმ. — ის აქ არის, კუბრიკში.

— რა მოიბარა?

— ჩემქმები! — იყო პასუხი.

ყველა გაჩუმდა. ერთმანეთს გადახედეთ.

ხოლო ერთი წუთის შემდეგ კუბრიკი აღრიალდა:

— ვის შეესარბებოდა შენი ჩემქმები?

— შეიძლება ჩავარდა სადმე?

— შეუძლებელია, რომ ჩვენს შორის ქურდი იყოს!

— მოძებნეთ, ყმაწვილებო!

კუბრიკის მცირე სადგომი თავიდან ბოლომდე ააფორიაქეს, მაგრამ ჩემქმები ვერ იპოვეს. უხერხულობა, სირცხვილი და შეძრწუნება იგრძნო ყველამ.

— მოდით, მოვებნოთ ტომრებში. — თქვა ვილაცამ.

— კარგი!..

რამდენიმე წუთში გადმოაბრუნეს ყველა ტომარა, იმათიც კი, ვინც აქ არ იყო იმ დროს... მაგრამ ამაოდ.

ჩვენ გვრცხვენოდა ერთმანეთისათვის თვალბში შეხედვისა.

— ყურა მიგდე, ჩილი!— გაუბედავად დაიწყო კარლომ. — დაუშვათ, რომ ეს მართალია, ჩვენს შორის არის ქურდი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შენ მიატოვო სამუშაო. ჩვენ ორჯერ უფრო მეტ ფულს შეგიგროვებთ, რომ ახალი ჩექმები იყიდო.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! — ერთხმად გამოვეხმაურეთ, — შევაგროვებთ!

— სამი თვის ხელფასისა და სამუშაოს დაკარგვა ერთი წყვილი ჩექმის გამო, ეს ნამდვილი სისულელეა! — წამოვიძახე.

— მაგრამ ქურდთან ერთ კუბრიკში ცხოვრება და მუშაობა აუტანელია! — თქვა ჩილიმ.

— მაგრამ, ქურდი ხომ ერთია! — დაიყვირა კარლომ, — ყველამ რატომ უნდა ვავთო პასუხი მის მაგიერ?!

— ქურდი არ ვიცი ვინ არის და მე შემიძლია ყველა თქვენზე მოვიტანო ეჭვი, ეს კი ძლიერ სამძიმოა.

— მაგრამ დაფიქრდი, ჩილი, — ვლელავდი მე. — შენ ხომ კარგავ ადგილს, სამუშაოს...

— მე რომ მომიხდეს ამაზე უფრო მეტის დაკარგვაც, მაინც ვერ დავრჩებოდი იმ კაცის გვერდით, რომელსაც შეუძლია თავისი ამხანაგის გაქურდვა. ეს მარტო ქურდი კი არა, ის... მას ვერ უპოვა შესაფერი სიტყვა, ზიზღით დაიღრიჯა და ხელი ჩაიქნია.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ ჩილის გადაწყვეტილება მტკიცე და საბოლოო იყო. მან შეკრა ტომარა, ზურგზე მოიგლიო და გასასვლელისაკენ წავიდა. წუთით დაებნენით, მაგრამ სწრაფად მოვედით გონზე. უკან დავედევნეთ, მოვამწყვდიეთ რაკლში, ყოველნაირად ვედილობდით მის გადაჯერებას და აზრის შეცვლევინებას. მაგრამ მოხუცი ჩილი უღმობელი იყო. ზღრუბლთან ის მსწრაფლ შემოტრიალდა, გამოსამშვიდობებლად ხელი გამომიწოდა და წავიდა...

ისე დავლონდი, თითქოს ყველაზე ახლობელი ადამიანი დამეკარგა. — ვეღარავინ ავიტანე ეს და ყვირილით: „ჩილი! ჩილი! დაიცადე!“ — უკან დავედევნე მოხუცს.

— ჩილი, მეგობარო, დარჩი. ასე არ შეიძლება! ეს ხომ შენი უკანასკნელი რეისია... შენ ხომ დასვენებაზე ოცნებობ. დაფიქრდი, რას სჩადისარ, ჩილი! — ვევედრებოდი მას.

— მითხარი, — წარმოთქვა მან წყნარად, — შეგიძლია არამზადას გვერდით ცხოვრება?

— არა... არ შემიძლია... მაგრამ...

— რა შუაშია აქ „მაგრამ“? — შემაწყვეტინა მან. — იყავი ჯანმრთელად!

— მაშინ მეც შენთან წამოვალ.

— არავითარ შემთხვევაში! მე სასტუმროში არ მივიღივარ. მაშ, მშვიდობით! ერთხელ კიდევ! დარჩი კარგ ყმაწვილად. გულ-ბაი!

მან კიდევ ერთხელ მაგრად ჩამომართვა ხელი და მხრებზე ტომარაგადადებული გაჰქრა სიბნელეში.

ჩექმების ისტორიამ ძლიერ აგვადელსვა. პატიოსანი ადამიანისათვის რა იქნება იმაზე მეტად შეურაცხყოფელი, ვიდრე ეჭვის მიტანა ქურდობაში? ო, ახლა ხელში რომ ჩაგვარდნოდა ქურდი!

ნავსადგურში მორიგეობა გაუქმებულია და ამიტომ კუბრიკში დიდი ღრიანცელი იდგა. ლანძღვა-გინებით რომ ვიჯერეთ გული, საწოლებზე ავძვერით დასაძინებლად. თუმცა საწოლი არც ისეთია, რომ ფუფუნებას წარმოადგენდეს, მაგრამ ჩილიმ ეს სიკეთეც დაკარგა. სად არის ახლა ჩილი, საბრალო ჩილი? მე დიდხანს ვბორბავდი, სანამ დავიძინებდი. მაგრამ ჩემი ძილი ხანმოკლე გამოდგა. ვილაციის ფეხის ხმამ, რომელიც გუგუნით გაისმოდა რკინის გემბანზე, გამომადვიძა. „დიიქლანდ, დიიქლანდ იუბერ ალღეს!“ — ეს, რასაკვირველია, განსია! აი მისი ურცხვი წითური სიფათი! ის კარებში გაჩერდა, გამოიჭიმა, თავი მალა ასწია და დაიყვირა:

— დაიძინეთ!



ამის პასუხად აკრიკინდა საწოლები, აღშფოთების საერთო ყვირილმა შეარხია პაერი და ჰერზე ჩამოკიდებულ ლამაზა შეარწია:

— ხმა ჩაიწყვიტე, წყევლო! ხმა ჩაიწყვიტე!

განსი ყელში გაეჩხირა სიტყვები, და გიჟივით გადმოკარგა თვალები.

— კიდეც ერთი კრინტი დასძარი და შენ ყველა კბილს დაკარგავ!

ყვირილი ყველა საწოლიდან მოისმოდა.

განსი გაიტვრინა, მოიღუშა და ჩექმების გახდას შეუღდა.

— ბიჭებო! ბიჭებო! მაგას ფეხებზე ჩილის ჩექმები აცვია! — დაიყვირა ირლანდიელმა, მეორე ვახტის მუზღვაურმა.

— ჩექმები?!

თითქოს გვიბრძანესო, ყველანი ჩამოხტით საწოლებიდან და მრისხანედ შემოვერტყით გერმანელს.

— რა ამბავია? ჩექმები არ გინახავთ? — გაკვირვებით შეგვეკითხა განსი. დაიწყო ჯვარედინი გამოკითხვა.

— საიდან აიღე ეს ჩექმები?

— ჩილის ვხოვე, — იყო პასუხი.

— მერე რატომ მან არ იცოდა ამის შესახებ არაფერი?

— შე თვითონ ავიღე.

— დაუკითხავად?

— ნაპირზე გადასვლა მეჩქარებოდა, ჩილი კი სადღაც დაიკარგა.

— როგორ გაბედე შენი ნებით აღება?

— მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩილი არ იქნებოდა ამის წინააღმდეგი.

— ხომ შეიძლება, რომ ჩილის დასკირებოდა ახალი ჩექმები?

— რისთვის? თავი რომ გამოეჩინა ქალიშვილების წინაშე? რაღა ღროისაა, ის ხომ ბებერია.

— იცი თუ არა შენ, — გრძელდებოდა დაკითხვა, — ჩილიმ გადაწყვიტა, რომ მისი ჩექმები მოიპარეს და მან სამუდამოდ დასტოვა გემი?

— რატომ?

— იმიტომ, რომ არ სურდა ყოფილიყო ქურდთან ერთად ერთი ქაღალდი.

— აი, ბრწყინი! რაღა უნდა ეთქვა ამაზე მეტი? ბრწყინა და მეტი არაფერი! წყევლა-კრულვამ შეარყია კუბრიკი.

— დასცხე! — დაიყვირა კარლომ და განსს თავზე დაატეხა ძმრიანი ბოთლი.

ქუდმა დაიფარა განსის თავი ბოთლის ნამსხვრევებისაგან, განსი კი გაფთხრდა და შეტორტმანდა. ის გაიქცა კარი-საკენ, მაგრამ მას გზა გადაუტრეს. მას თვალები ისეთი სევდით აუთამაშდა, როგორც მახეში გაბმული მგლის თვალები ციმციმებენ ხოლმე. კაიზერული უღვაშები სასაცილოდ და საცოდავად მოჩანდა.

— სდექ! — დაიყვირა, რაც ძალი და ღონე მქონდა, — წყნარად!

ყველანი გაჩუმდნენ.

— ყური დამიგდე, შენ, „იუბერ ალ-ლეს!“ თუ გინდა მთელად დაგრჩეს თირკმელები, ელენტა და გვერდები, წაღი და მოძებნე ჩილი და დააბრუნე გემზე!

— სწორია! — ოლ-რაიტ! — დაიყვირეს მუზღვაურებმა.

— კარგი! — სიამოვნებით დამეთანხმა განსი. — ხვალ მას მოენახავ.

— არა, ხვალ უკვე გვიან იქნება! ხვალ გემი ზღვაში უნდა გავიდეს.

— მაგრამ, სად უნდა მოვძებნო ამ შუალამეს?

— ღამისათვეებში, ბაღებში, — სიტყვა შეაწია ირლანდიელმა.

— მერე, რომ ვერ ვიპოვო!

— მაშინ დარჩები ნაპირზე, — მრისხანებით დაუყვირა კარლომ.

— ჩემი ნიეთები?

— ყოველ შემთხვევაში, თან წაიღე შენი ნიეთები.

— ხელფასი?! სამი თვის ხელფასი!

— ყოველივე ამას შენ მიიღებ თუ დააბრუნებ ჩილის, — ვუთხარი მე.

— სამი თვის ხელფასის დაკარგვა ერთი წყვილი ჩექმების გულისათვის? არ შემიძლია.

— ჩილიმ ჩემი მიზეზით უფრო მეტიც დაკარგა.

— წახვალ თუ არა? — მოუთმენლად დაიღრიალა კარლომ, — უკანასკნელად გეკითხებიან შენ.

— რომ არ წავიდე, რა იქნება! — შიშით შეეკითხა განსი.

— მაშინ ვფიცავ, რომ ზღვაში ცოცხლად შეგჭამთ, — თქვა კარლომ და ნიშნად ფიცისა, ხელი ასწია. ჩვენც მივბაძეთ მას.

განსი მივიდა საწოლთან და აუჩქარებლივ იწყო თავისი ნივთების შეგროვება.

— იჩქარე, იჩქარე. დრო მიდის!

— დამაცა, მე გიშველი! — უთხრა ირლანდიელმა.

რამდენიმე წამში განსის ტომარა უკვე საცე იყო.

— ახლა კი გასწი!

განსს არც კი შემოუხედავს ჩვენთვის, ისე შეიგდო ტომარა მხარზე და გემბანზე გავიდა.

გემზე ალაგებულა კიბეები და საბიჯებლები. ზრიალებს აწეული ლუზა, კიბიდან ისმის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ბრძანება. ისმის საყვირის უკანასკნელი ღრიალი. გემი გადის ღია ზღვაში. გემბანზე ორი ახალი შავსახიანი არაბი მეზღვაურია. მათ დაიკავეს ჩილისა და განსის ადგილი! მშვიდობით, ჩილი!

თარგმანი მრასტი ბორობაძისა.



გენერალ-ლეიტენანტი



პოეზიის კომპარატივი ხაღხურობისათვის

(კარლო კლამის ლექსების, ბალადებისა და სიმღერების ერთგომეულის შესახებ)

თავის ისტორიულ მისალმებაში მწერალთა მეორე ყრილობისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა ჩვენს პოეტებს განაგრძონ და შემოქმედებითად განავითარონ ვლადიმერ მაიაკოვსკის საბრძოლო პოეზიის ტრადიციები. ამით პარტია კიდევ ერთხელ, მთელი სიღრმითა და სიყვარულით განსაზღვრა ჩვენი პოეზიის განვითარების იდეურ-შემოქმედებითი გეზი. პარტია და ხალხი მოითხოვენ, რომ პოეტური სიტყვის იარაღი რაც შეიძლება მასხვილი, მკვეთრი და ბრძოლისუნარიანი იყოს, რომ იგი კიდევ უფრო ქმედითად ემსახურებოდეს ხალხის სულიერად შეიარაღების საქმეს, მისი მაღალი სოციალისტური შეფასებისა და ნათელ ზნობრივ თვისებათა განმტკიცების საქმეს. საბრძოლო პოეზია გულისხმობს არა სალაღობო, გამართობელ და გამაბრუნებელ ტყილსმოვანებას, არა სინამდვილის ინდივიდუალურ წყვეტას, არამედ ხალხის სულიერი ცხოვრების მოვლენებზე მღელვარე გამოხმაურებას, ისეთს მძლავრსა და გულის სიღრმემდე ჩამწვლამ პოეტურ სიტყვას, რომელიც ახალ სავაჭრო, კეთილშობილური საქმეებისათვის აღავსებს ადამიანებს, განუმტკიცებს მათ კომუნისტურ სიყვარულს და ადამიანის რწმენას, ამ საქმისადმი თავდადებულ ერთგულების გრძნობას.

საბჭოთა ლიტერატურის ყოველი ეპოქის, და მათ შორის საბჭოთა პოეზიის, უპირველესი და მნიშვნელოვანი ის არის, რომ მკაფიოდ გამოავლინოს და შთაშავანებლად გამოხატოს ჩვენი ხალხის სულიერი სამყაროს, საბჭოთა ადამიანის ხასიათის ტიპიური თვისებანი, სინამდვილის მოვლენებისა და ადამიანის სულიერი ცხოვრების მართალი და მრავალმხრივი გამოხატვის საშუალებით ხელი შეუწყოს ყოველივე ახალისა და დადებითის განმტკიცებას ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაში და შენებაში, გაამაჟღეროს ხალხის სიძულვილი და გულისწყობა ყოველივე დასავსებულის, დროშოშუღლისა და მანკიერისადმი.

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ამ პირველხარისხიან ამოცანათა განხორციელებისათვის პოეზიის მოვლევება არანაკლები საშუალებანია, ვიდრე სხვა რომელიმე ლიტერატურ.

რულ ეპოქის. თუ ჩვენ თანამედროვე ქართული მხატვრული პროზისა და დრამატურგიის დარგში შექმნილი განსაკუთრებული სიმწვლეების გამო უკანასკნელ ხანებში უფრო მეტს ვლამაობთ და ეწერთ საბჭოთა რომანისა და დრამატული მწერლობის საკითხებზე, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქმის პოეზიას და, კერძოდ, ლირიკულ პოეზიას შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდეს ჩვენი ლიტერატურის საერთო განვითარებისათვის, ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრებისათვის.

საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობაზე გასულ შემოქმედებითს დისკუსიაში, საბჭოთა პოეზიის საკითხებს უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო. დისკუსიის მონაწილენი ღრმა დაინტერესებით ლაპარაკობდნენ საბჭოთა პოეზიის დღევანდელ მდგომარეობაზე, მის განვითარებაში შემწნეულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზებზე და საშუალებებზე.

რამე მდგომარეობს ჩვენი პოეზიის ძირითადი ნაკლოვანებანი მისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე? როგორც მწერალთა მეორე ყრილობაზე სამართლიანად აღინშნა, ჩვენს პოეზიაში უკანასკნელად გაერთვდა ჩვენი სინამდვილისა და საბჭოთა ადამიანის სულიერი ცხოვრების შეზღუდულად, ცალმხრივად გამოხატვის ტენდენციები. დიდი საზოგადოებრივი იდეალები, ხალხის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენები მზირად ჩვენს პოეზიაში გამოხატვამ ადამიანის სულიერი ცხოვრებასთან დაუკავშირებლად, მისი პირადი გრძნობებისა და განწყობილებების ასპექტში გაუტარებლად. ასეთ შემთხვევაში ცი გარდაუვალია მშრალი რიტორიკულიანის საფრთხე, რაც უპირველესი მტერია ცოცხალი პოეტური შემოქმედებისა და საფუძველშივე სპობს პოეტური სიტყვის იდეურ-ემოციური შემოქმედების ძალას. ამავე დროს, როგორც ასეთი ეპოქის ტენდენციის საშინაოდმდგუო რეაქტია, როგორც მისი მოპირდაპირე უცილებლესია, უკანასკნელი წლების ჩვენს პოეზიაში წარმოიშვა, მისწრაფება ადამიანის პირადულ ინტიმურ გრძნობათა და განცდათა ისეთი გამოხატვისა, რომელიც არ სივალბა სუბიექტის ვიწრო პი-



რადღლი ემოციურა ცხოვრების ნაკვესს და სრულიად არაფერს გვიჩვენებს ტიპიურსა და დამახასიათებელს ჩვენი ხალხის, საბჭოთა ადამიანის სულიერ მისწრაფებათა და შიშაღერ ღირსებათა ვასაგებად. ასეთ შემთხვევაში ღვესი ყარგავს ვანოგადების ძალს და, მასასადამე, ყოველგვარ შემცენებითსა და აღმზრდელიობითს მინშენელობასაც, რის ვარემეც აზ არსებობს კემშარტი რეალისტური ხელოვნება.

ამ ორი, თანაბრად ყალიბ და მავნე, უკიდურესობის დაძლევა, საბჭოთა ადამიანის სულიერი ცხოვრების სრული, შრავალმზრდივი წარმოსახვა, მისი დიდი საზოგადოებრივი იდეალებისა და კეთილშობილური ბირადი მისწრაფებების განუყოფელ ერთიანობაში — ასეთია დღესდღეობით ერთ-ერთი უბარედღესი საბაჩილო ამოცანა საბჭოთა პოეზიისა.

ამდენადვე აქტუალურია ამჟამად საკითხი საბჭოთა პოეზიაში ჟანრობრივი ერთფეროვნების დაძლევისა და მხატვრული მერტყელების საშეღებათა შრავალფეროვნებისათვის ბრძოლისა. უკანასკნელი წლების ჩვენს პოეზიაში ამჟარად იგარძნობა ჟანრობრივი შეზღუდულობა, რაც განსაკუთრებით იმაში გამოიჩინება, რომ შეტად სულად ვითარდება პოეტური ეპოსი, დრამატული და სატრეტილი პოეზია. საგრძინზლად შენედა ბრძოლა მხატვრული მერტყელების საშეღებათა თავისებურებისა და ორიგინალიობისათვის. ამიტომაც საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობაზე კანონშიმირად ვაისმა მოთხოვნა, რომ საბჭოთა ლიტერატურაში ფართო ვხა ვახხსნას მხატვრულ მიმდინარეობათა განვითარებას, მწერლის ინდივიდუალური შემოქმედებით ბუნების უფრო მავიდელ გამოვლინებას. მხოლოდ ვონებადბუნელ სკოლისტიკონებისა და ვულგარისტიკონების შექმნით ფორმისა და შინაარსის ერთიანობის მარქსისტულ-ლენინური მოღერებელან ისეთი დასკვნა გამოვებათა, თითქმის მხოლოდშედეგობისა და შემოქმედებითი მეთოდის ერთიანობა ზედუდადვე ჩვენს მწერლობაში პოეტური გამოშახველობის საშეღებათა შრავალფეროვნების სატროებასა და შესაძლებლობას. მეორე ყრილობაზე ვაშლიმა შემოქმედებითმა დისკუსიამ ერთბელ ვიდვე ნათელუო ამჟარი „თერობის“ სრულ უბადრუება, ხელოვნებაში სატროიდ, და მით უფრო, სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებაში, არ არსებობს ამა თუ იმ თემის მხატვრული განსახერების ერთი, საყოველთაოდ საველბებულ ვხა და საშეღება. ყოველი ხელოვანი, ყოველი მხატვრული ნაწარმოები ფასდება. პირველ ყოვლისა, იმის მიხედვით, თუ რამდენად ორგანულსა და, ამასთანავე, თავისებურ მხატვრულ ფორმაში გამოხატა მან სონამდვილის სთ თუ ის მნიშენელოვანი მოვლენა. ცხადია, ასეთ თვალსაზრისს არაფერი აქვს სატრო „ორიგინალიზმის“ იმ ცდუნებებთან, რომლებსაც არც თუ ისე იშვიათად ვხედვით ჩვენს პოეზიაში, რაცა ახ-

რის უშეშობა და უშინარსობა სერო განხალდაურან“ უხიციოცხლო ფორმალისტური მერტყეობა. მარამ ასეთივე ზიანს მარჯვეს პოეზიისათვის ფორმალისტური ოინაზობის წინააღმდეგ ბრძოლით შენიღბულ უდარდულობას პოეტური ფორმის, პოეტური ოსტატობის სვერობი.

პოეზიის საკითხების ვარშემო დისკუსია საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობაზე მიმდინარეობდა ჩვენი პოეზიის მალდი იდეურობისა და ნამდვილი ხალხურობისათვის ბრძოლის ნიშნის კვეშ. ყრილობამ დასახა სავსებით ვარკვეული ამოცანები ჩვენს პოეზიაში სინამდვილის, ხალხის სულიერი ცხოვრების მტი სოსავისთ გამოხატვის, პოეტური ფორმის მტი ქმედითობისა, სიცხადისა და ბუნებრივობის, პოეტური ოსტატობის ახალი აღმავლობის მისაღწევად. ეს ამოცანები განსაზღვრავენ იმ კრიტიკიუმში, რომლითაც უნდა შეფასდეს ყოველი პოეტური ნაწარმოები და კერძოდ ქართულ საბჭოთა პოეტების რჩეულ ნაწარმოებთა ერთობამედობი.

კარლო კალაშის რჩეული ღვესების, სიმღერებისა და ხალხების ვროტომუდლის პირველსავე ფერცელაზე ვხედვთ მისი პოეზიის ღრიციული გვირის მავიდელ გამოყვეთლ სახებს. იგი ჩვენი ღროის გვირია, მოწინავე საბჭოთა ადამიანია, რომელიც წრფელი სიყვარულით შეგზარის თავის განახლებულ და აღორძინებულ საშობლოს, მის წარმატებუნებას, ამავრის მისი გვირული წარსულით და პატრიოტული ვუნებაბრებით ვანკდის ახალი საშყაროს მშენებელ ხალხის გვირული ბრძოლისა და შრომის ენობებს. კრებულის პირველსავე ღვესში „მგზავრული“ გამოხატულია საშობლოსადმი დაცტრომული სიყვარულით შთავინებული ადამიანი, რომელიც მშობლოური ბუნების წიაღში მოგზავტრობისას მუდამ ხედავს უკვედავი ღენინის მოშორებულ აწედილ ხელს, და ვანიციის მას როგორც ჩვენი მუდმივი ვინსვლისა და აღმავლობის დიდებულ სიმბოლოს:

და კვდა მოქერი მოგზავტრო,
სული მშით ივესადი,
წინ ღენინის აწედილ ხელით
დალოციელი გზებია!
და გარძობ, რომ ეს ვანახებულცი
შემწლიდა იმ ხელით, —
შორილან რომ გვევებება,
როცა მივჭრით სიმღერით.

კრებულის უკვე ამ პირველ ღვესში ნათლდ მოჩანს რწენა და იდეალური ტემპარამენტი და ხასიათის თავისებურებანი იმ ადამიანისა, რომლის სულიერი ინტერესების ვრცელი საშყაროს ამა თუ იმ მხარეს, სულიერი ცხოვრების ველოციის ამა თუ იმ ეტაპს ასახავს კრებულის შემადგენელი ყველა სხვა პოეტური ნაწარმოები.

კეთილდღეობით წიგნს და თქვენივე სულ უფრო და უფრო ნაწილობა და ახლობელი ხდება კარლო კალაძის პოეზიის ლირიკული გმირის აღმანიჭარი ბუნება, სულ უფრო მკვეთრი საღებავებით გამოისახება მის პიროვნულ განცდებში, შთაბეჭდილებებსა და გაწყობილებებში საბჭოთა ფორმაციის აღმანიჭარა. ჩვენი ხალხის მდიდარი და კეთილშობილური სულიერი სამყაროს ტიპური ნიმუშია. ჩვენ ევეწიებით მისი სულიერი ზოგადი თვისების ასეთ თვისებებს იმის მიხედვითაც, თუ როგორი „თვითგამომხატველი“ ლირიკული მოტივებით გამოვლენს იგი თავის შინაგან არსებას და იმის მიხედვითაც, თუ როგორ ხედავს და ასახავს იგი ჩვენი სინამდვილის დამახასიათებელ სურათებს. აი, საქართველოს დედაქალაქის — თბილისის გულში, ლენინის მოედანზე სახეიმიოდ შეგრებოდა ჩვენი ბედნიერი თაობა:

ერთელ მოედანზე ნაპერწყლებს ისტორი
 მკვარცხელი ხალხის ათასთავლებმა
 და პიონერულ სიმღერა-კიხისს
 ეგრძევეა ციდან მზის ბრწყინვალეობა.
 ყოველ კუთხიდან მოსულან მარშით,
 დროშებიც ვამოხან მოეტანათ,
 სილად ღვივის ბაქშეების ხმათა
 აქ ხამ ლენინის მოედანია
 („ლენინის მოედანზე“)

ამ სურათში არა მარტო ჩვენი სინამდვილის დამახასიათებელი ეპიზოდია ასახული, არა მარტო პოეტური აღწერილობის თავისებური მანერაა გამოძღვალენებული, არამედ შეავითოდაა გამოაქმელო ლექსის ლირიკული გმირის (და, მანასადაც, თვით პოეტის) იდეური მიზნობა ცხოვრების მოვლენებისადაც, მისი მსოფლმეტყვნება. რასაც არ უნდა ასახავდეს საბჭოთა პოეტი, რის შესახებაც არ უნდა ლაპარაკობდეს იგი, საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებია ეს თუ ბუნების სურათები, ჩვენი მღვდღვარ დღევანდელაა თუ ხალხის წარსული, მისი ყოველი ნახატი თუ შელოდია, აუცილებლად გამსჭვალულია თანამედროვეობის გრძნობით, საბჭოთა ხალხის საბრძოლო იდეალებით.

ამაში მდგომარეობს კარლო კალაძის საუკეთესო ნაწარმოებთა უპირველესი ღირსება. მას შეუძლია ერთ პოეტურ ნახატში მოათავსოს ბუნებისა და სოციალური სინამდვილის სურათი, წარსულის განცედაც და თანამედროვეობის მხადრი შეგრძნებაც.

ოცნებით ცამდე ამაღლებული
 არის მოაქმინდა დაღალებსას!
 ცანაღებულა მის წინ კრებულა
 ცისა და მიწის ვარსკვლავებისა!
 ბელადიც იმის მჭერვალზე მდგარი,
 დანცქერის ახლად აგებულ თბილისს!
 დახლა ხმალივით გლეხარე მტკვარი
 ძევის, როგორც სოფენა იმგადახდლის...

ამ ერთ სურათში ჩვენი ხალხის სახელგანთავსარი პატრიოტული ტრადიციებიცაა გატანილი და დღევანდელი განახლებული ურთიერთობებიცაა დახატული, ხოლო ყოველივე ეს დანახებულა პარტიისა და ხალხის ბელადის თვალში, რომელიც, თავის მხარე, ჩვენი დადი ეპოქის აზრს, ჩვენი ხალხის მაღალ საბრძოლო იდეალებს განასახიერებს.

თანამედროვეობისა და სიახლის გრძნობა უღვეს საფუძვლად კარლო კალაძის პოეტურ მსოფლმეტყვნებას. ჩვენი ღრობის მოწინავე აღმანიჭარა აზრებითა და მისწრაფებებით შეიარაღებული შედის პოეტი თავისი თემების მდიდარი სამყაროში და შთაგონებულად ხატავს ჩვენი სინამდვილის იმ მოვლენებს, რომელთაც განსაკუთრებულად ცხოველი კვლია დაუტოვებიათ ხალხის სულიერ ზოგადიდაც. როგორც ჩვენი სამშობლის მთელს ცხოვრებაში, ისე კარლო კალაძის პოეზიაში განსაკუთრებულად ცხოველი არის აღებულა დიდი სამამული იმის სწორეუპირად გმირული ეპოქა, ასევე უხესა და ნაყოფიერ შთაგონების წყაროს წარმოადგენს პოეტისათვის იმგადახდული და ბრძოლის ველადან გამარჯვებით დაბრუნებულა ჩვენი ხალხის დღევანდელი გმირული შრომათი ცხოვრება: საქართველოს დედაქალაქის მშენებელთა სახეები, მშობლიურ სოფელში დაბრუნებულა მებრძოლის გრძნობები და საქმეები, რუსთავი და სამკვარი, ქართული ფოლკლანსა და ქართული იტორია მოხილის დახადება, მთელს მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლა, ასეთია კარლო კალაძის ერთობოელების იდეურ-თემატიკური შინაარსის განმსაზღვრელი ძირითადი მოტივები. მისი პოეზია ღრმად არის გამსჭვალული ჩვენი სამშობლის ხალხთა ურღვევი ძმობისა და მდგომარობის უწმინდესი გრძნობით, რომელიც საბჭოთა აღმანიჭარის მსოფლმეტყველობისა და მორალური სახის ერთ-ერთ უმეირთადეს თვისებას შეადგენს. სიყვარულით ხატავს პოეტი ახალი კაცობრიობის დედაქალაქის — მისკივის დღას, შეხარის და უმღერის კავის გულში — კრეშტიტეზე გაჩაღებულ შრომას, წრფელი მღვდღვარებით ვაღმოვეყმუნს დნებრის ნაბიჯზე ვანცილი შთაბეჭდილებებს და აღტაცებით მოგვითხრობს საქართველის მიტეში უტარანელ პოეტთან ერთად მოგზაურობის დაუწყეყარი წუთების შესახებ. ხალხთა ძმობის კეთილშობილური ტრადიციათა ცოცხალ განსახიერებად მოჩანან კარლო კალაძის ლექსებში ნიშამი განცეგლის, დავით გურამიშვილის, ლესია უტარანის ძვირფასი სახელები, ხოლო ერთ-ერთი თავის აღმინდელ ლექსში „მხედრული“ პოეტი საბჭოთა მეომრების სიამღერაში ორგანულად ჩაქსოვის ჩვენი ხალხის მაღალ ინტერნაციონალისტურ მრწამსს:

თუმცა სხვადასხვა გორის ვართ,
 გვარჩვენნ სხვა გვარ-ტომობით,

ჩვენ გულის ლტოლვა ერთი გავქვს, ხორცილი და სისხლით ტოლები!

ასეთი მიმართებაშია კარლო კალაძის პოეზია ჩვენი თანამედროვეობისადმი, საბჭოთა აღმშენებლის აზრებისა და გრძნობების საწყობისადმი და ყოველივე ამასთან ერთად, მის ლექსებში გამოთქმულია ბუნების მშვენიერი განცდა, პირად-ინტრიგური გრძნობები, ტრეპიანობისა და მეგობრობის, ვაჟკაცობისა და ჰაბუკერ გატაცებათა მოტივები. სინამდვილის მოკლენათა, აზრთა და გრძნობათა ასეთი სიუხვის პოეტურად გამოხატვისათვის კარლო კალაძე გულმოდგინედ ვძიებს საერთო საღებავებსა და შელოდვებს. მისი საუკეთესო ლექსები აღბეჭდილია პოეტური მეტყველების საშუალებათა სფეროში დაძაბული შემოქმედებითი მუშაობის კვალით. ამ ლექსებში ყურადღებას იმყრობს განგებამხეილურად მოფიქრებული სახეები, მოულოდნელი შედარებანი და მეტაფორები, რიტმული წყობისა და პოეტური ზმოვანების მრავალნაირობა. კარლო კალაძის პოეზიაში იგრძნობა საყოთარი, მშალოდ მისთვის დამახასიათებელი ინტონაცია. იშვიათად თუ გავასვენდებთ მისი ლექსების კთხვისას სხვა პოეტებისათვის ჩვეული მუსიკა ლექსისა, სტროფების, ან ცალკეული ფრაზების ელერა. პოეტური ინტონაციის ასეთი თავისებურება მით უფრო საყურადღებოა, რომ პოეტი წერს კლასიკურ თუ თანამედროვე პოეზიაში საყოველთაოდ გაერთიანებულ სალექსო ზომებით და პოეტური მეტრიკის სფეროში იგი არც იჩენს რაიმე ორიგინალობისაკენ მისწრაფებას. რითმა მის ლექსებში, მეტიად იშვიათის გამოანაკისით, ზუსტად არის დამუშავებული. კარლო კალაძის ლექსის ძალა მაინც უპირატესად პოეტური ფერწერის ხელოვნების ემყარება. იგი სკულპტურული საგნობრივობით ძერწყავს სახეებს. კარლო კალაძემ ფრად თვალსაჩინო წვლილი შეიტანა თანამედროვე ლირიკულ პოეზიის ჩარჩოებისა და შესაძლებლობათა გაფართოების საქმეში. ლირიკულ ლექსში ეპიკური ელემენტების, აღწერილობითი და მომთხრობლობითი მოტივების დამკვიდრების საქმეში.

მას შემდეგ, რაც ქართულმა დეკადენტურმა პოეზიამ ლექსი სრულიად განტვირთა სინამდვილის კონკრეტული სურათებისა და ფაბულური მოტივებისაგან, საბჭოთა პოეზიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კლასიკური რეალისტური ლირიკისათვის დამახასიათებელი აღწერილობითი და თხრობითი ტრადიციების აღდგენას და შემოქმედებითად განვიითარებას. სოციალისტური რეალიზმის პოეზია თავის აღმოცენებისთანავე იჩენდა ინტენსიურ სწრაფებას ამ მიმართულებით. სოციალისტური პოეზიის ამ ტრადიციასავე საფუძველი ისევ ვლადიმერ მაიაკოვსკიმ დაუდო. მ. გორკი დიდდ აღახებდა ე. წ. სოცეტურ ლექსებს. მხატვრული ლიტერატურის გამოცემლობის ხელმძღვანელისადმი მიწერილ თავის

ერთ-ერთ წერილში მ. გორკი მალევე შედგას ჩვენს აქლვად რა ნ. ტხონოვის სოუკეტურ, ლექსებზე წერდა: „მე დავიწყებთ ეგვიპტეში ლექსების სიუეტურობას, მათს კონკრეტულ, ისტორიულ მინარსს...“ სოციალისტური რეალიზმის მწერლობის ფუძემდებელი ურჩეულა გამოცემული უხვად შეიტანათ სიუეტური ლექსები საბჭოთა პოეზიის ანთოლოგიაში. თანამედროვე ქართულ ლირიკაში სიუეტური მოტივების, აღმშენებლობრივების, აღწერილობათა და თხრობითი ელემენტის დაწვრივის საქმეში კარლო კალაძეს თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის და სწორედ ამაში მღგომარეობს მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობის ერთ-ერთი მთავარი თავისებურება.

ასეთია კარლო კალაძის პოეზიის ის ღირსებაანი, რომლებიც ნათლდ მოზანან მისი რჩეული ნაწერების ერთობელში. მაგრამ ამ წიგნის შედარება ცალმხრივი იქნებოდა, რომ ჩვენ მართო ხსენებულ ღირსებათა აღნიშვნით დავკმაყოფილებულიყავით. ჯერ-ერთი, კარლო კალაძეს თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მთელს გზაზე თანახანი ძალით რაღაც ახსიათებდა ის თავისებაანი, რომელთა შესახებაც ზემოთ ვლაპარაკობდით. მნიშვნელოვანი სიძნელეების გადალახვის გზით ვითარდებოდა პოეტის შემოქმედებითი ცხოვრება და მის ერთობელში მრავალფერვლებით ამ მნიშვნელოთა და ნაკლოვანებათა კვალით აღბეჭდილ ლექსებს. მეორეც, თავისი შემოქმედებითი ველოუციის ახლანდელ ეტაპზეც პოეტი თავისუფალი როლია, ზოგიერთი ისეთი თვისებისაგან, რომლებიც ზღუდავენ მისი პოეზიის იდურო-ესთეტიკურ ღირებულებას და ხშირ შემთხვევაში აფერხებენ მისი ლექსის კონტაქტს ხალხის სულოერ საწყობისთან. ერთობელში არაიშვიათად გხვდებით ისეთ ლექსებსაც, სადაც იდურო ჩანადიერი და ცოცხალი გრძნობა შემოვლილია განზრახ გართულებული და ბუნდოვანი სახეებით, სადაც აზრი იმდენად შეზღუდულია მეტყველების ხელოვნური საშუალებებით, რომ იგი ვერ აღწევს მეთხველის ცნობიერებამდე და, მამასადავ, ლექსი კარგავს თავის უპირველეს ელემენტის. არაიშვიათ შემთხვევაში კარლო კალაძის ლექსებში თანამედროვეობის აქტუალური იდეა გამოხატულია განყენებულად, აბსტრაქტულად, ცხოვრების ცოცხალი, კონკრეტული მინარსით ზორცმეხსნელად. ზოგიერთი მისი სიმღერა ყალბი და ხელოვნური ინტონაციების გამო კარგავს სიწრფელს და, მამასადავ, ხალხის გულამდე მიღწევის ძალას. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ლექსის ეს უდავოდ ნიჭიერი ოსტატი მიტრევებულ კომპრომისებზე მიდის სწორად პოეტური ფორმის, მხატვრული მეტყველების საშუალებათა სფეროში.

ამგვარ წინააღმდეგობათა ვითარებაში მიმდინარეობს კარლო კალაძის შემოქმედებითი განვითარება, მაგრამ რაც დრო გადის, მით უფრო ღრმავდება მისი პოეტური აზროვნება და იხე-

წება, იწრითა მისი მხატვრული ისტაბლია. ეს პარტიის ნათლად არის ნაჩვენები მის რჩეულ ნაწარმოებებში ერთობაშიაში.

კარლო კალაშის პოეტური ცხოვრება საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების პირველსავე წლებში დაიწყო. ერთობაშიაშიაში მონაწილეობის 1920 წლით დათარიღებული ერთადერთი ლექსი, ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებითი ვარჯიშისა და წრთობის პერიოდს უნდა მიეკუთვნოს. როგორც ცნობილია, თავისი შემოქმედებითი პოეტობის პირველსავე საფეხურზე კარლო კალაშიმ თვალსაჩინო ადგილი მოიპოვა პროლეტარულ მწერალთა იმ თაობაში, რომელმაც უაღრესად დადებითი როლი შეასრულა ქართული საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო შემოქმედებითი ტრადიციების გამოიმუშავებაში. ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებითი მოღვაწეობის პირველმა წლებმა ისეთ ლიტერატურულ გარემოებაში განვლო, როდესაც ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში მიმდინარე მწვავე კლასობრივი ბრძოლები განაპირობებდა სხვადასხვა საშუალო მიმართულების არსებობას და, მით შორის, მძაფრ წინააღმდეგობებს, პოლემიკას, ბრძოლას იდეოლოგიისა და შემოქმედებითი მეთოდის უმნიშვნელოვანეს სეკიზმებში. ეს მიმართულებანი, მიუხედავად მათი დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოზიციებისა, ჩინური კვლევებით როდი იყვნენ ერთმანეთისაგან გათიშულნი. ისინი გარკვეულ შემოქმედებასაც ახდენდნენ ერთმანეთზე. თუ, ერთი მხრივ, პროლეტარულ მწერალთა ნაწილში ბირთვი დადებითსა და კეთილშობილურ ზეგავლენას ახდენდა ანტირევოლუციური საშუალო გვლეხების საუკეთესო შემოქმედებითი ძალებზე, მეორე მხრივ, თითო ეს ანტირევოლუციური მიმდინარეობანიც გარკვეულ გავლენას ახდენდა პროლეტარული მწერლობის ახალგაზრდა ძალებზე. ასეთ ზეგავლენას ვერ გადაურჩა კარლო კალაშიც. ამის შესახებ შეტყვევებს ერთობაშიაშიაში რაკალი — „იპიტო ლექსი“, რომელშიც მოთავსებულია ოციანი წლების მანძილზე შექმნილ ნაწარმოებთა ნიმუშები. ამიოდ დაიწყებთ ამ ლექსებში იმ დროს გარდატეხათა და სიახლეა რევოლუციური ასახვის ძებნის, რომელსაც ადგილი ჰქონდათ ქართული ხალხის ცხოვრებაში ჩვენი საუკუნის ოციანი წლების მანძილზე. ამ პერიოდის თავის საუკეთესო ნაწარმოებებშიც (უნდა ვთქვათ, რომ ერთობაშიაშიაშიაში პოეტი სწორედ საუკეთესო ნაწარმოებებს შეარჩევდა) მტად მტრთადად, ბუნდოვანად და განყენებულად ნიშნებით არის ნაგულახსნივი თანამედროვეობის იდეები და საზოგადოებრივი მოვლენები, ხოლო პოეტური ისტაბლიის საშუალებათა მიერ არსნალო აღბეჭდვითა აშკარა ფორმალისტური გავლენებით. აი, რამდენიმე დამახასიათებელი მაგალითი. ლექსი „დარიალის კლდეებში ვაღა“ (1926 წ.) პოეტი ბუნების ამგვარი აღწერილობას გააძლიერებს:

კლდეების მუხლებს შემობურღული შორდება ნისლი და ქარის ქარქვეშაში შორს, ბუნდოვანი ყელგაგონებების ხეშა მდინარე ამოისროლა! ამაზა ლოდებს ზეირთები მტრული, ხარბი ღმელი კლდეებს ადმობდა და დარიალში რაგორც ვეღერი მხოლოდ მისისხანე თვარე ვადმობდა!

ბალადა „ენგურის თქმულება“ (1926 წ.), რომელშიც მოთხრობილია ახალგაზრდა ქალის გამტაცებელის და მისი მდევარი მხედრის საყვარლო-სასიციოცხლო შებრძოლება, დაწერილია ასევე განზრახ „ენგურის თქმულება“ მხატვრული საშუალებებით:

მთავრე ხომ კლდიდან ვადმომვებო, თუ არის მართლა მწვეურვალი ველი, — რომ ამოსცალს ხარბი პეშეებით ეს ღამე ხეში ჩაუბეჭდული

ან კიდევ:

ბრმა ნაბრალეში ენგური ყვესისი, ენგური მთების ცრემლი ყოვილია, — და მწვეურვალდამ შავი ნახლებით მთავრეხილდამ ვადმოდგობილანი!

ცხადია, რომ ამ ლექსების ავტორი შორს არის აზრის ნათლად გამოხატვის, სიგანითა და მოვლენათა მართალი წარმოსახვის რეალისტური ხელკონტროლისაგან. მისთვის ამ პერიოდში არ არსებობს არც ლექსის ავტორების შინაგანი ახრობრივი ლოგიკა, არც საუკუნეებელი გრამატიკული ნორმები. პოეტის ერთადერთი მიზანი — შექმნას რაც შეიძლება უცნაური, ადამიანური წარმოდგენისათვის მიუწვდომელი და აზოუნობელი სიხეხები. აქველი ქართული წარწერების ციკლი (1926 წ.) მოკლედია რაიმე იდგური მიზანდასახულებას და აქტუალობას, ხოლო ვრცელ ლექსში „იპიტო აღმოსავლეთს“ პატრიოტული თემა მოკლებულია მახვილ და ნათელ სოციალურ გააზრებას და დაწერილია დახლოებით ისეთივე მხატვრული საშუალებებით, როგორც შემოთავაზებული ლექსები.

ამრიგად, ოციანი წლების მანძილზე ახალგაზრდა პროლეტარული პოეტი მოქცეულია ფორმალისტური პოეტის ტყვეობაში. ამიტომაც ამდროინდელ მის ლექსებში ვერ აღიბეჭდა ჩვენი საშრობის ისტორიისათვის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი წლების სინამდვილის დამახასიათებელი მოვლენები, ამ პერიოდის საბჭოთა ადამიანის სულიერი მიმართებათა საწყარო. ამიტომაც კარლო კალაში ამ ლექსების ჩვენთვის აღმაშენებლობა აქვს მხოლოდ და მხოლოდ პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიის გარკვეული ეტაპის გაგების თვალსაზრისით.

ოცდაათიანი წლებში, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის დიდი იდურ-შემოქმედებითი



თი აღმავლობის პერიოდში, კარლო კალაძემ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადგა წინ სინამდვილის კონკრეტულ მოვლენათა რეალისტურად გამოხატვის, მათი სოციალურად გახარების თვალსაზრისით. ამ პერიოდის ნაწარმოებებში კიდევ უფრო მეტად და გაღრმავებულად იჩინა თავი პოეტის მიდრეკილებამ ეპიკური ეპროსაზე. „მოთების ეპოსი“, „ხერთვისის განთიადებანი“ ცულო, „ამბავი აპარელ ამხანაგებისა თქმული კარლო კალაძის მიერ“ შეიცავენ ბუნებისა და ყოფის კოლორიტულად დახატულ სურათებს, პოეტური თხრობის საყურადღებო ნიმუშებს. ამ ნაწარმოებებში პოეტის სახეობრივი აზროვნება ბევრად უფრო ნათელია და კონკრეტული, ვიდრე წინა წლების ლექსებში იყო. ამის საილუსტრაციოდ საყურადღებოა შემოთავაზებული ნიმუშების შევადაროთ თუნდაც ერთი ასეთი პოეტური ნახატი „ხერთვისის განთიადების“ ცუკლიდან:

უცებ ხერთვისის კარებთან
ორად გაიღო ხეობა,
გადმოხტა არტანისა
და ჯაჯახეთის მტკვარი!
ენახე და მეც მახარებდა
ტალღების ძალითმარობა,
სიმაღლე კოშკის ტანისა,
მებრძოლთა შუა მდგარი.

ლექსში „ბავშვობის ვახსენება“ პოეტი იგონებს სკოლაში გატარებულ წლებს, როდესაც ის ანინას სწავლობდა და „ფეხშიშველა, გარუჯულ სხეულით ცურვით გადასტრიადა ღალატის მწავტალღებს“. პოეტი უმღერის სოხუმს, სადაც „ზამთარშიც ზაფხულა ჰყვავის“ და „დღივებული წყნად გორა თავზე ადგას, როგორც სიმე“; უმღერის აფხაზეთს, სადაც „ციტრუსების ბაღები ღელავს“, კომედიებით დღანან შთები და „მალა

ლურჯი ცა ირწყვია“. ლექსი „აფხაზეთი“ მესს მოიგება, რომ კომპოზიციურად უტრირდება ლეი უფილოსო.

ბიბლიოგრაფია

სამწუხაროდ, ყველა თარგმანი ევრა დგას მაღალ დონეზე. ლექსში „უფროს მეგობარს“ არასწორადაა შეყვანილი სიტყვები: „ქართულთ ძმაცო“, „ყინული ლოდები“, „გურჯანი“. პოეტური თარგმანის თვალსაზრისით დამწვევება სჭირდება სტრიქონებს „ღღესებიდან მვეინახეზე“:

მგზავრო, შენც შრომას შენადიციარო,
ოდეს, თუ სადმე გაემგზავრები,
როგორ იქნება, არ მოიცალო,
არ ნახო მისი ოქროს ზეარები.

პროზულად კვლავ სტრიქონები: „და საქმეებით არის გამთქმული“, „ბავშვებს სურთ კიდევ ბევრი გაიგონ და ნამშობო ბევრი ნაწერი“. „და გაგონილი ყველგან აგრცალო“ და სხვა. აქვე ასეთი თარგმანი:

და მალაზები ყელსაჭევიებით
მიდიან კლუბში, ვით მახლობელთან,
არ ასვენებენ ზმირ შეკითხვებით,
ისმის ფუსფუსი დაუცხრომელთა.

ზოგ მთარგმნელს რითმები არ უყარვა. მაგალითად: აღზნებდა — აესებდა, მოსმინო — ილხინო, მახლობელთან — დაუცხრომელთა, ყელსაჭევიებით — შეკითხვებით, ავიდლები — კიდები, დაიფიქრებენ — იწყებენ და სხვ.

მიუხედავად ზოგი ლექსის უხეობა თარგმანისა, მთლიანად აფხაზი პოეტის ივანე თარბას ლექსების ახალი წიგნი ქართულ ენაზე სიყვარულითა და მაღალმატერულად არის თარგმნილი.

წიგნი მოთავსებული ყოველი ლექსის თემა აქტუალურია და საღვთისა. პოეტი ავადაკვალ მიჰყვება ცხოვრებას. მისი ლექსები ყოველდღიური ცხოვრებიდანაა ამოზრდილი. აქტუალური, ცხოვრებისეული თემა და მაღალმატერულაა ერთმანეთთან შერწყმული ივანე თარბას პოეზიაში. მის მეორე წიგნს ქართულ ენაზე ინტერესითა და მოწონებით შეხედდებო ქართული მკითხველი.

მასილ გვიბაძე

მოთხრობა ახალგაზრდა ხელოსნებზე

მწერალი, რომელიც საბავშვო ლიტერატურის დარგში მუშაობს, კარგად უნდა იცნობდეს მოზარდის ბუნებას და თავისი ნაწარმოებით უნდა გავლდეს მას კომუნიკატორ მორალს, სამშობლოსადმი სიყვარულს. საბავშვო მხატვრული ნაწარმოები იმდენად არის გამართლებული, რამდენადაც ის უწყობს ზელს ყოველმხრივ განვითარებულს, კომუნიზმის გამარჯვებაში დარწმუნებულს.

ლა, მხნე და უშიშარი ახალგაზრდობის აღზრდას ამ მხრივ საყურადღებოა მწერალ მარიჯანის (მარია ალექსიძის) მოთხრობა „გელა“, რომელიც გვიხატავს საბჭოთა მუშების ახალი კიდრების — ახალგაზრდა ხელოსნების ცხოვრებას.

მარიჯანი ჯერ კიდევ 1916 წელს გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, ხოლო 1926 წლიდან იგი ნაყოფიერად მუშაობს საბავშვო ლიტერატურაში. მის კლამს ეჭუფენის მრავალი შესანიშნავი საბავშვო მოთხრობა და პოემა. მარიჯანი რამდენ



ნიმე საბავშვო წიგნის ავტორია.

მოთხრობა "გელას" მთავარი მოქმედი პირია სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლე გელა გელაშვილი. იგი სოფელში იზრდება. მამის სიყვადლის შემდეგ დანაღვლიანდა, მიუყარებელი გახდა, მიუღღს დღეებს ამხანაგებისაგან განცალკევებით ტყეში ატარებდა, აქ იგი კლდის მიფრეხვითად ხოლმე და სურათს ხატავდა.

თბილისიდან ჩამოსულმა ერთ-ერთმა ქარხნის ზეინკალმა ბიძია ანდრომ წაიყვანა გელა და სახელოსნო სასწავლებელში მოაყენა.

გელა გაიტაცა ახალმა ცხოვრებამ. იგი მთელი ენერგიით მუცადინობს, საღებავლიანად ეძულება ხელოსნობას, მაგრამ ერთხელ, როდესაც გამოყენაზე სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლეთა ნაშეყვრებში წახა, ხელახლა გაეღვიძა მის მხატვრობისადმი მიდრეკილება. მას ჩამო ბავშვობა ბილანვე მხატვრობა იტაცებდა. ამის შემდეგ გელამ სწავლაზე გული აიკრუა. სასწავლებლის დირექტორმა დაიბარა იგი და, როდესაც გელა აველაფერში გულწრფელად გამოიტყდა თავის აღმზრდელს, დირექტორმა დაიმარტა აღუთქვა სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ გელა სამხატვრო სასწავლებელში გადაიყვანეს.

როგორც აღენიშნეთ, წიგნი აქტუალურ თემზეა დაწერილი, მაგრამ რადუფილიად მხატვრული ნაწარმოებისათვის, ის თქმა უნდა, მარტო თემის აქტუალობა არ კმარა. საჭიროა ნაწარმოები აივოს ლოგიკურად განვითარებულ, დამაჯერებელ ამბავზე და სიუჟეტის გამოსათანად ერთად გამოიყვითოს პერსონაჟების სახეები. ამ წიგნში ავტორი ედილობს სიუჟეტს ბუნებრივად განავითაროს, ერთგვარი კონფლიქტი და დაძაბულობა შექმნას.

მოთხრობის მთავარი მოქმედი პირი — გელა ავტორის რეალისტურად აქვს დახატული. ის, რაც გელას შეემთხვა, ცხოვრებისეული ამბავია. მაგრამ აქვე უნდა შეენიშნათ, რომ მოთხრობის დაძაბულობისათვის შექმნილი „კონფლიქტი“ შენელებული სახით წარმოველიდგება.

ტექნიკის დაუფლებული მეშათა კლარების მომწიფეს ქვეყანაში დიდი ყურადღებას უთმობდა. შრომითი რეპრეზენტაციის სახელოსნო სასწავლებლებში სწორედ ამ სახატო ამოცანას ემსახურებთან. სახელოსნო სასწავლებლებში იგზავნებთან სუეტეთესო ახალგაზრდები და არა ჩამორჩენილები.

საჩუქრებრიო წიგნი მწერალს გამოყვანილი ჰყავს შექმნეს-მეშვიდე კლასებიდან გამოსული, სწავლაში ჩამორჩენილი მოსწავლეები ან უნატრონი, ობოლი ბავშვები. ზოგი მათგანი სკოლაში გამოგზავნილია სურვილისა და მიდრეკილების გაუთვალისწინებლად, რაც არასწორად მიგვიანია.

მაგალითად, ნაწარმოების მთავარი გმირი გელა ობოლია, მან გული აიკრუა მეცადინეობაზე და ჩამორჩება სხვებს, ობოლია სპირა ლურსმანი-შვილიც. ასევე ობლები არიან სახელოსნო სასწავლებლის დანარჩენი მოსწავლეები: ტუხა კუხალიშვილი, სიკო ზახუნაშვილი, არილი არილი ბელიძე, ვივი ბარბაში, სპა ვინოკუროვი და სხვები.

ნაწარმოებში ზოგჯერ მეორდება ერთი და იგივე სიტყვა, მაგალითად „ცალა გობერდა ყვირილით“ (გვ. 3), „ორივე გაბებრდა გელას ძეხნით“ (გვ. 4), „გაბებრდა და მირბის“ (გვ. 24), „ქეთონოს ეწყინი, ხბო მიატოვა და სახლისიკენ გაქცა“ (გვ. 24), „ქეთონოს ეწყინა, წამოწილდა და თვალები ძირს დახარა (გვ. 24) „არ უსვენებდა სპირა“ (გვ. 24); „არ უსვენებდა ქეთონო“ (გვ. 24) და სხვ.

მწერალ მარიჯანის ნაწარმოები „გელა“, როგორც საინტერესო ცალა ახალგაზრდა ხელოსნების ცხოვრების ასახვისა ქართულ საბავშვო ლიტერატურაში, უფოოდ საყურადღებოა.

ავტორს განზახული იქვს ამ მოთხრობის მეორე ნაწილის დაწერა. ეფექტობთ, მეორე ნაწილში ავტორი კომპოზიციურად უფორ შეკრულად და დაძაბულად წარმართავს სიუჟეტს.“

დ. მთხრობისილი

ქართული ანდაზების კრებული

ქართულ ხალხს თავისი მრავალსაუფროსი ისტორიის მანძილზე მრავალი ანდაზა, გამოცანა, მოსწრებელი თქმა და ფრთხანი ფრაზა შეუქმნია, ამ ანდაზებში ჩაქსოვილია ბრძნული დავიკრება და ფიქრები ცხოვრებაზე, სამართლიანობაზე, სიყვადლისა და სიციცლებზე, სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე, უცეთესი მომავლისადმი ნათელ მისწრაფებაზე და სხვ.

დიდი ქართული მწერალი და მოაზროვნე ილია ქავტავაძე ანდაზების გამო ამბობს: „მოყვარეს

პირში უჭრაზე, მტერს პირს უჯანაო“. სადა ხარ ახლა გონიერის სიტყვისა მოქმელთ? ვიცი სადაც ხარ. ხალხში ხარ, უხილავ და ხალხის ხარ, ილიც ვიცი, რაც გქვიათ: შენ ხალხის გენიას გეძახიან. ისიც ვიცი, რა თვისებებისა ხარ: შეუცდომელი და ყოველთვის მართალი ხარ“.

ი. ქავტავაძე აღიარებდა, რომ ანდაზები ხალხის გონიერების ნაყოფია, ადამიანთა მოქმედების სახელმძღვანელოა, მათი მართლურ-ზნობრივი ქცევების კოდექსია, დარიცხვა და შეგონება.

შეიძლება ითქვას, რომ „ქართული ანდაზები“ მკითხველს გარკვეული შეხედულება მ-

„ქართული ანდაზები“ შედგენილი ო. ხვიტინის მიერ. „საბჭოთა მწერალი“. 1955.

მნება ქართველი ხალხის მისწრაფებებზე, იდეალებზე, სოციალურ უსამართლობაზე, კლასთა ურთიერთობაზე.

ანდაზები, მოსწრებული სიტყვები და ფრთიანი ფრაზები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან; ისინი სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა სოციალური ფენების იდეალებსა და მისწრაფებებს გამოისახავენ, მაგრამ ანდაზებში ყველაზე მეტად ინახება ხალხის ისტორიული გამოცდილება და დაჯერებუბა. ამიტომ ისინი ზშირად ენათესავენბიან ერთმანეთს როგორც ფორმით, ისე შინაარსით. გამოცემლობას ამ შესანიშნავი წიგნისათვის უნდა დართო წინასიტყვაობა. ამის საკითრებია აუცალბებლად ივრანობა.

წინასიტყვაობაში უნდა გაშუქებულიყო ანდაზების ფორმა, პოეტური თავისებურება, ანდაზებისა სოციალურ-აღმშრდელიობითი ფუნქცია და სხვ.

რედაქტორი თავის შენიშვნებში წერს: „ამ გამოცემაში შევეცადეთ ავაცილებინა ის ნაკლი, რაც აღრიხდულ გამოცემებს ახასიათებს, სახელდობრ: წინა გამოცემებში ზშირად არის განმეორებული ერთი და იგივე ანდაზა სხვადასხვა ანდაზზე, საკმაო ადგილი უქარავს სრულიად უშინაშენელო და ზოგჯერ ბუნდოვან და უაზრო თქმებესაც კი, ბევრი ანდაზაც იდეოლოგიურად მიუღებელია“.

ამ მიმართულებით მართლაც სერიოზული მუშაობა იმის ნატარებულთ, მაგრამ წიგნში მაინც შეინიშნება ერთნაირი შინაარსის ანდაზების განმეორება, მაინც გვხვდება უაზრო და ბუნდოვანი გამოთქმები.

საჭირო იყო ამ წიგნს დართოდა ლექსიკონი, რომელიც შეიხვედრს ვანუმარტავდა ზოგიერთი უცნობი ან ნაკლებად ვავრცელებული სიტყვის შინაარსსა და მის მნიშვნელობას.

მაგალითისათვის მოვიტარათ რამდენიმე ანდაზა:

„ადრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო“; „ადგომასი კეტი უნდა, დაჯდომასი ბოწყინტიო“; „ავ მუხობელს ცეცხლიც სოიქველი ევონო“; „აილე აჯას ჰქეია, მოიტანე—ქონებასო“; „არ ძალექს ზესა ზენეშისა ტქბოლთა ნაყოფთა მოსხმაო“; „დაადარე მსხალი პანტას, მალანი — მავალოსა“; „თუ ასატურას მომეცდო, მამ რადას მალადინებდო“; „ჯანდაგი ვირი, თავგებთან ვირი“ და სხვ. ანალოგიური მავალითების მოყვანა კიდევ შეიძლება. აქ დასახელებულ ანდაზებში ზაზგასმული სიტყვები, ვფიქრობთ, შეიხვედრთა უმრავლესობისათვის ვაუგებარია.

ამ ნაკლის თავიდან აცილებად უთუოდ შეიძლება, ამით წიგნი ბევრად მოიგებდა და ვადვილებოდა კიდევ მისი გამოყენება. ზოგიერთი ძნელად ვასაგები ანდაზისათვის კრებულში დარ-

თულია ვანმარტება. მავალითად, „ავხედოე ცის შეხებდაც, დავხედაც — მიწისო (ე. ი. ანალოგი მავალითა)“. მაგრამ წიგნში ბევრნი უტყუო ანდაზა, რომელთა აზრი, შინაარსი, შირიად მწველად ვასაგები შეიხვედრისათვის. მავალითად: „ადე, დამარუნდი წისქვილო, დაჯვრდი შენს ქონებას“; „გლახა, გლახას მისღედაც, ეგება ფარტირი დავარდესო“; „კარგისა ვიდეა ძვირად სჯობს, ზედ ვამოღება სართისა“; „ვარდისა ვაცივნებო, ბელბელსა სრულად შეშლისო“; „ვინც იცემა ტაბლის ნამერტუთი ძლებოდენ, ყოლე რჩებოდენ, მის ნასურალსა ვერა ევამ, ვინდ სუნიც დამეღეოდენ“, „ვისაც აზრი მოკლე აქვს, მას ყურები ვშორება“ და სხვ.

რა თქმა უნდა, ამ ანდაზებს ესპირობობდა ვანმარტება. მართალია, ანდაზა გულისხმობს დავიკრების, დავიქრებას, მაგრამ თუ ამის შემდეგაც მიუგნებელია ძირითადი აზრი, მაშინ ანდაზა კვარავს თავის მნიშვნელობას.

ერთი საინტერესო საკითხიც: ანდაზები ძირითადად ზალხის წიაღშია შექმნილი და ვავრცელებული, მაგრამ იმის დავიქრებაც არ შეიძლება, რომ ზოგი ანდაზა, მოსწრებული სიტყვა და ფრთიანი გამოთქმა მწიგნობრული წარმოშობისაა. ცნობილია, რომ დამწერლობითი ლიტერატურით ვარცელებდა ბევრი ანდაზა. ზეპირი ტრადიციის ვარცელებად იდეოლოგიულ იდეოლოგიაში ვაშრლობის ვხით ანდაზის შექმნა და ზალხში ფართო ვავრცელება.

მწერლების მიერ შექმნილი, ლაკონიურ ფორმაში ვადმოცემული, ბრწნული აზრი ან სენტენცია წიგნის საშუალებით იქრება ზალხში, მაშინ რაცა ზოგჯერ დავიქრებულია ამ ანდაზის ავტორი. ამის წყალობით ძნელი ვასაჩვევი ხდება, რამელი ანდაზა ზალხური და რომელი წიგნური წარმოშობისა.

ეს ვარცეობა სხეციალურ კვლევა-ძიებას მოითხოვს. საშუაბაროდ, ქართული კლასიკური ლიტერატურის წარმობადგენლები ამ თვალსაზრისით არ არიან ვერ შესწავლილი.

ამ საკითხის აქ წამოჭრა სავსებით ბუნებრივია, რადგან სარცენსიო კრებულში ძალიან ზშირად ვხვდებდა შოთა რუსთაველის, დავით ვერამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვა მწერლების ანდაზები, მოსწრებული თქმები თუ ფრთიანი ფრაზები. შეიხვედრისათვის ინტერესსოვლებული არ იქნებოდა ცოდნა იმისა, თუ რომელ ანდაზა ზალხური და რომელი მწიგნობრული. მავტარული ლიტერატურის ვხით ზალხში შესულ ანდაზებს შეიძლება კრებულში მიწეროდა ავტორის სახელი და ვვარი.

„ქართული ანდაზების“ გამოცემა მისაღმების დარსია. სასურველია შემდგომ გამოცემაში აღნიშნულ ნაკლავანებათა ვამოსწორება.

დოკ. ბიორბი სანხარაძე.



ქართული ჟურნალისტიკის ისტორია

მ. გოცაძის წიგნი დაწერილია მოსკოვის, ლენინგრადის და თბილისის ძველი საბუთთა-საცემისა და არქივების გუბლსამით შესწავლისა და კვლევა-ძიების შედეგად. ნაშრომში წარმოდგენილია ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, მოყოლებული 1819 წლიდან 1853 წლამდე.

შესავალ ნაწილში ავტორი მიმოიხილავს იმ წიგნებს, საფურნალო და საგაზეთო სტატიებს, რომლებიც ეხება ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის პირველ მონაკვეთს. მითითებულია ისეთ ლიტერატურულ წყაროებზეც კი, რომელშიც თუნდაც გაკვეთილ მიმოიხილება არაპირდაპირი მასალა მე-19 საუკუნის პერიოდულ გამოცემებსა და გამოცემულ-თანამშრომლებზე.

ავტორი მიმოიხილავს მე-18 საუკუნის რუსულ პრესას, სადაც (ჯერ კიდევ 1735 წელს) გამოქვეყნდა მასალები საქართველოს შესახებ (გამოცემის "სანატ-პეტერბურგსკიე ვედიომოსტი", № 5). ვეცნობთ სანატურგოს დოკუმენტებს საიდანაც ჩანს, რომ რუსული კულტურის მოღვაწეები დინატურგოსებზე იყვნენ საქართველოს ცხოვრებით, მისი კულტურით.

წიგნში მოტანილია ცნობები თამარ და ეკატერინე ბაგრატიონების, ბუმჟინის ნაეზობის — შილიკაშვილის, ნ. წერეთლისა და სხვათა შესახებ, რომლებიც იყვნენ რუსული პრესის პირველი ქართველი კორესპონდენტები.

საარტიკო მასალებში ნაპოვნია იოანე ბაგრატიონის მიერ 1799 წელს შედგენილი პრაქტიკური საქართველოს სახელმწიფო მართვა-გამგეობის გუბუჯობებისა, რომელიც მან წარუდგინა გიორგი XII-ს. პრეტექტის ავტორი გაზეთის დაარსების შესახებ წერს: „აგრეთვე იბეჭდებოდნენ გაზეთი თვეში ორჯერ...“, ამის საფუძველზე წიგნის ავტორი ფიქრობს, რომ 1799 წლამდე საქართველოში გაზეთი არ გამოდიოდა, რადგან წინამდებარე შემთხვევაში ი. ბაგრატიონი ილაპარაკებდა გაზეთის აღდგენაზე, ვ ა ნ ა ხ ე ბ ა ზ ე რ.

„საქართველოს გაზეთი“ 1819 წლის 8 მარტს გამოვიდა. 1820 წ. კი მის „ქართული გაზეთი“ ეწოდა. მკვლევარს მიმოიხილავს 1819 წლის მთლიანი კომპლექტი. 1820 წლის №№ 20, 40, 46, ზოლი 1821 წლის №№ 12, 36 და 37, ე. ი. ხველა ნომერი, რომელიც კი გერაჯერობით აღმოჩენილია.

წიგნში დამასიათებული დე გარკვეულია პირველი ქართული გაზეთის რედაქცია, გამომცემლობა, სტამბა, ცენზურა, გაზეთის გამოწერის წესი, ფასი, პონორარის საკითხი, ზელმოწერათა

რედაქცია, გაზეთის გამოსვლის დღეები, კორესპონდენტები, გაზეთის მიზანი, პროგრამა, გამოქვეყნებული მასალების შინაარსი და სხვ. ამიერიდან ცხადი ხდება, რომ ეს გაზეთი ყოფილა ოფიციალი, რომელშიც ადგილობრივი მასალებიც უხვად იბეჭდებოდა. პირველი ქართული გაზეთი, რომელიც ძირითადად ადგილობრივი მასალით საზრდოობდა, დიდ შესაძლებლობას იძლევა მე-19 საუკუნის პირველი ორი ათეული წლების საქართველოს შესასწავლად. დინატურგოსებზე პირი გაზეთში იპოვის სათანადო მასალებს განათლების, სკოლების, მწერლობის, ელსაბირივი ურიეფიოზობის, ლიტერატურისა, ზელოვნებისა და სხვათა შესახებ. მდიდარადაა წარმოდგენილი რუსეთის ისტორია, მასალები 1812 წლის სამამულო ომის, კულტურის, მონინისა და პოეტარსკის შესახებ, მოთავსებულია ნარკვევები თბილისის მეურნეობის შესახებ და სხვა. ყოველივე ამის გამო ქართული საზოგადოება დიდად უფრადღებოთ ეკიდებოდა გაზეთს და არ შეიძლება არ გავიხიაროთ ის შეფასება, რომელიც მისცა თავის წიგნში მ. გოცაძემ ამ გაზეთს.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საქმეში განსაკუთრებული ადგილი ექორავს მეორე ქართულ გაზეთს, რომელსაც ეწოდებოდა „ტფილისის უწყებანი“. ეს გაზეთი გამოვიდა 1828 წელს და იარსება 1832 წლამდე. ქართულ ენაზე გამოსაცემად მაშინ გარკვეული პირობები არსებობდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ მეფის ნიუნეონებზე ცდილობდნენ მხოლოდ რუსული ოფიციალი გამოეტათ საქართველოში. მაგრამ თუ ქართული გაზეთის პირველი სამი ნომერი წარმოადგენდა რუსული გაზეთის ასლს, შემდეგ განსაკუთრებით 1829 წლიდან, გაზეთში ორიგინალური მასალებიც იბეჭდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთი დროდარყო იხერებოდა, მან მაინც იარსება 1832 წლის სექტემბრამდე და დიდი სამსახური გაუწია მშობლიური კულტურის განვითარებას. გაზეთში პირველად აქცნო მკითხველებს პეტჟინის, გრიბოედოვის, დეკარისტების — ლეზორეკოვის, ბესტუევე-მარლინსკის და სხვათა სახელები, ამასთანავე ზოგი მთავანის ლიტერატურული ნაშრომების თარგმანები მოათავსა.

საარტიკოში წიგნში განხილულია „ტფილისი-კიე ვედიომოსტი“, „ტფილისის უწყებანი“, აგრეთვე იმსანად თბილისში გამოქვეყნებული ფარსული, თათრული გაზეთები, სტამბის ისტორია და სხვ. ავტორი არკვევს გაზეთების გამომცემლობა, რედაქციათა და სტამბების მუშაობა ვინაობას. იმდროინდელი საქართველოს კულტურული ცხოვრების შესასწავლად ეს მასალა დრიადენიშენელოვანია.

მ. გოცაძე, „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“. 1. რედაქტორი დ. ვამეზარაძე-შვილი. სტალინის სახელობის თბილ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა.

აღსანიშნავია, რომ ავტორმა გამოიტანა გაზეთში მოთავსებული დსევდონიშები და კრიტიკონიშები, გამოარკვია კორესპონდენტთა ვინაობა, მიუთითა იმ პირებზე, რომლებიც ინიციალებით არის წარმოდგენილი ქართულ გაზეთში.

წიგნში დანერგულით არის განიხილული ვახუშტის ჯერჯერობით აღმოჩენილი ნიმუშების, აგრეთვე დამატების („სალიტერატურონი ნაწილი“) შინაარსი, სიდიანაც ჩანს, რომ ეს გაზეთი ეწეოდა რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის პროპაგანდას. ვახუშთმა სიუჟეტურა მიაპოვა იმდენად, რომდენდაც მან ამჟამად საქართველოს კულტურული ძალები, დუალობა ქართველებს მოწინავე რუსი მწერლები, ნიდაგვი შეუმავდა პირველი ქართული ეტრნალის („სალიტერატურონი ნაწილი ტფილისის უწყებათანი“) დაარსებას და სხვ.

წიგნის მეხუთე თავში განხილულია პირველი ქართული ეტრნალი, რომელიც გამოვიდა 1832 წელს და ეწოდებოდა „ლოდაშვილის ეტრნალი“. „სალიტერატურონი ნაწილი ტფილისის უწყებათანი“ ერთბაშად რადი იქნა გამოცემული. მისი გამოცემა დიდი ხნით ადრე შეაზნაღეს სოლ. დოდაშვილმა, ა. კავკაჟაძემ და სხვა მოღვაწეებმა. რომ ეს ასეა, ირკვევა სათარაო მასალებიდან და მრავალი საარქივო დოკუმენტიდან. პირველად ეტრნალი არ ყოფილა დამოუკიდებელი გამოცემა. იგი ითვლებოდა გაზეთის „ტფილისის უწყებათანი“ ლიტერატურულ განყოფილებად, სულ გამოიცა 5 ნომერი (ინახება საქ. ცენტრალურ საისტორიო არქივში).

ეტრნალი მიზნად ისახავდა მშობლიური ენისა და სიტყვიერების გაძლიერებას, ხალხის სამსახურს. „ეგის გამდიდრებისათვის, მამულის დიდებისათვის და განათლებისათვის“ მოწოდებულმა ეტრნალმა თავის ფურცლებზე ფართო ადგილი დაუთმო პროზას, პოეზიას, კრიტიკას და ვ. წ. ნარეკს. ეტრნალი იყენებდა ქართულ ხელნაწერ მტლებს, მთ შორის „ქართლის ცხოვრებას“, დ. ბაგრატიონის „ისტორიას“, პეშინის ნაწერებს, რუსულ ეტრნალ-გაზეთებში დაბეჭდილ მასალას, ზემირგადმოცემებს და სხვ. გარდა სოლ. დოდაშვილისა, ეტრნალში მონაწილეობდნენ: გ. ერისთავი, დ. მაჩაბელი, გ. ი. ერისთავი, ს. ჩახაძე, ა. ორბელიანი, სტ. დოდაშვილი, თ. გურამიშვილი. ამ მოღვაწეთა ინიციალებით სარეცეზობა წიგნში გახსნილია და ბევრი შეცდომა, რაც აქამდე დაშვებული იყო, გასწორებულია. მაგალითად, ლექსი „მოთვარეს“ ხელს აწერს „ა“. იგი აღქმანდრე კავკაჟაძის ეგონა. იმეამდე დამტკიცდა, რომ „მოთვარეს“ ავტორი არის ა. ორბელიანი.

ეტრნალში მედიანა მასალა წარმოდგენილი იმდროინდელი საქართველოს შესახებ. ამავე დროს, ეტრნალი ქადაგებს რუსული მოწინავე კულტურის დანერგვას საქართველოში. რედაქტორი აღტაცებულია „როსიელი“ წარმატებებით „სწავლათა შინა“. ეტრნალის თანმშრომ. 11. „შნათობი“ № 6.

ლებს აშკარად ეტყობათ ლომონოსოვის, პეშინის, კარაშინის, რილევის და სხვათა გეგმონს. ეტრნალში პეტრებურგი აღიარებულია წმინდა ადგილად, სადაც „საყვარელი შემამულენი ჩვენი იმკან განათლებათა და მდიდრდებან ცნობათ მიერა“, (ეტრნალის 1832 წლის № 2).

წიგნის ავტორი ვეაწედის აქამდე უცნობ და საინტერესო ცნობებს 1830 — 1844 წლებში ქართული ეტრნალ-გაზეთების გამოცემის ცდის შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც ამჟამად ირკვევა, მიწინა ქართველი ქალბერი აქტიურად იყენებ ჩაბმულნი საზოგადო მოღვაწეობის ფერხულში. ასე მაგალითად, „გამოცხადების“ ხელმძღვრთა 27 პირიდან სამი ქალია.

1832 წლიდან, ვიდრე 1845 წლამდე საქართველოში არც ერთი პერიოდული გამოცემა არ არსებობდა. ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს თბილისის გიმნაზიის მოწაფეთა ხელნაწერი ეტრნალი, რომელიც 1833 წელს გამოვიდა და რომლის მოთავე ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო. ამიტომ სწორად მოიქცა სარეცეზობი წიგნის ავტორი, როცა ნაშრომში ვრცლად განიხილა თბილისის გიმნაზიის ისტორია, ვაარკვია მოსწავლეთა და მასწავლებლეთა ვინაობა და დეტალურად დაახასიათა მოწაფეთა ხელნაწერი ეტრნალი.

1833 წელს (და არა 1834 წელს, როგორც დღემდის ეგონათ) გამოუციათ ხელნაწერი აღმანაბი (იხ. საქ. მუზეუმში, ფონდი H, ხელ. № 2684). გარდა მოწაფეებისა (ნ. ბარათაშვილი, მ. თუმანიშვილი, დ. მაჩაბელი), ამ აღმანაბნი მოთავსებულია შ. რუსთაველის, გ. ორბელიანის, გ. დ. ერისთავის, ალ. ორბელიანისა და დ. ყვარღანიშვილის ნაწარმოებები.

1835 წელს გამოუციათ ხელნაწერი ეტრნალი — „თბილისის გიმნაზიის ვეაწეა“, რომლის მე-4 ნომერი ამ ბოლო დროს იქნა აღმოჩენილი. სულ გამოვიდა 5 ნომერი, რომელთაგან სამი ნომერი (2, 3 და 5) კარგად არის შემონახული, ზოლო პირველი და მეოთხე (ტანსაცუობით მეოთხე) დაზიანებულია.

დიდი წინასწარი მოშალების შემდეგ, 1845 წელს, გამოვიდა გაზეთი „კავკასიის შხარეთა უწყებათი“. მან იარება 1846 წლის 1 ივლისამდე (და არა 1845 წლის განმავლობაში, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია). გაზეთი წარმოადგენდა „ზაკავკასიელი ვესტნიკის“ ისლს. რედაქცია, სტამბა, გამომცემლობა საერთო იყო როგორც ქართული, ისე თათრული გაზეთებისათვის. „ზაკავკასიელი ვესტნიკის“ რედაქტორი იყო პლ. იოსელიანი. რუსული გაზეთის პარალელურად იგი ქართულ გაზეთსაც რედაქტორობდა. აქ მოთავსებულია ცნობები პეტრაგოვის აჯანყების შესახებ, საქართველოს ისტორიაზე, „ვეფხისტყაოსანზე“, ვახტანგ VI-ზე, ვიოგრა სააკაძეზე და სხვ.

მართალია, ჯერჯერობით აღმოჩენილია ქართული გაზეთის მხოლოდ პირველი და მეოთხემეტე ნომერი, მაგრამ, რადგან ხელთა გვაქვს

„საჯავახსკი ვესტნიკის“ 1845 — 1846 წლების სრული კომპლექტი (საჯავახისის მხარეთა უწყებანი“ კი უმნიშვნელო ცვლილებით მის თარგმანს წარმოადგენდა) და სხვა საარქივო მასალები შეგვიძლია მიხატოვებით გავარკვიოთ ქართული გაზეთის წინაპარსი.

წიგნში განხილულია აგრეთვე ჟურნალი „ცისკარის“ (1852 — 1853) აღმოცენების, ბეჭდვის, სტაჰმის ისტორია და თვით ჟურნალში მოთავსებული მასალა.

ჟურნალი „ცისკარი“ ყველა წინანდელ ჟურნალ-გაზეთზე მაღლა იდგა. „ცისკარის“ გამოცემზე განსაკუთრებით ზრუნავდნენ ვ. აბაშელიანი,

დ. ყიფიანი, ხოლო მანანა ორბელიანი. თავისი ცნობილი სალონით ხელს უწყობდა მისი წინაპარსი. ჟურნალის ფუძემდებელი იყო ვ. აბაშელიანი. გ. ერისთავმა ქართულ ჟურნალისტტიკას დიდი ამაგი დასდო. ამ დროისათვის თბილისში ათამდე სტამბა იყო, მათ შორის ვ. ერისთავის სტამბა. დოქ. მ. გოციაძის ნაშრომი დაფუძნებულია ფართო ფაქტობრივ და ისტორიულ მასალაზე. ამ წიგნის გამოცემა დადებითი მოვლენაა. იგი კარგ დახმარებას გაუწევს ქართული ჟურნალისტტიკის ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს.

3. გოგოლაძე

ნაშრომი ქართული ენისა და ლიტერატურის
სწავლების საკითხებზე

ამ ბოლო ხანებში ქართული პედაგოგიკური და მეთოდიკური ლიტერატურა გამდიდრდა საყურადღებო მეცნიერული შრომებით, სადაც გაშუქებულია სკოლაში მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები.

პრ. კეკელიძის ნაშრომში დასმულია ქართული ენის სწავლების ძირითადი ამოცანები, გარკვეულაა ლიტერატურის ცალკეული საკითხები და ნაჩვენებია პარტიის წარმმართველი როლი ლიტერატურის განვითარების საქმეში.

წიგნში ერცელადაა განხილული ილია ჭავჭავაძის პრინციპული ბრძოლა ანტონ კათალიკოსისა და მისი მიმდევრების მადალფარდოვანი სტილის წინააღმდეგ. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ილიას ორთოგრაფიული რეფორმა შეესაბამებოდა ახალი ქართული ლიტერატურული ენის ბუნებრივ განვითარებას. ნაშრომში აგრეთვე დახასიათებულია ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებაში აკაკი წერეთლის ლეაქმი. აკაკი შეუდარებლად იბრძოდა ქართულ ენაში არქაული სტილისა და ტერიტორიული დიალექტების გამატონების წინააღმდეგ. იგი თავის უაღრეს ნაწარმოებებს ქმნიდა „სახალხო ენით და არა დარბაისლურით“. ავტორი შემდეგ ებება იაკობ გოგებაშვილის თანამიმდევრულ ბრძოლას „მაღალი სტილის“, ენის არქაიზმებით დამძიმების, კუთხური მეტყველებისა და სოციალური ფარგონის გამატონების ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ.

საშუალო სკოლის უფროს კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამის საფუძველზე გარკვეულად ცოდნა უნდა მიეცეს მოსწავლეებს „მამია“ და „შელოთა“ შორის გამარ-

თული ბრძოლის შესახებ. ამიტომ ეს საკითხი წიგნში გაშუქებულია სათანადო სიღრმით.

ქველსა და ახალ თაობას შორის წარმოებული ბრძოლა, რომელმაც შწივად ხასიათი მიიღო სამოციან წლებში „საქართველოს მოამბის“ გამოცემის შემდეგ, დედოფანის სიწმინდის, სიფაქიზისა და ქართულობის დასაცავად“ მიმდინარეობდა. პ. კეკელიძის წიგნი ამ საკითხის ვასაშუქებლად მდიდარ მასალას იძლევა, რაც მსწავლეებელთათვის საჭირო და სასარგებლოა.

ნაშრომის ღირსებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ საბჭოთა სკოლაში მშობლიური ენის სისწავლო-აღმზრდელაობითი როლი და მნიშვნელობა სწორადაა ნაჩვენები და სათანადოდ დასაბუთებული. ლენინისა და სტალინის ფუძემდებელი დებულებებით, ამასთან ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, ნ. ნიკოლაძის, კ. უშინსკის შრომებიდან სათანადო ადგილებს ციტირებით და მკაცრებლად არის გარკვეული, რომ დედოფან სწავლების საფუძველია, მოსწავლე „მშობლიურ ჭებქედან იწივს სულიერ ცხოვრებასა და ძალას“ (კ. უშინსკი), სკოლა „დედა-ენაზე უნდა იყოს დაფუძნებული; დედა-ენით უნდა საზრდობოდეს, მით უნდა ვითარდებოდეს, მით უნდა ხარობდეს. დედა-ენა სული სკოლისა“ (ი. გოგებაშვილი); ავტორი სწორად შენიშნავს, რომ მდიდარი ქართული ენა თავის უფლებებში მხოლოდ დიდმა ოკტომბრის რევოლუციამ, საბჭოთა სკოლისფუძვლებამ, კომუნისტურმა პარტიამ აღადგინეს.

ავტორის მოაქვავს დიდი რუსი ხალხის გამოიყენილი შწერლების ა. პუშკინის, ლევ ტოლსტოის, ი. ტურგენივის, მაქსიმ გორკის აზრები მდიდარი და მრავალფეროვანი რუსული ენის შესახებ. აქვე წარმოდგენილია ილია ჭავჭავაძის და ი. გოგებაშვილის შეხედულებები რუსული ენის შესწავლის უდიდეს მნიშვნელობაზე.

იაკობ გოგებაშვილი ამბობდა, რომ რუსული ენა „სახლთა შორის ენის წარმოადგენს“, და

პრ. კეკელიძე. „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები საშუალო სკოლაში ი. ბ. სტალინის მოძღვრების შუქზე“. საქ. სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემა.

მოითითებდა „ჩვენებური გლეზი და მუშა გრძობის, რომ რუსული ენის ცოდნა გამოიყვანს ეიწრო კალაპოტიდან, სარბიელს გუფართოვებს, სხვა ჭალბებთან დაახლოვებოს“.

ქართული ენის დიდი რეფორმატორი ილია ჭავჭავაძე რუსული ენის შესახებ გარკვევით წერდა: „ეკი ფარ-ხაიალა დღეს ჩვენთვის ყველაფერში და ყველგან, რაკი შინიდან გარეთ ფეხს გამოკლავთო“.

ნაშრომში საკმაო სიუხვადით არის გაკაცული „სვლამ-ასრული იმპერიალისტების სამსახურში შვიდი უხადრეკა „ლინგვისტი — თეორეტიკოსები“ პოღვა ნაციონალური ენების მოსპობის-უკიდვლობაზე და ნაჩვენებია მათი გვეგების სიჯე და ვანწირბულება.

ავტორი, აღძრავს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიანენ ენაზე ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი. შრომის ეს ნაწილი განსაკუთრებული ინტერესით იკითხება.

საინტერესოა შრომის ის ნაწილი, სადაც აღწესებული განსხვავებანი „აკაკი უჩაღის“ ადრინდელ ზღნაწერთა და ბეჭდურ რედაქციებს შორის. ეს განსხვავებანი იმაზე მეტყველებენ, რომ ილია არაერთხელ „ასწონიდა და გაზომავდა ზოლ-მე ყოველ სიტყვას“.

გრ. ყიფშიძე აღნიშნავდა, რომ ილია ჭავჭავაძემ თავისი „ოთხთაანთ ქერივა“ რამდენიმეჯერ გადაწერა საკუთარი ხელით და „ყოველი ვაღა-თეობების დროს ასწორებდა თითოეულ ფრაზას, თითოეულ გამოთქმას, სწონავდა და ზომავდა თითოეულ სიტყვის ძალასა და შნიშვნელობას“. ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთო-ლებზე ამ მაგალითების მოყვანას გარკვეული აღმზრდელითი შნიშვნელობა აქვს.

მხატვრული ნაწარმოების ენის შესწავლა აქტუალური საკითხია. მასწავლებლობის ამ მხრი-ვეც უნდა ვაეწიოს მეთოდური დახმარება.

პ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ სწავლების პროცესში საჭიროა პოეტურ ნაწარმოებებში ტროპებისა და ფიგურების რაოდენობის არა კანონ-ტაბეცია, არამედ მათი შესწავლა თემატიკის, საბეების, ნაწარმოების იდეური შინაარსის შესწავლისთან დაკავშირებით. დღემდის ლიტერატურული პროცესებისა და ცალკეული მხატვრული ნაწარმოებების (მოთხრობების, რომანის,

ლექსების, პოემების) სწავლება მთელ რიგ სკო-ლებში არადაამკაყოფილებლად მხატვრულ-მელო-დრამატული მასწავლებელი მხატვრული ნაწარ-მოების საზოგადოებრივი მოვლენების კონკრეტულ-ისტორიული პირობების გაუთვალისწინებ-ლად ასწავლიდა. ამასთან, მხატვრული ნაწარ-მოების იდეურ-მხატვრული ღირებულების ანა-ლიზი ყველა სკოლაში როდი იდგა სათანადო სიმაღლეზე.

ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მხატვრულ ნაწარმოებათა დიდი შექცევითი და აღ-მზრდელითი ფუნქციების სწორად გამოსაყ-ნებლად გარკვეული შიითობების მოცეკ-უთოედ შნიშვნელოვანი პრაქტიკული დახმარე-ბის აღმოჩენა იქნებოდა სკოლისათვის, მასწავ-ლებლისათვის.

ნაშრომში ამ მხრივ საკითხები სწორად არის დაყენებული და, ამასთან ერთად, გადმოცემუ-ლია სკოლაში ჩასატარებელი მუშაობის სახეები.

თანამიმდევრულად არის განხილული მსოფ-ლიოში ყველაზე იდეური, ყველაზე მოწინავე ლიტერატურის — საბჭოთა ლიტერატურის სუე-ტეხოსი ნაწარმოებების სწავლების საფუძვლები.

პ. კეკელიძის ნაშრომა თეორიული ხასიათისაა. ყველა საკითხი მეცნიერულად სწორად, მასწავ-ლებელთათვის გასაგებდ არის გადაწყვეტილი და, ამდენად, იგი ფრიალ სასარგებლო წიგნია. მაგრამ, ამასთან ერთად, უნდა ითქვას, რომ კარ-გი იქნებოდა ავტორს მოეცა სასკოლო პრაქტი-კიდან აღებული კონკრეტული მაგალითების გან-ზოგადება, ეხევენებინა ამა თუ იმ ნაწარმოების დეტალურად დამუშავების სახეები ცალკეულ კლასების მიხედვით.

ეს კონკრეტული მაგალითები, ვეფქობით, გაამდიდრება წიგნი.

არ შეიძლება არ შევნიშნათ ისიც, რომ ნაშრომში უფრო სრულად და ღრმად არის მოცე-მული ქართული ენის სწავლების საკითხები, ეიდრე ქართული ლიტერატურისა. სა-სურველი კი იყო, ქართული ლიტერატურის სწავლების საკითხები ერცლად ყოფილიყო გან-ხილული.

პ. კეკელიძის წიგნი უთოედ დახმარებას გაუ-წევს მასწავლებლობას ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეში.

არჩილ ჩაჩიბაიძე

ნარკვევები ქართული ხალხის რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიის მეცნიერულად შესწავლას უადრე-

სად დიდი შნიშვნელობა აქვს. საბჭოთა ისტო-რიულ მეცნიერებს ამ დარგში სერიოზული მიღწევები აქვს. გამოცემულია არა ერთი მონოგრაფია და კოლექტორი ნაშრომი, სადაც ნათლად და მეცნიერული სიზუსტით არის წარ-მიდგენილი ოქტომბრის რევოლუციის თითქმის ყოველი ეტაპი, სამწუხაროდ, ქართული ისტო-

აკაკი სურგულაძე, ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1917 — 1921 წ. წ.). სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა. 1954.

რეკონსტრუქციის ნაკლებ ურთიერებას აქცევდნენ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამ მტკაღმნიშვნელოვან პერიოდს. ქართულ ისტორიულ მემკვიდრეობას დღემდე არ მივატოვებთ სერიოზული შეცნობილი ნაშრომით, რომელშიც დამუშავებული და გაშუქებული ყოფილიყოს 1917—1921 წლების საქართველოს ისტორია.

დოქ. აკ. სურგულაძის ნაშრომი მეთხველს სამუშაოებს აძლევს გაცნობის იმ თავდადებულ ბრძოლებს, რომლებსაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ქართველი ხალხი, სხვა ეროვნების მშრომელებთან ერთად, ეწეოდა ცარიზმის, შემამულურბურჟუაზული წყობილების, დროებითი მთავრობისა და ქართველი მენშევიკების სისხლიანი დიქტატურის წინააღმდეგ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

საქართველო, რომელიც ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით იმ დროს ჩამორჩენილი იყო, მენშევიკების აღკრახსნილი პარტიის შედეგად სამურწნეო კატასტროფის წინაშე აღმონდა. გაუარესდა მშრომელთა ცხოვრების პირობები, მასობრივი ხასიათი მიიღო უმუშევრობამ. ბოლშევიკები განუმარტადნენ მუშებს მათი სიღებჭირის ნამდვილ მიზეზებს და მოეწოდებდნენ მენშევიკების დიქტატურის დამხობისაკენ. მენშევიკური მთავრობა ხედავდა, რომ მის ბატონობას საფუძველი ეცლებოდა, ამიტომ იწყებდა გერმანიულ, თურქ, ინგლისულ და ამერიკულ ოცუპანტებს. დასავლეთის იმპერიალიზმებზე დაფრანდობით მენშევიკური მთავრობა ცდილობდა „რევოლუციური პარტიის ჩამოშობას საქართველოში და თავის დიქტატურის განმტკიცებას“ (გვ. 218).

აკ. სურგულაძის შრომაში ყარგად არის ნაჩვენები ხალხთა მასების როლი სოციალისტური რევოლუციის მომზადების საქმეში. მდიდარი საარტიკო მასალის გამოყენებით ავტორი ნათელყოფს, რომ კომუნისტურმა პარტიამ იხსნა ჩვენი ქვეყანა ეროვნული კატასტროფისაგან, გამოიყვანა იგი ნახევარკოლონიური ქვეყნის მდგომარეობიდან და ისტორიაში ჯერ არჩახული სოციალისტური გარდაქმნის ფართო გზაზე დააყენა.

მოუხედავად მთელი რიგი ღირსებებისა, სარეკენიზო შრომის გაანინა ცალკეული ნაკლოვანებანი.

ნაშრომის 8—25 გვერდებზე აკ. სურგულაძე ცდილობს ვადმოსცეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორია უძველესი დროიდან მე-20 საუკუნემდე. მაგრამ ავტორი ემაყოფილებდა მხოლოდ ზოგადი მიმოხილვით. შრომის ამ ნაწილში ვხვდებით ბენდოვან ადგილებს, აზრთა დაბრისპირებას და დასახუტებულ მონაზრებებს.

მე-11—12 საუკუნეებში რუს და ქართველ ხალხებს შორის არსებული ურთიერთობის და-

სადასტურებლად ავტორი მიუთითებს. ისეთ ფაქტებზე, როგორცაა კიევის მთავრობის მხარისგან ვის მიერ ქართველი მეფის დემეტრე II-ის შვილის ცოლად შერთვა, თამარ მეფისათვის სპარსილ რუსი უფლისწულის შერთვა და ა. შ. ჩვენი აზრით, სამეფო ოჯახებს შორის ქორწინების ფაქტი საქმარისი არ არის, რომ იგი ხალხებს შორის არსებული ურთიერთობის დამადასტურებელ მაგალითად გამოდგეს. დასახუტებულმა ავტორმა ნაშრომის მე-10 გვერდზე წამყენებული დებულება: „რუსეთთან ურთიერთობის დამყარების პირველი ცდა იყო ვახუშტის მეფის ლევანის შეთანხმება ივანე 4-სთან, რომელმაც ლევანს მთარგელობა იცხარა და მას მეყოფნე ჯარიც აძლავდა“. ჯერჯერობა, ავტორი აქ წინააღმდეგობაშია მე-9 გვერდზე მის მიერვე მოტანილ მაგალითთან, რომელიც მიუთითებს მე-12 საუკუნეში საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის არსებობაზე. მეორე, მე-16 საუკუნის ბოლოსათვის კახეთს მეფის ლევანის შეთანხმება ივანე მეოთხესთან რუსეთთან ურთიერთობის დამყარების პირველი ცდა კი არ იყო, როგორც ეს ავტორს ჰგონია (ასეთი ურთიერთობა დიდი ხნით ადრე არსებობდა), არამედ იგი რუსეთის მთარგელობაში საქართველოს შესვლის პირველ ცდას წარმოადგენდა. აქვე, შესავალში, მე-11 გვერდზე უადგილოდა დამოწმებული კიტატი საქემირო კომუნისტურმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეხისებიდან რუსეთთან უკრახინის შეერთების 300 წლისთავის შესახებ. უმჯობესი იყო, ეს თეხისები ავტორის მიყენებინა საქართველოს სინამდვილიდან აღებული ფაქტებისათვის.

წიგნის პირველ თავში — 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის საქართველოში“ ავტორის რუსეთში არსებული საერთო მდგომარეობის ფონზე ფართოდ უნდა დაგვსათავებინა რევოლუციის წინა პერიოდის საქართველოს სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა და დემტკიცებინა, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისათვის რუსეთის მსგავსად საქართველოშიც არსებობდა ობიექტური პირობები.

ნაშრომის მეორე თავში, სადაც ლაპარაკია თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ სოციალისტური რევოლუციისათვის პოლიტიკური არმიის შექმნის შესახებ, ავტორი ასეთ შეუხაბამო დასკვნას იყვანს: ამიტომაც, საქორა პოლიტიკურ არმიას მისცე შეხვეწების პერიოდი, როცა იგი გათვითანობიერებას შესაძლებს, ბოლშევიკური ლოზუნების სიმართლეს მტკიცედ დარწმუნდება და ამ ლოზუნებს დროშიც გაიხდის“ (გვ. 63—64).

ცნობილია, რომ სოციალისტური რევოლუციისათვის პოლიტიკური არმიის შექმნა შეუძლებელია, თუ მასებში საკუთარი გამოცდილებით არ არიან დარწმუნებული პარტიის ლოზუნების

სისწორეში, მისი პოლიტიკის სისწორეში. „ასეთ არმიას, — გვაწყვილეს ი. სტალინი, — ბოლშევიკები მხოლოდ ქმნიდნენ (და, ბოლო, კიდევ შექმნეს იგი 1917 წლის ოქტომბრისათვის) კლასთა ბრძოლას და შეტაკებების მსველეობაში 1917 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე“. (ი. სტალინი. თხზულ., ტომი 6, გვ. 435). ამრიგად, პოლიტიკური არმია ბრძოლების მსველეობაში იქმნებოდა და არაიყო „შესვენების პერიოდი“ მას არა ჰქონია.

შესასწორებელია აგრეთვე მოსახრება, თითქოს „ივლისის დემონსტრაცია უკვე წარმოადგენდა სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის საბრძოლო ძალების დათვლიერებას“ (გვ. 63). ივლისის დემონსტრაცია არ შეიძლება ყოფილიყო პროლეტარული რევოლუციის პოლიტიკური არმიის საბრძოლო ძალების დათვლიერება, რამდენადაც ამ პერიოდში ბოლშევიკური პარტია მხოლოდ იბრძოდა ასეთი არმიის შექმნისათვის.

32-ე გვერდზე ავტორი წერს: „მარქსისტულ ლენინური მოძღვრება გვაწყვილეს, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ომები გარდუვალაა, ხოლო კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიის — იმპერიალიზმის ეპოქაში, როცა კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისი შეიძლება, ომები არა მარტო გარდუვალაა, არამედ აუცილებელი ზღვანაა და მსოფლიო ხასიათს იღებენ“. აქ საჭიროა შეტი სიზუსტე. იმპერიალიზმის ეპოქაში ომები გარდუვალა და აუცილებელია თვით კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, ხოლო სოციალისტურებსა და იმპერიალიზმის ბანაკებს შორის ომები სრულყოფილად არ არის გარდუვალა, სწორედ ამიტომაც საეხებო შესაძლებელი სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების მშვიდობიანი თანარსებობაა.

შრომის დასკვნათს ნაწილში ავტორი ლაპარაკობს საბჭოთა საზოგადოების შამორბეველ ძალებზე, როგორც ჩვენი ქვეყნის გამარჯვებულა აუცილებელ პირობაზე, და წერს: „იმ გამარჯვებულა უმრეტე წყაროა საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ხალხთა ურღვევი შეგობობა, მგზნებარე საბჭოთა პარტიტიზმი, სოციალისტური ქვეყნის ეს სამი ნიშანდობლივი თვისება, რომელიც ერთნაირი სიმძლავრით ელინდებოდა სოციალიზმის მშვიდობიანი მშენებლობის ყველა ეტაპზე“ (გვ. 408).

აქ უნდა შევნიშოთ, რომ ავტორის მიერ ჩამოთვლილი სოციალისტური ქვეყნის სამი ნიშანდობლივი თვისება ჩვენი საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე ერთნაირი სიმძლავრით არ შეიძლებოდა გამოვლენილიყო (მაგალითად, ნების პერიოდსა და დღის სამართლო ომის შემდგომი ხუთწლიანი ვგებების განხორციელებისათვის ბრძოლის პერიოდში), რადგან საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ხალხთა ურღვევი შეგობობა და საბჭოთა პარტიტიზმი თანდათან ჩამოყალიბდნენ ჩვენი ქვეყანაში ინდუსტრიალიზაციისა და სოფელად კო-

ლექტივიზაციის პოლიტიკის განხორციელების, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის თანმიმდევრული გატარებისა და სოციალისტური საზოგადოების აგების საფუძველზე.

ნაშრომის 59-ე გვერდზე ავტორი ეხება თებერვლის რევოლუციის შემდგომ პერიოდში გ. ლენინის ჩამოსვლას რუსეთში და წერს: „4 აპრილს თებერვლის სასახლეში იგი გამოვიდა ზელმძღვანელ პარტიული მუშაკების თამბორზე ახალი ომისა და რევოლუციის შესახებ“ (59). ვაუტრეველია, რის ველისხმობს ავტორი ახალი ომში?

ნაშრომის პირველ თავში ავ. სურგულაძე ახასიათებს მენშევიკების პოზიციის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ და წერს: „როგორ მოხდა, რომ პარტიული მენშევიკები, რომლებიც წლების განმავლობაში მუშებზე და გლეხებს ყურბს უშედადნენ თვითმპყრობელობის უქელმართობის შესახებ, რევოლუციის აუცილებლობაზე გოყვაროდნენ, იმ მომენტში, როდესაც ცარჩმა დამეზო, დაბნელობას მიეცნენ და სიურჟე აჯობინეს?“ (გვ. 42). ვერ დავითანხმებთ ავტორს, თითქოს თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ქართული მენშევიკები დაბნელობას გამო გაურბებულყვნენ. მენშევიკები დაბნელობას იმ არ მიეცნენ, არამედ შეგნებულად უღალატეს რევოლუციას და ჩადგნენ ბურჟუაზიისა და მემშეულენის სამსახურში. თვითმპყრობელობის დამშობის შესახებ ცნობის მიღების შემდეგ მენშევიკები ელოდებოდნენ შეფისნაცვლის ნიკოლოზ ნიკოლოზისძის მხარე მოსახრების გამოთქმას. მართლაც, მენშევიკები მხოლოდ მაშინ აღმარადნენ რევოლუციად, როცა ეთაბინენ მეფისნაცვლას და მოისმინეს მისი „ეთილი სურვილები“ ახალი წყობილებისა და დამუფრბელი კრების გარშემო.

ნაშრომის ერთ-ერთი ნაკლი ისიც, რომ მასში მხოლოდ ვაგრფითა ლაპარაკი იმ გმირულ ბრძოლაზე, რომლებიც ჩატარდა აქარაში, სამხრეთ-ოსეთისა და აფხაზეთში საბჭოთა ზელისუფლების გამარჯვებისათვის. ამასთანავე, სთავნალო სიღრმით არაა გამოქმებული საქართველოს ბოლშევიკების მუშაობა მენშევიკების მიერ დანერგილი შოუინისტური შუღლის აღმოსაფხვრელად ნაციონალური რაიონების შმრაშეულა შორის.

შესავლაში ნათქვამის განმეორება ნაშრომის 238 — 240 გვერდებზე მოეცემა ექსტრისი ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიის ზოგიერთი საკითხებზე.

წიგნში ვხვდებით ენობრივად გაუმართავ ადვალებს და დისაზუსტებელ ტერმინებს. ასე მაგალითად, ავტორი ზოგჯერ ხმარობს ტერმინს — „მწარმოებელი ძალები“, ზოგჯერ „საწარმოო ძალები“ (გვ. 14, 26 და სხვ.), „იარაგარკა“, — უნდა იყოს „მანარკი“ (გვ. 14); ხან წერს — „მესავატები“, ხან — „მესავატელები“ (გვ. 242, 348); ნაკლად „წარმოებთი ურთიერთობისა“

(გვ. 27, 28, 29 და სხვ.) უნდა იყოს „წარმოებითი ურთიერთობანი“. ერთგან სწერია: „მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო“, უნდა იყოს: „მუშათა და ჯარისკაცთა დემუტატების საბჭო“ (გვ. 292).
მოუხედავ-დ აღნიშნული ნაკლოვანებებისა, სა-

რეცენზია წიგნი გარკვეულ დახმარებას გთხოვს მკითხველთა ფართო საზოგადოების რეცენზიულ ხალხს რეველუციური მოძრაობის ისტორიულ შესწავლის საქმეში.

დოქ. ზამბარია შხველიძე

ქუთაისის კალაგოვიური ინსტიტუტის შრომები

ახლანდ გამოქვეყნდა ა წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ინსტიტუტის „წირობების“ მე-13 ტომი, რომელშიც წვეს ურთიერთობის იმერეთის მეცნიერული გამოკვლევები ენისა და ლიტერატურის საკითხებზე.

წიგნი იხსნება პროფ. ვ. როგავას ნაშრომით „ზოგი ქართული გვარის სუფიქსაციისათვის“. ქართული გვარსახელები სხვადასხვა აგებულებო-საა. ერთი მხრით, ვაგვარსახელებია კომპოზიტორი წარმოების გვარები შვილ, ძე ეტიკების დართით და, მეორე მხრით, სიტყვაწარმოებითი სუფიქსებით ნაწარმოები გვარები (მანაბელი, გვა-ური, ავალიანი და სხვ.) როგორც ავტორი არკვევს, ფეოდალური წყობილების დაღო ახის მვერულ გვარებს, რომელთაც დართვის ქვორ კომპონენტ: გვეგ-კარი, ვედა-კირია, პა-კორია. ეს ნიშნავს გვეგეს ყმა, ვედას ყმა, მველეს ყმა. უძველესი წარმოშობისა ჩანს ბერ სულქსიანი გვარებიც: კახაბერიძე, სულაბერიძე, გოგიბერიძე და სხვ. („ბერი“ ნიშნავდა შვილს: ვ. ა. კახას შვილი, გოგის შვილი და ა. შ.). ჯერ კიდევ ავად. ს. ჯანაშიამ გვარკვა, რომ ია, ეა სულქსებით ნაწარმოები გვარები (თოფურია, ფაღავა) იგივეა, რაც იან, ეან სულქსებით ვაფორმებული გვარსახელები: უნდა ყოფილიყო „თოფურიანი“, „ფაღავანი“ (ისევე როგორც „მარგანი“, „ჩიქვანი“). სპეციალურ ლიტერატურაში დიდი ხანია უფრადლებას იტყვის ზოგი ქართული ტომის სახელწოდებათა შედგენილობა, როგორცაა „კოლხი“, „ტაში“, „მესხი“, „ჯავახი“, ამ ფუძეებში „ბ“ ელემენტს გამოყოფენ მრავლობითის საწარმოებელ სუფიქსად (სამეცნიერო ლიტერატურაში ამ დავიერებას მიაწერენ ნ. მარს, მაგრამ გაცილებით ადრე ეს დაბუღება წამოაყენა მ. ჯანაშვილმა). გ. როგავის გამოკვლევის მიზანია, იგივე „ბ“ გამოსვლს გვარებში: კობახიძე, კობახია, სულუბია, გოგობია, კუბუხიძე, ქვანახია და სხვ. როგორც ირკვევა, ქართული ტომების გვარსახელები შედგენილობაში ერთ დროს „ბ“ სუფიქსად ყოფილა ვაგვარსახელები. ეს სუფიქსად ძველისძეობა ჩანს. აღსანიშნავია, რომ „ბ“ დართული აქვს ბერძნულიდან შეთვისებულ ადამიან-

ის სახელსაც — „პერტახია“, რაც იმის მიუყვებლად, რომ ეს სუფიქსი პოქსედი ყოფილა მასხაც, რაცა დაიწყო ბერძენი და ქართველი ტომების შეხვედრა.

ერთნაღში გამოქვეყნებულია შიხ. ალაკიძის საყურადღებო ნაშრომი ლეჩხუმური ლექსიკონი. ავტორი დიდი ხანია მუშაობს ლეჩხუმურა ლიტერატურის ლექსიკონზე და დაბეჭდილი აქვს რამდენიმე შრომა. საყურადღებო წიგნი წარმოადგენილია დღემდის სრულიად უცნობი მასალა. სულ თავმოყრილია 560 სიტყვა. ამ მასალის დიდი ნაწილი ლექსიკონიდან ლიტერატურაში არ გვეხვება, ნაწილი კი ცნობილია ლექსიკონებიდან, მაგრამ აქ განსხვავებული, დამატებითი თუ გადატანითი მნიშვნელობით არის წარმოდგენილი. ამ დიალექტში დაცული ბევრი სიტყვა მატერულ ლიტერატურაში შეიძლება იქნეს გამოყენებული.

აქვე გამოქვეყნებულია დოქ. კ. ძიწენიძის შრომა ილია ქვეყანის ენის შესახებ. ავტორის სპეციალურად შეუსწავლია ქართულ-კახური დიალექტების ფონეტიკურ-გრაფიკული თავისებურებანი, რომლებიც გამოხატულებას პოელოზენ ილია ქვეყანის მატერულ ნაწარმში. უძველია, რომ ზვენი კლასიკოსების თხზულებებში დიალექტური მასალის გამოყოფა და შესწავლა საქმით და აუცილებელია, რამდენადაც სხვა რომ არა იყოს რა, ამ მასალის გათვალისწინებით შეგვიძლია თვალი გავადვენით იმ კოდლს, რომელიც არსებობდა მე-19 საუკუნეში ლიტერატურული ენის ფორმებსა და ხალხური მეტყველების ელემენტებს შორის. ამგვარ ძიებებს მნიშვნელობა აქვს ახალი სალიტერატურო ქართულის ნორმათა დამკვიდრების ისტორიაში.

ქართული დიალექტოლოგიიდან ერთნაღში წარმოდგენილია პ. ჯავახიძის ნაშრომი, რომელშიც შესწავლილია გერული დიალექტის ზმნის თავისებურება; ირკვევა, რომ გერული კოლოს ერთ სექტორში ნაშთის სახით შემონახულია ძველი ქართული ლიტერატურული ენის ერთი ნორმა (ბოლომობითი). ეს მოვლენა უნდა მივეყენოთ იმ არქაულ ენობრივ ფენას, რომელიც დაცულია გერულ დიალექტში.

ძველი ქართულის გრამატიკულ წყობასა და ლექსიკურ შემადგენლობას ეხება ახალგაზრდა

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ინსტიტუტის შრომები, XIII, 1955.

ენათმეცნიერების დ. მიკავარიანისა და დ. გეგუძის სპეციალური გამოკვლევები.

შეტად საყურადღებოა დოც. კ. მეტეღეის ვრცელი ნაშრომი — „პეტერბურგის უნივერსიტეტში სამოციან წლებში და ქართველი სტუდენტები“. შესავალში დახასიათებულია საერთო პოლიტიკური სიტუაცია 60-იანი წლების პეტერბურგის უნივერსიტეტში, სტუდენტთა მღელვარების დასაწყისი და ამ მოძრაობაში ქართველი სტუდენტების ფართო მონაწილეობა. საპარტიო მასალებზე დაყრდნობით გამოვლენილია ყველა ქართველი სტუდენტის ვინაობა, საქმიანობა და ადგილი ინტროინდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ბრძოლებში. აქვე მოცემულია ახალი მასალები ქართველი მესამოციანელებს — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვიოჩი წერეთლის, კირილე ლორთქიფანიძისა და ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებიდან. ამ ახალი დოკუმენტური მასალის საფუძველზე ფარდა ეხდება „თერგდაღუღულთა“ ბიოგრაფიის მრავალ, დღემდის უცნობ, მხარეს. დასასრულ, მითხველის ყურადღებას იპყრობს დ. ბრეგვაძის მიერ გამოქვეყნებული „სილოვან ზუნდაძის წერილები იაკობ გოგებაშვილისადმი“. სულ დაბეჭდილია 11 წერილი, აღმოჩენილი საქსახელმწიფო მუზეუმში. თითქმის ყველა წერილში აღძრულია ქართული ენის სიწმინდისა და გრამატიკის საკუთრბოროტო საკითხები, რომლებიც ალღულებდა 900-იანი წლების ქართველ მოღვაწეებს.

სიღ. ხუნდაძის პირველსავე წერილში (1902 წლის 6 დეკემბრის თარიღით), რომელიც ერთგვარი შესავალია მომდევნო წერილებისა, ნათქვამია: „სხვას ყველაფერს თქვენი ჰიორი წაუღიო, მაგრამ ქართული ენისადმი უყურადღებობა განსაკუთრებით მიწყლულუმს გულს — და ამიტომ ებედე — გამოვესახებოთ ამ საენის შესახებ“.

ერთ-ერთ წერილში ქართული ენის გულმგობი კუარი სავსებით კატეგორიულად ამბობს, რომ „დღემდე ჩვენს შორის ათასში და ათიათასში ერთს არ აქვს შეგნებული ის გარემოება, რომ ჩვენისთანა მღგომარეობაში მყოფი ხილხის ეროვნების დასაცავათ უპირველესი საშუალება ენის დაცვაა, და, მამსადამე, ამ წმინდა საენისათვის არ უნდა დავზოგოთ არავითარი ღონისძიება“. შემდეგ ავტორი ჩერდება იმ „პარბარისმებზე“, რომლებთაც აქრვლებული ენა, მთავარ ყურადღებას მიაქცევს სილოვანი ცალკეული ოჯახების როლს ენის სიწმინდის დაცვის საქმეში. ი. გოგებაშვილს მიმართავს წინდადებით, რათა დაარსებულ იქნეს სათანადო წრეები, „ეიზრუნოთ, რომ გავაერცყოლოთ... ოჯახებში ქართული ენის მისწავლებელთა დაქირავება“, მთავარი საზრუნავია „საყმაწვილო ლიტერატურის“ შექმნა, და სხვა. წერილებში წამოჭრილია სალიტერატურო ნორმების აქტუალური კონკრეტული საკითხებიც, რომელთა მოგვარება აუცილებელი იყო. აღსანიშნავია, რომ სიღ. ხუნდაძის ყურადღების გარეშე არა რჩება დიალექტების საკითხიც. ამ საკითხში ის არ ეთანხმება ი. გოგებაშვილს და დასძემნა: „ეერც იმაში გეთანხმებით, თითქმის კიდეებზე სჯაბასი ეროვნულ განუთქილებას ჩამოაღდებსო: აუცილებლათ საქიროა — ერთგვარი ლიტერატურული ფორმები შემოვიღოთ, ერთნაირი კილო დაუქმდეს და თუ ერთმანეთის გაჯავრების შიშით ხმა არ ამოვიღოთ, როდისღა ევლარსებთ ენის ვაერთიანებას?!“ (გვ. 343).

როგორც ვხედავთ, ქუთაისის პედინსტიტუტის ორგანოს მორიგ ნომერში მოთავსებულია შნიშენელოვანი ნაშრომები ქართული ენისა და ლტერატურის დარგებიდან.

შოთა შიშიშვილი

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

- დ. ბენაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მღივანი), კ. ლორთქიფანიძე,
- პ. რატინი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/VII-55 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10¹/₂.
ყე 03862. შეკვეთა № 359. ტირაჟი 6000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლიგრაფიამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.
Комбинат печати главполиграфиздата Министерства Культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ახალი წიგნები
სახელმწიფო გამომცემლობა
აკლიტიკური ლიტერატურა

3. **ლეონი** — თხზულებათა IV ტომი. ფასი 8 მან.
3. **ბურჯანაძე** — ტიფანი. ფასი 50 კაპ.

მხატვრული ლიტერატურა

- ა. **ქავკავაძე** — თხზულებათა V ტომი. ფასი 20 მან.
ა. **რადიშვილი** — მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს. ფასი 8 მან.
დ. **სულიაშვილი** — დაუცხრომელი გული. ფასი 3 მან. 90 კაპ.
მ. **გარიყული** — ვანელილი ვეზა. ფასი 6 მან. 85 კაპ.

სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა

3. **შეტრეველი** — საკალმურნეო წარმოების ელექტროფიკაცია. ფასი 5 მან.
შეზოსტენოვის აგროწესები ქართულ ენაზე — უფასო.

საგლიტაში

- უ. **ობოლაძე** — აკაცი და ახალგაზრდობა. ფასი 2 მან.
ა. **ხახუტაშვილი** — ჯიღლო. ფასი 3 მან. 20 კაპ.
ჩინური მოთხრობები და ზღაპრები — ფასი 11 მან. 90 კაპ.

მედიცინის გამომცემლობა

- ა. **ერისთავი** — ასკარიდოზით გამოწვეული ზოგიერთი მწვავე ქიურტიული დაავადება. ფასი 4 მან.
გ. **თვალაძე** — ადამიანის ანატომია. ფასი 10 მან. 80 კაპ.

სამ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

- დ. **ჭორიძე** — თბილისის არქეოლოგიური ძეგლები. ფასი 20 მან.
ვ. **ჯამბურია** — ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. ფასი 8 მან.
ვ. **ამბოკაძე** — ნიადაგის ეროზია და მის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში. ფასი 65 კაპ.
შ. **კანიშვილი** — ორგანული სასუქები და მათი გამოყენება მოსავლიანობის გადიდებისათვის. ფასი 65 კაპ.
ა. **ვტორთა ჯგუფი** — საქართველოს ერთიანი ისტორიული არქეოლოგიური გამოყენა — უფასო.

მეთოდკაბინების გამომცემლობა

- მ. **ხანდუკელი** — ახალი ქართული ლიტერატურა. ტომი III. ფასი 10 მან. 20 კაპ.
ბ. **დანელია** — ნარკვევები მე-19 საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორიიდან. ფასი 14 მან.
ს. **გაჩეჩილაძე** — ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი. ფასი 15 მან.
ა. **გაწერელია** — ქართული ლექსი. ფასი 9 მან. 70 კაპ.

ფასი 8 ა.

რედაქცია

საქართველოს
საბჭოთავო კულტურის
მინისტრის განკარგულებაში

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„მნათობი“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ